

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ზოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ისტორიის ინსტიტუტი

# ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები

## VII



გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი  
1976

„ახალი ქართული ლიტერატურის საკითხების“ VII კრებულში გაერთიანებული წერილები XIX საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურის, სალიტერატურო კრიტიკისა და ჟურნალისტიკის ისტორიის ცალკეულ, ნაკლებად შესწავლილ საკითხთა განხილვას ეძღვნება. კრებულში განხილულია ქართული რომანტიზმის საკითხები, აკაკი წერეთლის საზოგადოებრივ-ლიტერატურული ურთიერთობანი, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების რამდენიმე საკითხი. განხილულია „ქართული გაზეთის“ ადგილი და როლი ეროვნული ჟურნალისტიკის განვითარებაში და სხვ.

კრებული გამიზნულია როგორც ლიტერატურის სპეციალისტების, ასევე ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვისაც.

რედაქტორები: გ. აბაშიძე, გ. ასათიანი

„საქართველოს გაზეთის“ („ქართული გაზეთის“)  
პროფილისა და პოზიციის საკითხი

„საქართველოს გაზეთის“ („ქართული გაზეთის“) შესწავლის ინტერესი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გამოიჩინეს („დროება“, „ივერია“, „თეატრი“, ი. ჭავჭავაძე, ზ. ჭიჭინაძე, მ. ჯანაშვილი, ვეიდენბაუმი, ა. ჯორჯაძე...); ჩვენს დროში კი მისი კვლევა მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დადგა (ვ. კოტეტიშვილი, უ. კასრაძე, პ. გუგუშვილი, მ. გოცაძე, გ. ლეონიძე, ნ. ტაბიძე, ჯ. ვათეიშვილი...).

XIX საუკუნეში „ივერია“ (1890, № 144; 1891, № 37) „ქართული გაზეთის“ („საქართველოს გაზეთი“) სწორი მეცნიერული შეფასების მოცემა შეძლო, — მას „ოფიციალური გაზეთი“ უწოდა და ეს განსაზღვრა დღესაც უცვლელად არის გაზიარებული.

ქართულ ჟურნალისტიკაში პირველ ქართულ გაზეთად ცნობილი გაზეთი 1819 წლის მარტიდან 1820 წლის მეორე ნახევრამდე „საქართველოს გაზეთის“ სათაურით გამოდიოდა, ხოლო 1820 წლის მეორე ნახევრიდან 1821 წლამდე „ქართული გაზეთის“ სათაურით; მაგრამ ამ გაზეთების „ქართულობას“ ბევრი რამ აკლდა, რაზეც საგანგებოდ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

იმ დროს (XIX საუკუნის 20-იანი წლები), როცა მარტო სწავლულმა ქართველებმა იცოდნენ რა არის გაზეთი, ქართულ ენაზე რამდენიმე ასეული ტირაჟით გაზეთის (იგულისხმება „საქართველოს გაზეთი“ — „ქართული გაზეთი“) გამოსვლა, რაგინდ ოფიციალის სახეც არ უნდა ჰქონოდა მას, დღეს მართებულად ფასდება ჩვენი მკვლევარების მიერ ხალხის მოწინავე ძალების საღათას ძილისაგან გამოღვიძების ერთგვარ გამოხატულებად. მაგრამ ამ გაზეთის პროფილისა და იდეურ-პოლიტიკური მიმართულების, პოზიციის, მრწამსის შეფასებაში უნებლიეთ დაშვებულია მცირედი უზუსტობანიც, რაზეც ღირს მკითხველის ყურადღების შეჩერება.

სწორად არის შენიშნული, რომ ქართულ ენაზე პირველი გაზე-

თის დაარსება განაპირობა მაშინდელი ქართველი და მაშინ საქართველოში მყოფი მოწინავე რუსი ინტელიგენციისა (ა. პაეკავაძე, თ. ი. კილაშვილი, დ. ზ. ორბელიანი, ა. ორბელიანი, გ. ავალიშვილი, დ. რექტორი, ა. გრიბოედოვი, ვ. ა. კიუხელებეკერი, ნ. ნ. მურავიოვი დ. დავიდოვი..) და კავკასიის ცარისტული სამხედრო მმართველობის ინტერესთა აშკარა დამთხვევამ: გაზეთის დაარსება სურდა მოწინავე თაობასაც და მთავრობასაც, — პირველს ჰუმანისტურ-დემოკრატიული იდეების ხალხში გატანისათვის, ხოლო მეორეს — დამპყრობლური პოლიტიკის სიკარგეში ხალხის დასარწმუნებლად; მართლაც, ხალხმა რუსული ენა არ იცოდა და მთავრობას მიაჩნდა, რომ ქართულ ენაზე გაზეთის გამოსვლა ხალხის მთავრობასთან დაახლოების კარგი საშუალება იქნებოდა. თუმცა მთავრობა მერე მიხვდა, რომ ხალხმა არც მშობლიურ ენაზე იცოდა წერა-კითხვა, მაგრამ რაკი გაზეთის დაარსებას დიდ მნიშვნელობას აძლევდა ახალი მმართველობა, — პირადად „სუვეროველი წრთობის“ მოლიბერალო გენერალი ა. პ. ერმოლოვი, — მალე აღადგინეს ალამაჰნად-ხანის მიერ დარბეული ვახტანგ VI-ისეული ქართული სტამბა და იწყეს ახლადდაარსებული გაზეთის გამოშვება. სტამბაც და გაზეთიც მთლიანად დაექვემდებარა საქართველოს სამხედრო კორპუსს; პრაქტიკულად გაზეთს უშვებს ამ კორპუსში მომუშავე მთავრობისათვის სანდო რამდენიმე პირი, — გაზეთის „რედაქცია“ სწორედ ეს სამხედრო კორპუსია. გაზეთის ფაქტიური რედაქტორი და ცენზორია თვით გენერალი ერმოლოვი. ეს პირველი „ქართული გაზეთი“ არსებითად ერმოლოვის გაზეთია, — ნამდვილი ერმოლოვეური გაზეთი. მართალია, ერმოლოვმა ქართული არ იცის, მაგრამ ეს საქმე იოლად არის მოგვარებული: მისი მითითებით, მკაცრი კონტროლის მიზნით, გაზეთი ჯერ რუსულად ღებდა, რასაც ჯერ თვით ერმოლოვი კითხულობს. ამის შემდეგ მოწვეული თუ კორპუსის ქართულის მცოდნე თანამშრომლები თარგმნიან ქართულად და ასე მზადდება ყოველი ნომერი. ამგვარად, მოწინავე ქართველი და რუსი ინტელიგენციისათვის „საქართველოს გაზეთის“ („ქართული გაზეთის“) კარები გენერალმა ერმოლოვმა საგანგებოდ გადარიაზა და ასე აქცია ეს გაზეთი წმინდა „კაზიონურ“ ორგანოდ, რომელიც მთავარ მიზნად საქართველოში ცარიზმის სამხედრო ძალების განმტკიცებას ისახავს; ა. პ. ერმოლოვი მოქმედებდა დევიზით: „ყველაფერი მტრულ მიწა-წყალზე სრული გამარჯვებისათვის“, „ჩემი სიტყვა აზიელთათვის კანონი უნდა იყოს... ჩემმა წინამორბედებმა (ციციანოვმა და სხვ.) დანერგეს დაუმორჩილებლობი-



სა და აჯანყების სული, რასაც მე აღვკვეთ არა ოქროთი, არამედ რკინით“<sup>1</sup>.

პირველ ქართულ გაზეთში არ მოიპოვება არც ერთი მასალა, არც ერთი ფრაზა, რომელზედაც შეიძლებოდეს თქმა: „ეს როგორ გაეპარა ცენზურასო“. ეს გასაგებიცაა, გაზეთის გამომცემლნი, დაწყებული გენერალ ერმოლოვით და გათავებული რედაქციის რივითი მუშაკით „თავიანთი მდგომარეობით და მსოფლმხედველობათ მკაცრ ცენზორებს წარმოადგენდნენ, თუმცა ეს თანამდებობა იქნებ არც ერთ მათგანს არ ექირა“<sup>2</sup>.

ეს გაზეთი არა „ნახევრად ოფიციალური“, არამედ აბსოლუტურად, სისხლხორცეულად ოფიციალური გაზეთია — რომანოვების ერთგული და „შეძლებულ კლასთა ინტერესების დამცველი“<sup>3</sup>, — მოწყვეტილი ხალხსა და კულტურულ წრეებს.

თავის არსებობის სამი წლის მანძილზე გაზეთში არ ჩანს არც ერთი ქართველი თუ რუსი მოწინავე მოღვაწის მონაწილეობის არავითარი კვალი; გაზეთის მასალის მომწოდებელნი ძირითადად მსხვილი თუ წვრილი მოხელეები არიან. ამიტომ არის, რომ გაზეთი ხალხისაგან განდგომილი, მკვდარი ორგანო აღმოჩნდა, რამაც დააჩქარა მისი დახურვა.

ამ გაზეთში ეროვნული არაფერია, თუ ეროვნულს არ ვუწოდებთ იმას, რომ იგი რუსულიდან ქართულად თარგმნილი გამოდის; ამდენად ეს გაზეთი საქართველოს ისტორიის გარკვეული მონაკვეთის ერთგვარ ისტორიულ დოკუმენტადაც გამოიყენება; ამ ორგანოს დაბალი დონე უთუოდ მოწმობს, რომ „ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ აღმოჩნდა სათანადოდ მომზადებული გაზეთისათვის“ (ნ. ტაბიძე), მაგრამ ისიც უდავოა, რომ ეს აიხსნება არა მარტო და არა მაინცადამაინც ქართული საზოგადოების ჩამორჩენილობით. არამედ უმთავრესად იმიტაც, რომ „მეფის მონარქია გამორიცხავს ეროვნებათა თავისუფლებასა და თანასწორობას“<sup>4</sup>, სწორედ ამით და არა სხვა რაიმეთი აიხსნება, რომ პირველი ქართული „ეროვნული“ გაზეთი ბრმა და ყრუ-მუნჯია ყოველგვარი ეროვნული ქართულისადმი.

გაზეთის ყოველი ნომერი მხოლოდ იმაში გარწმუნებთ, რომ

---

<sup>1</sup> А. П. Ермолов. 1777—2861. Биографический очерк. С., П.-ург, 1912, стр. 88—95.

<sup>2</sup> პ. გუგუშვილი, ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1, 1935, გვ. 309.

<sup>3</sup> ნ. ტაბიძე, პირველი ქართული გაზეთი, 1969, გვ. 53.

<sup>4</sup> პ. გუგუშვილი, ქართული ეურნალისტიკა, 1941, გვ. 61.

ქართული პრესის ეს პიონერი ცარიზმის კოლონიალური „ევროპეიზაციის“ პოლიტიკის იარაღი იყო საქართველოში და სულ ეს იყო მისი „ეროვნულობა“.

მოჩვენებითი „ეროვნულობის“ მაჩვენებლებია: ზოგი საგანმანათლებლო წერილი მასში, მთავრობისათვის მხარდაჭერა მაშინდელ თბილისში არსებულ ანტისანიტარიასთან ბრძოლაში, ხალხის სხვადასხვა სამუშაოზე მიზიდვაზე ზრუნვა და მისთ. ამიტომ შეუძლებელია არ დაეთანხმოდ პ. გუგუშვილსა და მ. გოცაძეს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ, მაგალითად, მეტამორფოზა: „საქართველოს გაზეთი“, — „ქართული გაზეთი“ განაპირობა მხოლოდ დედნისა და თარგმანის დაახლოების ტენდენციამ და სხვამ არაფერმოდ; მართლაც, გაზეთის რუსულიდან ქართულად მთარგმნელებს საკმაოდ უფიქრიათ სათაურის სიზუსტეზე: „საქართველოს გაზეთი“ ისე კარგად ვერ გადმოსცემს ქართულობის გარკვეულ ჩანაფიქრს, ვიდრე „ქართული გაზეთი“. ეს უკანასკნელი, მართლაც კარგად ჟღერს ქართულად. „ქართული გაზეთის“ სტილიც შედარებით დახვეწილია, ოდნავ ნაკლებია მასში რუსიციზმებიც.

საზოგადოდ, სათაურს გარდა რადიკალური ცვლილება, მაინც-დამაინც არაფერში მომხდარა, ამიტომ არსებითად ერთნაირად შეიძლება ლაპარაკი „საქართველოს გაზეთზეც“ და „ქართულ გაზეთზეც“. ქართული პრესის პირმშოს რუსულიდან ქართულად მთარგმნელი პერსონალი საკმაოდ კარგად ფლობს, როგორც ცოცხალ სამეტყველო ქართულს, ისე ძველ ქართულ სალიტერატურო ენას, ასე რომ გაზეთი მაშინდელი ქართული მწერლობის ენის კვალში დგას: „ამ გაზეთის ნაკლად ჩვენ აღვნიშნავთ ძველის საღმრთო წერილების ენით წერილების წერასო“, — წერს ზაქარია ჭიჭინაძე, მაგრამ შეიძლება მას არ დავეთანხმოდ, რადგან ძველი ქართული ენა იყო მაშინდელი ქართული მწერლობის ენაც.

გაზეთში რიცხვი ხშირად აღნიშნულია ქართული ანბანით. მაგ.: „ოქტომბრის ლა დღესა, ჩყით წელსა ტფილისში“, „ა. ერმოლოვის წარდგინებით“, „ბ. ერმოლოვის წარდგინებით“, „გ. პოლიციის სამინისტროსაგან“ (1819, № 32); არის სიტყვით გამოხატული რიცხვებიც, მაგ.: „გასყიდვის ვადა დანიშნული არის ოქტომბრის ოცსა და ოცდაათსა და ნოემბრის თხუთმეტს რიცხვებში“.

ცხადია, რომ გაზეთს აკლია ენობრივი პოზიციის თანმიმდევრულობა: მაგ., ისტორიული პირები, თუ ქართული გვარები იწერება ქართული და რუსული ფორმითაც, ზოგჯერ ერთსა და იმავე ნომერში. მაგ.: მაჩაბელი — მაჩაბელოვი, ანდრონიკაშვილი — ანდრონი-

კოვი, ბარათაშვილი — ბარათოვი, ორბელიანი — ორბელიანოვი და მისთანანი.

ლექსიკა და ფრაზეოლოგია ზოგჯერ ცოცხალი სამეტყველო ქართულის შესატყვისია. მაგ.; საწნახლის, ძმისწულის, კომლი, გლეხი, საკრეთელი, ყვავილოვნება, სახლეული, ახარატებდა, თავ-ლა, სარდაფი, გასაწბილებლად, ნაკლულევანება, ბარათი, მოოქვი-ლი, კარისკაცული, „მეექვსედი წილი;“ „პირად თეთრი და წმინდაა, თმა წაბლისფერი“. მართალია, ასეთი მშვენიერი ქართულით ხშირად გაქცეულ ყმებსა და ჯარისკაცებზე და მისთ. იწერება, მაგრამ იწერე-ბა ქართულად: „თვითმასწავლებელი რუსულის ენისა“; „მე ვერა ვარ მხნე და გამბედავი“, „მოწყულლთა გულთა“ და მისთ. რა თქმა უნდა, აქვე ფართო ასპარეზი უქირავს რუსიციზმებს: უეზდი, ნაჩალ-ნიკი, ისპარავნიკი, ისპოლნიტელნი, ღრადუსი, კალასკა, ჩლენი; აშკარაა, რომ რედაქციის შემადგენლობაში უცილობდნენ არის ერთი თუ რამდენიმე პირი, რომელიც შეძლებისდაგვარად ილწვის დაიც-ვას ქართული ენის სიწმინდე; ამის კარგი ნიმუშია თუნდაც ერთი „შერთული ამბავი“ („საქართველოს გაზეთი“, 1819, № 14). — იგი-ვე ამინდის ბიუროს ცნობა, რომელიც არქაიზმებისაგან არაა თავი-სუფალი, მაგრამ გრჩება შთაბეჭდილება თითქოს თარგმანი არ იყოს: „სიმძაფრე ზამთრისა, — კვითხულობთ მასში, — ვითარცა საქართველოს სამძღვართა, აგრეთვე საზოგადოდ ყოველთა მეზო-ბელთა მისთა... არავინ არს რომელსაცა ახსოვდეს ესოდენ განგრქე-ლებული ცივი ღრო...

შვეციითგან იანვრის ე. გვწერენ, რომელ სტოკჰოლმს ჯერეთ ისევ ზამთარი არის, უყინვოდ და უთოვლოდ: მდელი მცენარეობს, ყვავილნი სხვადასხვაფრად ყვავიან, ხენი იშლებიან და ნაყოფსა ელიან და მოლექსენი გაზაფხულს უგალობენ“.

ასეა თუ ისე, გაზეთის სუფთა ქართული ენობრივი მონაცემე-ბიც არ იძლევა საფუძველს, რომ ამ გაზეთს „რუსეთის უზარმაზარი იმპერიის ერთ-ერთი ეროვნული გაზეთი“<sup>5</sup> ვუწოდოთ, — აქ აშკარაა უზუსტობა. ამ გაზეთის დაარსებამდე გამოქვეყნებული საპროგრამო „გამოცხადებითაც“ მთავრობა ატყუებდა მკითხველს, რომ თითქოს გაზეთი არსდებოდა არა მთავრობის ინტერესებისათვის, არამედ ადგილობრივ მკვიდრთა „სარგებლობისა და კმაყოფილებისათვის“. „გამოცხადების“ მუხლების უმეტესობა მომავალი გაზეთის სწორედ მთავრობის საჭიროებათა ყურადღების ცენტრში დაყენებაზე ლა-პარაკობს. გაზეთში დაიბეჭდებოდა: „ა. სახელთ (თანამდებობის — ა.

კ.) ბოძება და ჯილდო მოხელეთა, რომელნიც მსახურობენ საქართველოსა და სხვათა აქაურთა სამფლობელოთა შინა სამხედროსა და სამოქალაქოსა სამსახურსა შინა.

ბ. საკუთარი მმართველობის განწყობებიანი, ბრძანებანი და დადგენილებანი, რომელნიცა ეკუთვნიან ამ ქვეყნის დაპყრობასა<sup>6</sup> და კეთილმდგომარეობასა“. ე. ი. „დაპყრობა“ და „კეთილმდგომარეობა“ მომავალი გაზეთის მიხედვით, თანაბარი ცნებანი უნდა ყოფილიყო. ეს მართლაც ასე იყო. მესამე მუხლი ერთგვარად ითვალისწინებს თითქოს საქართველოს და მის მეზობელთა ცხოვრების ჩვენებას: „გ. სხვადასხვანი საქართველოს და მის თანამესამძღვრეთა მისთა ადგილთა ამბავნი, რომელნიცა საზოგადოების საკუთარის ყურადღების ღირსნი არიან“.

პირველი ქართული პერიოდული ორგანო ითვალისწინებს ყოველი გაზეთისათვის ნიშანდობლივ სხვადასხვა საინტერესო ცნობათა მოწოდებასაც ცოდნისა და კულტურის სხვადასხვა დარგიდან, თუმცა გაზეთმა ვერ შეძლო ღიდად მნიშვნელოვანი რაიმეს მოწოდება. მეხუთე მუხლით — „გამოკრებილნი ჟურნალთა და გაზეთთაგან, რომელნიცა გამოიცემიან რუსეთსა შინა და რომელთაცა თავის ჰაზრისამებრ ძალუძთ მისკენ საკუთარი კმაყოფილება მკითხველთა“.

რედაქცია უმეტესად უცვლელად გადმოწერდა ზოლმე რუსული გაზეთების ოფიციაოზებს და სხვა მასალებს. გაზეთი შედარებით „პუბლიცისტურ“ წერილებს გაუბრუნდა, — საკუთარი აზრის გამოთქმისაგან ზომ სულ შორს იყო. „რედაქცია“ ამაოდ პირდებოდა მკითხველებს: „ზ. ამა გაზეთის გამოცემით, „ყოველივე უფალნი ამის ხელის მომწერნი, სრულის ზომით კმაყოფილნი იქნებიანო“. გაზეთი იმასაც ეცდებოდა, რომ სხვა ქვეყნების გაზეთებს არ ჩამორჩეს და ადგილობრივნი მცხოვრებნი „დაახლოვონ ერთა თანა აღრით ჟამითაგან ცნობილთაო“.

პროგრამის („გამოცხადების“) მიხედვით, „საქართველოს გაზეთი“ არსებითად მთავრობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისტი უნდა ყოფილიყო, — მასში მთავარი ადგილი მეფის მთავრობის კოლონიალური პოლიტიკის პოზიტიურად ჩვენებას უნდა დათმობოდა და ამას, ასე თუ ისე, თავს ართმევდა ეს გაზეთი; სხვა მიზანი მას არცა ჰქონია.

დაპირებისამებრ, 1819 წელს 8 მარტს გამოვიდა ამ გაზეთის პირველი ნომერი. გაზეთი პროფილით ინფორმაციულია. — იგი თა-

<sup>6</sup> ნ. ტ ა ბ ი დ ი ს გასწორებაა: „დამყარებასა“. — იხ. დასახელ. წიგნი, გვ. 17

ვის მრწამსს მალავს და სისტემატურად ბეჭდავს სწორედ ინფორმაციულ მასალებს: 1. უმაღლესი და ადგილობრივი მთავრობის ბრძანება-განკარგულებებს, მანიფესტებს, „უქაზებს“ მოხელეთა დანიშვნა-გადაყვანაზე, დაჯილდოებებზე. 2. განცხადებებს საქართველოს სამეფო სახლობის ყოფილ წევრთა მამულების იჯარით გაცემაზე, სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში შესვლის მსურველთა შესახებ, სასამართლოში მიხმობაზე, ვალში ყმისა და მამულის გაყიდვაზე, გაქცეულ ყმათა, პატიმართა და ჯარისკაცთა ძებნაზე. 3. შინაურ და უცხოეთის ამბებზე, კავკასიის მთიელთა დაპყრობით ლაშქრობაზე; 4. „შერეულ ამბებს“ (არაჩვეულებრივ ამბებს); 5. ზოგჯერ ბეჭდავს რუსულიდან თარგმნილ უცხოურ თუ რუსულ მოთხრობებს (მაგ., „ქალი მარიამი“, „იშვიათი ცოლი“ და სხვ.).

გაზეთს სამხედრო შტაბთან ერთად ეხმარებოდა პოლიცია, ხოლო სუბსიდიას აძლევდა საქართველოს საექსპარსოოც. იგი განსაკუთრებული დანიშნულებით გამოდიოდა. „გაზეთი მოუწოდებს მკითხველს მხოლოდ უმაღლესი ტახტის ერთგულებისადმი“ (გ. ლენინიძე).

1820 წლიდან „ქართული გაზეთის“ ფორმატი საკმაოდ გაზრდილია, ქაღალდი ცისფერია, თავზე თეთრი გიორგის გამოსახულებაა, წინანდელი ნომრის რუსული „НѠ“ შეიცვალა ლათინური „N“-ით; გაზეთის სტილი შედარებით მსუბუქი და დახვეწილია, მაგრამ მიმართულებასა და შინაარსში არაერთგვაროვანი ცვლილებები არ მომხდარა. გამოჩნდნენ ცარისტული „კულტურტრეგერნიც“, როგორც მაგ., თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორი ბუკრინსკი, რომელიც ძველი ქართული კულტურის დაცემის გამო ნიანგის ცრემლებსა ღვრის: „აჰა, მოგებამან დღისამან ხუთგზის განაცისკროვნა ღორიზონტი ძველისა სასაყდროისა ქალაქისა ბაგრატიონისაო“<sup>7</sup>.

გაზეთის პოზიციასა და პროფილზე წარმოდგენას იძლევა მისი ყოველი ნომერი. მაგ., პირველი ნომერი იშლება „სანკპეტერბურგის“, რუსეთის იმპერატორის საახალწლო ცერემონიალის, სამხედრო პარადის, პოლკების მარშირების საზეიმო აღწერით. შემდეგ მოდის „უმაღლესნი ბრძანებანი“ სამხედრო მოსამსახურეთა გადაყვან-გადმოყვანა-დანიშვნებზე. შემდეგ „გამოცხადებანი“ — „აქაუ-

---

7 „საქართველოს გაზეთი“, 1819, № 22.

რის უფლის სამოქალაქო ლუბერნატორისაგან“ თხოვნა-საჩივრების მიღების წესის თაობაზე. აქვეა „ისპოლნიტელნი ექსპედიციის“ გამოცხადებანი — „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის“, თავად ციციანოვის სახლის გაყიდვაზე თავად გიორგი ამატურის ვალის დასაფარავად, აზნაურ გრ. დეკანოზოვის ყმის — გოგნაძის „მისის შვილით და მისის ძმისწულით ნონიათი იმ „თეთრში“ გაყიდვის შესახებ, რომელიც „ჰმართებს მას მღვდლის ერგემლიძისა“ და მისთ.. რასაც მოსდევს „უცხო ქვეყნის ამბავნი“. — მაგ.: „ია. იანვარს უეცარი გაცივებით გარდაიცვალა ვირტენბერლის კოროლევნა“, იმ დღეს, როცა „მისი ღიღებულება იმპერატორიკა ელისაბედ ალექსის ასული უნდა მიბრძანებულიყო შტუტტარტსა“; „კოროლი სულთქმით გოდებს“ თურმე, რადგან „განსვენებული კოროლევა მესამედ იყო ორსულად“, და მისთ.

ბოლოს მოდის „შერთული ამბავი“ — ქინვალელ სახელმწიფო ყმის თამაზა ხახიაშვილის 113 წლის ასაკში „ჩვეულებრივის სიკვდილით“ გარდაცვალებაზე. ნომერი ინფორმაციულია და დაახლოებით ამგვარია ამ გაზეთის ყველა დანარჩენი ნომრებიც. უმეტესი მათგანი „სანკპეტერბურგით“ და „უმაღლესი ბრძანებით“ იწყება, შემდეგ მოდის ადგილობრივი მთავრობის განკარგულებანი და განცხადებანი, „უცხო ქვეყნის ამბავნი“, „შერთული ამბავნი“ და ნათარგმნი მოთხრობები.

მასალის შერჩევაშიც მოჩანს გამომცემელთა მთავარი ტენდენცია — ღიღებით შემოსონ თვითმპყრობელობა. ამდენად სიზუსტე აკლია აზრს, რომ, თითქოს, რედაქცია იმპერატორის და მისი მახლობლების ხოტბისას ზომიერებას იჩენდეს, რომ თითქოს „ქართული გაზეთი“ გაცილებით თავშეკავებულია, ვიდრე რუსული პრესა. „სანკპეტერბურგსკიე ვედომოსტში“ და „სევერნაია პოჩტაში“ ზუსტად არის აღნუსხული მეფისა და დედოფლის ყოველი ნაბიჯიო<sup>18</sup>. უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ ეს აიხსნება ჩვენი გაზეთის ფორმატის სიპატარავით და არა „თავშეკავებულობით“. რედაქციას საყვედურს არ ეტყოდა არავინ სამეფო სახლის ცხოვრების ჭარბად გაშუქებაზე, მაგრამ „მაინც თავი შეიკავაო“, — რომ არსად არ ჩანს ეს თავშეკავება და „ზომიერება“?! მასზე შეიძლებოდა ლაპარაკი, რომ მართლა დიდი ხოტბა არ იფრქვეოდეს ამ გაზეთის ყოველი ნომრიდან რუსეთის იმპერატორისა და მისი სახლობისა, რუსეთის თვითმპყრობელობის მთელი პოლიტიკისა... გაზეთში გვხვდება ალექსანდრე პირველის ტახტზე ასვლის 18 წლისთავის ვრცელი

აღწერა<sup>9</sup>; აღწერა იმპერატორის მოგზაურობიდან სიმრთელით დაბრუნებისა<sup>10</sup>; ტიპიურია თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორის ბუკრინსკის ხოტბა იმპერატორისა: „შენ, რომელსაცა სკიპტრასა ესოდენი მილიონნი მოკვდავთანი ნეტარებენ, რომლისაცა სახელსა ჩრდილოეთი და სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი აკურთხევენ... ღვთაებრისა შენისა გამოხატულებისა“<sup>11</sup> და ა. შ.

ეს გაზეთი მკითხველთა იდეოლოგიურ დეზორიენტირებას ახდენდა. მაგალითად, დასავლეთ ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებზე წინ მდგომ ქვეყნად ცხადდება მაშინდელი ჩამორჩენილი ცარისტული რუსეთი: გაზეთის 1819 წელს 30-ე ნომრით, ირანის შაჰი იწუნებს ინგლისურ ნაკეთობებს და მას მეფის რუსეთს უკვეთს; 24-ე ნომრით, სოლომონ მეორის გაქცევის ხელშეწყობისათვის გაციმბირებული ბეჟან მურასოვი იმპერატორმა „შეიწყალა“; ასევე „შეიწყალა“ იმპერატორმა ნაპოლეონის „ცდუნებით“ „მოღალატე პოლშელები“.

იმპერატორის სადიდებლად არის მოტანილი გაზეთში წარჩინებათა და დაჯილდოების ბრძანება-განკარგულებანი. მაგალითად, „ისპოლნიტელნი ექსპედიციის“ ყოფილ „ნადვორნი სოვეტნიკს“ — თავად დიმიტრი ზურაბის ძე ორბელიანს მოვალეობის გულმოდგინედ და უბიწოდ აღსრულებისათვის „ყოვლად უმოწყალესად“ ებოძა „კოლეჯისკის სოვეტნიკობა“ („საქართველოს გაზეთი“, 1819, № 9); „მისმა იმპერატორებითმა დიდებულებამან... უმაღლესად ინება“ იმერეთ-გურიის გლეხთა 1819—20 წლების აჯანყების ჩახშობაში „გულმოდგინეობითის სამსახურისათვის... ბოძებად საჯილდოდ“. დაჯილდოვებულთა შორის არიან გენერალი ერმოლოვ, გენერალ-მაიორი ველიამინოვი, როტმისტრი გრაფი ტოლსტოი, კიდევ ორმოცამდე რუსი სამხედრო პირი; გურიის მთავარი, გენერალ-მაიორი მამია გურიელი, სამეგრელოს მთავარი გენერალ-მაიორი ლევან დადიანი, თავადები ქაიხოსრო და გრ. წერეთლები, და საეროოდ 200-მდე ქართველი თავადი, აზნაური, ერთი მოქალაქე და ერთი გლეხი და ა. შ.

იმპერატორის ტახტისადმი ერთგულებისათვის აჯილდოებენ არაქართველებსაც, მაგ., შამშადილის დისტანციის ქალანთარს ანეზა მხითაროვს და ალაღარს კასიმ ალა აბდულ-ილღან-ოღლის ერთგუ-

9 „საქართველოს გაზეთი“, 1819, № 9.

10 იქვე № 38.

11 იქვე, № 20.

ლებისათვის რუსეთის ტახტისადმი უმაღლესად ჰბოძებიათ“ სხვადასხვა ჯილდო<sup>12</sup>. ერთი ჭიტყვით, გაზეთი ისეთ ინფორმაციას ათავსებდა მთავრობაზე, რომ ყველა სულწასულს „იმპერატორებითი დიდიდებულების“ ჩინ-ორდენების მადას უღვიძებდა.

გაზეთი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა დაენერგა არსებული წყობილების შეურყევლობის რწმენაც, მისდამი პატივისცემაც და შიშიც.

საერთოდ ყოველგვარი „აღრევა“, „შფოთიანობა“, „რევოლუცია“ თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაგმობილია, თუმცა ობიექტურად ასეთ მასალებს, ცხადია, მთავრობის საწინააღმდეგო განწყობილებაც შეეძლო გაეღვიძებინა მკითხველში; ამ მხრივ საინტერესოა ტრანსოსმანდეს (პორტუგალია) გუბერნატორის — გრაფ ამარანტეს „პროკლამაცია“;

გრაფი ამარანტე შეშფოთებულია კლასობრივი რევოლუციით და ცდილობს „კოროლისადმი“ ერთგულება ჩაუნეგროს ქვეშევრდოვით. ამ მიზნით, — „ჯერ არს ოდენ მოგონება, თუ ვითარნი ნაყოფნი მიიღო ფრანკიამან თვისის შფოთისაგან (ე. ი. 1789 წლ. რევოლუციისაგანო, — ა. კ.), — სიკვდილი და მოოხრებაო“<sup>13</sup>.

გარდა ამისა, გაზეთს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე გამოჰყავს მოქმედად „გამოხსნისათვის ევროპიისა“, ხოლო მაგ., ესპანეთი და პორტუგალია პერუს და მექსიკის დამპყრობებად. მაგრამ, იმედია, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს მზრუნველობით შენარჩუნებული იქნება ევროპის „მშვიდობიანობაო“<sup>14</sup>.

ცარიზმის ყველა დაპყრობითი ოპერაცია გამოცხადებულია ნორმალურ მოვლენად. ასე მაგალითად, გენერალ მადათოვის ყოველი ბარბაროსული მანევრი ავარელთა, ჩეჩენთა და სხვათა დასაპყრობად თვით მადათოვის სამხედრო რელაციების მიხედვით, გმირობადაა მიჩნეული. ხოლო მართლაც გმირული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები—მუხანათობად და ვერაგობად. გაზეთი იმერეთ-გურიის აჯანყებების ჩახშობის მსგავსად აფასებს მადათოვის დაპყრობით მანევრებს კავკასიაში. მადათოვი ისე წერს ლეკთა და ჩეჩენთა სოფლების „აღსპობაზე“, ხალხის გაწყვეტაზე, თითქოს და მართლაც საარაკო გმირობა გამოეჩინოს: „შემდგომად დადაიურთოს სოფლის აღსპობისა მე ვუბრძანე ღენერალ-მაიორს სიხოვეს... აღსპობა... თივისა და პურისა“...<sup>15</sup>

<sup>12</sup> „საქართველოს გაზეთი, 1819, № 29.

<sup>13</sup> იქვე, № 4.

<sup>14</sup> იქვე, № 9, 10, 11.

<sup>15</sup> იქვე, № 33.



როგორც წესი, გაზეთი ნერგავდა თვითმპყრობელობისა და მისი არმიის ძლევამოსილების რწმენას, მაგრამ ზოგი ცნობა და მასალა, ცხადია, საპირისპირო დასკვნის გამოტანის ასოციაციასაც ბადებდა, მაგ., ის გარემოება, რომ გაზეთი არმიიდან და ციხიდან გაქცეულ პირთა ძიებას აცხადებს, ან უამრავი განცხადებანი ყმების ყიდვა-გაყიდვაზე—ობიექტურად, აშკარად მოწმობდა ცარისტულ-ფეოდალური სისტემის სიღამპლესაც. მარტო 1819 წლის მე-2 ნომრის „გამოცხადების“ ცნობაც ადასტურებს, რომ სამეურნეო-ეკონომიური დისპროპორციები მოსდებია არა მარტო დეგრადაციის გზაზე მდგომ ფეოდალურ კლასს, არამედ მოსახლეობის თითქმის ყველა წოდებას, ფენასა და პროფესიას.

გაზეთი ეხმარება მთავრობას თავისთავად პოზიტიური ნაბიჯის გადადგმაშიც. მაგალითად, ქ. თბილისის კეთილმოწყობაში და ანტისანიტარიის აღკვეთაში; ქვეყნდება გუბერნატორის ბრძანებანი, სამღებროების, დაბახანების და მისთ., როგორც ქალაქის დამაბინძურებელ სარეწების ქალაქს გარეთ გადატანაზე, — „საზოგადო კეთილობამ ყოველთვის უნდა წინაუხსწრას კერძობითთა სარგებლობათო“<sup>16</sup>.

ცოტა იწერება სოფლის მეურნეობაზე და მრეწველობაზე, ან უფრო სწორად, იგი მხოლოდ „განცხადებებშია“ გამოხატული. მაგ., ზაქოს „შავი და თეთრის ნავთის“ იჯარით გაცემაზე. „ელსავეტ-პოლის შაბის მადნის საბადოებისა“ და სხვ. შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ გაზეთი დიდ მნიშვნელობას აძლევდა განათლებას: „კაცსა საშუალებითა განათლებისათა არა თუ ოდენ უპოვნია ღონე შრომათ აღმსუბუქებისა, არამედ უპოვნიაცა შეძლებლობაი აღმსუბუქებად ზვედრისაცა..., რომელნიცა შობილ არიან ბრმად, ყრუდ და მუნჯად“.<sup>17</sup> რედაქციას განათლება მიაჩნია მრეწველობისა და ტექნიკის წარმატების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად; როცა განათლების ღონეზე მიდგა საქმე, გაზეთს სიმართლეც წამოსცდა და დასავლეთ ევროპის ქვეყნები და ჩრდილოეთ ამერიკა აღიარებული იქნენ დაწინაურებულ ქვეყნებად.

გაზეთი არა მთელი სისრულით, მაგრამ არც თუ ღარიბად ბეჭდავს მასალებს საერთაშორისო ამბებზე. მაგალითად: „პოლიტი-

<sup>16</sup> „საქართველოს გაზეთი“, 1819, № 5.

<sup>17</sup> „ქართული გაზეთი“, 1820, № 11..

ეგბრ შეხედვა უჩინებულესთა საქმეთა ჩყივ წლისათა“. ლაპარაკია იმაზე, რომ შეიქმნა ხუთი დიდი ქვეყნის „საღვთო კავშირი“ და მისი მონაწილე ქვეყნები არ აპირებენ სამხედრო ძალების გაზრდას და ამით იღწვიან „მშვიდობისათვის“. ამ კავშირის მთავარი წევრი ალექსანდრე პირველის მონარქიაა. რედაქცია, მართალია, არ არჩევს ერთმანეთისაგან დაპყრობასა და ქეშმარიტ მშვიდობიან პოლიტიკას, მაგრამ ამ შემთხვევაში დაპყრობითი ომების აღკვეთისაკენ მოუწოდებს, კერძოდ, ესპანეთსა და პორტუგალიას პერუსა და მექსიკაში. 1820 წლის მე-46 ნომერში წარმოდგენილია ინგლისის დედოფლის „განმათავისუფლებელი“ სიტყვა: „ჩემი სურვილია თავისუფლების დაცვა, ჩვენი ერის ღირსებისათვის დაცვა სიმართლისა და ბაღათისა და მალაღობისა შორის; მე უბედნიერეს აღამიანად შევრაცხდები თავს, თუ კი შევძლებდი რითიმე გაღვიძებას ერთა თავისუფლების დაშრეტილი ნაპერწკლისა და ასე ინგლისისათვის ძველი დიდებისა და პატივის დაბრუნებასო.“ ინგლისის დედოფლის ამ სიტყვის მთავარი მნიშვნელობა ის არის, რომ, ობიექტურად, XIX საუკუნის დამდეგს ქართულმა გაზეთმა ამ სიტყვის საშუალებით აღიარა ერთადერთი ნაწილის დამონება, მათთვის თავისუფლების დაბრუნების აუცილებლობა. სხვა საკითხია, რამდენად იბრძოდა ინგლისი ან რომელიმე სხვა სახელმწიფო ან თვით ინგლისის დედოფალი ერთა თავისუფლების ჩამქრალი ნაპერწკლის ქეშმარიტი გაღვივებისათვის, მით უმეტეს „ევროპის ჟანდარმი“ — ცარიზმი ან თვით მისი გაზეთი, რომელიც უკომენტაროდ ბეჭდავდა ყოველ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მასალას; ისიც საქმეა, რომ მაგ., 1820 წლის მე-37 ნომერში „ქართულმა გაზეთმა“ მოათავსა ისეთი მასალა, რაც ცარიტული პოზიციიდან პატარა ერთა, კერძოდ, საბერძნეთის თურქთა აგრესიისაგან დაცვას ისახავს მიზნად: „გაქცეული ბერძნები ამბობენ, რომ ოსმალთ მოუოხრებიან მთელი მალახია ხმლითა და ცეცხლითა. ათასობით მცხოვრებნი დაუხოციან და დაუწყვეტით წოდებული საღმრთოთ მხედრებად. 1000 კაცი თითქმის სულ გაუწყვეტიათ. ესენი ყოფილან გამორჩეულნი ბერძენი ყმაწვილნი კაცნი, რომელნიც ყოფილან სასწავლებლად უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებში“<sup>18</sup>.

თვით გაზეთი კი შორსაა მოვლენათა პუბლიცისტური შეფასები-

<sup>18</sup> „ქართული გაზეთი“, 1812, № 37.

საგან. სწორად არის შენიშნული, რომ პირველ ქართულ გაზეთში, არც ფარულად და არც აშკარად არ არის არსებული წყობილების არა თუ შეცვლის აზრი, არამედ მისი ოდნავი კრიტიკაც კი.

ეს გაზეთი სუბიექტურად ცარიზმის ყურმოჭრილი ყმაა, „საქართველოში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის იარაღი და ამ სახით ქართველთა „ევროპეიზაციის“ საქმეს ემსახურებოდა, მაგრამ, თავის დროზე, მაინც პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა და როგორც პირველი ქართული პერიოდული ორგანო უსათუოდ სათავეა ქართული პრესისა“<sup>19</sup>.

საქართველო დასავლეთ ევროპას ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან უკავშირდება, მაგრამ ეს კავშირი XIX საუკუნიდან ფართოდება რუსეთის შუალობით. ობიექტურად რუსეთი XIX საუკუნიდან საქართველოს ეროვნული აღორძინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება, მიუხედავად იმისა, რომ თვითმპყრობელობას ეს სულაც არ სურდა. ასეთი იყო „ხალხთა საპყრობილის“ „ღვაწლი“ ამიერკავკასიისა და საქართველოში — ლენინის ცნობილი დებულების თანახმად. „ბისმარკმა — წერს ლენინი, — თავისებურად, „იუნკრულად“, გააკეთა პროგრესული ისტორიული საქმე, მაგრამ რას ემსგავსებოდა ის „მარქსისტი“, რომელიც ამ საბუთით განიზრახავდა გამართლებინა სოციალისტური დახმარება ბისმარკისადმი“<sup>20</sup>. ლენინი ველიკორუსი შოვინისტების მისამართით სამართლიანად წერდა: „რატომ არ უნდათ მათ გაიგონ, რომ გერმანია უნდა გადასულიყო გერმანელთა დაქუცმაცებიდან... მათი გაერთიანებისაკენ, ხოლო რუსეთში ველიკორუსებმა იმდენად კი არ გააერთიანეს, არამედ დათრგუნეს მთელი რიგი სხვა ერები?“<sup>21</sup>.

შეუძლებელია უარყო პირველი ქართული გაზეთის გარკვეული პოზიტიური მნიშვნელობა: „რამდენადაც საქართველოს რუსეთთან შეერთება დადებითი მოვლენაა, დადებითადვე უნდა შეფასდეს ამ სასიკეთო ურთიერთობის ხელშემწყობი პერიოდული ორგანოც. მართალია, ორთავიანმა არწივმა თან მოიტანა ეროვნული ჩაგვრა, აუტანელი ბიუროკრატიზმი, უცხო წესები... მაგრამ, რაც მთავრია, ფიზიკურად გადაარჩინა ერი. მაშასადამე, გაზეთი, რომელიც სა-

19 პ. გ. უ. გ. უ. შ. ე. ლ. ი, ლიტერატურული შემკვიდრება, 1, 1935, გვ. 312.

20 ვ. ი. ლ. ე. ნ. ი. თხზულებანი, 1951, ტ. 21, გვ. 114.

21 ი. კ. ე.

ქართველოში რუსეთის ფეხმომავრებას შველის, პროგრესულია...  
ძნელია დავასახელოთ მაშინდელ საქართველოში საზოგადოებრივი  
აზრის ჩამომყალიბებელი მეორე უფრო მნიშვნელოვანი კათედ-  
რა<sup>22</sup>.

შეუძლებელია არ დაათვალი პირველი ქართული გაზეთი, რად-  
გან სხვა არა იყოს რა, იმ დროს იგი ერთადერთი ქართული გაზეთია  
და, ამდენად. ჩვენი სახალხო პერიოდიკის წინამორბედიც. მაგრამ  
რაკი თავისი პროფილითა და პოზიციით იგი წმინდა ჩინოვნიკური,  
ერმოლოვური გაზეთი იყო, ანტიმეცნიერულია მასზე თქმა და წე-  
რა, რომ „ძნელია დავასახელოთ მაშინდელ საქართველოში საზო-  
გადოებრივი აზრის ჩამომყალიბებელი მეორე უფრო მნიშვნელო-  
ვანი კათედრა“. ნამდვილად კი ამდენხანს ასე ვიცოდით და არ  
შეგვცდებოდა თუ ახლაც და ყოველთვის გავიმეორებთ: შეუძლე-  
ბელია XIX საუკუნის პირველ ნახევარში დავასახელოთ საქართვე-  
ლოში საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებელი მეორე უფრო  
მნიშვნელოვანი კათედრა, როგორც ქართული მწერლობა იყო.  
ქართული საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებელი მთავარი ცენ-  
ტრი, ისტორიის ყველა მთავარ ეტაპზე, მით უმეტეს, დამოუკიდებ-  
ლობაწართველ ხანაში, რა თქმა უნდა, ქართული მწერლობა იყო  
და სხვანაირად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ჩვენი წარსულის კუ-  
ლტურული შუბლი, ჩვენი სინდისი და პატიოსნება, ჩვენი მორალური  
ძალა და სიწმინდე, რამაც დიდად განაპირობა ჩვენი სულიერი სიმ-  
ძლავრე, თვით ჩვენი ღღევანდულობის სიმკვიდრე და ძალ-ღონე,  
ჩვენი დიადი შემართებანი საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრე-  
ბის ყველა დარგში. წარსულის ჩვენი სახელოვანი მწერლები იყვნენ  
ის „უგვირგვინო მეფენიც“, რომელნიც საქართველოს ისტორიის  
ძნელბედობის, განსაკუთრებით სწორედ სახელმწიფოებრიობის  
წართმევის, თვით სტამბური სიტყვის მოკვეთის ხანაშიც, თავიან-  
თი უკვდავი ქმნილებებით აწრთობდნენ ქართულ საზოგადოებრივ  
აზრს, — ქართველ ყრმასა და მორკმულს აკენიდანვე უვითარებდ-  
ნენ მტერ-მოყვარის გარჩევის ალლოს, უნერგავდნენ დასავლეთ  
ევროპისა და რუსეთის მოწინავე ადამიანებისა და კულტურის,  
მშობლიური გმირული წარსულისა და ენის სიყვარულს, დაცემული  
მშობელი ქვეყნის წამოყენების ღრმა რწმენას; ქართული მწერლობა  
იყო ქართული საზოგადოებრივი აზრის განმავითარებელი არა მხო-  
ლოდ კათედრა, აკადემიაც, უნივერსიტეტიც, — ჩვენი სულიერი  
ცხოვრების მკვებავი მთავარი არტერია, — მთავარი მაგისტრალი,

22 ნ. ტ ა ბ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 104—105.

ეროვნული უკვდავების მთავარი წყარო, საიდანაც დასაბამს იღებს ჩვენი დიადი მომავლის ყველა დიადი გაელვება. პირველი ქართული გაზეთი ამ დიდი განტოტების ყველაზე სუსტი, იმთავითვე დაჭიანჭული ერთ-ერთი ყლორტი აღმოჩნდა, რომლის ჭეშმარიტი გამოცოცხლება, სამწუხაროდ, ჩვენი ისტორიული ძნელბედობის გამო, მოგვიანებით განხორციელდა.

## ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები

იმისათვის, რომ გავარკვიოთ ქართული რომანტიზმის საფუძვლები, ჩვენ უნდა მივმართოთ აუცილებლად ქართული ენის ისეთ ცნობილ და მნიშვნელოვან ძეგლებს, როგორიცაა ქართული საგლობლები, დავითნი, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები.

ქართული რომანტიზმისა და ძველი მწერლობის საკითხების შესწავლას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, მათ შორის ქართული ლიტერატურის ცნობილ მკვლევართა — კ. კეკელიძის<sup>1</sup>, ალ. ბარამიძის<sup>2</sup>, გ. ჯიბლაძის<sup>3</sup>, ა. გაწერელიას<sup>4</sup>, პ. ინგოროყვას<sup>5</sup>, გ. ქიქოძის<sup>6</sup>, გ. ნადირაძის<sup>7</sup>, გ. ასათიანის<sup>8</sup>, დ. გამეზარდაშვილის<sup>9</sup>, ა. კენჭოშვილის<sup>10</sup> გამოკვლევები. ხსენებულ ნაშრომებში ძირითადად განხილულია აღორძინების პერიოდისა და გარდამავალი ხანის მწერალთა

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, № 3.

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ძველი ქართული პოეზია, ლიტერატურული ძიებანი, III, 1946; ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვახტანგ VI, საიუბილეო კრებ. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1968.

<sup>3</sup> გ. ჯიბლაძე, ნ. ბარათაშვილი და ი. ლერმონტოვი, „მნათობი“, 1936, №№ 5, 6.

<sup>4</sup> ა. გაწერელია, ბარათაშვილის პოეტიკა, „სალიტერატურო გაზეთი“, 1923, № 27; ნიკოლოზ ბარათაშვილის თემა და სტილი, „ჩვენი თაობა“, 1937, № 9.

<sup>5</sup> პ. ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებათა კრებული, ტ. III, თბ., 1965.

<sup>6</sup> გ. ქიქოძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, — იხ. ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, თბ., 1922.

<sup>7</sup> გ. ნადირაძე, პოეტი და ადამიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილ, თბ., 1938.

<sup>8</sup> გ. ასათიანი, „მერანი“ და მისი ავტორი, თბ., 1969.

<sup>9</sup> დ. გამეზარდაშვილი, ალექსანდრე ჰაევჟაძე და ქართული რომანტიზმი, თბ., 1948.

<sup>10</sup> ა. კენჭოშვილი, ალექსანდრე ჰაევჟაძე, თბ., 1953.

შემოქმედების მნიშვნელობა ქართული რომანტიზმისათვის. ზოლო ძველი ქართული სასულიერო პოეზიის როლი ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებისათვის შედარებით ნაკლებად ყოფილა კვლევის საგანი.

შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხისადმი არ არის მიძღვნილი სპეციალური ნაშრომი, სადაც რომანტიზმისა და ძველი ქართული სასულიერო პოეზიის პრობლემა ძირითადი იქნებოდა. მაგრამ ამ საკითხის შესწავლას მაინც აქვს გარკვეული ისტორია. ძველი ქართული სასულიერო პოეზიის მნიშვნელობას ქართველ რომანტიკოსთათვის ეხებიან კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, გ. ასათიანი ზემოხსენებულ ნაშრომებში.

რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, ევროპული მოვლენაა. იგი წარმოიშვა ევროპული ლიტერატურის კანონზომიერი განვითარების შედეგად. რომანტიზმის ცნობილი თეორეტიკოსები და კრიტიკოსები რომანტიზმის ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნევენ შუა საუკუნეების ევროპულ სამყაროს, მის დიდ პოეზიას, მის სევდას და მისტიკას. ადრეული შუა საუკუნეების სული, მისი განწყობილება და ინტერესთა სფერო განისაზღვრებოდა ერთგვარად სასულიერო პოეზიის ხასიათით, ზოლო ეს პოეზია ევროპულ სამყაროსთან ანათესავებდა საქართველოსაც, სადაც ადრეული შუა საუკუნეების პოეზია, ისევე როგორც ევროპაში, ეყრდნობოდა რელიგიურ თემებს, რომელიც იყო მისთვის მასალა პოეტური განწყობილების გამოსახატავად. საქართველოსა და ევროპაში ადრეული შუა საუკუნეების მწერლობა და პოეზია, ფილოსოფია, ეთიკისა და ესთეტიკის ნორმები გამომდინარეობდა საერთო რელიგიური თვალსაზრისიდან, მისი მორალისა და ეთიკის ნორმებიდან. ამიტომ ამ პოეზიის ხასიათი საქართველოში, ისევე, როგორც მთელ ქრისტიანულ სამყაროში, იყო საერთო ევროპული.

პოეზიაში არსებობენ პარალელები და ძირები. განსხვავება მათ შორის დიდია. ქართული რომანტიზმის ტექსტუალური პარალელები უხვად შეგვიძლია მოვძებნოთ აღმოსავლურ პოეზიაში. მაგრამ ეს მხოლოდ ლიტერატურული პარალელია და არა ამ პოეზიის საფუძველი, ორგანული შეხვედრა. ეს არის სამოსი პოეტური სიტყვისათვის, გარეგნული ფორმა, რომელშიაც სრულიად სხვადასხვა შინაარსი ძევს და სრულიად სხვადასხვა განწყობილება და თვალსაზრისი იგულისხმება. ასევე რომანტიზმის ეპოქის ქართული პოეზია მკვეთრად განსხვავდება აღმოსავლური პოეზიისაგან, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მათ შორის პარალელებს უხვად ვიპოვით, — ვარდ-ბულბულაინის თემა იქნება ეს, თუ მშვე-

ნიერების მეტაფორული აღწერა, ღვინისა და ლხინისადმი ლტოლვა, რაც ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში ასე უხვადაა ნასესხები აღმოსავლურისაგან. ძალიან დიდი განსხვავებაა ბარათაშვილის ვარდ-ბულბულსა და აღმოსავლური „ვარდ-ბულბულიანის“ განწყობილებათა შორის.

პოეზიის ძირები ემყარება არა ასეთ პარალელურ ტექსტთა შედარებას, არამედ იმ ორგანულ კავშირებს, რომელიც საერთო კანონზომიერებიდან გამომდინარეობს და რომელსაც კავშირი აქვს არა იმდენად იმ ხანად არსებულ ლიტერატურულ ფორმებთან და გამოთქმებთან, რასაც ახალი მიმართულება თუ განწყობილება მზამზარეულს ითვისებს ძველიდან, როგორც მატერიალურ სამოსს, — არამედ პოეზიის ძირებს კავშირი აქვს ერის სულიერ ცხოვრებასთან.

ლიტერატურული პარალელები საინტერესოა თავისთავად და მას თავისი მნიშვნელობა აქვს. საინტერესოა ფრაზეოლოგიური დამთხვევები, თემატიკის განმეორება, მეტაფორები, ლექსიკური დამთხვევები და სხვ., სხვადასხვა ეპოქის მწერალთა შემოქმედების შედარებითი შესწავლისას, — მაგრამ ამ კომპონენტებზე დაყრდნობა ლიტერატურული მიმდინარეობის ძირების, მისი წარმომავლობის ანალიზისათვის ხშირად შეიძლება მცდარი იყოს.

ფრიად საინტერესოა და ნიშანდობლივი გრ. ორბელიანთან მუხამბაზური თემა, ალ. ჭავჭავაძესთან ღვინისა და მშვენიერების ანაკრეონული ხაზი, ბარათაშვილთან ვარდი და ბულბული, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გამოხატავს აღმოსავლური პოეზიის იმ სულს, რომლის ფორმა და თემატიკა გამოყენებულია ამ პოეტებთან.

როგორია ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები? ევროპულ რომანტიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობას, წინ უძღოდა დიდი ლიტერატურული ტრადიციები, საიდანაც იგი გამომდინარეობდა ორგანულად და ქმნიდა საკუთარ სახეს.

რომანტიზმი, ეს არის ევროპის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ლიტერატურული მოვლენა, იგი არ არის აზიური და მუსულმანური ქვეყნების ლიტერატურული ტრადიციების მემკვიდრე. სწორედ ამიტომ, მხოლოდ იმ ქვეყნებმა მიიღეს რომანტიზმი და მხოლოდ იქ შეიქმნა მისი გამომსახველი ლიტერატურული გარემო, რომელიც ერთიანი ევროპული კულტურიდან მოდის. ყველა ქვეყნის რომანტიზმი თავისებურია, — რუსული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური თუ ქართული. მაგრამ ყველა ისინი ქრისტიანული სამყაროს ლიტერატურიდან და მისი მორალურიდან საზრდოობენ და იზადებიან, და აქ გამონაკლისი არ არსებობს.



საქართველო თავისი ლიტერატურული ტრადიციებით ევროპული ქვეყნების მონათესავეა, როგორც ქრისტიანული მორალისა და ეთიკის მატარებელი ქვეყანა. და, მიუხედავად იმისა, რომ იგია, ევროპას მოწყვეტილი, უფრო აზიურ გარემოცვაში იყო, თავისი თვითმყოფობა და კულტურა შეინარჩუნა და მტკიცედ დაიცვა თავისი მწერლობით, მორალთა და ეთიკით, რომელიც ევროპულია და არა აზიური, ქრისტიანული და არა მაჰმადიანური. რომ ეს ლიტერატურული ტრადიციები და ეს მორალი მეტად მტკიცე აღმოჩნდა ჩვენში, დადასტურდა ყველაზე მძიმე ეროვნული არსებობის პერიოდებში, როცა საქართველომ შეინარჩუნა თავისი მორალური სახე, და ამ გზით, ეროვნული თვითმყოფობა. აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციები მე-19 საუკუნეში თანდათან უფრო ღერმკრთალებდა და იმარჯვებს რომანტიზმი, ევროპული საერთაშორისო ლიტერატურული მიმდინარეობა, ხოლო რომანტიზმის შემდეგ — ასევე. საერთაშორისო, ევროპიდან მომდინარე რეალისტური მიმართულება.

რომანტიზმის გამარჯვებისათვის საქართველოს აღმოაჩნდა დიდი ლიტერატურული, მორალური და ეთიკური ძალა, რომლის საფუძვლები იწყება შორეულ საუკუნეთა სიღრმეში, როცა პირველი ბიბლიური წიგნები ითარგმნებოდა, იწერებოდა პირველი საგალობლები, ყალიბდებოდა ქრისტიანული მორალისა და ეთიკის ნორმები.

საქართველო მტკიცედ დაადგა ქრისტიანიზმის გზას და აღმოსავლური ქვეყნების გარემოცვაში მან სწორედ ამით შეინარჩუნა ეროვნული თვითმყოფობა მრავალ სიძნელეთა მიუხედავად.

ქრისტიანული სამყაროს ეთიკა და პოეზია გახდა ქართული პოეტური აზროვნების შთაგონებისა და განვითარების წყარო, მისი სულიერი საზრდო, რომელმაც იგი მრავალ საუკუნეთა მანძილზე პირუთვნელად შეინახა.

ქართული პოეზია ადრე შუა საუკუნეებისა — სასულიერო პოეზიაა. ამ პოეზიის, მისი ესთეტიკის და მისი გავლენების შესწავლის გარეშე ძნელია იმსჯელო შემდგომ საუკუნეთა ქართულ პოეზიაზე, მით უფრო რომანტიზმზე, რომლის საფუძვლები ამ პოეზიის მორალსა და ესთეტიკას მტკიცედ უკავშირდება. ამ პოეზიის განხილვის გარეშე ძნელია ახსნა. თუ რატომ შეძლო ქართულმა პოეტურმა აზრმა რომანტიკული სამოსის გამოყენება და არ დაემორჩილა მოძველებულ აღმოსავლურ გარემოცვას და ტრადიციებს. საქართველო ხომ ყველა ქვეყნებზე მეტად, სადაც რომანტიზმმა მოიდგა

ფეხი. მოწყვეტილი იყო ევროპას და მის უშუალო გავლენებს ამ მხრივ.

როგორი იყო ეს ტრადიციები, როგორ პოეტურ გარემოს უზნადებდა საუკუნეთა მანძილზე მომავალს ქართული პოეტური აზრი, რით საზრდოობდა ქართველი ტრადიციულად, რით აღიზრდებოდა მისი გონება და სული, როგორი იყო ის ეთიკური და ესთეტიკური სამყარო, რომელსაც ეწაფებოდა პოეზიით გატაცებული ქართველი. როგორი იყო ის წიგნები, რომლებიც ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის სულს წვდებოდა, და მათ მამა-პაპათა მორალსა და ეთიკას ქმნიდა. ისინი ხომ ახალ ევროპულ კულტურასა და ახალ ლიტერატურულ მიმართულებას არც ისე ადრე დაუკავშირდნენ, არა ტრადიციულად, არა ოჯახიდან... ისინი ხომ ევროპულ გარემოცვაში არ აღზრდილან. ხოლო ევროპული ლიტერატურა ისევე იყო მათთვის მისაწვდომი, და არა უმეტეს, ვიდრე აღმოსავლური, აზიური ქვეყნების არისტოკრატიული წრეებისათვის, რომელთა წარმომადგენლები ვერასოდეს გახდებოდნენ რომანტიკული პოეზიის მონაწილენი, როგორი პოეტური ნიჭიც არ უნდა ჰქონოდათ — დიდი ფირდოუსისა და ნიზამის ერის შთამომავლები. მათი რწმენა და მათი მორალი საამისო ესთეტიკურ საფუძვლებს არ ქმნიდა.

ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისებაა, აგრეთვე, მისი ეროვნული უბედურების შეგნება და მით გამოწვეული სევდა. ეს ქართული რომანტიზმის სპეციფიკაა. მსგავსი პოლიტიკური გარემოება, რა თქმა უნდა, როგორც არაერთხელ აღინიშნა სპეციალურ გამოკვლევებშიც, რომანტიკულ განწყობილებას მეტად კარგად შეესაბამებოდა და ქართული რომანტიზმის ერთ-ერთ ნიშანგამოხატულებად იქცა. მაგრამ ეს ქართული რომანტიზმის სპეციფიკაა, რომელიც არაა დამახასიათებელი ყველა იმ ქვეყნებისათვის, სადაც რომანტიზმი წარმოიქმნა. იგი რომანტიზმის წარმოშობისათვის გარდაუვალ და აუცილებელ მომენტს არ შეადგენდა და არც განსაზღვრავდა რომანტიზმის წარმოშობას, თუმცა იგი მეტად კარგად ეთვისებოდა რომანტიკული არსის ბუნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ის ქვეყანა, სადაც მსგავსი სიტუაცია და ტკივილები იბადებოდა, წარმოქმნიდა რომანტიზმს, შეუერთებდა მის საერთაშორისო ხმას თავის გმინვას. მაგრამ ასე არ მომხდარა. მრავალი დაჩაგრული და დაბეჩავებული ქვეყანა გმინავდა ტკივილებით, მაგრამ რომანტიზმს არ შეუერთა თავისი პოეტური ხმა, და, ასევე, ევროპის დიდი ქვეყნები, რომანტიზმის დიდი კერები არ განიცდიდნენ ამგვარ ეროვნულ ტკივილს, მაგალითად ინგლისი (არა შოტლანდია), გერმანია, რუსეთი და სხვ., — მაგრამ იმდენად ორგანული

იყო რომანტიკოსთათვის ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა, რომ დიდი რომანტიკოსი პოეტები სხვა ქვეყნებში ეძებდნენ ასეთ ტკივილებს და განიცდიდნენ ეროვნებათა უუფლებობით და ჩაგვრით გამოწვეულ ტანჯვას (მაგ., — ბაირონი საბერძნეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, და სხვ.). საქართველო განიცდიდა ეროვნულ ტკივილებს, და მისი რომანტიკოსების სევდა, ამ მხრივ, ეროვნული ძირებით იკვებებოდა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს თვისება არაა გადამწყვეტი რომანტიკული მიმართულების ჩამოყალიბებისათვის, იგი მხოლოდ ერთ-ერთი სპეციფიკური პირობაა. მაშინ, როდესაც მთელი აღმოსავლეთი გმინავდა უუფლებობით, მათ ვერ გაეზნათ რომანტიკული მიმართულება თავისი პოეზიით. ასეთი მიმართულების გამოსახატავად საჭირო იყო სხვა საფუძვლები, სხვა მორალური, ეთიკური და ესთეტიკური გარემო, რაც საქართველოში, ისევე, როგორც ევროპაში, — ყველგან, სადაც რომანტიზმმა მოიდგა ფეხი, — მზადდებოდა შრავალი საუკუნის მანძილზე, ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე მისი პოეზიით, ეთიკით და მორალით.

ქართული პოეტური აზრი საუკუნეების მანძილზე, ისევე, როგორც ევროპის ქვეყნებში, ვითარდებოდა ეკლესიასტეს, ფსალმუნნის, საგალობლების, წმიდათა ცხოვრებების, ბიბლიური ანბების და ოთხთავის პოეზიითა და ესთეტიკით. ეს იყო მისი შექმნის და ჩამოყალიბების აკვანი, მისი თვალთახედვის და განწყობილების განმსაზღვრელი და წარმმართველი. ასეთია ქართულ დამწერლობასთან დაკავშირებული პირველი პოეტური ძეგლები—„შუშანიკის წამება“, „აბო ტფილელის წამება“ თუ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, — ქართული ლიტერატურის მარგალიტები. ასეთია ქართულად ამეტყველებული „ეკლესიასტე“, „ფსალმუნნი“ და დაბადების სხვა წიგნები, რომლებიც ყველა ევროპული ქვეყნის პოეტური აზრის განვითარების და ჩამოყალიბების დედაბოძად გადაიქცა, სადაც შემდგომ მოვიდა რენესანსი, და უფრო გვიან, მათ საფუძველზე, — ახალი და განსხვავებული ევროპული პოეტური აზრის განვითარების საფუძურზე, — რომანტიზმი, ხოლო ბოლოს—რეალიზმი.

აკად. კ. კეკელიძე განიხილავს ბარათაშვილის პოეზიაში წუთისოფლის სევდის განცდას და უკავშირებს მას ძველ ქართულ მწერლობაში ამ მოტივის არსებობას. მისი სიტყვებით, „თუ ავიღებთ უძველესი ხანის საეკლესიო სტილის მწერლობას, დავინახავთ, რომ იობის წიგნისა და ეკლესიასტეს კავშირი ლეიტმოტივია მისი“<sup>11</sup>.

<sup>11</sup> კ. კეკელიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდა, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, № 3, გვ. 153.

გ. ასათიანის აზრით, „ქართული რომანტიზმის ისტორია შეიძლება დაიწყოს ძველი ქართული სასულიერო პოეზიის პირველი ნიმუშებიდან“<sup>12</sup>.

ეკლესიასტესთემა — ამოება ამოთა, ყოველივე ამო, — წითელ ზოლად გასდევს მთელ რომანტიკულ ლიტერატურას, ქართულსა და ევროპულს. ეს არის რომანტიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თემა, მის მოტივთა უღერადობა, — პესიმიზმი, უიმედობა, ამქვეყნიური ამოების თვითშეგნება, რომლის გამო ეკლესიასტე გოდებს, მაგრამ არავის არ ებრძვის. რომანტიკოსების პესიმიზმი ამ მხრივ საინტერესოდ განსხვავდება მისი წინამორბედისაგან. რომანტიკოსთა პესიმიზმი ამოების აღიარებაა და, ამავე დროს, ვერ-შერიგება მასთან. ეს თვისება განსაკუთრებით ნიშნულია რომანტიკოსთა პოეზიისათვის.

ქართულ რომანტიზმში ამოების თემა ისე ნიშანდობლივია და ისე კარგად გამოხატული, რომ ერთი თვალის გადავლებითაც უცებ ამოტივტივდებიან მისი ბრწყინვალე შედეგები ბარათაშვილთან, გრ. ორბელიანთან, ალ. ჭავჭავაძესთან. ჩვენ ამათგან მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ და უეცრად შეიქმნება შთაბეჭდილება გრანდიოზული ტრადიციისა და დიდი ლიტერატურული შედეგებისა, რომელიც არაერთხელ დააფიქრებს წამკითხველის გონებას და გულს.

ასეთი მკვეთრად გამოხატული ლექსებია ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ნაპოლეონ“, „სული ობოლი“, „ვპოვე ტაძარი“, ალ. ჭავჭავაძის „გოგჩა“, გრ. ორბელიანის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და სხვ.



ამოება ამოთა, ყოველივე ამო!

ეკლესიასტეს მოტივი რომანტიკოსებთან მეტად ნიშნულია, ნიშნულია ქართველ რომანტიკოსებთანაც. რომანტიკოსთა პესიმიზმი სათავეებს იღებს ეკლესიასტეს უიმედო გოდებაში, რომელსაც არა აქვს დასასრული, არა აქვს გამოსავლი. არა აქვს ის გამოსავალი. რასაც გრძნობს „ფსალმუნის“ ავტორი. ან ქრისტიანულ საგალობელთა ავტორები.

„ამავოება ამოთა, თქვა ეკლესიასტე, ამავოება ამოთა, ყოველივე ამავო. რამ უმეტესობა კაცისა ყოველსა შინა შრომასა მისსა,

---

<sup>12</sup> გ. ასათიანი, „მერანი“ და მისი ავტორი, თბ., 1969, გვ. 13.

რომელ შტრების მზესა ქტშე, ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს და ქტშყანა ჰგიეს უკუნისამდე...

მე ეკლესიასტე მეფე ვიყავ ისრაელსა ზედა, იერუსალმსა, შინა, და მივეც გული ჩემი რომელ გამოძიებად და განხილვად სიბრძნით ყოველთა თვს ყოფილთა კაცთა ცათა ქტშე. რამეთუ ზრუნვა ბოროტი მოსცა ღმერთმან ძეთა კაცთა მიმტაცებად მას შინა, ვიხილენ თანა ყოველნი ქმნულნი ნაქმარნი მზესა ქტშე, და აჰა, ყოველი ამოება<sup>13</sup>.

მეფეთა წიგნი აღიარებს სოლომონს ყველაზე ძლიერ და ყველაზე ბრძენ მეფედ, რომლის ბადალი არ უხილავს აღმოსავლეთს, და თვით ეგვიპტეს<sup>14</sup>. ეკლესიასტესათვის არ არსებობს აუსრულებელი სურვილი, არ არსებობს დაუძლეველი მტერი, და სიბრძნე, დაფარული მისი გონებისათვის. და ყოველივე ამოა!

„განვადიდენ ქმნულნი ჩემნი, აღვიშენენ ჩემდა სახლნი, დავნერგენ ჩემდა მტილნი და სამოთხენი, და დავნერგენ მათ შინა ხენი ყოვლისა ნაყოფისა... მოვიგენ მონანი და მხევალნი, და სახლის წულნი იყვნეს ჩემდა მრავალ, უმეტეს ყოველთა პირველ ჩემსა ყოფილთა იერუსალმსა შინა, და შევიკრიბე მე ვერცხლი და ოქრო, და სიმდიდრე მეფეთა და ქტშყანისა, .. და განვადიდენ და შევიძინე სიბრძნე უფროს ყოველთა მყოფთა პირველ ჩემსა იერუსალმსა შინა, და სიბრძნე ჩემი დავადგინენ ჩემდა. და ყოველი, რომელი ითხოვეს თვალთა ჩემთა, არა დავაკლე მათგან და არა დავაყენე გული ჩემი ყოვლისაგან სიხარულისა ჩემისა, რამეთუ გულმან ჩემმან განიშტნა ყოველსა ზედა შრომასა ჩემსა. და მოვიხილე მე ყოველთა ზედა ნაქმართა ჩემთა, და რუდუნებისა, რომელ ვირუდუნე ქმნად, და აჰა, ესეცა ამავო“<sup>15</sup>.

უსასრულოა ეკლესიასტეს სევდა: არა აქვს აზრი არც სიმდიდრეს, არც მეფობას, არც ძალას და არც თვით სიბრძნეს და მეცნიერებას, — ვინც შეიძინა ცოდნა, „შეიძინა ღმობა“.

რადგან — არათერია ახალი ამ ქვეყნად, ყველაფერი იყო და ყველაფერი იქნება, და არა აქვს დასასრული ამ წრეთა ტრიალს. როგორც არა აქვს დასასრული ბრუნვას მზისას, წყალთა დინებას და ქართა ქროლვას, რომელიც უბრუნდება მარად და მარად კელავ თავის საწყისს. რადგან, — „აღმოკდების მზე და დაკდების მზე; და ადგილადვე თვსდა მიიზიდავს, ესე აღმოაბრწყინვებს მუნ, მოვალს

<sup>13</sup> „ეკლესიასტე“, თ. I, დაბადება, წიგნი II, თბ., 1884.

<sup>14</sup> დაბადება, წიგნი II, მეფეთა წიგნი, თ. 3.

<sup>15</sup> „ეკლესიასტე“, თ. I.

სამკრთო კერძო და გარე მოვალს ჩრდილოთ კერძო. გარემოს გარე მოვლით ვალს სული, და სიმგრგვლესა თვსსა გარე მოიქცევს სული. ყოველნი ღვარნი შესდიან ზღუასა შინა და ზღუა არა არს აღვსებულ, ადგილსა ზედა სადაცა ღვარნი მივლენ, მუნცა იგინი მიიქცევიან მისლვად...

და არა რაჲ არს ყოველივე ახალ მზესა ქუთუშე, რომელ აღმოი-ტყვს და თქუას, აჰა, ესე ახალ არს; აწ იქმნა საუკუნეთა შინა წინამს-წარ ჩუენისა. არა არს კსენება პირველთა, და უკანამსკნელთა ქმნილ-თა: არა იყოს მათდა კსენება ყოველთაჲ ქმნილთა უკანამსკნელ<sup>16</sup>.

უსასრულოა ყოველი და განმეორებადი, და არ არსებობს მა-რადიული არც თუ ხსოვნა, ყველაფერი წარმავალია, რადგან, — „ძალი ცოცხალი იგი უფროჲს ღმრისა მკუდრისა“, ყველაფერი ერთიანდება ერთი დასასრულით, — არარაობით, დავიწყებით, ამაო-ებით.

მერე რა, თუ უძლიერესი ვიყავ ხელმწიფე, — წერს ეკლესიას-ტე, — ვინ იცის, ვინ მოვა ჩემს შემდეგ, ვინ დაეუფლება ჩემს ნაღ-ვაწს და ნაშრომს, გაიგებს თუ არა ჩემს სიბრძნეს და ჩემს საქმეს, რომელსაც მოელის იგივე დასასრული, რაიც ყველაფერს მზის ქვე-შეთში, — დავიწყება და განადგურება, არარად ქცევა, — ამაოება ამაოთაჲ:

ყველაფერს დრო აქვს და ყველაფერი წარმავალია, ბედნიერება, სიცილი, მხიარულება და მწუხარება, გლოვა და სილატაკე, ავადმყო-ფობა, განშორება, დუმილი და უბედურება, ბრძოლები, ძიებები და სიმდიდრე, სიყვარული და სიძულვილი, ბედნიერება და უბედურე-ბა, მშვიდობა და ბრძოლა, — ყველაფერს თავისი დრო აქვს და ყვე-ლაფერი ამაოა:

„ყოველთავე ჟამი, და ჟამი ყოვლისა ნივთისა ცათა ქუთუშე. ჟამი შობად და ჟამი სიკუდილდ, ჟამი დანერგვად და ჟამი აღმოუჩუ-რად დანერგულისა. ჟამი წყლულად და ჟამი კურნებად, ... ჟამი ტი-რილად და ჟამი სიცილად, ჟამი გოდებად და ჟამი განცხრომად. ჟამი განყრად ქუთათა და ჟამი შეკრებად ქუთათა, ... ჟამი სიყუარულისად და ჟამი სიძულვილისად, ჟამი ბრძოლისად და ჟამი მშვიდობისად“<sup>17</sup>.

ესე ყოველი დააწესა შემოქმედმა და მას ვერ შეცვლის ვერა-ფერი, მისი ნებაა მხოლოდ მარადიული ამ ცვალებადში<sup>18</sup>, ხოლო და-ნარჩენი წარმავალია.

16 „ეკლესიასტე“ თ. 1.

17 „ეკლესიასტე“, თ. 6.

18 იქვე, თ. 7.

მზის ქვეშეთში ყოველივე ამაოა. და, ვინაიდან ბოროტება დიდი უბედურებაა, უნდა შევეცადოთ კეთილი ვიყვეთ, ერთადერთი, რაც ჩვენ ხელთაა. უბედურია კაცი, რომელმაც დიდი სიმდიდრე შეიძინა და დიდხანს იცხოვრა, მაგრამ ვერ გაძღა გული მისი. მასზე ბედნიერია ყველა გლახაკი, რადგან, ვინ იცის, რაა უმჯობესი კაცისათვის ამაოებით სავსე ცხოვრების გზაზე? ათასი წელიც რომ იცხოვრო, მაინც სიკვდილი მოვა, და მით გასწორდება ყოველივე<sup>19</sup>.

ამიტომ, კეთილი საქმე და კეთილი სახელი უმჯობესია ყოველგვარ ძვირფას ნელსაცხებელზე, — „კეთილ არს სახელი უფროს ზეთისა კეთილისა და დღე სიკუდილისა უფროს დღისა შობისა მისისა. კეთილ არს სლვად სახლსა შინა გლოვისასა, ვიდრე სლვად სახლსა შინა სუბისასა; ვინათგან ესე აღსასრული ყოველსა კაცისა და ცოცხალმან მისცეს გულსა შინა მისსა. კეთილ არს გულსა წყრომა უფროს სიცილისა, რამეთუ შეკმუნვასა შინა პირისასა ისანატრელოს გული. გული ბრძნეთა სახლსა შინა გლოვისასა, გული უგუნურთა სახლსა შინა სიხარულისასა“<sup>20</sup>.

მე, ეკლესიასტემ ვეძიე სიბრძნე და ვეძიე კაცი შეუცდომელი, მაგრამ ვერ ვიხილე. არ არის კაცი დედამიწაზე, რომელიც სიკეთეს ჩადის მხოლოდ და არასდროს ცოდავს.

„ყოველივე ვიხილე დღეთა შინა ამაოებასა ჩემისასა, არს მართალი წაწყმედილ სიმატლესა შინა თვსსა, და არა არს წმიდა გებული სიბოროტესა შინა თვსსა“<sup>21</sup>.

რა უნდა ქნას კაცმა ამ უსაშველო და უსასრულო უბედურ ყოფაში, ამოო ცხოვრებაში? — აყენებს საკითხს ეკლესიასტე, — ერთადერთი, რაც შეუძლია კაცს, და რაც მის ხელთაა, ეს არის სიმართლის გზით სიარული, რადგან ყოველგვარი ფუფუნება, სიხარული, ძალა, სიბრძნე და მეცნიერება განმეორებადია, ცვლადი და ამოო. რადგან ყველაფრის ბოლო სიკვდილია და დავიწყება. არაფერია მარადიული, არც სიკბაბუკე, არც ახოვნება, არც სილამაზე, არც ძალა და არც მეცნიერება, — ბევრ გამოძიებას ბევრი შეცდომები მოსდევს. „და განაგდე გულს წყრომა გულისაგან შენისა, რამეთუ სიკბაბუკე და უგუნურება არაო არს“<sup>22</sup>.

„ფრიად იძია ეკლესიასტე, რომელ პოვნად სიტყვათა ნებისათა, და დაწერილთა სიწრფოებისა, სიტყვათა ქეშმარიტებისადა. სიტყვა-

<sup>19</sup> „ეკლესიასტე“ თ. 7.

<sup>20</sup> ი ქ ვ ე.

<sup>21</sup> ი ქ ვ ე.

<sup>22</sup> ი ქ ვ ე, თ. 11.

ნი ბრძენთანი, ვითარცა ქარის საკუჭთელნი, და ვითარცა სამსკვალ-  
ნი განმსკვალულნი, რომელნი შეწყობილებისაგან მოეცნეს მწყემ-  
სისა ერთისაგან, და მრავალნი მათგან შვილო ჩემო განეკრძალე.  
ქმნად წიგნთა მრავალთა არა არს დასრულება, და სწავლა მრავალი  
შრომა არს კორცთა. დასასრული სიტყუსა ყოველი ისმინე: ღუთისა  
გეშინოდენ და მცნებანი მისნი დაიცვენ, რამეთუ ესე ყოველსა  
კაცსა<sup>23</sup>.

და როცა მოვა აღსასრულის დღე, იყავ მართალი, ეს არის ერ-  
თადერთი ქეშმარიტება და ერთადერთი ხსნა, რაც ჩვენ ხელთაა,  
სხვა ყველაფერი ამაოა, ხოლო ვიდრე ხარ ქაბუკი ძალ-ღონით საე-  
სე, ვიდრე შენი სიხარული არ დალეულა, არ მოახლებულა ჟამი  
შენი დატირებისა, გახსოვდეს ბოლო დღე, და აღსასრული, რომე-  
ლიც გარდუვალია და სევდით მოსილი. იყავ მზად ამ დღისათვის,  
დაიმარხე გულსა და სულში სიმართლე, რომელიც მხოლოდ ღვთაე-  
ბრივია, რომ მის სამსჯავროს წარუდგე მართალი<sup>24</sup>. სხვა ყველაფერი  
ამაოა და საშინელი და სევდის მომგვრელი თავის წარმავალობით,  
დავიწყებით, აუცილებლობით, ბოლო დღის გარდუვალობით. ყოვე-  
ლივე ამაოა ამ ქვეყნად!

ყოველივე ამაოა ამ ქვეყნად! — მაღალი პოეზიით ნათქვამი  
ეს სიტყვები გადასწვდა საუუყუნეების სივრცეებს და თქვა თავისი  
სევდიანი საგალობელი. მისი ჟღერადობა, უკვდავი პოეზიის სიმარ-  
ილე, ანათებენ ბრწყინვალე პოეტურ სტრიქონებს სხვადასხვა ეპო-  
ქებში, სხვადასხვა ხალხებში, სხვადასხვა ლიტერატურულ ტენდენ-  
ციებში. ქართველ რომანტიკოსთა შორის ამაოების თემა, როგორც  
დასაწყისშივე აღვნიშნეთ, გავრცელებულია და მიღებული. ამ  
თემას განეკუთვნება დიდ ქართველ რომანტიკოსთა ბრწყინვალე  
ლექსები, მათ შორის ბარათაშვილის „ნაპოლეონ“, „ფიქრნი მტკვ-  
რის პირას“, „სული ობოლი“, „გოგჩა“, — ალ. ჭავჭავაძის შემოქმე-  
დების შედეგრი, გრ. ორბელიანის — „თამარ მეფის სახე ბეთანიის  
ეკლესიაში“.

ბარათაშვილი, პიროვნება და პოეტი, ბედისწერასთან მოსაუბ-  
რე პირველად წარმოგვიდგება ლექსით „ზმა იდუმალი“. პოეტი  
გრძნობს თავისი პიროვნულ, განსხვავებულ დანიშნულებას, და თუმ-  
ცა არ იცის კეთილია თუ ბოროტი, ბედნიერია თუ სევდიანი ეს მო-  
მავალი, მაგრამ მზად არის წინ აღუდგეს გამოუცნობ ბედს. ამ ლექს-  
ში პირველად ისმება ზეძალებით შთაგონებული პიროვნების ხვედ-

23 „ეკლესიასტე“, თ. 12

24 იქვე.



რის არსებობის საკითხი, რომლის ძალა პოეტმა იგრძნო საკუთარ თავზე, საკუთარი ცხოვრების მომავალი გზების ძიებათა სფეროში.

ამის შემდეგ იგი მრავალჯერ დაფიქრდება პიროვნებათა, ადამიანთა წარმავალ ცხოვრებაზე და მათ ბედზე. განმარტოებულს, წყლის ტალღათა მარადიულად მჩქეფარე ზვირთების მზირალს, მას კვლავ და კვლავ წარმოუდგება ადამიანთა ცხოვრება, პიროვნებათა ბედი, ყოფიერების ამოება და ძლიერ სულთა და ძლიერ ხელმწიფეთა ამოა შრომა, ამოა სურვილი — შესცვალონ რაიმე ბედის მარადიულ საბრძანებელში, სადაც ყოველივეს ელოდება საკუთარი ხვედრი, — წარმავალი დიდების მტკვრით დაფარვა. ადამიანთა ცხოვრებას განაგებს ბედი, იგი ქმნის მათ დიდებას და იგი ანგრევს მათ აშენებულ სახელმწიფოებს, მათ აუვსებელ სურვილებს მტკრად აქცევს.

ასეთი განწყობილებითაა დაწერილი ლექსები — „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ნაპოლეონ“.

ბუნების წიაღში განმარტოებულს, წყნარად მოდუდუნე ზვირთების მარადიული დინების ხმაში პოეტს მოერევიან ფიქრები წუთისოფლის ამოებაზე, ადამიანთა წარმავალ დიდებაზე, დაუქაყოფილებელ სურვილებზე, კაცთა ხვედრის უდრტვინველ ძლიერებაზე:

არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება  
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამოება?...  
მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,  
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?  
ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს,  
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, იგი ეკმაროს?

თითქოს „ეკლესიასტეს“ ძირითად საკითხს უპირისპირდება და ხმას უერთებს მის მარადიულ სევდას რომანტიზმის ეპოქის დიდი პოეტი.

ბარათაშვილის წინაშე დგება ყოფიერების მარადიული პრობლემები. ადამიანთა სურვილების დაუქაყოფილებლობა და ყოველ აღსრულებულ სურვილთა ამოება. უმაღლესი ხელმწიფენიც კი, უმდიდრესნი და უძლიერესი, არასოდეს კმაყოფილდებიან მოპოვებული დიდებით და ძლიერებით, მათ უნდათ მეტი, უნდათ მეორე, კიდევ სხვა, და ასე დაუსრულებლად. ისინი ეომებიან ერთმანეთს, წაართმევენ, მოიპოვებენ ახალ დიდებას და მოკვდებიან ამ სურვილისთვის. მოკვდებიან იმ მიწისათვის, რადაც უნდა ღღეს თუ ხვალ თვითონ გადაიქცნენ! აქ წამოიჭრება დიდი, მტკივნეული საკითხი, რომელიც ასე აწუხებდა ყველა რომანტიკოსს — და რომელიც

აწუხებდა „ეკლესიასტეს“ ავტორს, — საკითხი ადამიანის წარმავალი არსებობისა, მიღწეულის წამიერყოფისა და აუცილებელი ნგრევისა და განადგურებისა.

მსგავსი სურათი ადამიანური ცხოვრების და დიდების წამიერყოფის, ბედის ცვალების და ამაო ბედნიერების მსხვერვისა წარმოსახა ქართული რომანტიზმის მეორე დიდმა წარმომადგენელმა — ალ. ჭავჭავაძემ ლექსში „გოგჩა“. ნიშანდობლივია, რომ ეს ლექსი ბარათაშვილის ლექსზე ორი წლით გვიან დაიწერა („ფიქრნი მტკვრის პირას“ დაიწერა 1839 წ., ხოლო „გოგჩა“ 1841 წ.). უფროსი თაობის წარმომადგენელი, ქართული საზოგადოების ცენტრალური ფიგურა და იმ დროისათვის ყველაზე პოპულარული პოეტი ალ. ჭავჭავაძე ახალგაზრდა ბარათაშვილის განწყობილებათა გავლენებს აშკარად განიცდის.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების შედეგური და ქართული პოეზიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ლექსი „გოგჩა“ სრულყოფილი და დახვეწილი ფორმით წარმოსახავს თავისი საუკუნის რომანტიკულ განწყობათა პრობლემას, ამაოების ტრაგიზმს.

მაგრამ ნაქცევნი მისთა კიდეთ ძაძით მოსველნი,  
საგლოვო ნიშნი შენობათა კვლავ ეროვნათა,  
სად ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი  
და სად ღლეს ვჰხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა, —

ქნუნვათა თვისთა მნახველთაცა აზიარებენ.  
უდაბურება, მჩუშარება, არა-რაობა  
ფეაღთა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ,  
და უნებლიეთ წარმოდგება ოხვრით ეს გრძნობა:

აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,  
აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,  
აჰა, ჩვენისა მომავლისა ნამდვილი ხატი;  
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედვავ ბრმობილო!

სურათი თანდათან უფრო მკვეთრდება და წარმოსახებიან ციხე-დარბაზთა მშენებლები, ვაჰრები, ლაღად მონავარდე ჭაბუკ-მხედარნი, მეფენი, რისხვითა და წყალობით მოცულნი, მშენიერი ბანოვნები, მოსეირნენი წალკოტთა შორის...

აქაც მჭდარა ძალი მაღალს ტახტსა ამაყად,  
წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა;  
აქაც უღრღნიათ შურსა, მტრობას გულები ხარბად;  
ტრფილნი აქაც შემსკვალვიან კვლავ ერთმანერთა.

...და ყველაფერი ამაოა, ყველაფერი იყო და აღარ არის, გაქრა

დროის სასტიკი ხელით, მოისპო და განადგურდა. აი, მომავალი ჩვენი, —

მაგრამ რა!?!.. დროსა მსრველის ცელით, ყოველთა წარწყმედით, ცურთა მჯობნი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთვლილა!

— ამბობს პოეტი. აი ბედი და ქეშმარიტი დასასრული ადამიანური არსებობისა, ბრწყინვალეებისა, ღიღებისა, ფუფუნებისა, ადამიანის შრომისა და ცდილობისა.

ძველებურად აღელვებს ტალღებს მხოლოდ გოგჩა, და ძველებურად აწყდება ნაპირს, იმავე მთებში ჩაძირული, იმავე ლაყვარდი ცის ქვეშ მდებარე. იგი ირეკლავს მარადიული ბუნების სურათს და ეხმიანება დროთა ბრუნვას, როგორც საუკუნეთა წინათ, თვითონ უცვლელი.

„ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს, და ქუჩყანა პიეს უკუნისამდე. აღმოცდების მზე და დაცდების მზე, და ადგილადვე თვსდა მიიზიდავს...“<sup>25</sup> — ამბობს „ეკლესიასტეს“ ავტორი. მხოლოდ ბუნება არის მარადიული, სხვა ყველაფერი ცვალებადია, წარმავალი, რასაც ნგრევა და განადგურება მოელის. ამიტომ არის სევდა მარადიული ქვეყნად.

შატობრიანი, შეძრწუნებული ვეზუვის ვულკანის ნახვით გამოწვეული შთაბეჭდილებებით, ფილოსოფიურად დაფიქრებული ადამიანთა ღიღების წარმავლობაზე, წერს; „რას ნიშნავს მთელი ეს სამეფოთა გადატრიალებანი ბუნების ამ მოვლენის გვერდით, რომელიც სახეს უცვლის დედამიწასა და ზღვას? რამდენად უფრო ბედნიერნი იქნებოდნენ ადამიანები, რომ ამდენ დროს არ ხარჯავდნენ ერთმანეთის ტანჯვისათვის. ერთხელაც არ გაუხსნია ვეზუვის თავისი საშინელი უფსკრულის ხახა ქალაქების ჩასანთქმელად ისე, რომ ადამიანთა შორის არ წასწყდომოდა სისხლისა და ცრემლის ღვარს — ურთიერთ შორის შუღლით გამოწვეულს. როგორია ადამიანთა არსებობის პირველი ნიშნები, რაიც ამ ვულკანის ჩამქრალ ფერფლში იხილეს? — საწამებელი იარაღები და ბორკილგაყრილი ჩონჩხები“.

ადამიანი მოკვდავია, და რაც არ უნდა აკეთოს მან, სულერთია, ყველა მის ამქვეყნიურ საქმეს განადგურება ელის. თუ ასეა, იქნებ არც ღირდეს ადამიანის ყოფიერება, რადგან ასე უცნაურადაა შექმნილი ცხოვრების კანონები, და არ ძალგვიძს ბრძოლა მასთან და რაიმეს შეცვლა? — ეს შეცვლა ცხოვრებისეულ კანონთა, მის ზღუ-

დეთა გადალახვა და დიდი თავგანწირვა მოვა ოდესმე ავტორთან ლექსისა „ფიქრნი მტკვრის პირას“. იგი დაანგრევს ყოფიერების კანონთა ამაოების სახეს, პოეტმა იცის და გრძნობს, რომ ამაოების შეცნობით არ უნდა გათავდეს ადამიანის სურვილი და მისწრაფება, მან უნდა მომავალში იხილოს ახალი და უცხო ცხოვრება. ბარათაშვილის პოეზიაში ამ იდეის ყველაზე სრულყოფილი ხორცშესხმაა „მერანია“. ამ სიახლისა და შებრძოლების სურვილით, ამ პროტესტის გრძნობით და თავგანწირვით, რომანტიკოსთა პესიმიზმი მკვეთრად განსხვავდება „ეკლესიასტეს“ უიმედო მისტიკისაგან.

იმ წარმავალი დიდებით შემოსილ (რომელიც ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“ წარმოსახა პოეტმა) ბედისტრიულით აშენებულ და დამსხვრეულ ხელმწიფეთა კონკრეტულ და ბუმბერაზ ფიგურას ხედავს ბარათაშვილი ნაპოლეონის პიროვნებაში. ეს ის დიდი პიროვნებაა, ის ძლევამოსილი ხელმწიფე, რომლის ბედი და ცხოვრების კანონთა ტრიალი დააფიქრებდა წყლის ტალღათა მარადიული დინების ხმაში ფილოსოფიურად განწყობილ პოეტს. ეს ნაპოლეონია, ძლევამოსილი და ბედის ბრუნვით განდიდებული ხელმწიფე, უდიდეს საქმეთა შემოქმედი, მაგრამ კიდევ უფრო დიდ სურვილთა მისწრაფებათა მქონე, — მისწრაფებათა, რომელთაც დედამიწა ვერ დაიტევს და ვერ გაუძლებს თავისი კანონთა რიგით.

მაგრამ მე გვაში სული ვერღა მომთავსებია!  
მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი,  
ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარავანდედი;  
ქაში ჩემია, და ქაშისა მე ვარ იმედი!

საოცარი სინათლით დახატა პოეტმა დიდებული და პატივმოყვარე ხელმწიფის სულის ლტოლვა, მედიდური გულის წადილი. ეს სურვილია ამავე დროს რომანტიზმის დაუკმაყოფილებელი გმირის მისწრაფება, რომელიც ბედისწერას მიჰყვება და, რომელსაც ამ ქვეყნად საკუთარი ხვედრი და სურვილები ყველა კანონთა მაღლა დაუსახავს. ამ სურვილებს არა აქვს საზღვარი, არა აქვს ზღუდე და არასოდეს უწერია აღსრულება.

თვითონ სამარეც მევიწროოს, თუ ტოლი მყვანდეს!

ნაპოლეონი, ასეთი საინტერესო და სასურველი გმირი რომანტიკოსი ავტორთათვის, ასეთი საინტერესო თავისი სულიერი მისწრაფებებით და საქმეებით, ასეთი ბუმბერაზი, ასეთი თავისებური, კაცთა მიმართ ღანაშაულებითა და ამავე დროს სიკეთით სავსე, პატივმოყვარე და ძლიერი, ბედის ბრუნვის დიდებული ქმნილება, ძლიერი და დამარცხებული, ჩვენი პოეტისათვის წარმოადგენს ბუმ-

ბერაზ, კოლორიტულ პიროვნებას, ღირსეულს თავისი დამარცხებითაც, თავისი დიდი ჯიშვით და დიდი, ყოფიერების კანონებში დაუტეველი ცხოვრებით.

ბევრი დღე გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვესწავთ ჩვენ მისი თვითონ სიკვდილიც მას უებრად აღმოგვიჩინებს; დამქრალი ცეცხლი და ზღვის ღელვა წარმოგვიდგინებს მის ცეცხლსა სულსა და ზღვა გულსა განსაკვირვებელს

ბარათაშვილისათვის ნაპოლეონი არის დიდი პიროვნება. პოეტმა შესანიშნავად დაინახა ის დამახასიათებელი და საინტერესო თვისებები, რომელიც ამ საკვირველი ცხოვრების მქონე და საოცარი საქმეების ჩამდენ ხელმწიფეს გააჩნდა და ესოდენ განასხვავებდა ჩვეულებრივი ხელმწიფეების და ადამიანების წრისაგან; დაინახა, ამავე დროს, ის ზოგადადამიანური, რაც ყველაშია მოცემული და ვერ პოვებს გამოვლენისათვის ვერც გზას და ვერც ძალას. იგი ბუმბერაზი და ძლიერია თავისი დამარცხებითაც — ასე გაიგო ნაპოლეონის პიროვნება პოეტმა. ძნელია მისი სულის და საოცარი გულის ლტოლვის ახსნა, ბუმბერაზი სიკვდილშიაც, იგი დიდი, დამქრალი ცეცხლია და აღელვებული, უწველებელი ოკეანე, იგი არის ადამიანთა შორის მოვლენილი საკვირველება.

პოეტი, აღფრთოვანებული და შთაგონებული ნაპოლეონის პიროვნებით, წარმოსახავს მის ბუმბერაზ ფიგურას და იძლევა განზოგადებულ, დიდებულ სახეს დიდებულებოვანი პიროვნებისა და გმირისა, რომლის ცხოვრება და ყოფიერება ბედისწერისა და ჟამის შეუსაბამო კიბილში უნდა დაიმსხვრეს, იმ ბედისწერის, რომელმაც მხოლოდ ღალატი და გაწირვა იცის. ასე მოხდა, და ასე უნდა მომხდარიყო, რადგან წუთისოფელი ამოა, იგი გააქრობს უდიდეს სახელმწიფოებს, დაამარცხებს უდიდეს ხელმწიფეებს და მის ძლიერ, გარღუვალ კანონთა სისასტიკეს ვერაფერი შეეცვლის. ასეთია ბარათაშვილის მიერ გაგებული ბედის ამოება ლექსში „ნაპოლეონ“.

ასე განიცადეს ბედისწერის ამოება რომანტიკოსებმა, და ასევე განიცადა იგი ბარათაშვილმა, რომლის მსოფლმხედველობას და პოეტურ მრწამსს, ისევე, როგორც, საერთოდ, რომანტიკულ ლიტერატურას, კვებავდა „ეკლესიასტეს“ მრავალსაუკუნოვანი სევდა: „ყოველთავე ჟამი, და ჟამი ყოვლისა ნივთისა ცათა ქჷშშე. ჟამი შობად და ჟამი სიკჷდილდ. ჯამი დანერგვად და ჟამი აღმოფხჷრად დანერგულისა...“<sup>27</sup>

ბარათაშვილისათვის უდიდესი უბედურება იწყება უდიდესი მარტოობით, რომელთან შედარებით, პოეტის გაგებით, არაფერია ადამიანთა დაკარგვით გამოწვეული მარტოობა და ტკივილები, რადგან ამ ტკივილებს პოეტი შველის სამყაროს კანონთა ფილოსოფიური განსჯით და მომავლის რწმენით, მაგრამ სულის მარტოობა არის უდიდესი მარტოობა, უიმედო სატკივარი, რაც განსახიერებულია ლექსით „სული ობოლი“.

პოეტი სულით მარტოობაში განიცდის უდიდეს უბედურებას, იგი არის სასომიხილი და შეძრწუნებული ამ მარტოობით და ერთადერთ შეებად მხოლოდ ოხვრა-გოდება ეხატება.

„ადამიანო, — შენ მხოლოდ წამიერი სიზმარი ხარ, სნეული ოცნება, და თუკი ამქვეყნად შენ რაიმეს წარმოადგენ, მხოლოდ 'შენ სულიერ ტანჯვათა და სევდიან ფიქრთა შემწეობით!' — წერდა შატბერიანი რომანტიზმის გარიჟრაჟზე.

ხოლო ბარათაშვილი წერს, —

ძნელი არის მარტოობა სულისა;  
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,  
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,  
ოხვრა არის შეება უბედურისა!

ასეთ სახეს იღებს ბარათაშვილის ლექსით ამეტყველებული პიროვნების დიდი სევდა, რომელიც რომანტიკოსთაგან ასე შესანიშნავად განიცადა მრავალმა დიდებულმა და ცნობილმა პოეტმა. ბარათაშვილი არავისაგან არ სესხულობს ფორმას თავის სულიერ განწყობილებათა გამოსახატავად, იგი თავისთავად მოდის, როგორც ორგანული და აუცილებელი, როგორც მისი სულის განწყობათა გამომხატველი საკუთარი ფორმა და მისი ნათესაობა რომანტიზმის ამ დიდ კორიფეებთან არის ნათესაობა სულიერი, ორგანული და ნამდვილი.

არა მარტო ამაოების თემაა ის ნიშანსვეტი, რომელიც ძველი აღთქმის წიგნებიდან მომდინარე კვებავდა ქრისტიანული სამყაროს პოეზიას, რომელმაც თავისი განვითარების სხვადასხვა სახეცვლილებებით გამოიარა სქოლასტიკის ეპოქა, რენესანსი, რომანტიზმი.

ამაოების თემის უიმედობა და ტრაგიკული განცდა ამქვეყნიური ყოფიერებისა, მისი ზღვარდაუღებელი ტკივილი და გოდება, რომელიც შემდგომში ასე კარგად გამოხატა რომანტიკულმა განწყობილებამ, — ახალი აღთქმის წიგნებში პოეებს იმედს, ნათელ სვეტს, რომ ამ ტკივილების მიღმა არსებობს სიხარული და მარადიული ნეტარება კეთილ სულთა სამარადისო სამყოფელში. ტრაგიზმი პო-

ვებს სასოებას. ტკივილები—დაამებას, წყვდიადი და ეკლიანი გზა,—  
ტანჯვის გზა მართალთა, — სინათლეს და ბრწყინვალებას, მარა-  
დიულ ზეიმს, შფოთვა და ტკივილები — მარადიულ დამშვიდებას  
და საღმობათა დაამებას. კაცობრიობის მაძიებელ სულს სჭირდებო-  
და ეს ვნებათა და ჰირთა დამამშვიდებელი ნავთსაყუდელი, და მან  
იგი იპოვა. მაგრამ უფრო ადრე, სანამ ახალი აღთქმის წიგნები და-  
იწერებოდა და ახალ რელიგიაში კაცობრიობა პოვებდა ამ სიხა-  
რულს და იმედს, არსებობდა „ფსალმუნნი“, რომელიც ქადაგებდა  
მარადიულ ნეტარებას ღვთაებასთან კავშირში, თუმცა მას არ გააჩნ-  
და ახალი რელიგიის ჩამოყალიბებული კრედო, ჩამოყალიბებული  
სისტემა იმ მოძღვრებისა, რომელსაც უნდა მოეტანა ამოცანის იქით  
კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ტკივილთაგან ზსნისა და იმე-  
დის სხივი.

ებრაელთა ბიბლიური მეფის — დავითის საგალობლები არის  
ვედრება ღვთისადმი, და ეს ვედრება არის არა მარტო ტკივილებით  
სავსე, არამედ კაცობრიობის ტკივილებზე ზეასული, იგი არის სუ-  
ლის ნეტარება და რწმენა სულიერ საღმობათა დაამებისა, რომელიც  
მხოლოდ ღვთაებასთან, უდიდეს სიკეთესთან საუბრით და აღსარე-  
ბით მოიპოვება.

შემდგომმა კაცობრიობამ დავითის ტკივილები და იმედები  
მიიღო როგორც სულის სიმშვიდე და მარადიული სიკეთის დიდი  
იმედი, რომელიც ფარავს ამქვეყნიურ ამოცანას და მის ტკივილთა  
უსაზღვროებას. ამ ტკივილებს იგი დაუდებს საზღვარს დიდი სიკე-  
თის არსებობაში, — ვედრებითა და სულის განწმენდით.

„2. ღმერთო, ღმერთო ჩემო, მომხედენ მე რამსათჳს დამი-  
ტევე მე? შორს არიან ცხოვრებისა ჩემისაგან სიტყუანი ბრალთა  
ჩემთანი.

3. ღმერთო ღმერთო ჩემო, დღისი ჯმა ვყავ მენდამი და არა  
ისმინე ჩემი; და ღამე და არა ილუაწე ჩემთვის.

8. ყოველნი, რომელნი მხედვიდეს მე, მეკიცხევდეს მე, იტყო-  
დეს ბაგითა და ზრიდეს თავთა.

9. ესეილა უფალსა, იესენინ იგი,... რამეთუ ჰნებაეს იგი.

11. ...ღმერთი ჩემი ხარი შენ, ნუ განმეშორები ჩემგან, რამეთუ  
ჰირი მახს მე.

12. და არავინ არს მწე ჩემდა“<sup>27</sup>.

დავითის საგალობელთა უკვდავება და დაუცხრომელი ინტერე-  
სი მათდამი განაპირობა მისმა დიდმა მხატვრულობამ. საგალობელ-

27 ფსალმუნნი, № 21, თბ., 1960.

თა მაღალი პოეზია და მისი უმაღლესი იდეალი მარადიული საზრდო აღმოჩნდა მომავალი კაცობრიობისათვის. იგი ასაზრდოებდა არა მარტო ებრაელ ხალხს უძველესი დროიდან, ხოლო შემდგომ — როგორც წმინდა წიგნის ნაწილი, — ქრისტიანული მოძღვრების მიმდევარ რელიგიურ სფეროებს, არამედ ყველა მაღალ პოეზიას, რომელიც ამ რელიგიის მორალისა და ესთეტიკის გამზიარებელი შეიქნა.

საგალობელთა ავტორი ახალი აღთქმის მიმდევართა მიერ აღიარებულ იქნა როგორც წინასწარმეტყველი, ხოლო მისი „ფსალმუნნი“ — როგორც წინასწარმეტყველური საგალობლები ღვთაების მოვლინების და მისი სიკეთის შესახებ.

„1. ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა და საჯდომელსა უშჯულოთასა არა დაჯდა“<sup>28</sup>, — წერს „ფსალმუნნის“ ავტორი. ეს არის „ფსალმუნნის“ ძირითადი ლერძი, მისი მორალური კრედო, მისი ამოსავალი.

ღვთაების მოწოდებით და მისი ნებით დაიპყრო ტახტი ებრაელთა მეფე დავითმა, ღვთაებისავე შეწევნით დაამარცხა მან მტრები, რადგან მისდევდა მის მცნებას და სულიერ ტკივილებს მიაწოდებდა მას, რათა გამძლავრებულყო სიმაართლის ღაღადისი დავითის ხელით, აღსრულებულიყო ღვთაებრივი ნება მისი ძლიერებით. ხოლო მტერი იყო ურიცხვი და დაუსრულებელი. ასე აღიარა დავითის პეფობა და ძლიერება მისმა ერმა, და შემდგომ — მომავალში ქრისტიანულმა კაცობრიობამ. ღვთაებრივი მეფე, წინამორბედი დიდი რელიგიური მოძრაობისა და უდიდესი პოეტი, — ასე წამოვიდა დავითის ცხოვრების ისტორია და მისი პოეზია მოეფინა საგალობლებად მთელ მსოფლიოს.

„1. რად აღიძრნეს წარმართნი და ერმან იზრახა ცუდი?

2. შეითქუნეს შეფენი ქუეყანისანი და მთავარნი შეკრბეს ერთად უფლისათვს და ცხებულისა მისისათვს.

3. განვხეთქნეთ აპაურნი მათნი და განვაგდოთ ჩუენგან უღელი მათი.

4. რომელი დამკვდრებულ არს ცათა შინა, ეცინოდის მათ და უფალმან შეურაცხყენეს იგინი.

5. მაშინ იტყოდის მათდა მიმართ რისხვითა მისთა და გულის წყრომითა მისითა შეაძრწუნნეს იგინი.

6. ხოლო მე დავდეგ მეუფედ მის მიერ ზედა სიონსა, მთასა წმიდასა მისსა.



7. თხრობად ბრძანებასა უფლისასა. უფალმან მრქუა მე: ძე ჩემი ხარი შენ, მე დღეს მიშობიე შენ.

8. ითხოვენ ჩემგან და მე მიგცე შენ წარმართნი სამკვდრებლად შენდა და დაპყრობად შენდა კიდენი ქუეყანისანი<sup>29</sup>.

„დავითნის“ საგალობლები ნეტარებაა და სულის სიმშვიდე, ხსნა და ტკივილთა დაამება, რაც მიიღო დიდ პოეზიასთან ერთად მომავალმა პოეტურმა აზრმა კაცობრიობისამ და, აგრეთვე, ქართულმა პოეზიამ საუკუნეთა სიღრმიდან. ასევე მიიღო ქართულმა რომანტიზმმა ეს დიდი საზარღო.

„4. უფალი, ტაძარსა წმინდასა მისსა, უფალი, ზეცას არს ტაძარი მისი; თუალნი მისნი დავრდომილსა ხედვენ და წამნი მისნი განიკითხვენ ძეთა კაცთასა.

5. უფალმან განიკითხოს მართალი და უღმრთოჲ, ხოლო ვის უყუარს სიკრუვე, მას სძულს თავი თჳსი“<sup>30</sup>.

„აჰა, ესერა ელმოდა სიკრუვე, მუცლად-ილო საღმობაჲ და შვა უშჯულოებაჲ“<sup>31</sup>.

„34. რად-მე განარისხნა უღმრთომან ღმერთი? — რაჲეთუ თქუა გულსა შინა თჳსსა: არა გამოიძიოს.

36. შეჰმუსრე მკლავი ცოდვილისაჲ, და უკეთურისაჲ, იძიოს ცოდვაჲ მისი და არა იპოოს“<sup>32</sup>.

თუ „ეკლესიასტე“ იყო გოდება სამყაროს არსებობის ამაოებათა გამო, „ფსალმუნნი“ ხედავს სულ სხვა ბედნიერებას სამყაროს არსებობაში. მისი გალობანი არის სამადლობელი ამ სამყაროს შემოქმედებისადმი, რომელმაც შექმნა სიკეთით და სიყვარულით მისი საოცრებანი. მან შექმნა კაცი და განასხვავა მეტად მცირედ ანგელოზთაგან, მისცა კაცს უდიდესი საჩუქარი, — ამქვეყნიურა ცხოვრება. მისცა სამყაროს მზით, ვარსკვლავებით, ზღვით, ღეღამიწით და მისი მობინადრენით, და დააწესა იგი უფლად ამ მშვენიერ ქმნილებათა შორის. ამიტომ არის იგი უდიდესი სამადლობელის ღირსი, ამიტომ ღაღადებს დავითი მადლიერებით აღვსილი. სამყაროს და კაცის შექმნა ეს არის უდიდესი შემოქმედება ზეძალის მიერ და მისი უდიდესი სიყვარულის გამოვლინება.

„4. რამეთუ ვიხილენ მე ცანი, ქმნულნი თითთა შენთანი, მთოვარე და ვარსკულავები, რომელ შენ დააფუძნენ.

29 ფსალმუნნი, № 2.

30 იქვე, № 10.

31 იქვე, № 7.

32 იქვე, № 9.

5. რაჲ არს კაცი, რამეთუ მოიკსენე მისი, ანუ ძე კაცისაჲ, რა-  
გეთუ მოხედავ მას?

6. დააკლე იგი მცირედ რაჲმე ანგელოზთა, დიდებითა და პატი-  
ვითა გვრგვნოსან ჰყავ იგი.

7. და დაადგინე იგი ზედა ქმნულსა კელთა შენთასა, ყოველივე  
დაამორჩილე ქუეშე ფერკთა მისთა“<sup>33</sup>.

დავითის ცხოვრება, მისი სულიერი წონასწორობა არ არის  
მხოლოდ ნეტარებით აღსავსე ბედნიერება. დავითის ნეტარება ტან-  
ჯვისა და ბრძოლის გზაზე გადის, რომელიც სიმართლით და ქეშვა-  
რიტებით მოიპოვება. დავითის „გალობანი“ წინასწარმეტყველურ  
ქმნილებად აღიარეს, მასში დაინახეს კაცობრიობის იდეალი, უმაღ-  
ლესი სიკეთისაკენ სწრაფვა და ბრძოლა მისთვის. ამ ბრძოლის გზა-  
ზე მრავალი ტანჯვაა. ეს ტანჯვა არა მხოლოდ ერთი კაცის და ერთი  
ეპოქის ტანჯვაა, იგი მარადიული კაცობრიობის საერთო სატანჯვე-  
ლია, როგორც მოპოვებული ნეტარება აღამიანთა მოდგმის საერთო  
ბედნიერებაა. საგალობლები სავსეა ბიბლიური თქმულებებიდან  
მომდინარე მითებით აღამიანთა შემქმნისა და შემდგომი პერიოდის  
შესახებ, ჯვარცმისა და მის ტკივილთა შესახებ.

„5. გარე-მომადგეს მე სალმობანი სიკუდილისანი და ლუართა  
უშჯულოებისათა შემადრწუნეს მე;

6. სალმობათა ჯოჯოხეთისათა მომიცვეს მე და მომეწიფნეს მე  
მახენი სიკუდილისანი.

7. ჰირსა ჩემსა ვხადე უფალსა და ღმრთისა ჩემისა მიმართ  
ლაღად ვყავ; შეისმინა ტაძრით წმიდით მისით კმისა ჩემისაჲ და ლა-  
ღადებაჲ ჩემი მის წინაშე მიიწიოს ყურთა მისთა“<sup>34</sup>.

დავითის სულიერი განცდები და ტკივილები ზოგადკაცობრიუ-  
ლია, იგი გამ-ზახატავს რელიგიური კაცობრიობის ტანჯვას და შვებას.  
იგი წინასწარმეტყველური ზედვით ხედავს მის შემდგომად მოსულ  
სატანჯველებს და მათ მსვლელობას. — „განმზადენით გზანი  
უფლისანი და წრფელ ყვენით ადგილნი მისნი!“ — წერს იგი. დავი-  
თის საგალობლები, ისევე, როგორც სოლომონის წიგნები, აღიარე-  
ბულ იქნა მოსამზადებელ გზად მესიის მოვლინებისათვის.

„ღმერთო, ღმერთო ჩემო, მომხედენ მე; რაჲსათჳს დამიტევე  
მე?“<sup>35</sup>—ფსალმუნის ეს გამოთქმა ახალ აღთქმაში ჯვარცმული ღმერ-  
თის სიტყვებია ტანჯვის ძელიდან ნათქვამი. ამავე საგალობელში

33 ფსალმუნნი, № 8.

34 იქვე, № 17.

35 იქვე, № 21.

წინასწარმეტყველის ხილვით მოცემულია ჯვარცმის საშინელება, რომელიც — ახალი აღთქმის ავტორების სიტყვით, — ელოდაო აღსრულებას. „და ვითარცა ჯუარს აცუს იგი, განიყვნეს სამოსელი მისი განიგდეს წილი, რაჟთა აღსრულებულიყო თქმული იგი წინასწარმეტყველისა მიერ, რომელსა იტყუს: განიყვნეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“<sup>36</sup>.

„და მეცხრესა ოდენ ჟამსა ემა-ყო იესო ემითა დიდითა და თქუა: ელი, ელი, ლამა საბაქთანო? ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო რაჟსათჳს დამიტევებ მე?“<sup>37</sup>

ხოლო „ფსალმუნნი“ წერს:

„2. ღმერთო, ღმერთო ჩემო, მომხედენ მე; რაჟსათჳს დამიტე-ვე მე? შორს არიან ცხოვრებისა ჩემისაგან სიტყუანი ბრალთა ჩემთანი.

17. რამეთუ გარე მომადგეს მე ძალებ მრავალ და კრებულმან უკეთურთამან გარე-მომიცვა მე; განუტრინეს კელნი ჩემნი და ფერკნი ჩემნი.

18. და აღრაცხეს ყოველ ძუალები ჩემი; მათ მიხილეს მე და განმიცადეს მე,

19. განიყვნეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“<sup>38</sup>.

და კიდევ ერთი, საგალობელთა პოეზიის უბრწყინვალესი ადგი-ლი, — ეს არის ფსალმუნი № 41. იგია უნათლესი მზის, ღვთაების ხილვა უმაღლესი პოეზიის გზით. ძნელია მონახო სიტყვები, რომე-ლიც გამოხატავდეს ამ პოეზიის ზეაწეულ მშვენიერებას, მის ზილ-ვათა ბრწყინვალეობას, მისი ლექსის განმარტებას.

„2. ვითარცა სურინ ირემსა წყაროსა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო.

3. სწყურის სულსა ჩემსა ღმრთისა მიმართ ძლიერისა და ცხოველისა: ოდეს-მე მივიდე და ვეჩუენო პირსა ღმრთისასა?

4. იქმნეს ცრემლნი ჩემნი პურად ჩემდა დღე და ღამე, რამეთუ მეტყვედ მე მარადღე: სადა არს ღმერთი იგი შენი?

6. რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, ანუ რად შემადრწუნებ მე? ესევედ ღმერთსა, რამეთუ მე ავუარო მას, მაცხოვარსა პირისა ჩემი-სასა და ღმერთსა ჩემსა.

7. სული ჩემი შეძრწუნდა ჩემ თანა, ამისათჳს მოგიტყენო შენ ქუეყანით იორდანით და ერმონით, მთით მცირით.

<sup>36</sup> ახალი აღთქმა, მათე, 27, 35, თბ., 1963.

<sup>37</sup> იქვე, მათე, 27, 46.

<sup>38</sup> ფსალმუნი, № 21.

8. უფსკრული უფსკრულსა ზადის კმითა ზე-გარდამოსაქანელთა შენთაჲთა ყოველნი განსაცხრომელნი შენნი და ღელვანი შენნი მე ზედა-გარდამცდეს“<sup>39</sup>.

„ფსალმუნთა“ ავტორის ტკივილები არ არის ტკივილები მხოლოდ ერთი პიროვნების, მხოლოდ ერთი ეპოქის, მხოლოდ ერთი ერის. ეს არის კაცობრიობის ზოგადი ტკივილები, ყველა ეპოქისა და ყველა მიმართულების, სხვადასხვა რელიგიურ განშტოებათა. მისი ვედრება და მისი ხსნა, მისი ხილვები უმაღლესი სიკეთის, რწმენა მარადიული დიდი სიკეთის არსებობისა, რომელიც ადამიანური ყოფიერების საფუძვლად მიაჩნია, — მარადიულია და ზოგადი, როგორც „ეკლესიასტეს“ გოდება, რომელიც წარმოადგენს საწინააღმდეგო მხარეს იმ დიდი სიმაღლის ძიებაში, ზადაც „ფსალმუნნი“ ხედავს შვებას და იმედს. ეს შვება და იმედი მიიღო მისგან მომავალმა კაცობრიობამ, მის დიდ პოეზიასთან ერთად, ყოფიერების ტკივილთა ნუგეშად და მარადიული არსებობის აზრად.

დავით მეფის პოეზია წამოვიდა უძველესი ბიბლიური წიგნებიდან, როგორც უპირველესი მის წიგნთა შორის და როგორც უმაღლესი ღვთაებრივი ნიჭით აღსავსე საგალობლები. ასევე შევიდა იგი ახალი რელიგიის კანონმდებელთა მიერ წმინდა წიგნების რიცხვში და შეიქმნა ახალი ეპოქის, ევროპული მორალისა და ესთეტიკის განუყოფელი ნაწილი, — და საყვარელი წიგნი, რომელმაც გამოიარა მრავალი საუკუნე, მრავალი თვალსაზრისი, ასაზრდოვა მრავალი ეპოქა, მრავალი ქვეყნის ლიტერატურა მისი სხვადასხვა მიმართულებებით. „ფსალმუნის“ გავლენა მეტად დიდია ძველ ქართულ პოეზიაზე, მის საგალობლებზე, მის აზრთა დინებაზე, მის მხატვრულ სამოსელზე. მან დატოვა წარუშლელი კვალი არა მარტო საქრისტიანო ძველ ქართულ პოეზიაზე, არამედ ქართული ეროვნული კულტურის, მისი სულიერი ცხოვრების, მისი ლიტერატურის მთელ დინებაზე. ახალ ქართულ ლიტერატურაში, რომანტიზმის ეპოქაში, ამ გავლენის მკვეთრი მაგალითია გრიგოლ ორბელიანის „ფსალმუნნი“.

ეინ აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,  
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა ღიდებას?...

—სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,  
ვის არ შეეხო ზაქვის გესლი ძმისა განკითხვად  
და სიყვარულით შეიწყალა ცდომილი ვნებით...  
ეინც ამა სოფლის ღიდებასა მზეებრ მნათობსა,

მონებრ არ მიჰსდევს, ჰსცნობს რა მის შუქს ფუქწარმავალსა  
ვინც ძლიერების ხმითა მალლით ამცნო სიმაართლე  
და ძმას დაცემულს მიჰსცა ხელი და აღადგინა!...  
იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,  
ღვთისა ღიდების გალობითა ნათელმოსილი“.

ორბელიანის ლექსი „ფსალმუნნის“ ძირითად აზრს და მის მო-  
რალურ კრედოს ეყრდნობა. ამასთან, შინაარსეულად იმეორებს  
„ფსალმუნნის“ მოძღვრებას.

მაგრამ „ფსალმუნნთა“ განწყობილებას, მის ამაღლებულ  
სულიერ სწრაფვას, მის მისტიკურ პოეტურ სულს თუკი რაიმეს  
შეგადარებთ ქართულ რომანტიზმში, ყველაზე მეტ სიახლოვეს და-  
ვინახავთ ბარათაშვილის ლექსთან „შემოღამება მთაწმინდაზედ“...



ადრეულ შუა საუკუნეებში ქრისტიანობის დამკვიდრების პე-  
რიოდიდან, თანდათან წარმოიშვა მოთხოვნილება ახალი რელიგიუ-  
რი ჰიმნების შექმნისა. იმ პერიოდის რელიგიური აღზევების ხაზა-  
ში პოეზია წარიმართა ძირითადად რელიგიური საგალობლებისა და  
ჰიმნების ხაზით. ქრისტიანული ორთოდოქსალური სარწმუნოებას  
წიაღში შექმნილი ეს საგალობლები მომდინარეობენ ძველი აღთქ-  
მის საგალობლებიდან, განსაკუთრებით „ფსალმუნნიდან“, აგრეთვე  
ახალი აღთქმის წიგნებიდან და მისი თემატიკის პოეტურ ამეტყვე-  
ლებას ისახავენ მიზნად.

ამ საგალობელთა უკვდავება და საუკუნეთა გადაწვდომა განა-  
პირობა მათმა მაღალმა პოეტურმა ღირსებებმა და ფილოსოფიურმა  
სიღრმემ. ცნობილი და დიდი ჰიმნოგრაფები — ნეტარი ავგუსტინე,  
იოანე დამასკელი, კოზმა იერუსალიმელი, ანდრია კრიტელი და  
სხვ. იყვნენ მაღალი რანგის პოეტები და ამავე დროს ფილოსოფო-  
სები. მათი ფილოსოფიური და თეოლოგიური აზროვნება განსაკუთ-  
რებით საინტერესო და ხანieri აღმოჩნდა სწორედ მათი პოეზიის  
მეშვეობით, იქ სადაც სიბრძნე და აზრი პოეტურ სამოსელში გა-  
მობრწყინდა.

ქართულ სასულიერო ფილოსოფიურ პოეზიას დიდი ხნის ის-  
ტორია აქვს. ამ პოეზიით დინტერესება და მისი მეცნიერული შეს-  
წავლა ჩვენი საუკუნის ბოლო წლებში განსაკუთრებით გაცხოველ-  
და. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია პ. ინგოროყვასა და ე. მეტრე-  
ველის შრომები.

ქართული ეკლესია ბიზანტიური ეკლესიის მიმდევრად დარჩა.  
ამიტომ მისი ღოგმებისა და მისი მღვდელთმსახურების წესებთან

ერთად, გაიზიარა მისი მწერლური მონაპოვარიც, — როგორც ყველა იმ ხალხებმა, რომლებიც მისდევდნენ ქრისტიანული სარწმუნოების ბიზანტიურ გაგებას, — გაიზიარეს მისი რიტუალები, ამ რიტუალებთან ერთად მისი პოეტური მხარეც, — მისი ჰიმნები, საგალობლები, იადგარები, კალენდრები, და სხვ. ეს ჰიმნები, ძლისპირები და ღმრთისმშობლის საგალობლები, დაწერილი დიდი თეოლოგებისა და პოეტების მიერ, ქართულად ამეტყველდა როგორც სასულიერო პოეზიის ორგანული ნაწილი და თავისი გავლენა იქონია ქართულ მწერლობაზე, პოეზიაზე, მისი მორალისა და ესთეტიკის სახის ჩამყალიბებაზე. იგი, ისევე, როგორც ბიბლიური წიგნები, იქცა ქართული პოეზიის განუყოფელ ნაწილად.

ქართული ძლისპირები, რომლებიც ხელნაწერების სახით ჩვენამდე შემონახულა, წარმოადგენენ კრებულებს, რომლებიც საწესდოდ იადგარს ერთვოდა, ზოგ შემთხვევაში ცალკე კრებულების სახითაც დგებოდა.

ამ საგალობელთა ქართული ტექსტების ნაწილს რამდენიმეჯერ აქვეყნებს პ. ინგოროყვა<sup>40</sup>. ძლისპირთა ტექსტები ბერძნული დედნებითურთ პირველად გამოქვეყნდა ამ ბოლო წლებში ე. მეტრეველის მიერ<sup>41</sup>.

ე. მეტრეველის გამოკვლევით, ეს ძლისპირები არის გადმოთარგმნილი ბერძნულიდან სხვადასხვა დროს (ადრეულ შუა საუკუნეებში, VII—IX საუკ.). ამ ძლისპირთა ავტორთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა VII—VIII საუკუნეთა ორი პოეტი ჰიმნოგრაფი, იოანე დამასკელი და კოზმა იერუსალიმელი, რომელთა ჰიმნები და გალობები განსაკუთრებული პოპულარობითა და მოწონებით სარგებლობდა. ცნობილია, აგრეთვე, სახელები შემდგომ დიდ ჰიმნოგრაფთა: ანდრია კრიტელის, გერმანე პატრიარქის, ელისე მონაზონის. თეოდორე სტუდიელის (მათი მოღვაწეობის ფარგლებია VII—IX საუკ.), რომელთა რელიგიური ხასიათის ჰიმნები, იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის ჰიმნების გვერდით, შესულა იმ კანონთა ირმოლოგიონის კრებულში, რომლის მიხედვით უნდა მომხდარიყო ყველა სხვა გალობათა გაწყობა და ახმოვანება. ეს ჰიმნები, ძლისპირები და ღმრთისმშობლისანი გადაიქცა საერთაშორისო ხალხთა პოეზიის საკუთრებად, რომელთა საფუძველზე საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა, აგრეთვე, ქართული საგა-

40 იხ. პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, თბ., 1913; მისივე, გიორგი შერჩულე, თბ., 1954; მისივე, თხზულებათა კრებული, ტ. III, თბ., 1965.

41 იხ. ე. მეტრეველი, ძლისპირნი, თბ., 1971.

ლობლები, ქართული პოეზიისა და ქართველი ერის სულიერი საგან-  
ძურის მშვენიერი ნაწილთაგანი.

ვედრებასა ჩემსა განვჰყენ უფლისა მიმართ:  
და მას აუვარებ ბრალთა ჩემთა მარადის:  
რამეთუ ბოროტითა აივსო სული ჩემი:  
და სიმტკიცეა ჩემი ჭოჭოხეთა მიეხალა:  
და იონაჲსებრ ვლალადებ  
აღმოვიყვანე მე ღმერთო ჩემო<sup>42</sup>.

ეს ძლისპირები წარმოადგენენ, ბიბლიური დავითის საგალო-  
ბელთა მსგავსად, ვედრებასა და პოეტურ მიმართვას უმაღლესი ძა-  
ლისადმი, ღვთაებისადმი, რომლის დიდ სიკეთეს და სამართალს  
ადამიანური არსებობა უნდა გაემართლებინა. ეს არის მაღალი  
პოეტური და ფილოსოფიური ლექსები ქვეყნის შექმნაზე, სიკეთის  
ძალთა ღაღადისზე, მის ყოვლისშემძლებლობაზე და მარადიულ  
ზეიმზე, რომელიც დაუამებს ადამიანებს მათ კაცურ ცხოვრებით  
მიღებულ ტანჯვასა და ტკივილებს.

სოფლისა ზღუა აღძრულ არს:  
ლეღითა ცოდვისაჲთა:  
და საშინელად დაჰნთქამს მე:  
და მოვივლტი შენდა ნავთსაყუდლისა  
და ესრეთ ვლალადებ:  
დანთქმისაგან მიჰსენ მე მრავალმოწყალე<sup>43</sup>

ძლისპირები, ანუ ჰიმნები, მიმართული ღვთაების სახელისადმი,  
საინტერესოა მათი მაღალი პოეზიით, ხატოვანი სახეებით, სიკეთის  
სიყვარულით და რწმენით სიმატლის ღაღადებისა. ამიტომ იქცა  
იგი საუკუნეთა მანძილზე პოეტური მეტყველების წამყვან ნიმუშად  
და მისაბამ პირველწყაროდ.

ასევე საინტერესოა და ძლისპირების გვერდით დგას ღვთის-  
მშობლის სახელისადმი მიძღვნილი ჰიმნები, ე. წ. „ღმრთისმშობლისა-  
ნი“, უქცნობი პოეტური სახეებით სავსე, ბიბლიური წიგნებიდან  
გამომდინარე თქმულებებით შემოსილი საგალობლები.

ღრუბელსა სულმცირესა  
მიემსგავსე მარიამ ეგვიპტეს  
შესლევითა,  
რაჲმს გეტყრთა შემოქმედი შენი  
მკლავთა ზედა, ქალწულო,  
მზის-თუალი სიმატლისაჲ

<sup>42</sup> იხ. ე. მეტრეველი, ძლისპირნი. № 61, გვ. 31.

<sup>43</sup> იქვე.

შენ დაგეფარა<sup>44</sup>.

ცათა უერცელემს ხარი შენ;

ქერაბრთა უმალღესო მშობლო სიტყესაო  
უბიწოო ქალწულო მარიამ<sup>45</sup>.

ვითარცა ნავთსაყუდელსა

მჟღესა,

შევედრებულნი ესე

ღმრთისმშობელსა ჩვენ ყოველნი

ვაღიდებთ.<sup>46</sup>

ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი იყო ის ძირითადი ღერძი, რომლის ირგვლივ იქმნებოდა საგალობელთა მთელი წყება, საესე ფილოსოფიური, მორალური და ეთიკური ღირსებებით. ამ საგალობელთა შორის რამდენიმე მკვეთრად განირჩევა თავისი პოეტური ღირსებებით და მარადიული პოეზიის სამკვიდრებელში ჰპოვებს ადგილს. ასეთია, პირველ ყოვლისა, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ (ამ წერილის ავტორის გამოკვლევა გამოქვეყნებულია დავით აღმაშენებლის პოეზიაზე<sup>47</sup>, ამიტომ მას აქ აღარ გავიმეორებთ).

ქართული ქრისტიანული მწერლობის თემები მრავალჯერ დამუშავდა ჩვენს ლიტერატურაში შემდგომ საუკუნეებში, ახალი და ახალი ხორცშესხმა მიიღო სხვადასხვა ეპოქებში, სხვადასხვა თვალსაზრისების შესაბამისად. ასეთი მარადიული თემებია, სასულიერო მწერლობიდან მომდინარე — წმიდა ნინოს თემა, წმიდა გიორგის თემა, ჭვარცმისა და აღდგომის თემა, და სხვ. ეს თემები და მასი გაძოძახილი გვხვდება ქართველ რომანტიკოსებთანაც და მე-19 საუკ. არარომანტიკოს დიდ მწერლებთან. მაგალითად, განსაკუთრებით უშუალო მიძღვნები ამ თემებისადმი გვხვდება ვახტანგ ორბელიანთან, — ამ მხრივ საგულისხმოა მისი პოემა წმიდა ნინოზე. საგულისხმოა, აგრეთვე, აკაკი წერეთლის პოეზიაში წმიდა სამეულის — ნინო, ქეთევან, თამარის გამოჩენა, ლირიკული წიაღსვლა „თორნიკე ერისთავში“... ასეთი ლირიკული წიაღსვლა რომანტიკული პოემების მანერაა, მსგავსი ლირიკული შემოსვლები ტექსტში უცხოა კლასიკური პოემისათვის, მაგ., ვეფხისტყაოსნისათვის,

---

44 ე. მ. ბერეველი, ღმრთისმშობლისანი, № 4, გვ. 36.

45 იქვე, № 51, გვ. 27.

46 ძლისპირნი, ღმრთისმშობლისანი, № 20, გვ. 42.

47 იხ. მ. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა, „მნათობი“, 1962, № 4.



„ილიადასათვის“ და სხვ., აგრეთვე მე-16—17 საუკ. ქართული პოემებისათვის.

ამასთან დაკავშირებით მსურს ყურადღება შევაჩერო კიდევ ერთ ძეგლზე ძველი ქართული პოეზიიდან. ეს არის აბუკურას მოთხრობა, — „მოთხრობა აბუკურაჲსი წამებისათჳს მიქაელ საბაწმიდელისა“ (იხ. კ. კეკელიძის გამოც., 1918 წ.).

„აბუკურას“ შინაარსი ასეთია: მამა მიქაელ საბაწმიდელი, მშვენიერი, ფერმკრთალი სახის ახალგაზრდა მონაზონი, შეუყვარდება დედოფალს, ამირა მუშნის ცოლს, სეიდას. რადგან ქალი ვერ აცდუნებს რელიგიურ ქაბუკს, დასწამებს მას ცილს, თითქოს ქაბუკი ბერი ახალგაზრდა დედოფლის შეურაცხყოფას ცდილობდა და ამ გზით დალუპავს ქაბუკს. ეს ამბავი, რომელიც ძალიან წააგავს ბიბლიური იოსებ მშვენიერის ამბავს, ახალ საუკუნეებშიაც დამუშავდა რამდენჯერმე (იგი დამუშავდა ანტიკურ ეპოქაშიაც, — ფედრას ტრაგედია, კლასიციზმის ეპოქაში რასინის მიერ დამუშავებული; მსგავსი მოთხრობა შაჰ-ნამეშიაც არის ჩართული, თეიმურაზ პირველის პოემა „იოსებ-ზილიხანიანი“ ამავე თემას ეძღვნება). ამ მშვენიერ ძველ თქმულებას რომანტიკოსთა ინტერესიც გამოუწვევია. ევროპაში იგი დამუშავებული აქვს ბაირონს, რა თქმა უნდა, როგორც რომანული ამბავი და არა როგორც სარწმუნოებრივი მოთხრობა.

ვერმილწეული ტრფობის რომანტიკა და ზორციელი ტრფობის უარყოფა, მაღალ სულიერ ლტოლვათა გამო ზენა სფეროებისადმი მეტად ნატიფადაა გადმოცემული სარწმუნოებრივი ხასიათის ამ პოემაში, თუ რიტმულ მოთხრობაში. პ. ინგოროყვა მას განიხილავს როგორც პოემას, — „სილაბური უკვეთელი ლექსი ტაეპობრივი რიტმიკით“<sup>48</sup>.

#### ს ე ი დ ა

ჰოი, კირვეულო ქაბუკო!  
ტყუე თუ ხარ — გამოგიყილო,  
და თუ სნეულ ხარ განგყურნო,  
გლახაკ თუ ხარ განგამდიდრო!

#### მ ი ქ ა ე ლ

ტყუე ვიყავ სოფლისაჲ,  
და აწ ქსნილ ვარ უფლისაჲ;

მონაჲ ვიყავ ცოდვისაჲ,  
და აწ მონაჲ ვარ მალლისაჲ;

არა ვარ სნეულ გუამითა,  
არცა გლახაკ საფასითა,

არამედ სნეულ სულითა,  
და ნაკლულ სინანულითა  
წყლულ ქრისტემს სიყუარულითა!<sup>49</sup>

აბუკურას პოემა სასულიერო პოეზიაში არსებული რომანული ელემენტის ბრწყინვალე ნიმუშია, რომელიც თემად იყენებს მთარულ სიუჟეტს და გადააქვს იგი სარწმუნოებრივ ასპექტში. ეს სიუჟეტი მრავალჯერ დამუშავდა შემდგომ ეპოქებში და გამოჩატა ამ ეპოქათა ინტერესი და დამოკიდებულება სინამდვილისადმი.

მიქაელ მოდრეკილის კრებულში „საწელიწადო იადგარი“ მოთავსებულია იოანე მინჩხის საგალობელი „აქებდითსა“, მიძღვნილი თეოდოსი მეფისადმი. ამ საგალობელს პ. ინგოროყვა ადარებს ბარათაშვილის „მწყემსო კეთილოს“ — პოემიდან „ბედი ქართლისა“<sup>50</sup>.

მიქაელ მოდრეკილის კრებულში მოთავსებულ ერთ-ერთ ძლისპირს — „სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს“. პ. ინგოროყვა ადარებს ბარათაშვილის ლექსს „ჩემი ლოცვა“ (ეს ძლისპირი, რომელსაც პ. ინგოროყვა გრიგოლ ხანძთელის ორიგინალურ ნაწარმოებად თვლის, ე. მეტრეველს თავის წიგნში „ძლისპირნი“, მოყვანილი აქვს ბერძნული დედნითურთ<sup>51</sup>).

პ. ინგოროყვას მოყავს ტექსტუალური შეხვედრები ამ ორი პოეტური ნაწარმოებიდან და დაასკვნის, რომ ეს საერთო გამოწვეულია არა იმით, რომ ბარათაშვილი იცნობდა ძლისპირის აღნიშნულ ტექსტს, არამედ მათი „კონგენიალური შეხვედრით“. — „ნ. ბარათაშვილი, რასაკვირველია, არ იცნობდა X საუკ. ზელნაწერებში დამარხულს გრიგოლ ხანძთელის ძლისპირს. აქ ჩვენ გვაქვს კონგენიალური შეხვედრა ორი გენიოსი მგოსნისა“<sup>52</sup>.

რომ ბარათაშვილისათვის უცხო არ იყო ძველი ქართული სასულიერო პოეზიის ნიმუშები, ამას მოწმობენ მისი ბიოგრაფებიც. ი. მეუნარგია წერს: „ლოცვანი, დავითნი, ჟამნი, სამოციქულო,

49 „მოთხრობაჲ აბუკურაჲსი, წამებისათჳს მიქაელ საბაწმიდელისა“, თ. IV, — პ. ინგოროყვა, თხზ. კრებ., ტ. III, გვ. 167.

50 პ. ინგოროყვა, თხზ. კრებ., ტ. III, გვ. 57.

51 ე. მეტრეველი, ძლისპირნი, 1971, გვ. 23.

52 პ. ინგოროყვა, თხზ. კრებ., ტ. III, გვ. 77.

სახარება, ე. ი. ათასი წლის ქართული ენა, ...შეიქმნენ ქვაკუთხედად მისი მომავლის მსახურებისა ქართულ მწერლობაში<sup>53</sup>. მისი თქმით, „ქარგი ქართული ენა დავითნ-სახარებისა და ვეფხისტყაოსნისა, რომელიც ბარათაშვილმა პატარაობიდანვე ისწავლა, და ახალი გარდამავალი დრო“<sup>54</sup>, — შეადგენენ ბარათაშვილის წარმატების აუცილებელ პირობას.

ეს საგულისხმო ცნობაც რომ არ შემოენახა მის ერთ-ერთ პირველ ბიოგრაფს, მისი პოეზიისა და ცხოვრების ანალიზით ისეც ცხადი იქნებოდა, რომ ბარათაშვილი თავისი ეროვნული პოეზიის საფუძველზე მტკიცედ დგას და მის ქეშმარიტ სიმაღლეებს ეხიარება. ამ პოეზიაში შედის ძლისპირებიც და საგალობლებიც, „ფსალმუნნიც“ და „ეკლესიასტეც“, ახალი და ძველი აღთქმის წიგნები, წმინდათა ცხოვრებები. ეს ლიტერატურა ქართველი ჰკითხველისათვის, და მით უფრო პოეტისათვის, იყო მეტად მახლობელი და სათაყვანებელი. ამ პოეზიის გარეშე არ არსებობს ქართული მწერლობის განვითარება, მისი ეტაპები, მისი მორალური და ესთეტიკური მხარე. ძლისპირები, ისევე, როგორც „ფსალმუნნი“ და ბიბლიური წიგნები იგალობებოდა და იკითხებოდა ქართულ ეკლესიებში სისტემატურად, იკითხებოდა ოჯახებში მწიგნობართა შორის... ასევე იკითხებოდა ბარათაშვილის ოჯახში და იმ წრეში, სადაც პოეტი აღიზარდა.

ბარათაშვილის პოეზიისათვის მახლობელია „ფსალმუნნი“ და „ეკლესიასტე“ თავისი მარადიული სევდით, რაც ასე კარგად შეესადაგა რომანტიკოსთა განწყობილებას, ბარათაშვილისათვის მეტად მახლობელია და სისხლ-ხორცეული ძველი ქართული საგალობლები. გავიხსენოთ პოეტის ბიოგრაფის, მეუნარგიას სიტყვები ამ საკითხზე და შემდეგ გადავხედოთ ბარათაშვილის უკვდავ პოეზიას, სადაც ვიგრძნობთ ძველი ქართული სასულიერო პოეზიის სურნელებას თითქმის ყოველ ლექსში, თითქმის ყოველ სტრიქონში. ასეთი ლექსებია „ჩემი ლოცვა“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „სული ობოლი“, „ვპოვე ტაძარი“, „არ უკიეინო სატრფოო“, „ფიქრსი მტკვრის პირას“, „ნაპოლეონ“. ამ ლექსთა რომანტიზმი შეზავებულია ამაოების თემისა და „ფსალმუნთა“ მისტიკური სულის წარმტაცი მშვენიერებით, მაღალი პოეზიის უქცნობი სხივებით.

---

53 ი. მ. უ. ნ. ა. გ. ი. ა., ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა, თბ., 1945, გვ. 33. 17.

54 ი. ქ. ე. ე., გვ. 50.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლებში ის ზასიათი და მიმართულება, რაც მახლობელია ქართველი რომანტიკოსებისათვის, ბარათაშვილთან ერთად. ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანისათვის, როდესაც ისინი წერენ თავიანთ შედეგებს, ლექსებს „გოგჩა“, „ფსალმუნი“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და სხვ. ჩვენ ყველა ამ პოეტურ ნიმუშზე დაწვრილებით არ შევჩერებულვართ, მხოლოდ ვეცადეთ გვეჩვენებინა ძირითადი ტენდენციები, თუ რა მიიღო ახალმა ქართულმა პოეზიამ ძველიდან, რას დაემყარა მისი ნაციონალური ძირები, რა იყო იმ ძველიდან მარად მნიშვნელოვანი და რა ახდენდა გავლენას რომანტიზმის წარმოქმნის პროცესში ქართულ ლიტერატურაზე, რომელიც თვისობრივად განსხვავდება ძველი ლიტერატურისაგან, მაგრამ საზრდოობს მისგან. ეს მარადიული საზრდოო ქართველი ერის სულიერი კულტურისა არის ის მაღალი პოეზია, რომლის ნიმუშებზეც აქ შევჩერდით.

ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები მტკიცედაა დაკავშირებული მის ეროვნულ ლიტერატურასთან, ამ ლიტერატურის ტრადიციებთან და განვითარებასთან.

ქართულ რომანტიზმს ჰყავს თავისი ლიტერატურული წინამორბედები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდა საქართველოში ამ მიმართულების წარმოშობა და მისი განვითარება. რომანტიზმი, როგორც ყველგან, ასევე საქართველოში, მომდინარეობს საერთაშორისო ლიტერატურის კანონზომიერი განვითარების საფუძვლებიდან. მაგრამ იგი იმარჯვებს საქართველოში იმიტომ, რომ პოულობს აქ სათანადო წინაპირობას, სათანადო ნიადაგს და მომზადებას. ეს წინაპირობა, ეს ნიადაგი არის ქართული ეროვნული მწერლობა, მისი ჩასახვის პირველ საუკუნეებიდანვე. ეს ლიტერატურა, ქართული მწერლობის ადრეულ პერიოდებში, იყო ძირითადად სასულიერო ლიტერატურა, მთარგმნელობითი თუ ორიგინალური. მაგრამ ეს მთარგმნელობითი ლიტერატურა, რომელზედაც ჩვენ ამ ნაშრომში გვექონდა საუბარი, საერთაშორისოა, იგი კაცობრიობის სხვადასხვა ზალხთა ზოგადი საკუთრებაა და, ამდენად, ქართველი ზალხის საკუთრებაც, რადგან საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, ეს ლიტერატურა იქცა სისხლზორცეულ ნაწილად მწერლობისა და შექმნა ამ ქვეყნებში დიდი ტრადიციები. ამ მწერლობამ წარმართა ქართველი ერის მორალის, ეთიკისა და ესთეტიკის ზასიათი, მისი განვითარება და თვითმყოფობა. ამიტომ იგი ისევეა ქართული ლიტერატურის საკუთრება,

როგორც სხვა ქვეყნების — საბერძნეთის, იტალიის, ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის, გერმანიისა და სხვ. ქართული სასულიერო პოეზიის ნიადაგზე ამოიზარდა ქართული ლიტერატურა, შეიქმნა მისი ეროვნული სახე, მისი მორალური კრედი, მისი ესთეტიკური იდეალი. იგი წარმართავდა საუკუნეთა მანძილზე ქართული ლიტერატურის დინებას, სადაც მე-19 საუკუნეში, სრულიად კანონზომიერად, შეიქმნა რომანტიზმი, — ევროპული საერთაშორისო ხმის და მიმართულების გამოძახილად. საქართველოში შეიქმნა იგი როგორც მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოძრაობა, რომელმაც წარმოქმნა ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე შედეგები, საერთაშორისო მნიშვნელობის პოეტური ნაწარმოებები.

## ქართლის გელის საკითხი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში

სამშობლო და მისადმი სიყვარული იყო გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ეპიკური პოეზიის ძირითადი საგანი. ქართლის ბედით, საქართველოს რუსეთთან ურთიერთობით, საქართველოს ისტორიით, მისი განუზომელი სიყვარულითაა შთაგონებული ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ერისთავის, დავით მაჩაბლისა და სხვათა ეპიკური ქმნილებები. ამ პოემებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები პირველად და უშუალოდ დაუკავშირდა პოლიტიკური თავისუფლების საერთო პრინციპებს. მათში დასმულმა ეროვნულ-ისტორიულმა პრობლემატიკამ შთააგონა მთელი XIX საუკუნის ქართული რეალისტური მწერლობა.

XVI საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებით გამწვავდა ურთიერთობა საქართველოსა და სპარსეთ-ოსმალეთს შორის. სახელმწიფოს დაუძლურებას ხელს უწყობდა საქართველოს ფეოდალთა თუ ქართლ-კახეთის სამეფოთა განმგებლების ურთიერთშუღლი და გაუთავებელი მტრობა.

XVIII საუკუნეში საქართველოს მეფემ—ერეკლე მეორემ სავალალო მდგომარეობაში მიიღო სამეფო. პირადი სამხედრო გმირობითა და მამაცობით ერეკლე II დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მეზობელ სახელმწიფოებში და მას ანგარიშს უწყევდნენ არა მარტო აღმოსავლეთში, დასავლეთ ევროპაშიაც.

ქართველი ხალხი აღრიდანვე მიისწრაფოდა ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირისაკენ. ქართველი მეფეები და მთავრები აღრიდანვე იწვდიდნენ ზელს რუსეთისაკენ და იქ ეძიებდნენ დახმარებასა თუ თავშესაფარს (შანშე ქსნის ერისთავი, გივი ამილახვარი, ვახტანგ VI, ალექსანდრე — იმერეთის მეფე, თეიმურაზ II და სხვ.); რუსეთში პოულობდნენ შესაფერის პირობებს ქართული კულტურის მოღვაწენი. ამ ნიადაგზე წარმოიშვა მოსკოვში ქართველთა კოლონია,

საქართველოს კეთილდღეობისათვის მეზობელ ემიგრანტთა მოსახლეობა, რომელიც დიდ პოლიტიკურსა და კულტურულ საქმიანობას ეწეოდა სამშობლოს სასარგებლოდ. სავსებით მართებულია ის აზრი, რომ „XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, იმ დროს, როცა ქართულ ფეოდალურ რეაქციას თვალი ირან-ოსმალეთზე ეკირა, პროგრესული ძალები საქართველოს გამოსნა-აღდგომის საქმისათვის ბრძოლაში, საქართველოს პროგრესისათვის ბრძოლაში მოკავშირეს რუსეთში ხედავდა“<sup>1</sup>.

სპარსულ-თურქული საშიშროებისაგან გადასარჩენად ერეკლე მეორემ 1783 წელს ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს და ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი ერთმორწმუნე რუსეთს დაუკავშირა. „არსებულ პირობებში ეს იყო საუკეთესო გამოსავალი, რომელსაც ერთადერთს შეეძლო ქვეყანა პროგრესის გზით ახალი ცხოვრებისაკენ წაეყვანა“<sup>2</sup>. ამასთან ერთად, „ეს აქტი იმის აღიარება იყო, რომ გარედან დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად, საქართველოს ღონე არ შესწევდა დაემარცხებინა რეაქციის ძალები და უზრუნველყო ქვეყნის გამოსნა-აღდგომის საქმის გამარჯვება“<sup>3</sup>.

ისტორიულმა გარემოებამ საქართველო დააყენა აშკარა ალტერნატივის წინაშე. იგი ან რუსეთს უნდა დაკავშირებოდა, ან კიდევ მოსპობილიყო შაჰის სპარსეთის თუ სულთანის თურქეთის მიერ. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ პირველი გზა, მიუხედავად მისი ჩრდილოვანი მხარეებისა, მაინც გამართლებული იყო.

დადებული ტრაქტატი იმედის სხივით ავსებდა ასწლოვანი ბრძოლებითა და მტერთა თავდასხმებით განაწამებ ქართველ ხალხს და მშვიდობიან ცხოვრებას უქადდა.

მეფის რუსეთმა, მიუხედავად ხელშეკრულებისა, ორქოფულ პოლიტიკას მიმართა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა ირან-ოსმალეთმა. ასპინძის ომის მწარე გამოცდილების შემდეგ, როცა 1795 წლის ზაფხულში ვერაგმა ალა-მაჰმად-ხანმა მრავალათასიანი ჯარით დალაშქრა საქართველო, მეფე ერეკლე მის წინააღმდეგ თითქმის განმარტოებული და რუსეთის იმპერატორისაგან მიტოვებული აღმოჩნდა. თბილისთან ახლოს, კრწანისის ველზე ვაიმართა უთანასწორო, სისხლისმღვრელი შეჯახება და ეს იყო ერეკ-

<sup>1</sup> პროფ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 134.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 139.

<sup>3</sup> იქვე.

ლეს მეფობის ტრაგიკული დასასრული. ეს ომი იყო „ფეოდალური ქართლ-კახეთის სამეფოს შინაგანი სიმტკიცისა და ამიერ კავკასიაში მის ირგვლივ არსებული სამხედრო პოლიტიკური კავშირების რეალობის ნამდვილი შემოწმება“<sup>4</sup>, რამაც ნათლად დაადასტურა, რომ საქართველოს არ შეეძლო დამოუკიდებელი არსებობა, მას ძლიერი მფარველი ესაჭიროებოდა. ასეთი მფარველი მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთი იყო.

კრწანისის ტრაგედიას ერეკლე მეორეს გარდაცვალება მოჰყვა. მალე მიიცვალა ტახტზე ასული გიორგი მეორემეტყვე, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა საქართველოს ბედი და იგი სამუდამოდ რუსეთს დაუკავშირდა. ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და მოიპოვა მშვიდობა. მართალია, მძიმე იყო სხვისი ქვეშევრდომობა, მაგრამ ქართველი ზალხი მაინც დიდი იმედით შეხვდა რუსეთის საქართველოში დამკვიდრებას. რასაკვირველია, იგი არ კარგავდა იმედს და ელოდა, რომ რუსეთი გაამართლებდა და შეასრულებდა გეორგიევსკის ტრაქტატში გათვალისწინებულ ვალდებულებებსა და დაპირებებს. ამიტომ იყო, რომ თვით იონა ხელაშვილი აღტაცებულ შეფასებას აძლევდა საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტს და უწოდებდა მას „ჩრდილოეთისაგან მზის აღმობრწყინებას“. უფრო მოგვიანებით, აფასებდა რა აღნიშნულ პოლიტიკურ აქტს, ილია ჭავჭავაძე ორი ხალხის ძმური კავშირის შედეგებზე წერდა: „დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილზე, გაჰკრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა, ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მართო საშინელ და შემადრწუნებელ სახსოვრად-ღა დარჩა“<sup>5</sup>.

რუსეთ-საქართველოს კავშირს, რასაკვირველია, ყველა ასე როდი უყურებდა. მას ჰყავდა მოწინააღმდეგენიც, რომლებიც კურსს ძირითადად აღმოსავლეთზე (ირან-ოსმალეთზე) იღებდნენ და ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საქართველოს რუსეთთან დაკავშირებისათვის. ეს წინააღმდეგობანი გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზით, რომელთა კვლევა ჩვენს საგანს არ წარმოადგენს, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, მათაც ჰქონდათ ამისთვის თავიანთი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები,

4 ივ. შ ა ი შ მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, კრწანისის ომი, თბ., 1965, გვ. 3.

5 ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი ათ ტომად, ტ. IV, 1955, გვ. 217.



ოლონდ ერთი ცხადია, ისინი ვერ თუ არ ითავალისწინებდნენ ისტორიულ სინამდვილესა და ისტორიულ აუცილებლობას, ამიტომაც დაშარცხებულნი აღმოჩნდნენ.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული წინააღმდეგობანი, აზრთა სხვადასხვაობა აისახა მხატვრულ ლიტერატურაში და, კერძოდ, ეპიკურ პოეზიაში. პირველი, რომელმაც ეს ფაქტი დაუდგა საფუძვლად თავის პოემას და ბრწყინვალედ დაგვისურათა აღნიშნული პრობლემა, იყო დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი. მან თავის უმშვენიერეს პოემაში გამოამჟღავნა, ერთი მხრივ, მშობლიური ქვეყნის წარსულის ღრმა ცოდნა და გაგება, ხოლო, მეორე მხრივ, ისტორიულ მოვლენებში ნათლად გარკვევის უნარი და მომავლის ჰერეტი.

ნ. ბარათაშვილი ისეთ წრესა და გარემოში იზრდებოდა, სადაც განსაკუთრებით ახლობლად და მტკივნეულად იყო განცდილი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა. როგორც კ. მამაცაშვილის მოგონებიდან ჩანს, ახალგაზრდა პოეტი არაერთხელ დაუფიქრებია მწარედ სამშობლოს სავალალო მდგომარეობას, ქართლის ბედს.

პოემაში, ისე როგორც საერთოდ ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში, მოვლენა სხვადასხვაგვარად, მაგრამ მაინც, უმთავრესად და ძირითადად, ორი საპირისპირო საშუალებით შეიძლება გადმოიციეს. ერთ შემთხვევაში, მომხდარ მოვლენათა მდინარებას პოეტი გადმოგცემს, როგორც მემათიანე (რასაკვირველია მხატვრული სახეებით). მეორე შემთხვევაში კი იგი ისტორიულ ფაქტს თანადროულს ხდის, ხოლო მკითხველს ამ ფაქტის თანაზიარს. ნ. ბარათაშვილი ამ უკანასკნელ გზას ირჩევს და თანაც, გარკვეული მიზნით, თავისუფლად ექცევა ქრონოლოგიას (პოემაში ჯერ ალა-შაჰმად-ხანის შემოსევასა და კრწანისის ტრაგედიას გვიხატავს, ხოლო შემდეგ გვამცნობს შეფე ერეკლეს გადაწყვეტილებას რუსეთთან ურთიერთობის გარშემო).

როგორც აღვნიშნეთ, ქართლ-კახეთსა და რუსეთს შორის დადებული ურთიერთკავშირი ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა ძალზე მტკივნეულად მიიღო და ერეკლეს გადაწყვეტილებას მოწინააღმდეგენი გამოუჩნდნენ.

ნ. ბარათაშვილის პოემაში წარმოდგენილი ორი საპირისპირო აზრი მაშინდელი ორი სხვადასხვა ორიენტაციის მაჩვენებელია. პოემამ დაწერისთანავე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება და მასში დასმული საკითხები დღემდე რჩება პრინციპული სჯამათის საგნად, კერძოდ, განსაკუთრებული დავის საგანი იყო და არის პოემა-

ში დასმული საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი-საღმის თვითონ პოეტის დამოკიდებულება და მისი პოზიციის გარ-კვევა.

საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა ყველაზე მეტი რელიეფურობით გამოიკვეთა პოემაში „ბედი ქართლისა“. ზოგჯერ ამ პოემის იდეას არა სწორად აშუქებენ. ზოგი ფიქრობს, რომ იგი არ არის დასრულებული ნაწარმოები, რომელსაც აქვს თავისი თემა და იდეა, და პოეტის ტენდენციას სხვა ნაწარმოების დაუხმარებლად ვერ გვაგრძნობინებს. ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში ხშირად აღნიშნავენ, რომ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში ნ. ბარათაშვილი მოექცა ორ თვალსაზრისს შორის და პოემაში ვერ გადაწყვიტა, თუ რომელი მათგანი გაემართლებინა; რომ პოემაში გამოკვეთილად და ნათლად არ ჩანს პოეტის აზრი. „ბედი ქართლისას“ მძაფრი რეალისტური ხასიათი შეუმჩნეველს ხდის პოეტის სუბიექტურ განწყობილებას და ამიტომ პოემის ავტორის დამოკიდებულება თხზულებაში აღძრულ მთავარ პოლიტიკურ საკითხთან პრობლემად არის ქცეული ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

1968 წელს დიდი ზეიმით აღინიშნა ნ. ბარათაშვილის დაბადების ასორმოცდაათი წლისთავი. ამ დროს (და მის შემდეგაც) პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. სრულიად ბუნებრივია, რომ პოეტის შემოქმედებაში ქართლის ბედის საკითხი კუთვნილ წინა პლანზეა წამოწეული. ამასთან, აღნიშნული თვალსაზრისით პოეტის იდეური მრწამსის გაგებაში აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა ისევ და ისევ გამოვლინდა.

ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში გამოთქმულია ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებანი; რომ პოეტი პოემაში გამოდრს როგორც ერეკლეს პოლიტიკის მოწინააღმდეგე და მისი თანაგრძნობა მთლიანად სოლომონ ლიონიძის მხარეზეა (გ. ჭავჭავაძე, გ. ნადირაძე, ვ. კოტეტიშვილი, და სხვ.); სხვანი ამტკიცებენ, რომ პოეტი გარებულია და ორივე მხარეს თანაუგრძნობს (პ. ინგოროყვა, გ. ქიქოძე, აპ. მახარაძე და სხვ.); ნაწილი კრიტიკოსებისა ვარაუდობს, რომ პოეტი თავის პოზიციას არ ამჟღავნებს, მაგრამ მაინც შეიმჩნევა, რომ მისი სიმპათიები სოლომონის მხარეზეა (კ. აბაშიძე, ს. ხუნდაძე, ა. გაწერელია და სხვ.); ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ უფრო მეტად ერეკლეს თანაუგრძნობს და მის გადაწყვეტილებას ამართლებს (გ. ჯიბლაძე, ს. ჩიქოვანი, გ. კიკნაძე, გ. აბზიანიძე, ა. ჩავლეიშვილი ლ. ბოლქვაძე და სხვ.) და ა. შ. (არაფერს ვამბობთ, ზოგიერთ ისეთ ავტორზე, რომლებიც ნაწარმოებს აშკარად ტენდენ-

ციურად და წინასწარი განწყობით უდგებიან და ფიქრობენ, ის, ვინც ამტკიცებს, რომ პოეტი ერეკლეს გადაწყვეტილებას თანაუგრძნობსო, ამით პოეტს სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვის მომხრედ აცხადებს).

სავსებით მართებულად აღნიშნავდა პროფ. დ. გამეზარდაშვილი, რომ „ნ. ბარათაშვილი თანაუგრძნობს ერეკლე მეორეს, როგორც ისტორიული აუცილებლობის სწორად შემგნებს და დიდ პატრიოტს; რომელიც სხვაზე მეტად სწუხს და განიცდის, მაგრამ იძულებულია შეურიგდეს რუსეთის პროტექტორატში შესვლის აზრს. საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა სხვა არჩევანის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ეს იგრძნობა თვით სოლომონ ლიონიძის მსჯელობიდანაც, რომელიც არავითარ ახალ არგუმენტს და ერეკლესათვის გაუთვალისწინებელ რაიმე საბუთს არ ემყარება“<sup>6</sup>.

ნ. ბარათაშვილის პოემის ძირითადი თემა, როგორც აღვნიშნეთ, არის საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა, ანუ რუსეთთან საქართველოს შეერთების საკითხი. იგი მკლავნდება პოემის სათაურშივე — „ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა“ და მის ძირითად ნაწილში, მეორე კარში, სადაც აღნიშნულ საკითხზე კამათია ასახული. ამ შემთხვევაში დიალოგი თამაშობს პოემის აქტიურ სიუჟეტურ როლს. დიალოგში ასახული ცხოვრებისეული გარემოებანი, რომელშიც ჩანს გმირთა მოქმედება და ამ კამათში გამოკვეთილი მოკაძათეთა შინაგანი სამყარო, აძლიერებს თხრობის დინამიზმს. აქვე აღვნიშნავთ, რომ პოემის პირველი კარი, სადაც პოეტი ხატავს კრწანისის ბრძოლის შეუდარებელ სურათს, ქართველების უკანასკნელ გაბრძოლებასა და სამწუხარო დამარცხებას, ემსახურება სწორედ მეორე კარში დასმული თემის გაშუქებას. პოემის პირველ კარში დახატული სამშობლოს მძიმე სურათი ბუნებრივად აყენებს ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის, მისი ძლიერი მფარველასა და მოკავშირის ძიების საკითხს. რასაკვირველია, ერეკლე, რომელმაც მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება, აზრი და გონება, ძალ-ღონე შეაღია ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ბრძნულად განსკვრეტს ქვეყნის ბედს, მის საარსებო საშუალებებსა და მომავალს, ხოლო მისი მოწინააღმდეგეები მხოლოდ გრძნობებსა და ემოციებს ეყრდნობიან.

მკვლევართა ერთი ჯგუფი პოემის განხილვას მეტაფიზიკური

<sup>6</sup> დ. გამეზარდაშვილი, ქართული კრიტიკა და ქართველი კრიტიკოსები, I, თბ., 1965, გვ. 197.

თვალსაზრისით უდგება: საქართველოს განსაკუთრებული ძნელობების დროს მეფე ერეკლე საქართველოს ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთებას მოითხოვს; სოლომონსა და სოფიოს კი საკითხის ამგვარი დასმა და გადაწყვეტა წარმოუდგენელ და დაუშვებელ საქმედ ესახებათ: ერეკლეს გააჩნია ზოგი არგუმენტი საკუთარი მოსაზრების სასარგებლოდ, მაგრამ იგი საკმაოდ არაა და ამდენად დაუჯერებელია: სოლომონისა და სოფიოს მიერ წამოყენებული არგუმენტები კი პატრიოტული სულისკვეთების გამოხატულებაა, უფრო დამაჯერებელია და ნ. ბარათაშვილის იდეურ-პოლიტიკური კრედიტს ამ უკანასკნელთან თვალსაზრისის შეესაბამება.

საკამათო არაა, რომ ერეკლეს მიერ საკითხის დაყენება და გადაწყვეტა ასეთ შემთხვევაში მეტისმეტად ზერელედ და იოლად შეფასებული: — როგორც ფაქიზი ეროვნულ-პატრიოტული გრძნობის საწინააღმდეგო, ქართველი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების უგულვებელმყოფი, — იგი. დიამეტრალურად უპირისპირდება და აბსოლუტურად გამორიცხავს სოლომონისა და სოფიოს სანუკვარ ეროვნულ იდეალებსო. ცხადია, საკითხის ასე მეტაფიზიკურად დაყენების მართებულებას წინასწარ უკამათოდ თუ მივიღებთ, მაშინ რაღა საძიებელი იქნება, კეშმარტად უდიდესი პატრიოტი და მამულის უანგარო მოჭირანხულე ნ. ბარათაშვილი საქართველოს ბედზე მოპაექრეთაგან. თუ ეის მხარეს ვიგულოთ.

ცხადია, ნ. ბარათაშვილის მრავალმხრივ პრობლემატური შემოქმედების ძირითადი მოტივების მართებული გაგებისათვის დავა დაკამათი მომავალშიც გაგრძელდება, მაგრამ თვით საკითხის შემოძრითი დაყენება არა თუ გარანტიას იძლევა, არამედ გამორიცხავს კიდევ რთული პრობლემის მართებულ გადაწყვეტას.

როცა ვლაპარაკობთ ერეკლე მეორის გადაწყვეტილებისადმი პოეტის თანაგრძნობაზე, მართლაც „ვინ იტყვის. ან იმას, რომ სოლომონის გულისტყვილი ერეკლეს, ან ჩვენ პოეტს ნაკლებად აწუხებდეს?

დიდმა პოეტმა არა მარტო ისტორიული აუცილებლობის მკაცრი ლოგიკა შეიმეცნა და მის ფონზე ერეკლეს ნაბიჯიც გაამართლა, არამედ მთელი მტკივნეულობით განიცადა ის მძიმე ზვედრიც, რომელსაც ეროვნული თავისუფლების დაკარგვა იწვევდა. დიარ, ბარათაშვილმა სისრულითა და სწორად წარმოადგინა ეპოქის წინააღმდეგობრივი ხასიათი, ისტორიული მოვლენის ორი მხარე“<sup>7</sup>.

<sup>7</sup> დ. გამეზარდაშვილი, ქართული კრიტიკა და ქართველი კრიტიკოსები, გვ. 197.

როცა პოემაში ასახულ პაექრობაზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ მიუთითებენ სოლომონის სიტყვებს:

მადლობა, ღმერთო, შენსა განგებასი  
ერთს კაცს მოჰმადლებ ყოვლთა უფლებას  
და მის ერთს სიტყვას ჰმონებენ ერნი,  
განურჩევლად სულელნი, ბრძენნი,  
და იგი მათს ბედს ისე განაგებს,  
ვითა აშლერდეს იგი კამათლებსი  
მაგრამ შენ, მეფე, ვინ მოგცა ნება,  
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,  
მისდევდე შენსა გულისკვეთებას  
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?

ამ სიტყვებიდან გამოჰყავთ სამართლიანი დასკვნა, რომ მასში ისმის რესპუბლიკელის ხმა, რომ იგი სოლომონ დოდაშვილის სიტყვებია და რომ შეთქმულთა მემარცხენე ფრთის სულისკვეთებას გამოხატავს.

რომ სოლომონ დოდაშვილის პიროვნებაში, მისმა პოლიტიკურმა შეხედულებებმა ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ეს ექვს გარეშეა, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში, საკითხთან დაკავშირებით იგი სოლომონ ლიონიძის აზრების სიმართლის დასადასტურებლად ვერ გამოდგება.

მართლაც, რუსეთთან ურთიერთობის საკითხში ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა ნასაზრდოებია ამ საკითხზე სოლომონ დოდაშვილისა და მის თანამოაზრეთა იდეებით და არა „ერეკლეს გადაწყვეტილებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების პათოსით“, როგორც ზოგიერთი ფიქრობს<sup>8</sup>. ასეთი შეხედულების მქონეთა აზრით, „სრულიად გამორიცხულია, რომ ბარათაშვილს თავისი თვალსაზრისი მიეჩქმალა. დიდ პოეტებს ეს არ მოსდით. რაკი საკითხი დასვა, პასუხიც უნდა გაეცა“. „პოეტს უგუნურებად მიაჩნდა საქართველოს პოლიტიკური ბედის დაკავშირება მაშინდელ რუსეთთან, რომლის ხელისუფალთ მხოლოდ კოლონიზატორული ზრახვები ამოძრავებდათ“<sup>9</sup>. მათივე აზრით პოემაში ერეკლეს აკლია დამაჯერებლობა, ზოლო ავტორის თვალსაზრისი სოლომონის თვალსაზრისის ემთხვევა და იმარჯვებს.

---

<sup>8</sup> ბ. ბარდაველიძე, „ბედი ქართლისას“ სწავლებისათვის, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1967, № 2, გვ. 65.

<sup>9</sup> ი. ქიქვი, შდრ. გ. ნაღორაძე, ნ. ბარათაშვილის ცხოვრება და ესთეტიკური სამყარო, 1961, გვ. 63.

ამ შეხედულების ავტორებს ავიწყდებათ, რომ პოეტი პოემაში რუსეთის საქართველოში დამკვიდრებასა და მის შედეგებს კი არ განიხილავს, არამედ მისი მიზანია, გვიჩვენოს მეფის მიერ გადაღებული პოლიტიკური ნაბიჯის აუცილებლობა, ორიენტაციის სისწორე მისი განზრახვის კანონზომიერება. განა ერეკლემ არ იცის, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჯობდა სხვა, თუნდაც ერთმორწმუნე სახელმწიფოს მფარველობაში ყოფნას? თავისთავად ტრაქტატის მფარველობითი ხასიათი ხომ იმის მაჩვენებელია, რომ არის. ერთი მხრივ, ძლიერი მხარე — „მფარველი“ და, მეორე მხრივ, მასზე სუსტი, რომელიც უნდა დაიფარონ და ამდენად „თავისი იურიდიული ბუნებით (ეს) იყო ზელმეკრულება უთანასწორო მხარეებს შორის“<sup>10</sup>, მაგრამ ალექსანდრე ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „საქართველო მაშინ ისეთ მძიმე ავადმყოფს ჰგავდა, რომელსაც ძლივსღა შეუძლია მკურნალს თავისი სისუსტე ამცნოს... იგი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის მფარველობა მისთვის აუცილებელია და ამიტომ ამის შესანარჩუნებლად ყველაფერი სხვა გასწირა“<sup>11</sup>.

ქვეყნის ფიზიკური მოსპობის გარდუვალი საფრთხე რომ არ ყოფილიყო, განა ერეკლე უარს იტყოდა თავის სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტზე? შექმნილმა ისტორიულმა პირობებმა აიძულა იგი გადაედგა ასეთი ნაბიჯი და ეს აქტი გამართლებულია იმით, რომ იგი ჩვენი ქვეყნისათვის ისტორიული აუცილებლობით იყო გამოწვეული. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ ამ დროს რუსეთის სახელმწიფო სულ უფრო და უფრო მოიწევედა ამიერკავკასიისკენ. მისი სოციალურ-ეკონომიური და სამხედრო-პოლიტიკური განვითარება საქართველოსთან დაახლოვებისაკენ უბიძგებდა. ამ გარდუვალობას კარგად გრძნობდა მოწინავე ქართველი საზოგადოება და ამიტომაც ათქმევინა პოეტმა მეფე ერეკლეს:

ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,  
რომ ღღეს იქნება, თუ ზვალ იქნება,  
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!

საინტერესო ფაქტია, რომ რუსეთთან კავშირის მომხრე იყო თვით ალექსანდრე ბატონიშვილიც კი. იგი იყო „შეურიგებელი მოწინააღმდეგე არა რუსეთთან კავშირისა, არამედ რუსეთის მთავ-

<sup>10</sup> ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1965, გვ. 291.

<sup>11</sup> ა. ლ. ჭ ა ვ ე ჯ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, თბ., 1940, გვ. 245.

რობის მიერ საქართველოს დაპყრობისა<sup>12</sup>. იგივე ითქმის 1832 წლის ქართველ შეთქმულთა უმრავლესობაზე. განა თვითონ სოლომონ დოდაშვილი არ აცხადებდა, რომ „საქართველოს რუსეთის მფარველობის გარეშე არსებობა არ შეუძლიარ“?<sup>13</sup> სრულიად სამართლიანია განცხადება, რომ „თითქმის არც ერთი შეთქმული და საერთოდ არც ერთი მაშინდელი პროგრესული, პოლიტიკაში მეტნაკლებად გარკვეული მოღვაწე რუსეთთან კავშირ-ურთიერთობის მოწინააღმდეგე არ ყოფილა, ოღონდ ამ კავშირ-ურთიერთობის იდეალურ ფორმად 1783 წლის ტრაქტატი ესახებოდათ“<sup>14</sup>.

მართალია, ნიკოლოზ ბარათაშვილი ნასაზრდოები იყო სოლომონ დოდაშვილისა და საერთოდ შეთქმულთა იდეებით, მან მშვენიერად გამოხატა იგი თავის შემოქმედებაში, მაგრამ, როგორც პიუთითიეთ, მას პოემაში არ დაუსვამს რუსეთის საქართველოში დამკვიდრების შედეგების ასახვის საკითხი: მისი მიზანი იყო ეჩვენებინა მართალი, ობიექტური სურათი იმისა, თუ რა მდგომარეობა იყო გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში და რამდენად აუცილებელი და გამართლებული ის პოლიტიკური ნაბიჯი, რაც ერეკლე მეორემ გადადგა. ჩვენ ვფიქრობთ, პოეტმა მშვენიერად შეძლო ეს. მან ღირსეული მიუძღვნა ერეკლე მეფის ისტორიულ დამსახურებას, ხოლო ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გენიალური განსაზღვრით: „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუცილათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“<sup>15</sup>.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა — პოეტმა ის მოგვცა ახალი, რომ ერეკლე მეორის მიერ გადადგმული ისტორიული ნაბიჯი სწორად განჭვრიტა და მხატვრული დამაჯერებლობით მოიტანა დღემდე.

ვერც სოლომონი და ვერც სოფიო ფაქტიურად შიშველი ემოციის გარდა ვერაფერს უპირისპირებენ ერეკლე მეფის მკაცრ ლოგიკას. მკვლევარები ხშირად იშველიებენ სოლომონის სიტყვებს, რომელშიაც გამოხატულია ეროვნული ზასიათის სხვადასხვაობა:

---

12 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1965, გვ. 476.

13 მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი, 1955, გვ. 80.

14 ი. ანთელავა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობათა ზასიათის საკითხისათვის XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში, ჟურნ. „ცისკარი“, 1969, № 7, გვ. 148.

15 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტომი 2, თბ., 1948, გვ. 217.

სახელმწიფოსა ერთობა სჯულის  
არაარას არგებს, ოდეს მის შორის  
თვისება ერთა სხვადასხვაობდეს.

თითქოს კარგი არგუმენტი, მაგრამ ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, რომელი სჯობს, კავშირი სახელმწიფოსთან, რომელთანაც სარწმუნოება ე. ი. „სჯულის“ და „თვისება“ სხვადასხვაობენ თუ ერთი მაინც საერთო აქვთ? შეაცირი პოლიტიკოსის ანალიტიკურ განსჯას მხოლოდ გრძნობა უპირისპირდება და ამიტომ „სოლომონის (და სოფიოს) არგუმენტი ძლიერია, როგორც ერის გრძნობის გამოპატულება, მაგრამ გრძნობებზე დაყრდნობა, როცა საქმე ერის ფიზიკურ ყოფნა-არყოფნას შეეხება, საქმეს ვერ უშველის. მეფე — ქვეყნის მამა და პატრონი ვალდებულია, გონების კარნახს დაემორჩილოს“<sup>16</sup>

ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ რუსეთთან კავშირი არც ერეკლესა და არც სხვა მის თანამოაზრეებს არამც და არამც არ მიიჩნიათ მონობად და თავისუფლების დათრგუნვად. ამასთან. რუსეთთან კავშირზე ერეკლეს აზრი შემთხვევითი კი არაა, იგი ისტორიული ქართველობის მთელ მანძილზე ყალიბდებოდა. ბრძენ მეფეს კარგად ჰქონდა განკერძოებული მისი სიაყვარე, მან კარგად იცოდა, რა მსხვერპლიც უნდა გაეღო, მაგრამ სხვა უმჯობესი გამოსავალი არ არსებობდა.

აქვე დავსძენთ, რომ ერთი საოცარი რამ ხდება ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში. თითქმის ყველა, ყოველ შემთხვევაში აბსოლუტური უმრავლესობა, ვინც აღნიშნულ საკითხს ეხება, ერთხმად აღიარებს, რომ პოემაში ერეკლე ნათლად ითვალისწინებს ქვეყნის აწმყოსა და მომავალს და პოეტიც მას გვიხატავსო. თუ ნათლად ითვალისწინებს ყოველივეს და შექმნილ ვითარებაში მისი გადაწყვეტილება სწორი და მართებულია, მაშინ ულოგიკოებაა მტკიცება, რომ პოეტი არ ეთანხმება მასო. ნ. ბარათაშვილს რად უნდა დაეზუჟა თვალი სიმართლეზე, სიმართლე კი, როგორც ვხედავთ, ერეკლეს მხარეზეა. ხოლო სინანულის გამოკრთომანსი პოეტის ლირიკული წიაღსვლაა შემდგომი სინამდვილით გამოწვეული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავის მშვენიერ პოემაში ნიკოლოზ ბარათაშვილმა უდავოდ სწორად შეაფასა შექმნილი ისტორიული ვითარება, რომელსაც ერეკლე მეფის დროს ჰქონდა ადგილი. პოეტი მოვლენებს რეალისტის ფხიზელი თვალით უცქეროდა და კარ-

<sup>16</sup> ა. კ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, 1968, გვ. 352.



გად გრძნობდა, რომ რუსეთთან საქართველოს დაკავშირება იყო ისტორიული აუცილებლობა, ყველაზე კარგი გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან. ხოლო, რომ პოეტი ერეკლე მეფის აზრს იზიარებს და თანაუგრძნობს, რომ იგი ამართლებს გმირი მეფის პოლიტიკურ ნაბიჯს, ამის ნათელსაყოფად მასალას თვით პოემა იძლევა და სხვა ნაწარმოებთა დამოწმება არცთუ სავალდებულოა.

რა მასალას იძლევა პოემა ამის დასასაბუთებლად? ამისთვის საჭიროა საკითხს ისტორიული თვალსაზრისით მივუდგეთ. უნდა გავითვალისწინოთ ობიექტური მდგომარეობა, ისტორიულად შექმნილი პირობები და აღვადგინოთ დროის ლოკალი. თუ პოემას ამ მხრივ განვიხილავთ, შევამჩნიებთ, რომ ერეკლე მეფე პოეტს ესახება გამჭვრიახი გონების, ნათელი აზროვნების გმირად, რომელსაც აქვს მომავლის წინასწარტყვრეტის დიდი უნარი და რომლის ოცნებაც ხალხის მომავალზე, მის კეთილდღეობაზე, მის საუკეთესო მერმისზე ფიქრი და ზრუნვაა.

პოემას „ბედი ქართლისა“ წინ უძღვის ავტორის მიმართვა კახელებისადმი — „კახთა მიმართ“, რომელთა შორის „აღზრდილა პატარა კახი მეფედ და გმირად“. უკვე შესავალშივე ვგრძნობთ, რომ პოეტი განსაკუთრებული სიყვარულითაა გამსჭვალული ერეკლესადმი. იგი მხურვალედ მიმართავს გმირი მეფის აღმზრდელ კახელებს და ღრმა პატივისცემის ნიშნად, მათვე უძღვნის პოემას, რომელშიაც გამოხატა ყოველივე ის, „რაც საყვარლის ჩვენის ირაკლის ჟამმან მეფობის მოუვლინა“. რომ პოეტი პოემაში ასახულ ერეკლე მეფის პოლიტიკურ ნაბიჯს არ იზიარებდეს და არ ამართლებდეს, ხოლო კახელებში მეფის გადაწყვეტილების თანამგრძნობნი არ ეგულებოდეს, განა ნ. ბარათაშვილი ასეთი მგზნებარებით მიუძღვნიდა ამ ნაბიჯის ამსახველ ნაწარმოებს პატარა კახის აღზრდელ კახელებს? ეს რომ ასე არ იყოს აღნიშნული შესავალი ყოველგვარ აზრს იქნებოდა მოკლებული და არავითარი გამართლება ან ფუნქცია არ დაეკისრებოდა მას პოემის გაგებისათვის.

რომ გაგვაცნოს ერეკლე მეფისა და სოლომონ მსაჯულის კამათი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხზე, პოეტი პოემის პირველ კარში გვიხატავს კრწანისის ბრძოლის ეპიკურ სურათს. როგორც ვიცით, აღნიშნული ბრძოლა გაიმართა გეორგიევსკის ტრაქტატის ზელმოწერიდან თორმეტი წლის შემდეგ. ნ. ბარათაშვილი შეგნებულად უკავშირებს რუსეთთან საქართველოს შეერთების ერეკლეს აზრს კრწანისის ბრძოლას. რატომ? იმიტომ, რომ ეს ბრძოლა იყო ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდი XVIII საუკუნის საქართველოში და, კერძოდ, ერეკლეს მეფობაში, მის მიერ გადახ-

დილ მრავალრიცხოვან ბრძოლათა ისტორიაში. ამ ომმა საბოლოოდ აშკარა გახადა ერეკლეს ორიენტაციის სიმართლე და საზოგადოებრივი აზრი მის მხარეს გადასწია. რომ გვიჩვენოს და გაამართლოს ერეკლეს აზრის სისწორე, პოეტი გვიხატავს პირველი დღის ბრძოლის შედეგით დაფიქრებული მეფის სურათს. მართალია პირველი დღის ბრძოლაში „გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი“, მაგრამ მეფეს ეს გამარჯვება არ ახარებს, რადგან „ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის! მრავალთ ყმაწვილთ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის, დასდევს აქ თავი მამულისათვის!“ მეფემ არაფერი დაიშურა საქართველოს გადსარჩენად, მაგრამ ვერას გახდა და ქართველნი დამარცხდნენ. პოეტი მიგვანიშნებს, რომ ალა-შაჰმად-ხანი განსაკუთრებულად გამძვინვარებულია, რადგან იცის ერეკლეს განზრახვა — დაუკავშიროს საქართველო რუსეთს. იგი „გაფოთებული ეძიებდა მას, ვინც ჰერანის ტახტს, მის ხელმწიფებას ქართველთა შორის წაართვა ძალა“. კრწანისის ომში ქართველთა მარცხი ერთხელ კიდევ ადამტურებს ერეკლეს გადაწყვეტილების სისწორეს, — რომ საქართველოს სჭირდება ერთმორწმუნე ძლიერი მფარველი, თორემ იგი ვერაგ მტერთა სასპარეზო ხდება. ამიტომაცაა, რომ პოემაში მეფე ერეკლე რამდენიმეჯერ უბრუნდება და ამახვილებს მოკამათის ყურადღებას კრწანისის ბრძოლის შედეგზე, იმ საფრთხეზე, რაც შეიძლება მას მოჰყვეს.

როგორც ერეკლე, ისე სოლომონი ანთებულნი არიან სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობით. მათი უპირველესი ოცნება სამშობლოს — საქართველოს ბედნიერებაა. მაგრამ ერთია სურვილი და მეორეა ამ სურვილის განხორციელება. სწორედ ამაზეა კამათი პოემაში. სოლომონის მსჯელობა დიდი პატრიოტული გრძნობითაა გაუღენთილი, იგი გვხიბლავს და გვიტაცებს, მაგრამ არ გვათბობს. რატომ? იმიტომ რომ სოლომონის მსჯელობა სიყვარულით დაბრმავებული ადამიანის მეტყველებას გვაგონებს, რომელიც ამ სიყვარულის მიღმა არ იხედება. იგი ვერ ითვალისწინებს მოსალოდნელ მოვლენათა სიძლიერეს, ფხიზლად ვერ აფასებს შექმნილ ვითარებას, ვერ უფარდება მას საკუთარ ძალებს.

როგორია ერეკლეს მსჯელობა? იგი ქეშმარიტ, დასკვნებს აკეთებს ისტორიული ფაქტების ანალიზის შედეგად. იგი საქართველოს ბედზე მსჯელობს როგორც ბრძენი და მოსიყვარულე მამა თავის პირმშოზე. მან კარგად იცის, რომ საქართველოს აღარ შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა და ერთადერთი გზა გადარჩენისათვის ეს არის სამეგობრო ხელის გაწოდება ერთმორწმუნე რუსეთისაკენ. ეს რწმენა აძლევს სიძლიერეს მის არზს და ბევრის-

თვის (მაშინდელ ვითარებაში) მიუწვდომელს ხდის. ამ გარემოებას განსაკუთრებით უნდა გაესვას ზაზი.

სამშობლოს განსაცდელის მძიმე ჟამს ერეკლე სოლომონს უზიარებს თავის გადაწყვეტილებას, მრავალი ხნის ფიქრის შედეგს, რომ მემკვიდრეობის გადაცემას ერთმორწმუნე რუსეთს უპირებს, რომლისკენაც ჩვენს ქვეყანას იზიდავს დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობა და მის ნიადაგზე შექმნილი მტიცე კავშირი.

რას უპირისპირებს სოლომონი ერეკლეს არგუმენტაციას? ფაქტურად ვერაფერს. სოლომონი მხოლოდ გრძნობითაა შეპყრობილი, იგი არ ითვალისწინებს არც კრწანისის ბრძოლის შედეგს, არც შექმნილ ისტორიულ ვითარებას. იგი ფანატიკურად შეყვარებულია ერეკლეზე და შიშობს, სათაყვანო მეფის სახელს ჩრდილი არ მიაღდგეს. სოლომონისათვის მთავარია, რომ ერეკლემ არ მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, რადგან ამ კავშირმა რომ არ გაამართლოს, მაშინ ერეკლეს სახელს ცუდად მოიხსენებენ. იგი თხოვს მეფეს:

ნუ, ხელმწიფეო, მას ნუ იწებებ.  
შენგან კი მაგას ნუ გავგაგონებ,  
და მერმე ქართლი ვინც ვერ განაგოს,  
მაშინ მან უწყის, რაც მოაგვაროს.

მაშასადამე, თუ მეფე ერეკლე ითვალისწინებს რა ისტორიულ ფაქტებს, რეალურად ჰერეტს მომავალს და ზედავს, რომ არსებობის შესანარჩუნებლად ერთადერთი გამოსავალია ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთება, სოლომონის პატრიოტული ღალატება, სამშობლოსა და მეფის უღრმესი სიყვარული აღმაფრთოვანებელია, მაგრამ სიღრმეს მოკლებული. სოლომონი ზვალინდელ დღისკენ არ იხედება. მისი აზრით, მთავარია, დღეს ვიყოთ თავისუფალნი და ზვალ რაც მოგვივა, სულერთია, ვიდრე ირაკლი ჰყავთ ქართველებს, უბედურებაც ბედნიერებებაო, ამბობს იგი და არ ცდილობს ჩასწვდეს შექმნილი ვითარების არსს. ვერ ხედავს, რომ სხვა გზა არ არსებობს. ერეკლემ კი წინასწარ გაითვალისწინა ყოველივე, ამიტომაც ასე გულთბილი, მეგობრული სიყვარულით რომ მიმართავს მას:

ჩემო სოლომონ...  
მე ეგ ყოველივე არ ვიცი განა?  
მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის  
რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?

სხვა უმჯობეს გზას სამშობლოს გადასარჩენად იგი ვერ ხედავს ამიტომ სთხოვდა რჩევას მსაჯულს, მაგრამ მისგან დამაკმაყო-

ფილებელი პასუხი ვერ მიიღო. მხოლოდ პატრონიზმით ერსა და სამშობლოს ვერ გადაარჩენ, ზოლო ერეკლე საკუთარი დიდებისათვის როდი იბრძვის. მან იცის, რომ „ძნელი არს ცხოვრება სამეფოსი, როს უჭერეტდეს იგი ომსა დღე-ღლითი!“ კრწანისის მარცხი ამის საუკეთესო მაგალითია. მრავალი ბრძოლით მოღლილი საქართველო ღირსია „მშვიდობა ნახოს“ და მან „საფარ ქვეშ, მხოლოდ რუსეთის, ამოიყაროს ჭავრი სპარსეთის.“ ერეკლეს სწამს და სოლომონსაც არწმუნებს, რომ მხოლოდ ასეთი კავშირის შედეგად შეძლებს მისი ქვეყანა, შეინარჩუნოს სარწმუნოება, რაც თავის მხრივ, თვითმყოფლობის, ეროვნების გადარჩენას უდრიდა. ერეკლე მიმართავს სოლომონს:

და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გერწამდეს,  
რომ ქრისტიანთ ხმა მარად ისმოდეს  
საფლავთ ზე ჩვენთა მამა-პაპათა,  
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!

აშკარაა, რომ პოემაში ერეკლეს აზრი მოცემულია როგორც ღრმა, წინასწარ განსაზღვრული და შორსმჭვრეტელური. იგი დამყარებულია ისტორიულ ფაქტებსა და წმინდა გონებრივ განსჯაზე. ერეკლეს სოლომონზე ნაკლებ როდი აწუხებს თავისუფლების დაკარგვა, მისთვის უფრო მეტადაა სასურველი პოლიტიკური თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მაგრამ სხვა გამოსავალს იგი ვერ ხედავს. „კეთილთა დღეთათვის ქართლის“ მან არ იცის „რა მოავაროს უმჯობეს ამის“? ეს არის სწორედ ერეკლეს (და ვფიქრობთ, ასევე პოეტის) სულიერი ტრაგედიის არსი: წინააღმდეგობა სასურველსა და შესაძლებელს შორის. ამიტომაც პოეტის განსაკუთრებული თანაგრძნობა მეფისადმი, ამიტომ შეირყა სოლომონის პატრიოტული სიმტკიცე და ერეკლეს გადაწყვეტილების გარშემო ფიქრს იგი ერთგვარი დაქვევებით ამთავრებს, რითაც უკვე თითქოს თვითონაც ამართლებს მეფის განზრახვას:

მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება  
უკეთ ფიქრობდეს, რაც გვეჭირება:  
ბევრჯერ ლეთიურსა ზრუნვასა მეფის  
გონება ყმათა ვერა მიხვდების!

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ მეფე ერეკლე არა პირადული, არამედ მთელი ქართველი ზალხის ინტერესებიდან გამომდის, ზოლო ზალხი კი სწორედ რუსეთისაგან ელოდა საქართველოს დაცვას და მშვიდობის დამყარებას.

პოემის დასასრულს ნაჩვენებია ალა-მაჰმად-ხანის მიერ აოხრებული თბილისის სურათი, რაც ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს პოეტის განზრახვაზე, გვიჩვენოს ერეკლეს გადაწყვეტილების აუცილებლობა, რომ საქართველომ, „საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის ამოიყაროს ჭავრი სპარსეთის!“

პოემის ბოლო ამბავში ავტორი გვამცნობს, რომ ქართველმა ხალხმა კვლავ აღადგინა თბილისი, თუმცა „ადრინდელს მრავალი აკლდა“. პოემა მთავრდება სიტყვებით:

დიდიხანა გულს ირაკლისა  
გარდუწყვეტია ბედი ქართლისა!

ამ სიტყვებით პოეტი გვიჩვენებს, რომ ერეკლე იყო პირველი, ვინც ალლო აულო ისტორიის ჩარხის ბრუნვას და საკეთილოდ გადაწყვეტა საქართველოს ბედი. რომ ეს გადაწყვეტილება პოეტის თანაგრძნობით სარგებლობდა, ამას, ვფიქრობთ, ზემოთქმული გვიჩვენებს.

ამგვარად, პოემა „ბედი ქართლისა“-ს, როგორც შინაარსი, ისე მისი კომპოზიციური განვითარება ადასტურებს ერეკლეს აზრის სისწორეს. პოემის შესავალში ლაპარაკია ერეკლეზე, საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე მის ღვაწლზე და მის მნიშვნელობაზე. ამას მოსდევს კრწანისის ბრძოლის სურათი. ამ ბრძოლის შედეგი თავისთავად ერეკლეს აზრის სისწორეს (რომ საქართველოს ძლიერი ერთმორწმუნე მფარველი ესაჭიროება) გვიჩვენებს. დამარცხებული და აოხრებული თბილისის ფონზე მიმდინარეობს ერეკლესა და სოლომონის კამათი საქართველოს მომავალზე, მის ბედზე. ეს კამათი წარმართულია ერეკლეს აშკარა უპირატესობით და, დასასრულს, მკითხველის ყურადღება კვლავ მიქცეულია კრწანისის ბრძოლაზე, საქართველოსა და ქართველებისათვის მის შემზარავ შედეგზე.

პოემის მიხედვით (ისევე, როგორც სინამდვილეში, როგორც ისტორიულად) რუსეთთან საქართველოს აკავშირებს და აერთიანებს არა მეფე ერეკლეს რაღაც პირადი ახირება, არამედ შექმნილი ისტორიული ვითარება, ხოლო მეფე ერეკლე ისტორიის კარნახით მოქმედებს და მის აღმასრულებლად გვევლინება. რუსეთისაკენ საქართველოს ლტოლვა არ არის ნაუცბათევი. რუსეთისაკენ საქართველოს იზიდავდა დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობა, ამ ურთიერთობის ნიადაგზე შექმნილი მტკიცე კავშირი და ქრისტიანული სარწმუნოება. დროთა მანძილზე ჩამოყალიბდა რუსეთთან ურთიერთობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ჯგუფები. ერეკლე მეორე პოემაში დახატულია არა მხოლოდ როგორც სახელმწიფო მმართვე-  
5. ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები

ლი და განმგებელი კეთილი მეფე, არამედ გამოყვანილია, როგორც ტიპიური წარმომადგენელი რუსეთთან საქართველოს შეერთების მომხრეებისა. სოლომონიც ტიპიური წარმომადგენელია იმ ქართველი პატრიოტებისა, რომელთაც ჯერ კიდევ ჰქონდათ საკუთარი ძალებით საქართველოს გადარჩენის იმედი. სოლომონ ლიონიძე იმ ჯგუფის წარმომადგენელია, რომელიც წინააღმდეგ რეაქციული თავდაზნაურობისა და რენეგატებისა, გულწრფელი პატრიოტული გრძნობებით ცდილობდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

როგორც ერეკლე, ისევე სოლომონი სამშობლოს უსაზღვრო პატრიოტები არიან, რომელთაც გულს უსერავს საქართველოს ბედი, მაგრამ მის გადასარჩენად სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო გეგმა და გზა დაუსახავეთ. როგორც ისტორიამ ცხადჰყო, ერეკლე უფრო შორსმკვრეტელი აღმოჩნდა, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილმა გენიალურად განსკვრიტა ერეკლეს აზრის სისწორე, მისი სიმართლე და ასაზა იგი თავის უკვდავ ქმნილებაში — „ბედი ქართლისა“.

## შალვა გოჯალაშვილი

### აკაკი წერეთლის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის

#### აკაკი წერეთელი და ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი

ქართველი ხალხის სახელოვან მგოსანს აკაკი წერეთელს განსაკუთრებით გულთბილი მეგობრობა და სიყვარული აერთებდა საზოგადო მოღვაწეებთან, ვისაც გული ერჩოდა მშობელი ერისა და ხალხის სასიკეთოდ, ვინც იღვწოდა ქართული კულტურის, ისტორიისა და მწერლობის აღორძინებისათვის.

ერთ-ერთ ასეთ საყვარელ და მაზლობელ ადამიანად აკაკის მიაჩნდა სამხრეთ საქართველოდან (ახალციხე) გამოსული უნაგარო საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი, რომელსაც, მაშინდელი უკუღმართი პირობების გამო, ბედმა სამშობლოდან შორს არგუნა ცხოვრება.

აკაკი წერეთელთან მიხეილ თამარაშვილის ახლომეგობრული და საზოგადოებრივი ურთიერთობა რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, პირველ რიგში, საჭიროა გავითვალისწინოთ მისი ცხოვრების გზა, მისი ბიოგრაფიის უმთავრესი მომენტები. ცხადია, საკითხის შესწავლისათვის ამას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

ცნობილი ქართველი შველევარი-ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი დაიბადა ქ. ახალციხეში, ღარიბი ხელოსნის ოჯახში 1858 წლის 19 მაისს. მას წერა-კითხვა შეუსწავლია ივანე გვარამაძის — „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით ცნობილ საზოგადო მოღვაწის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება კი ახალციხის სამოქალაქო სასწავლებელში მიიღო. შემდეგ სწავლა კონსტანტინეპოლში განაგრძო, ზედმიწევნით შეიასწავლა საქართველოს ისტორია და ლიტერატურა. იგი 26 წლისა იყო, როდესაც ბერად აღიკვეცა, მაგრამ მასში ღვიოდა სწავლისადმი ძლიერი წყურვილი. მრავალი დაბრკოლების მიუხედავად იგი გაიგზავნა ესპანეთში სასულიერო განათლების მისაღებად. იქ მიხეილმა ორი

წელიწადი დაჰყო, შემდეგ საფრანგეთში გაემგზავრა და სწავლა განაგრძო წმინდა ლაზარეს სასულიერო სასწავლებელში; კარგად დაეუფლა ევროპულ ენებს: შეისწავლა ფრანგული, იტალიური, ესპანური, ლათინური და სხვა ენები.

ევროპაში განათლების მისაღებად წასულ მიხეილ თამარაშვილს ახალგაზრდობიდანვე აღმოაჩნდა სამშობლო ქვეყნის ისტორიული წარსულის შესწავლისა და კვლევის დიდი მისწრაფება, ცოდნა და უნარი. იგი მთელი გატაცებით მუშაობდა ევროპის სიძველეთა საცავებში: ვატიკანში (იტალია), პარიზში და სხვაგან ქართული საისტორიო წყაროების შესასწავლად, იწერდა და აგროვებდა საარქივო მასალებს.

ამასთან დაკავშირებით, სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ეროვნული კულტურის საგანძურში, ძველ ქართულ ხელნაწერთა გარდა, დაცულია საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეთა და მწერალთა პირადი ლიტერატურული ფონდები. მათ შორის აღსანიშნავია: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გრიგოლ ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანის, რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილის, მიხეილ და გიორგი თუმანიშვილების, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი და ანასტასია წერეთლების, ილია ნაკაშიძის, ალექსანდრე ჯაბადარის, ვასილ კარბელაშვილის, ევგენი ვაიდენბაუმის, ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის, მიხეილ მაჩაბლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და მიხეილ თამარაშვილის პირადი საარქივო ფონდები.

ამ ფონდებში წარმოდგენილ მასალას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მე-19 საუკუნის ქართული ეროვნული კულტურის, მწერლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიისათვის.

ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა შევაჩეროთ მიხეილ თამარაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მუშაობის ამსახველი პირადი ლიტერატურული ფონდის მასალებზე.

1911 წლის სექტემბერს, იტალიაში, რომის მახლობლად სოფელ სანტა-მარინელაში მიხეილ თამარაშვილის სრულიად მოულოდნელად ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ, გულშემატიკვარ ნათესავთა და ახლობელთა წყალობით, ისტორიკოსის პირადი ლიტერატურული ფონდი საზღვარგარეთიდან საქართველოში გამოიგზავნა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცა.

მიხეილ თამარაშვილის პირად ლიტერატურულ ფონდში (№10) დაცულია 1045 სახელწოდების შესანახი ერთეული, ზოლო მასში



თავმოყრილი მასალა 1628—1911 წლებს მოიცავს. ფონდი მთლიანად დამუშავებული და მოწესრიგებულია, მისით სარგებლობა მკვლევართა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია.

ფონდის პირველ განყოფილებაში თავმოყრილია მცირედი ბიოგრაფიული მასალა მიხეილ თამარაშვილის შესახებ, სულ ოცდაოთხი შესანახი ერთეულის სახელწოდების საბუთი თუ დოკუმენტა (№№ 1—24).

მეორე განყოფილებაში დაცულია მ. თამარაშვილის შემოქმედებითი მუშაობის ამსახველი არასრული მასალები, ოცდათორმეტი შესანახი ერთეულით (№№ 25—26). ამ მასალებიდან ყურადღებას იპყრობს დიონიჯიო კარლო დაპიაჩენცა ილმორის ცნობები მე-17 საუკუნის საქართველოზე (№ 25), სულხან-საბა ორბელიანის წერილი, ამოწერილი საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან (№ 33); ისტორია საქართველოს ეკლესიისა, ავტოგრაფი ფრანგულ ენაზე და ნუსხები (№№ 42, 43, 44, 45, 46).

მესამე განყოფილებაში მოქცეულია მცირედი მასალები, რომლებიც ასახავენ მ. თამარაშვილის სამეურნეო ხასიათის საქმიანობას, სულ 11 სახელწოდების შესანახი ერთეული (№№ 57—67).

ფონდის მეოთხე განყოფილებაში თავმოყრილია მასალები, რომლებიც ნათელს ჰფენენ მ. თამარაშვილის საზოგადოებრივ მოღვაწეობას და სამსახურებრივ (სასულიერო მოღვაწეობის) საქმიანობას, — სულ 26 სახელწოდების შესანახი ერთეული (№№ 68—93), — აქ არის მ. თამარაშვილის მოხსენებები ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში ქართული ენის აკრძალვის შესახებ (№№ 69, 71), ამონაწერები დომინიკელების არქივიდან (№ 85), მოხსენება ქართველ და სომეხ კათოლიკეთა განხეთქილების შესახებ (№ 92); მისივე მოხსენება საქართველოში კათოლიკე მისიონერთა საქმიანობა-მოღვაწეობის შესახებ (№ 93) და სხვ.

ფონდის ყველაზე დიდ მასალას შეიცავს მეხუთე განყოფილებაში თავმოყრილი მიმოწერა: კერძო წერილები, დეპეშები და სადარბაზო ბარათები, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და სხვათა წერილები მ. თამარაშვილთან, მიხეილ თამარაშვილის წერილები სხვადასხვა პირებისადმი, სულ 683 შესანახი ერთეული (№№ 74—776). პირადი წერილების დიდი ნაწილი საზოგადოებრივი ხასიათისაა და არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ დროის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სხვადასხვა საკითხების შესწავლისათვის. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია აკაკი წერეთლის (№ 467), ზაქარია კიკინაძის (№ 469), ალექსანდრე ხახანაშვილის, თედო სახოკიას (№ 416-ა), ნიკო ლოლობერიძის (№ 453), სიმონ

ქვარიანის (№ 449), ივანე გვარამაძის (ვინმე მესხის), ალ. მრეველიშვილის, იაკობ ნიკოლაძის და სხვათა წერილები; თვით მიხეილ თამარაშვილის პირადი წერილები ქართველ მოღვაწეებთან: აკაკი წერეთელთან, ალექსანდრე ხახანაშვილთან, პეტრე მირიანაშვილთან, გრიგოლ ყიფშიძესთან, ალექსანდრე სარაჯიშვილთან და სხვებთან მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევა და ნათლად ღალადებს მიხეილ თამარაშვილის დიდ დამსახურებაზე სამშობლოს წინაშე.

ფონდის უკანასკნელ, მეექვსე განყოფილებაში თავმოყრილია მიხეილ თამარაშვილის მიერ შეკრებილი სხვადასხვა მასალა (№№ 777—1045), სულ 269 შესანახი ერთეული. მათ შორის ყურადღებას იპყრობს: პაპი ინოკენტის წერილები იბერიის მეფე გიორგისადმი, ვატიკანის არქივიდან, 1688 წლის (№ 781), ალ. ხახანაშვილის წერილები ქართული სახარების გამოცემის შესახებ, ქართველ კათოლიკეთა შესახებ, ავტოგრაფი ფრანგულად (№ 910), საქართველოს სამეფო ღერბის სურათი და მისი ახსნა-განმარტება (№ 912), მარი ბროსეს წერილი უცნობი პირისადმი (№ 1023), სურათები, ერმაკოვის კოლექციიდან (№ 1034), კასტელის კოლექციიდან (№ 1035): წმინდა საბას მონასტერი იერუსალიმის მახლობლად (ფოტო), (№ 1039), ჭვარის მონასტერი იერუსალიმის მახლობლად და სხვა მრავალი.

შეუენლებელი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის გარდა, მიხეილ თამარაშვილს საუკეთესო ადამიანური თვისებები ახასიათებდა. თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი ყოველთვის უანგარო დახმარებას უწევდა ყველას, ვინც სამშობლო ქვეყნისათვის სასარგებლო მოღვაწეობისათვის იღწვოდა. განათლების მისაღებად საზღვარგარეშო მყოფ ქართველ ახალგაზრდებს, შემდეგში ცნობილ მოღვაწეებს: ივანე სახოკიას, ალ. მრეველიშვილს, იაკობ ნიკოლაძეს და სხვებს მის. თამარაშვილი გზის მაჩვენებლად, დამხმარედ და დიდ იმედად მიაჩნდათ.

ამის ნათელსაყოფად მრავალი დამახასიათებელი ცნობა მოიპოვება ქართველ მოღვაწეთა პირად წერილებში მიხეილ თამარაშვილისადმი. ეს ჩანს მიხეილ თამარაშვილის წერილებიდანაც.

განსაკუთრებული ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით გამსჭვალულია მიხეილ თამარაშვილი დიდი აკაკისადმი. თავის მხრივ, აკაკიც განუზომელი გულისხმიერებით ეკიდებოდა სამშობლოდან გადახვეწილ თავის უმცროს თანამემამულეს, რომლის მოღვაწეობას აღტაცებაში მოჰყავდა მხცოვანი პოეტი.

ცნობილი ქართველი ხელოვანი ალექსანდრე მრეველიშვილი 1901 წლის 8 აპრილს, თბილისიდან რომში მიხეილ თამარაშვილს

სწერდა: „ყველა სიხარულით და სიამაყით გიგონებენ და თვითონაც მეტს ენერგიას ეძლევიან, რა ჰხედავენ, რომ უცხოეთშიაც კი შრომობენ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ღმერთმა მეტი უნარი მოგცეთ და რაც შეეხება თქვენს გულკეთილობას ხომ საზღვარი არ აქვს“.

მიხეილ თამარაშვილი 1901 წელს საზოგადო მოღვაწეს — პეტრე მირიანაშვილს სწერდა: „გაგებული გექნებათ უეჭველია, რომ მე კარგა ზანია ევროპაში ვკრებ საჭირო დოკუმენტებს მეტადრე ქართველი კათოლიკეების შესახებ. დიდის შეწუხებისა და შრომის შემდგომ დღეს მოვაზაადე ის დოკუმენტები საჭირო განმარტებით დასასტამბად“. მართლაც, სულ მალე, 1902 წელს გამოაქვეყნა ფუნდამენტალური შრომა — „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით მე-13 საუკუნიდან ვიდრე მე-20 საუკუნემდე“.

ამ შრომის შესახებ გაზეთი „ივერია“ 1902 წელს წერდა: „წიგნს ქართველებისათვის უფრო მეტი, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. ვიდრე ამ მნიშვნელობას გამოხატავს თვით გამოცემის სათაური. ეს მართო „კათოლიკობის ისტორია“ კი არ არის, არამედ საქართველოში შინაური ცხოვრების და პოლიტიკური მდგომარეობის ისტორიაა და ამ მხრივ ეს შესანიშნავი წიგნი მეორე „ქართლის ცხოვრებაა“.

ავტორმა უცხოეთში აღმოჩენილი წყაროების მიხედვით ამ წიგნში მოგვცა მეტად საყურადღებო ისტორიული ცნობები ლაშა გიორგის, რუსუდან დედოფლის, ვახტანგ მეექვსის, გიორგი სააკაძის, ერეკლე მეორისა და სხვათა შესახებ.

ამ შრომას მოჰყვა 1904 წელს დაბეჭდილი წიგნი — „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას“.

საზღვარგარეთულ არქივებში საქართველოს შესახებ არსებულ ისტორიულ წყაროებზე მიხ. თამარაშვილის ნაყოფიერ მუშაობაზე 1904 წლის 27 აპრილს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ „ახალ ამბავში“ წერდა: „პარიზიდან გვატყობინებენ, რომ... მიქელ თამარაშვილი შესდგომია ფრანგულად წერას საქართველოს საეკლესიო ისტორიისას. ამ შრომას წინ წაუძღვება მოკლე საგეოგრაფიო-საეტიმოგრაფიო-საპოლიტიკო მიმოხილვა ჩვენის ქვეყნისა. შიგ ჩართული ექნება გეოგრაფიული რუკები ძველნი და ახალნი და წმინდანთა სურათები“.

ამის შემდეგ არც ისე დიდი დრო გავიდა, რომ 1910 წელს, საზღვარგარეთ, ფრანგულ ენაზე გამოიცა მიხეილ თამარაშვილის „სა-

ქართველოს ეკლესიის ისტორია“. ავტორის ამ წიგნით ევროპის საზოგადოებრიობა გაეცნო ქართველი ხალხის ისტორიას, მის კულტურას, ყოფაცხოვრებას. ევროპის პრესამ ამ შრომას დამსახურებულიად მაღალი შეფასება მისცა.

„საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ გამოცემამდე, 1909 წლის 27 ოქტომბერს, მიხეილ თამარაშვილი პარიზში მყოფ აკაკის სწერდა: „ამის დაწერაზე ბევრი ვიშრომე. კაი შესანიშნავი დოკუმენტებიც შემოვიკრიბე. ეს დიდი შრომა ორი-სამი წლის წინეთ უნდა დაწყებულა, მაგრამ სამწუხაროდ, აქამდინ მისი დაბეჭდვა ვერ დავიწყე, რადგან დიდი ხარჯი უნდა. ამაში მომყავს ორი საქართველოს ძველი და ახალი გეოგრაფიული კარტა, აგრეთვე ყველა იქაური შესანიშნავი მონუმენტების სურათები, რაის გამო დიდად საინტერესო იქმნება ყველასათვის. ბევრგზის მივმართე ქართველებს საცალკეოდ თავად-აზნაურთ წარმომადგენელს, რომ ცოტა შემწეობა აღმოეჩინათ ამის დასაბეჭდათ. გარნა ჩემდა დიდ სამწუხაროდ, ცარიელა პასუხიც კი არ მაკადრეს. წინათ ზუბლაშვილები წლიურ სუბსიდიას ჰაძლევდნენ, ისიც მომისპეს ამ ბოლო წლებში. ეს ჩემი შრომა აქ გაიცნეს პოლიაკებმა, ასე წარმოიდგინეთ იმათ შემწეობა აღმოეჩინეს და ქართველებმა კი მთლად ზურგი მომაქციეს. ამნაირ მათ უყურადღებობამ ძლიერ დიდად გული გამიტეხა. ამისთვის არ ვიცი თუ შემდეგში კიდევ გავბედავ სხვა შრომას თუ არა საქართველოს სასარგებლოდ“.

მიხ. თამარაშვილი უჩიოდა ხელმოკლეობას, მაშინდელი საზოგადოების გულგრილობას და უყურადღებობას საზოგადო საქმიანობის მიმართ. „ამნაირ მათ უყურადღებობამ ძლიერ გული გამიტეხა. — სწერდა იგი აკაკის. — უკეთუ კეთილ ინებებთ და ქართველ საზოგადოებას ჩააგონებთ, რომ ცოტა მაინც შემწეობა აღმოეჩინონ ამ წიგნის დასაბეჭდად, დიდად დაგიმადლებთ.“

ხოლო ამას კი გთხოვთ უმორჩილესად, რომ ვისი საშუალებითაც კი შეიძლება, ზუბალაშვილებს, მეტადრე იაკობს, შემახვეწოთ, რომ ის წლიური სუბსიდია, გადაწყვეტილი თავიანთი მიცვალებული ძმის სტეფანეს მიერ, ისევ გამოგიგზავნონ... უკეთუ ამ სუბსიდიას კვალად, თქვენის თხოვნით, გამოაგზავნიან, ძლიერ დამავალებო, რადგან მაშინ კაი საშუალება მექნება, რომ ამ ჩემი წიგნის საქმე ვაწარმოო.

დარწმუნებული ვარ თქვენი კეთილშობილი გულისაგან, რომ ამ საგნისათვის თქვენს ცდა-შრომას არ დაზოგავთ.

ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ ზამთარი აქ კაი სასიამოვნოა. სიცოცხე საიმისო არ არის, მაშ იანვარში უთუოდ მობრძანდით“.

როგორც ჩანს, მიხეილ თამარაშვილმა, მატერიალური ზელ-  
მოკლეობის მიუხედავად, დიდი შრომა გადაიტანა და ამ წიგნის გა-  
მოცემა მაინც მოახერხა, რის გამოც დიდ ვალშიც ჩავარდნილა.

„ამ შრომის ღირსებას მე არ აღვწერ, — სწერდა იგი 1911 წლის  
10 მაისს გრ. ყიფშიძეს, — ყველა შეგნებულ კაცს შეუძლია სცნოს  
და დააფასოს ჭეროვნად. ხოლო ამას მოგახსენებთ, რომ აქამდინ  
ევროპაში საქართველოზე ბევრნაირ შეცდომილი აზრები იყო გავ-  
რცელებული და ქართველები მიაჩნდათ ისე, როგორც ველური  
ხალხი, მოკლებული საჭირო და შესაფერ განათლებას. აი ერთი მი-  
ზეზი ეს იყო, რომ დიდის ალტაცებით მიეგებნენ ამ ჩემს შრომას და  
ბევრმა შესანიშნავ გაზეთმა შესანიშნავი სტატიებიც მიუძღვნა. რა-  
ოდენათაც აქამდინ შეეიტყუე, 50-ზე მეტ ჟურნალ-გაზეთმა ილაპარა-  
კა დიდის ქებით ჩემს წიგნზე. ესრეთი მოვლენის შემდგომ დარწმუ-  
ნებული უნდა ვიყოთ, რომ საქართველომაც, რომლისათვისაც გან-  
წირული ვიშრომე, ჭეროვნად დააფასოს ესრეთი შრომა და მიიღოს  
შესაფერი მონაწილეობა მის წარმატებაში.

ამ წიგნის გამოცემით, დიდი შრომის გარდა, დიდი ხარჯიც მამი-  
ვიდა. ყველანაირი შეწუხება თავზე ავიღე ამ წიგნის სისრულეში  
მოყვანისათვის, რაის გამო საკმაოდ ვალიც დამედო“.

მიხეილ თამარაშვილის დამსახურებას სამშობლო ქვეყნის ის-  
ტორიის შესწავლის საქმეში, როგორც უკვე აღინიშნა, აკაკი დიდი  
თანაგრძნობით, გულისყურით და პატივით ეკიდებოდა და აფასებდა.

1909 წლის 14 ივლისს, როდესაც სახელოვანი პოეტი აკაკი წე-  
რეთელი ევროპაში გაემგზავრა, მიხეილ თამარაშვილი ამ ამბავს  
ალტაცებით მიეგება. იგი აკაკის რომიდან პარიზში სწერდა: „კონს-  
ტანტინეპოლიდან მივიღე თქვენი ევროპაში მგზავრობის ამბავი.  
ეგრეთვე მაუწყეს თქვენი აქ მოსვლის სურვილი. ამ მოულოდნელმა  
ამბავმა მეტად გამახარა, რადგან თქვენი ნახვა ჩემთვის დიდი სიხა-  
რული იქმნება. ამისათვის მოუთმენლად მოველი თქვენს აქ მობ-  
რძანებას.

უპოროჩილესად გთხოვ, წერილით წინდაწინ მაცნობეთ თქვენი  
აქ მოსვლის დრო. ეგრეთვე როცა იტალიაში შემოხვალთ, ტელე-  
გრამით მაცნობეთ... რათა მე სტანციაზედ დაგიხვდე.

...იტალიის ქალაქები თითქმის ყველა შესანიშნავია. ამისათვის  
რაც შეიძლება გზაზედ ყველა ქალაქებში გაჩერდით და ნახეთ.  
დარწმუნებული ვარ, რომ ყველგან დიდი კმაყოფილი დარჩებით“.

აკაკი წერეთელი პასუხად პარიზიდან მიხეილ თამარაშვილს  
სწერდა: „თქვენმა წერილმა დიდად მასიამოვნა!.. მართლა რომ ძა-  
ლიან გულით მინდა მანდ მოსვლა და თქვენი ნახვა, რადგანაც

თქვენი რჩევა ჩემთვის დიდად საჭირო იქნება. ჯერ-ჯერობით, ამ ფეხში ვერ მოვდივარ და როცა წამოვალ, შეგატყობინებთ. თქვენი ნაწერები კათოლიკობის შესახებ, ფასდადებით გამომიგზავნეთ, დიდად საჭიროა. აგრეთვე გთხოვთ შემიტყოთ ალექსანდრე ზუბალოვის ადრესი. ის დიდხანია გადმოსახლდა იტალიაში და აღარ ვიცი თუ ნეაპოლშია თუ ვენეციაში. ეგები როგორმე იცოდეთ მისი ადრესაც და მაცნობეთ. დავშთები თქვენი მარად პატივისმცემელი აკაკი“.

მიხ. თამარაშვილის წერილის მიღებით კმაყოფილი აკაკი იაკობ გოგებაშვილს სწერდა: „გუშინ მივიღე თამარაშვილის წერილი რომიდან. ალბათ სტამბოლიდან მოუწერიათ ჩემი მოსვლაც და ჩემი აქაური ადრესიც. დიდ იმედებსა მწერს და ალტაცებითად მიბარებს რომში. მე ჩასვლის დასტური მივსწერე, მაგრამ ჯერ ვერ წავალ, რადგანაც საგზალზე ნაკლებათა ვარ... არ ვიცი როდის მომიხდება წასვლა. თამარაშვილი კი მწერს, რომ ჯერ სიცხეებია, იმთვის პირველში მოგელითო“.

წერილის მიღებით გახარებულ მიხეილს პოეტის თხოვნა შესრულებია და 1909 წლის 16 ოქტომბერის თარიღით რომიდან პასუხად მოუწერია: „აგერ ეხლა მივიღე თქვენი უკანასკნელი წერილი, რომლითაც მაუწყებთ ამას წინათ წერილის გამოგზავნას. მოგახსენებთ, რომ ეს ხსენებული წერილი არ მიმიღია, რის გამო დიდად ვწუხვარ. კეთილ ინებეთ და განმიახლეთ, რაც იმ წერილში მოგიწერიათ, თუ რაიმე საჭირო და შესანიშნავი იყო...“

იმედია ჩემს ორ წიგნსაც მიიღებდით. უკვე გაუწყე ალექსანდრე ზუბალოვის ადრესი, რომელიც ფლორენციაში იმყოფება...

თქვენი საკადრისი ადგილი და მოწყობილობა შესაფერი არა მაქვს, რომ ეგრეთი უძვირფასესი სტუმარი ჩემს სახლში მიგიღო. ამისათვის თუ საჭიროდ შერაცხამთ, მაცნობეთ, რა ფასიან „ოტელში“ მოვამზადებინო ოთახები“.

სამშობლოს მოშორებული ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი ასე მოუთმენლად ელოდა ქართველი ხალხის სასიქადულო მგოსნის ჩასვლას რომში.

როგორც მიმოწერიდან ჩანს, აკაკის მიერ განზრახული ეს მგზავრობა იტალიაში არ განხორციელდა და ისინი ერთმანეთს ვერ შეხვდნენ. ამის შესახებ 1909 წლის 24 ოქტომბერს პარიზიდან გაგზავნილ ბარათში აკაკი მიხეილ თამარაშვილს სწერდა: „ბატონო მიხაილ! ამ დღეებში მივდივარ კავკაზიაში, გარემოებამ ისე მოიტანა და ვეღარ ჩამოვალ სამ თვეზე ადრე და მაშინ კი პირდაპირ რომში ჩამოვალ უფრო დიდის ხნით. ტფილისში თუ მოგიხდესთ წერილის

მოწერა ჩემ დაბრუნებამდე, წ.-კ. საზოგადოებაში მომწერეთ და გადმოცემენ“.

ამ წერილის მიღების შემდეგ, როცა მიხეილმა შეიტყო, რომ აკაკის აღარ მოუხდებოდა იტალიაში მოგზაურობა, ამ ამბავმა იგი ზეტად დააღონა. მომავლის იმედით გამხსნელებული მიხეილ თამარა-შვილი სასიქადულო მგოსანს სწერდა:

„თქვენო ბრწყინვალეზე, თავ. ბ-ნო აკაკი!

დიდად ეწუხდი თქვენი ამბავის დაგვიანებაზე. აგერ დღეს მესამე წერილი რეკომანდითი უნდა გამომეგზავნა თქვენთვის, როცა მომივიდა თქვენი 24-ს წერილი. სწორედ მოგახსენებ, რომ დიდად დამაღონა ამ ამბავმა, რომ ეხლა ვეღარ მობრძანდებით აქ. ღირს აღსწრაფებით მოგელოდი აქ. ახლა მოთმინების მეტი რა გზა მაქვს? „

ერთი სიტყვით, გისურვებ ყველა ბედნიერებას და უვნებელს სიცოცხლეს. უმდაბლესად გთხოვ, რომ თქვენი საქართველოში მობრუნების მშვიდობის ამბავით გამახაროთ ჯერჯერობით“.

„საქართველოს ეკლესიის“ ფრანგულ ენაზე გამოცემის შემდეგ მიხეილ თამარაშვილი შეუწუხებელი ენერგიით განაგრძობდა საქართველოს წარსულის კვლევა-ძიებას, აგროვებდა ახალ მასალებს და ემზადებოდა ახალი შრომის დასაწერად. მისი ტრაგიკულად დაღუპვის სულ რამდენიმე თვით ადრე იგი გრიგოლ ყიფშიძეს სწერდა: „კიდევ ბევრი დოკუმენტები მაქვს შესაკრები. ვალის გადახდის შემდგომ თუ გარემოება ხელს ზომიწყობს, შეუყოვნებლად შევუდგები დანარჩენ დოკუმენტების შეკრებას, თუ არა, მაშინ ესრეთი ძვირფასი საუნჯე ვგონებ სამუდამოდ დაეკარგება საქართველოს, რადგან როგორც აქამდინ არცერთს საქართველოს შვილმა აიღო თავის თავზე ესრეთი დოკუმენტების შეკრება, ვგონებ ვერც ამას იქით შეიძლოს ესა“.

მიხეილ თამარაშვილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველოს მოწინავე საზოგადოება, დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის თანაგრძნობითა და ხელშეწყობით. სათანადო დახმარებას აღმოუჩენდა და ამით მიეცემოდა საშუალება ახალი შრომის დასაწერად. მაგრამ იგი თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას ვეღარ მოესწრო. 1911 წლის 16 სექტემბერს რომის მახლობლად, სოფელ სანტა-მარინელაში ადამიანის გადასარჩენად მიშველების დროს, სხვისთვის თავგანწირული მიხეილ თამარაშვილი ზღვაში ტრაგიკულად დაიღუპა.

შორეული იტალიის ცის ქვეშ უდროოდ დაღუპული ქართველი მკვლევარი — მეცნიერი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ თამარაშვილი სამშობლოს გარეთ, სოფელ სანტა-მარინელას

ეკლესიის ეზოში დაიკრძალა. მის საფლავს ამშვენებს ძეგლი, განსვენებულის სურათით და წარწერით: „აბატი მიქელ თამარაშვილი. უპასუხა რა დასალუპად განწირულის ხმას, თვით დასდო თავი თვისი და დაიღუპა ერთგული თავისი მოვალეობისა სანტა-მარინელას წყლებში 16 სექტემბერს 1911 წელსა.

სამარადისოდ დარჩება ხსოვნა მისი ტრაგიკული გმირობისა, ხსოვნა მისი სათნოებისა“.

სამშობლოს დიდი პატრიოტი ისტორიკოსი თითქოს საოცარი წინათგრძნობით განიცდიდა თავისი სიცოცხლის მოაზლოებულ ტრაგიკულ დასასრულს, როცა იგი რომში ქართველ სტუდენტთა შორის სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული ლექსით გამოვიდა. ამ ლექსში სამშობლოს ბედნიერ მომავალზე მეოცნებე მიხეილ თამარაშვილი წერდა:

სალამი შენდა. სამშობლო მხარევე,  
სალამი შენდა, კავკასიონო!  
შენც, ალაზნო, ცრემლთა მდინარევე,  
და შენც, კოლხიდის ცელქო რიონო!  
უცხოეთიდან სალამს გიგზავნი,  
სალამს მზიურს და არწივის ფრთიანს,  
შენის ოცნებით ვიქარწყლებ ვარამს  
და თავს გველები, ბუნებაღვთიანს.  
თუ ველარ გნახე, ტურფა ედემო,  
და უცხო ცის ქვეშ აღმოგხდა სული,  
შენ დამიტირე, სიცოცხლე ჩემო,  
შენ მიისვენე შენი ერთგული<sup>1</sup>.

მიხეილ თამარაშვილს მართლაც არ ეწერა, სამშობლოს დაბრუნებოდა და უცხოეთის მიწას მიეზარა მშობელი ხალხისაგან დაუტირები.

ასეთი მძიმე ხვედრი ხვდა წილად ქართველ საზოგადო მოღვაწეს, უებრო ისტორიკოსს. იგი უკვალოდ მაინც არ გაჰქრა და მისი მდიდარი პირადი საარქივო ფონდი, მის უკვდავსაყოფად დაუბრუნდა სამშობლოს.

დღეს ძნელია ვთქვათ, თუ ვინ იყო ის უჩინარი მოამაგე ადამიანი — ქართველი თუ უცხოელი, რომელმაც მადლიანი სიკეთის წყალობით ქართველ ერს შემოუნახა თავისი სასიქადულო შვილის

---

<sup>1</sup> ეს ლექსი, რომელიც დოც. ილია მაისურაძემ გადმოგვცა, ამოღებულია კ. საფარაშვილის მოგონებიდან. რითაც იგი გამოვიდა 1958 წლის 27 მაისს ა. პუშკინის სახ. პედაგოგიკურ ინსტიტუტში გამართულ მიხეილ თამარაშვილის სხოუნიადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე.



კუთვნილი განძი და მით დავიწყებისაგან იხსნა მიხეილ თამარა-შვილი.

საზოგადო მოღვაწის ფონდში დაცული ლიტერატურულ-ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ სახელოვანი წინაპრების განვლილი დღეების, მათი ნათელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ამბობენ, არაფერი არ არის დავიწყებული, უკვალოდ არაფერი არ იკარგებაო და ჩვენც ამ დაუნჯებული დოკუმენტური წყაროების ჩუხჩუხის ხმას მივეყვებით, გარდასულ დროთა ნათელი დღეები ჩვენს თვალთა წინ ცოცხლდებიან... და მართლაც, რაც იწვის და იფერფლება სამშობლოს საკურთხეველზე, ის გვინათებს მომავალს და ღალატებს სახელოვან წინაპართა უკვდავებზე. მით უფრო სიამოვნების მომგვრელია, როდესაც დიდი ხნით დაუბრებულ ქართველ მწერალთა თუ საზოგადო მოღვაწეთა უცნობ ხელნაწერებს და ავტოგრაფებს თვალს ვავლებთ, ვკითხულობთ და მათ მიერ გადმოცემულ კეთილ საქმეთა ღალადის ვუსმენთ.

თვით სასიქადულო პოეტი აკაკი წერეთელი დღენიადავ გვითვალისწინებს: „აწმყო წარსულს უნდა ეთანხმებოდეს და ორივე ერთად კი მომავლისკენ მიიწევდეს. თუ ეს არ იქნება, ჩვენი მწერლობაც უმნიშვნელო იქნება, როგორც უბრალო რამ, უსახო ლანდი“<sup>2</sup>.

აკაკი წერეთელი მუდამ შთაგვაგონებს ადამიანის ღირსებისა და ღვაწლისადმი დამსახურებულ პატივისცემას. იგი წერდა: „კაცის ნამსახურის დავიწყება და დაუფასებლობა უმადურობაა ჩვენის მხრივ, გაზვიადება და ნამეტანობა კი შეცდომა, რადგანაც ამით ნამდვილი ღირსებაც იჩრდილება“. აკაკის ეს შეგონება ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ ჩვენს მუშაობაში, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამა თუ იმ მწერლისა თუ საზოგადო მოღვაწის დამსახურებას, მის შემოქმედებას თვალს ვავლებთ და ვაფასებთ.

დიდი აკაკის თაყვანისმცემელს, მისი ახლომეგობრული და საზოგადოებრივი ურთიერთობით შთაგონებულ მიხეილ თამარა-შვილს სამშობლოსა და ხალხის წინაშე დამსახურებისათვის ქართული კულტურის მემკვიდრეთა შორის შთამომავლობა მუდამ კეთილსახსოვრად მოიგონებს.

---

<sup>2</sup> აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტომი 14, 1961, გვ. 30.

## აკაკი წერეთლისა და იოსებ იაშვილის ურთიერთობისათვის

აკაკი წერეთლის დღემდე უცნობ წერილებს შორის ინტერესს იწვევს სოფელ არგვეთში მცხოვრებ იოსებ როსტომის ძე იაშვილისადმი მიმართული ორი ბარათი და მასთან დაკავშირებული ცნობები.

უკანასკნელ დროს ეს ბარათები აღმოჩნდა ცნობილი რევოლუციონერ-კატორღელის, შავბიჭას ფსევდონიმით ცნობილი პოეტის ლადო იაშვილის პირად საარქივო ფონდში<sup>1</sup>.

ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა საზოგადოებას გავაცნოთ ზოგი რამ იოსებ იაშვილის პიროვნებისა და მისი ურთიერთობის შესახებ აკაკი წერეთელთან.

იოსები პოეტ-რევოლუციონერის ლადო იაშვილის მამა, ზოლო პაოლო იაშვილის ბიძა (მამის ძმა) გახლდათ.

ინტერესს მოკლებული არ არის თვალი გადავავლოთ არც თუ ისე შორეულ წარსულს, გავიხსენოთ და ჩავიხედოთ გარდასულ დროთა სიღრმეში და გონების თვალთა წარმოვიდგინოთ ზოგი რამ, რაც ჩვენს მოწიწებას და თაყვანისცემას იმსახურებს. დიდი აკაკის მშობლიური კუთხე — საჩხერის რაიონი თვალწარმტაცი და მშვენიერია არა მარტო თავისი ბუნებრივი სილამაზით, გმირული წარსულითა და ისტორიულ ძეგლთა სიდიადით, ლამაზი და გმირული სულის სახელოვანი წინაპრებით, პოეტებით, მწერლებით, საზოგადო მოღვაწეებით, არამედ მშვენიერი და თვალწარმტაცია, აგრეთვე, თავისი რევოლუციური წარსულით, თავისუფლებისათვის ბრძოლის ტრადიციებით.

გავიხსენოთ, თუ რა გრიგალივით შემოიჭრა აქ 1905—1907 წლების რევოლუციის ქარიშხალი! მთელი რაიონის მოსახლეობა ფეხზე დადგა და იარაღში ჩამჯდარი ეკვეთა ძველ სამყაროს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება, მაგრამ მშრომელთა მასები უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ. რეაქციის ზეიმის პერიოდში ხალხი აქაც ვერ გადარჩა აოხრება-აწიოკებას ალიზანოვ-

<sup>1</sup> მარკსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფონდი № 8, საქმე № (6) 360.

ავარსკის დამსჯელი ექსპედიციებისაგან. ცეცხლს მისცეს საჩხერე და მის გარშემო მდებარე სოფლები.

საჩხერიდან რვა კილომეტრითაა დაშორებული ულამაზესი სოფელი არგვეთი. აქ მე-18 საუკუნის მეორე და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში (1765—1865 წწ.) ცხოვრობდა მთელს იმერეთში სახელმოხვეჭილი პიროვნება კაცია იაშვილი. კაცია ყოფილა თავის დროისათვის განსწავლული, ჰკუა-გონებით აღსავსე, ალალი გულის კეთილი ვაჟკაცი. იშვიათი ძალისა და ლამაზი აღნაგობის, სამშობლოსათვის თავდადებული მეომარი მამულიშვილი.

მისი შვილიშვილი იოსებ იაშვილი ასე აღწერს მას: „პაპა მყავდა ასი წლისა, არ დამთვრალა თავის დღეში, მისი კარგი დარიგება არ მიფანტავს ტყეს და ველში“. მისი შთამომავალი, ცნობილი პოეტი პაოლო იაშვილი ზშირად სიამაყით იტყოდა თურმე: „მე მამგვანებენ ჩემს წინაპარს კაცია იაშვილსო“.

კაცია იაშვილი იყო იმერეთის უკანასკნელი მეფის — სოლომონ მეორის მეოთხე სადროშოს მეწინავე დროშის მტვირთველი. მას მრავალ ომში მიუღია მონაწილეობა, ყოფილა 1795 წელს საქართველოში აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის და თბილისის აკლების თვითმხილველი, რომელსაც საკუთარი თვალთ უნახავს მანამდე დაუპარცხებელი მეფის — ერეკლე მეორის ტრაგედია.

ეს ისტორიული ამბავი გალექსილი აქვს იოსებ იაშვილს პოემაში „კაციას ნაამბობი“.

სანიმუშოდ მოვიტანთ რამდენიმე სტროფს ამ ნაწარმოებიდან. იოსებ იაშვილი პოემის შესავალ სტროფებში გადმოგვცემს:

...აღამაჰადხნის მოსელის დროს მეფე ყოფილა მხცოვანი,  
მზათ ჭარი არ ყოლებია, შექმნია მასზე გლოვანი,  
სპარსთ ჭარი ისე დიოდა, ვით ციდან თოვლის თოვანი,  
მეფის ბრძანებაჲ გაიცა, შეიქნა ჭართა გროვანი.  
...აღა-მაჰმად ხნის მოსელისას პაპა ყოფილა ბრძოლაში,  
მეფე ირაკლი მეორე დაბრძანებულა სხდომაში,  
იმერთა მეფე სოლომონ მასთან ყოფილა ბჭობაში,  
არჩევდნენ ომის საქმესა, ვისაც რა ედვა გოგრაში.  
მეფემ ბრძანა: აღარ ძალგვიძს ჩხუბი მათთან თანასწორი,  
გვიჯობს ციხე გავამაგროთ, დავდგეთ ყველა შორი-შორი,  
თორემ ჭარი ურიცხვი ჰყავთ, შებებიყ აქეთ ძლიერ სწორი,  
ველზე გასულთ ამოგვწყვიტავს მათი ცხენის ფლოქვთა ტორი  
...ველარც ციხეში გამაგრდნენ ბაბუა და შვილიშვილი...  
იმერთ სპანი ავად დახდნენ, სარდალი და მისი ზრდილი  
წაშოვიდნენ, არსად დარჩნენ, თვალთსაჩენი გვარიშვილი...

და სხვ.

როგორც ჩანს, პოემა დაწერილია კარგი ქართულით და, რაც მთავარია, ასახავს კაცია იაშვილის აქტიურ მონაწილეობას ალა-შაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში. მტრის სიმრავლემ გატეხა ქართველ მეომართა წინააღმდეგობა, რადგან კაციასავე სიტყვით, „ათი სპარსელი საჩხუბრად გამოდიოდა ერთზედაო“.

ჩვენ ცნობილ მწერალს — გიორგი წერეთელს ბავშვობისას ხშირად ხედავდნენ კაციას ოჯახში. მამიდამისი, ნინო წერეთლის ასული. კაციას რძალი ყოფილა. გიორგი წერეთელს ჟურნალ „კვალში“ (სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიეთ რომელ ნომერში) დასტამბული ჰქონია წერილი ბრგე აღნაგობისა და დიდი ძალ-ღონის მქონე ქართველ ვაჟკაცებზე. მათ რიცხვში კაციაც ჰყოლია მოხსენებული. შვიდი-რვა წლისა ვიყავი, — წერდა თურმე გიორგი, — როცა მჯდომარე კაციასთან ვიდექი და მუხლისთავამდე ძლივს ვწვდებოდიო.

ამ დიდებული პატრიოტი მეომრის შესახებ ის მცირედიც კი, რაც ქვემოთ მოგვყავს, მხოლოდ მომსწრე პირთა ზეპირი გადმოცემით ვიცით<sup>2</sup>. ამ ორმოცდაათი წლის წინათ ზოფელ არგვეთში ას წელს მიღწეული მოხუცები, გვარად თოდაძენი და ბერიძენი, ასე იგონებდნენ თურმე კაციას: „წელში გამართულს არ შევსწრებივართ, მაგრამ წინ საბიჯგ ჯოხს დანდობილი, კარგი ვაჟკაცის სიმაღლის მაინც იყო. ახლა წარმოიდგინეთ, წელგამართული რა იქნებოდა?! ხშირად იცოდა თურმე კაციამ ხალხური თუ საკუთარი ლექსის თქმა: „ყმაწვილი ვიყავ, ვყვოდი, ვითა ია და ვარდი, ჯარში სადაც შევდიოდი, თავს დაეკარ, ბოლოს გავვარდი, სიბერე ძნელი ყოფილა, ნაულლ ხარივით დავვარდი“... როცა კონსტანტინე დადემქელიანმა ხანჯალი აძგერა გენერალ გაგარინს, ღრმა მოხუცს აღტაცებით წამოუძახნია — „ვენაცვალე მარჯვენაში, კიდევ გვყოლია საქართველოში ვაჟკაციო“...

კაცია მეტად ახლო ურთიერთობაში ყოფილა ცნობილ ისტორიულ პირთან — სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელთან, განსაკუთრებით კი, მის ორ შვილთან — გრიგოლთან და სიმონთან. ხანდაზმულობისას გრიგოლ წერეთელი, თურმე, არ ისაძილებდა მანამდე, სანამ კაცია არ ეწვეოდა. გადმოდგებოდა სასახლის აივანზე, აილებდა ჭოგრიტს, გახედავდა არგვეთის გზას, თან იტყოდა, რათ იგვიანებსო ის მოხუცი, და როდესაც ამხედრებული კაცია გამოჩნდებოდა, გაიხარებდა ფრიად. ეს ორი ჰირთამთმენი მოხუცი იხსენებდნენ ძველ ამბებს, ტკბებოდნენ ურთიერთის სიყვარულით და ასე გრძელდებოდა თითქმის ყოველდღე, სანამ არ გარდაიცვალა გრი-

<sup>2</sup> ამის შესახებ საჭირო მასალები მოგვაწოდა ლადო იაშვილის (შავბიქას) ძმისწულმა, აწ განსვენებულმა ჟურნალისტმა გიორგი იაშვილმა.

გოლი. კაცია იაშვილის ჩამომავალთა ამჟამინდელ ოჯახში დარჩენილია ერთი პატარა, მაგრამ მეტად საინტერესო გადმოცემა გრიგოლისა და კაციას ურთიერთ გულთბილ დამოკიდებულებაზე.

გრიგოლის შვილიშვილს ნესტორს პეტერბურგის უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. ამ ფრიად კულტურულ პიროვნებას, გენერალ-ლეიტენანტის ჩინით დაჯილდოებულს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მოუკითხავს კაცია იაშვილი, პაპის ახლო მეგობარი და რომ გაუგია, ცოცხალიაო, ნიშნად დიდი პატივისცემისა, მეუღლითურთ მისულა არგვეთში კაციას სანახავად. გულთბილი მოკითხვის შემდეგ, წასვლისას, კაციასთვის უთქვამს: გავალ თუ არა სასახლეში, უმაღლე გაახლებთო ისეთი ტყავის ქურქს, როგორიც თქვენ გეკადრებათო, დამშვიდობებია და წასულა. მას შემდეგ რამდენიმე თვემ განვლო თურმე, და ერთ დღეს კაციას მოუხმია თავისთან რძალი — ნინო წერეთლის ასული და უთქვამს: გრიგოლის შვილიშვილს დაავიწყდაო ალბათ დანაპირები, მოდი ერთი, შევახსენოთ წერილითო. მისწერე ასეო:

ნესტორი, მამით ობოლი,  
ლომეით დაღის ქარშია,  
შინ უზის ჰეუის კოლოფი,  
მარგალიტია ქალშია.  
ნეტავი გამაგებინა,  
როდის გამახვევს ტყავშია,  
ცოდვია ჩემი სიკვდილი,  
კიდევ მაქვს ჰეუა თავშია.

მისვლია თუ არა ეს ბარათი ნესტორს, ტყავის ქურქი უმაღლე გამოუგზავნია კაციასათვის.

კაცია 100 წლისა გარდაიცვალა.

დასანანია, რომ ამ საინტერესო პიროვნებაზე — კაცია იაშვილზე მეტად მცირე ცნობები შემორჩენიათ მის შთამომავლებს.

კაციას ორი ვაჟიშვილი ჰყავდა: როსტომი (მამა იოსებისა, პაპა ლადო იაშვილისა) და დავითი (პოეტ პაოლო იაშვილის პაპა). დავითი 2 წლისა ყოფილა მაშინ, როცა მისი უფროსი ძმა — 19 წლის როსტომი დაქორწინებულა და 10 თვის შემდეგ უეცრად გარდაცვლილა. როსტომის გარდაცვალების შემდეგ, დაახლოებით 1835 წელს, დაიბადა მისი შვილი — იოსებ როსტომის ძე იაშვილი. ასე რომ ბიძამისი — დავითი ორი წლით უფროსი იყო ძმისწულ — იოსებ იაშვილზე და ერთად იზრდებოდნენ.

იოსებ იაშვილის დედა — ნინო წერეთლის ქალი, იყო მამიდა ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლისა, ნ. ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები

ხოლო ექვთიმე და ოქროპირ წერეთლების და. ეს ორივე — ექვთიმე და ოქროპირ წერეთლები თავისი დროისათვის ცნობილი იყვნენ თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობით.

გავიხსენოთ ქართულ ლიტერატურაში ცნობილ „მამათა და შვილთა“ ბრძოლაში ექვთიმე წერეთლის (გიორგი წერეთლის მამა) მონაწილეობა, ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე „მამათა ბანაკიდან“ და სხვ.; მის ძმასაც — ოქროპირ წერეთელს — სასულიერო პირს, უნიკიერესი ორატორის, ზნემაღალი, ქველმოქმედი ადამიანის სახელი ჰქონდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იოსებს მამა ადრე გარდაეცვალა, დედა, ნინო წერეთლის ასული, 18 წლის დაქვრივდა, დაითალხა და მთელი დედობრივი მზრუნველობა ერთადერთი შვილისა და მცირეწლოვანი მაზლის, შემდეგ მაზლიშვილების აღზრდას შეაღია. მას მამამთილი — კაცია იაშვილი ედგა გვერდით, ამხნევებდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ახალგაზრდა ქალი სასოწარკვეთილებას არ მისცემოდა.

იოსებ იაშვილს წერა-კითხვა პაპა კაციამ და დედამ შეასწავლეს. ნინო წერეთლის ქალს მისი მომსწრენი კეთილად იგონებენ. მას ზედმიწევნით სცოდნია ქართული მწერლობა, ყოფილა უებარი მკურნალი, დამაგრულის ქომაგი და დამრიგებელი. ის ხომ იმ დროისათვის თვალსაჩინო, მოწინავე ოჯახიდან იყო გამოსული. ამ სათნო ქართველმა დედამ თავის ერთადერთ იმედს — იოსებს ჩაუწერა შრომის, სწავლის, ხალხისა და სამშობლოს სიყვარული.

იოსები ბიძამისმა — ექვთიმე წერეთელმა თავისთან, ქუთაისში წაიყვანა და გიმნაზიაში მიაბარა. იოსებს გიმნაზიის ოთხი კლასი დაუმთავრებია და ოჯახში დაბრუნებულა. როგორც ჩანს, ექვთიმეს მზრუნველობით იოსებს ბეჭითად შეუსწავლია საქართველოს ისტორია, ძველი ქართული მწერლობა და საკმაოდ მომზადებულა ცხოვრებაში გამოსასვლელად. ჰქონდა შესანიშნავი ბიბლიოთეკა, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციებზე აღზრდილ კაცს. ყველაფერი ეს 1906 წლის რეაქციის მსხვერპლი შეიქმნა. ნაშრომ-ნაღვაწი მისი დიდებული კერა ალიხანოვ-აგარსკის დამსჯელმა ექსპედიციამ ერთ დღეში ნაცარტუტად აქცია და გაანადგურა.

იოსებ იაშვილი თავიდანვე დაინტერესებულა ქართული მწერლობით. პოეზიის სიყვარული პოეტურ შთაგონებად გადაქცევია და ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში თვითონაც უცდია ლექსების წერა. ხელთა გვაქვს მისი სქელტანიანი ლექსების, აკროსტიხების, ბრძნული აზრების, გამოცანების, ანდაზების მოზრდილი კრებული (700

გვერდიანი), რომელიც დათარიღებულია 1889 წლით<sup>3</sup>. ამ დროს იოსები უკვე ხანშიშესული ვაჟაკია, კკუადამჭდარი და მეტად ჩახედული ცხოვრებაში.

პაპამისმა, კაცია იაშვილმა 100 წელი იცოცხლა და გარდაიცვალა დაახლოებით 1865 წელს. იოსებს პაპა განსაკუთრებით უყვარდა.

კაცია იაშვილის საფლავის ქვას ამ ორმოცი წლის წინათ გადმოკრული ჰქონია ფოლადის ფირფიტა, რომელზეც ამოკვეთილი ყოფილა იოსების მიერ შეთხზული სამახსოვრო ეპიტაფია სახელოვანი პაპისადმი:

„ლადო! შენა გთხოვ, დაუეწეებლად ყველას აცნობო ჩემი სახელი,  
სამ სამეფოში ყველა მაქებდა, ვინაც კი იყო ჩემი მნახველი.  
ომში ძლევისა დროშა მეჭირა, არავინ იყო ჩემი მძრახველი.  
ასი წლის კაცი გაველ სოფლიდან, ჰკუთთ საესე და პირჯერის მსახველი“.

დღეს ეს ფირფიტა დაკარგულია. მას ან უბირი ადამიანის ხელი შეეხო, ანდა ქანგმა და მიწამ შექამა.

გარდა მოტანილი ეპიტაფიისა, იოსებს კრებულში ბევრგან მოხსენებული ჰყავს თავისი სახელოვანი პაპა.

გარკვევით ჩანს, რომ იოსებ იაშვილი დიდად იყო გატაცებული ლიტერატურით, თუმცა მისი არც ერთი ლექსი არ დაბეჭდილა და მკითხველი საზოგადოების მსჯელობის საგნად არ გამხდარა. ცხადია, მას ამაზე არც უფიქრია. ის, უპირველესად, როგორც მოაზროვნე, მშრომელი ადამიანი, ცდილობდა საკუთარი ზეაშიადი, ნაფიქრი და ნააზრევი გაეზიარებინა მხოლოდ მახლობელთათვის შინაურ წრეში. თავის ლექსებში იოსები დავით გურამიშვილივით დამწუხრებულია, რომ საკმაო სწავლა არა აქვს და ძალა არ შესწევს უფრო ბრძნულად სრულყოფილად ასახოს ნახული და განცდილი მოვლენები, მაგრამ არც ის შეუძლია, რომ არ წეროს, რადგან მოსვენებას უკარგავს საკუთარი გულსიტყმა.

სწავლა არ მაქვს, რა დავწერო?  
არც მეშვება ჩემი გული,  
მეუბნება, ნუ დაფარავ,  
რაც გაქვს გულში ჩანერგული.  
კარგი თქვი და ცუდს ნუ იტყვი,  
მართალი თქვი, რაც იცოდე,  
ქერივ-ობოლი და საპყარი  
რაც შეგეძლოს, შეიცოდე...

---

<sup>3</sup> იოსებ იაშვილის ხელნაწერი წიგნი ინახება თბილისში, აწ განსვენებულ გიორგი იაშვილის ოჯახში.

ასეთი იყო იოსების იდეალი. მას მტკიცედ ჰქონდა ჩანერვილი დაუფარავად ეთქვა ყველაფერი, უმთავრესად კარგი, ცუდს განშორებოდა, ეზრუნა ქვრივ-ობოლთათვის, სიმართლისათვის არასოდეს ეღალატა. ასეთი იყო თვითონ ცხოვრებაში, აქეთკენ მოუბმობდა სხვასაც.

იოსებ იაშვილის პოეზიას ასაზრდოებს ახალი ქართული მწერლობის, უმთავრესად 60-იანი წლების ლიტერატურის დემოკრატიული იდეალები. მისთვის არც მეოცე საუკუნის დასაწყისის სოციალური მოძრაობის ქროლვაა უცხო. დიდი იმედით ეხმაურებოდა მომავალს, გმობდა ძველ დრომოკმულ წყობას, მშრომელი ხალხის მჩაგვრელ შავზნელ ძალებს, რომლებიც ზიანს აყენებდნენ განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ავტორის ასეთი მისწრაფება ალეგორიულ ფორმებში გადმოცემულია ლექსში „შემოდგომა-ზამთრის გაბაასება“. აქ ნათლად დახატულია ბედი მშრომელი ადამიანისა, რომელიც ნიადაგ შრომის უღელშია შებმული, მაგრამ მაინც მუდამ მშვიერია, ხოლო მუქთახორა მის ნაღვარ-ნაშრომს იტაცებს და მუდამ მაძლარია.

რა კარგია შემოდგომა, ჰურს აავსებს ღვინითაო,  
სასიმიანდეს სიმიანდითა და ბელელს კი პურიითაო,  
და ზამთარი არც კი ნაღვლობს, შენს შრომას და ოფლის ღვრასო,  
შენგან ჩასხმულ წითელ ღვინოს ის დაუწყებს ტკბილად სმასო.  
რისთვის შრომობ, შემოდგომა, შენს მოწეულს სხვა გიჟამსო,  
ამას თუ არ ბრიყვ-სულელი, ჰკუთის მქონე არ იზამსო.  
— რა ექნა ძმარ, არც მე მინდა, მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო.  
რმას არვის ეშინია, ვინც რა უნდა ისა თქვასო.  
სატანჯველად ასე არის, მე და ზამთრის ბატონეშობა,  
ის გულცივი, მე გულთბილი, ამით არ გვაქვს სწორი ძმობა.

ცხოვრების რეალისტური მხარეები — ჩაგრულთა და მჩაგვრელთა, მშრომელთა და მუქთახორათა დაპირისპირება ლექსში ნათლადაა გადმოცემული.

ბევრი ლექსია ამ თემაზე „კრებულში“ წარმოდგენილი, მაგრამ სანიმუშოდ ესეც საკმარისია, რომ ვიცოდეთ იოსებ იაშვილის მოწინავე, პროგრესული აზრები და მისწრაფებანი. იგი ცდილობს ცხოვრების რეალურ სინამდვილეს პირდაპირ შეხედოს, თვალი გაუსწოროს და ასახოს თავის პოეტურ ნააზრევში. მისი ენა წმინდა ხალხურია, ნათელი და გასაგები ყველასათვის.

იოსებ იაშვილის ლექსები, წერილები და სხვა ნაწერები შეეხება ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალს. მათში ასახულია შრომის, სიმართლის, სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლის,



გლეხთა უნუგეშო მდგომარეობის, სწავლა-განათლების, მეგობრობის, გამოჩენილ მწერალთა და მოღვაწეთა სიყვარულის, ბოროტებისა თუ შურის გამოხის, შვილებისა და შვილიშვილების კეთილ გზაზე დადგომის მოტივები, რომლებიც ზოგჯერ ბრძნულ აზრებსა და აფორიზმებშია გადაზრდილი. რაც მთავარია, იოსებ იაშვილი ხედავს როგორ თანდათან ინგრევა ძველი სამყარო და როგორ დაიპირა ახალი სიო მე-20 საუკუნის გარიყრაჲზე.

მის შემოქმედებაში აშკარად იგრძნობა რუსთაველის, გურამიშვილის და შემდგომი ხანის — 60-იანი წლების ქართული კლასიკური ლიტერატურის გავლენა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მას საკუთარი ხმაც აქვს შენარჩუნებული. ის დიდად აფასებს დავით გურამიშვილს და ასეთ სტრიქონებს მიუძღვნის მას:

მე ვაქებ დავით მგოსანსა, არ ნაკლებ რუსთაველსაო,  
კაცი თავხედი არ ვარგა, ვით ბავშვი ურჩობისაო,  
საქები არის ის კაცი, ვინც ჩაგრულს უშველისაო,  
მოხუცს არ ეთქმის უმგვანო, სიტყვები უფერისაო.

იოსები გატაცებით უმღერის ბრძენ კაცს და თვითონაც ცდილობს ბრძნული აზრები ლექსებში გამოხატოს:

სულ ფიქრი კაცსა გადარევს, გონება მიუწვდომელი,  
ხალხისთვის სანატრელია მეფე კეთილის მღომელი,  
აგრეთვე კაცი სწავლული, მუდამ ქვეყნისთვის მშრომელი,  
მაგრამ რათ გვინდა ან ერთი? წუთს იქით დაუდგომელი?  
უსამართლობის უღელი, მგრძნობს შეაწუხებს დიდათო;  
უგნური ვერას გებულობს, წაართვი ერთი შეიდათო.

ავიღოთ თუნდაც ასეთი შესანიშნავი სტრიქონები, რომლებიც, შეიძლება პირდაპირ ითქვას, რევოლუციური სულისკვეთებით არის გამსჭვალული და მოწოდებასავით გაისმის:

გებრალეობდეს ობოლი, ღარიბი შესაწყალია,  
მივსცეთ სუეველას თანასწორ საზრდოსთვის მიწა-წყალია.

იოსებ იაშვილს გულმხურვალედ უყვარდა სამშობლო და ქართველი ხალხი. მას გულთბილი გრძნობებით აღსავსე მრავალი სტრიქონი აქვს მიძღვნილი სამშობლოსადმი, მისი გმირული წარსულისა და აწმყოსადმი. აღსანიშნავია, რომ მას არც ერთი ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე არ გამოორჩენია, რომ ლექსი არ მიეძღვნას.

რუსთაველი და ჩახრუხაძე, დ. გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარა-

თაშვილი და გრიგოლ ორბელიანი, ილია ქავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი, გიორგი წერეთელი და იოსებ დავითაშვილი და ბევრიც სხვა, რომელთაც თაყვანსა სცემდა მოხსენიებული ჰყავს თავის ლექსებში და საპატიო ადგილი აქვთ მიჩნეული.

აკაკის გარდა, იოსებ იაშვილი დაახლოებული იყო გიორგი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესთან, კირილე ლორთქიფანიძესთან და ბევრ იმდროინდელ მოწინავე წარმომადგენელთან.

იოსები განსაკუთრებით აკაკის შემოქმედებაზეა შეყვარებული, მასზე ამოსდის მზე და მთვარე, მისი მოუღლელი მეზობლებ და ტრფიალია. აკაკისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში ამბობს:

აკაკის ტკბილი ლექსები დავატებობს და მზიარულს გვეფხვს,  
მოვა ის დრო, შეგვეერთებს განშორებით არღარა ვეფხვს;  
მისი ლექსის აზრთა წყობა, ბრძოლის ველზე თავს გამოყოფს  
და მე მაშინ საწყალ მოხუცს დრო და ჟამი არღარა მყოფს.

ასე წარმოგვიდგება შემოქმედებითად იოსებ იაშვილი, მშრომელი ადამიანი, გულმართალი, ალალი შრომით რომ ცხოვრობდა და თავის მეზობლებში, ნათესავებსა და მეგობრებში გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. იგი იყო მშობელი მამა და აღმზრდელი გამოჩენილი რევოლუციონერის და პოეტის — ლადო იაშვილისა, რომლის ახალგაზრდული სიცოცხლე ხალხის სიკეთისა და თავისუფლებისათვის უთანასწორო ბრძოლაში შორეული ციმბირის ტაიგაში ჩაიშრიტა.

ლადო იაშვილის პირად საარქივო ფონდში დაცულია იოსების მეტად საყურადღებო მიმოწერა ნაცნობ-მეგობრებთან და შვილთან — ლადო იაშვილთან. აქვეა იოსების ერთი წერილი აკაკისადმი, ხოლო ორი ბარათი აკაკისა იოსებისადმი. ეს მიმოწერაც ნათლად წარმოგვიდგენს იოსებ იაშვილის ნათელ სახეს, მის კაცურ კაცობას, აკაკისადმი თავყვანისცემასა და სიყვარულს.

1894 წელს იოსებ იაშვილი ავადმყოფ აკაკის სწერდა:

„ჩვენო იმედო ბატონო აკაკი!

როგორც გარეთ გამოუსვლელმა მოხუცმა გავიგე თქვენი მშვიდობით მობრძანება სახლში. მეც ერთი თქვენი ერთგულთაგანი დღიან მოხარული ვარ ჩემი სახლობით, დღიდან თქვენი შიძვე ავადმყოფობის მორჩენიდან. ამ საქვეყნო, სასიამოვნო თქვენს მშვიდობით მორჩენას, გავებდავ მოგილოცოთ ჩემი უუმდაბლესი ბარათით და ეთხოვ ყოვლისშემძლებელ ზენაარს, რათა გაატაროს შემდგომი

დღენი დიდხანს ტანმრთელად და ხავსს მოუდებლათ ამ უმეტესის სახელით ვითარცა აქომამდე... მცირე მოსაკითხს გაახლებთ...

თქვენი მოწყალების უმორჩილესი მსახური  
იოსებ იაშვილი“.

სასიქადულო პოეტს აკაკის საპასუხოდ იოსებისათვის მიუწერია:

„ბატონო იოსებ!

დიდათ გმადლობთ მოკითხვისა და მოსაკითხისათვის, მაგრამ თქვენმა მარილიანმა წერილმა არა ნაკლებ მასიამოვნა! დათა ჩხეიძისა<sup>4</sup> არ იყოს, ოქროპირის<sup>5</sup> ნიჭი შორს და შორს გამოგყოლიათ და საწყენია, გზა არ მიგიციოთ საზოგადოთ. ლექსებიც ისე კარგია, რომ ნეტავ ჩვენი ახლანდელი მწერლები გარეგანი ფორმით მაინც მოგბაძავდნენ. რაც შეეხება თქვენს შვილს<sup>6</sup>, მე კარგად ვიცნობ იმას და არ დამაიწყებდა, რომ იმან გზაში ბროწეული მითავაზა. ის მე მაშინვე მივითვალე ძვირფას საჩუქრად, რადგანაც გულით იყო გაგებებული. ისე ვეცდები, როგორც საკუთარისათვის და თუ გასჭრა ჩემმა ცდა-ვედრებამ. მოხარული ვიქნები. იმ დღეს სწორედ გული დამწყდა, რომ სახლში ვერ დაგხვდით, სხვისას ვიყავი. დედა-თქვენი<sup>7</sup> პატივისცემით მომიკითხეთ.

მარად თქვენი პატივისცემის მოსურნე აკაკი“.

აქვეა აკაკის მეორე ბარათი, რომელიც იმავე დღეებში გაუგზავნია იოსებისათვის:

„ბატონო იოსებ!

დღესაც კარგათ გახლავართ გუშინდელსავით. დიდათ გმადლობთ მოკითხვისათვის. სწორე უნდა გითხრათ თქვენმა წერილმა გრძნობა-გონება მისიამოვნა, მაგრამ არანაკლებ საქმე დამართა ჩემს გვამსა და მადას თქვენმა მაწონმა. კიდევ გმადლობთ, გთხოვთ. დედა თქვენს გულითადი მოკითხვა განუცხადოთ.

მარად თქვენი პატივისცემის მსურველი აკაკი“.

---

<sup>4</sup> უნდა იგულისხმებოდეს გიორგი წერეთლის მამიდაშვილი.

<sup>5</sup> ოქროპირ წერეთლის დისწული იყო იოსებ იაშვილი.

<sup>6</sup> როგორც ჩანს, იოსებს თავისი შვილის — ლადოს შესახებ უთხოვია აკაკისათვის აღმოეჩინა დახმარება, სადმე სამსახურში მოსაწყობად, რადგან ლადო რევოლუციური მემკვიდრისათვის 1895 წელს გარიცხული იყო გორის საოსტატო სემინარიიდან.

<sup>7</sup> იოსების დედა იყო ნინო წერეთლის ქალი, მამიდა გიორგი წერეთლისა.

იოსების პირად მიმოწერაში მრავლადაა დაცული, აგრეთვე, გიორგი წერეთლის ბარათებიც. გიორგი წერეთელი — დაუდგომელი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ჟურნალისტი — რედაქტორი, არქეოლოგი, ისტორიკოსი, საქართველოში მრეწველობის აღორძინებისა და განვითარების ინიციატორად და ორგანიზატორადაც გვევლინება. იმ ხანებში, როცა გიორგი ჭალის მთიანეთის სოფელ თედელეთში ნავთის, ბზისა და ქვანახშირის საბადოებს იკვლევდა, ამ საქმეში მას თავისი მამიდაშვილი — იოსებ იაშვილი გვერდში ედგა და დიდ დახმარებასაც უწევდა.

ამის ნათელსაყოფად მოვიტანთ ორ ბარათს იოსებთან გ. წერეთლის ამ საქმიანი ურთიერთობის თაობაზე.

გ. წერეთელი სწერდა:

„ძვირფასო იოსებ!

როგორც კი მოვიდეს მად მალაქია, მაშინვე განკარგულება მოახდინე, რომ ხუთი საპალნე ავიღეს თედელეთს, ნავთი წამოიღოს: ოთხ ღლეს იქით, როცა უკან დაბრუნდებიან ცხენები, ახლა მეორე პირმა ხუთი საპალნე წაიღოს ნავთი. იქ რომ მივა, მე მოვწერ სტანციის ნაჩაღნიკს, მაშინვე გაგზავნოს ქალაქს ნავთი და ორი ღლის უკან ტიკები უკან გამოაბრუნოს. ამ სახით, კვირაში ორ გზას იზამენ ხოლმე. ფასი ფუთზე ორი აბაზია; შენ ამ ფასზე ნულარ დაუწყებ ვაჭრობას, ნავთს წაიღებენ სამშაბათს... ურმებს და ცხენებს თუ გამოაგზავნი ზესტაფონს, მათ გამოაყოლებ ზიკო გომართელს, გაშობათანე საანგარიშო დავთრები უსიკვდილოდ. უშაგათოდ ვერ წავალ ტფილისს.

შენი გიორგი“

აი, მეორე წერილიც:

„ძვირფასო იოსებ!

მალაქია და ჭიტაძე დაიბარე. ამ წამსვე გასწიონ თედელეთში ნავთის წამოსაღებად. რაც შეიძლება ბევრი უნდა ვიშოვოთ ნავთის წამლები. ქალაქიდან მომივიდა ამბავი, ნავთს ითხოვენ. მე ზეგ ამოვალ და მაშინვე თედელეთს [მივაშურებ] და თედელეთიდან რომ გავალ, მერე ქალაქს უნდა წავიდე. იქნება ნავთის საპალნეები ჩემთან ერთად წამოვიდნენ გომს და იქ გავაწყობ კარგად ნავთის ზიდვის საქმეს. შეშა ლესნიჩმა უნდა მოგვიტანოს, მეტი გზა არ არის. ხვალ გომართელი გაგზავნე გორისას. იქ რომ ვიყავი, გორისელებმა აღმითქვეს: ჩვენ წავიღებთ ნავთს იმ პირობით, რა პირობებშიაც ჭალელებს მიაქვთო. ახლა გამოუცხადოს მაგან გორისელებს, მი-

ვიდნენ ტიკებით, ღვინის ტიკებს არა უშავს რა, ნავთი არ წაახდენს. საჭიროა, რაც შეიძლება, ბევრი ნავთი გაიგზავნოს“.

შენი გიორგი“.

გიორგი წერეთელი მთელი არსებით იყო იმ დროს ამ საქმეში ჩაბმული, მაგრამ, როგორც ვიცით, აქედან ბევრი არაფერი გამო-სულა. ჩვენ მაინც გავიხსენეთ ეს ფაქტი იმდენად, რამდენადაც იოსებ იაშვილის საქმიანობასა და ურთიერთობასაც ეხება.

აღნიშნული მიმოწერა წარმოგვიდგენს აკაკი და გიორგი წე-რეთლებთან იოსებ იაშვილის ახლომეგობრულ და საქმიან ურთი-ერთობას. ჩანს, რომ დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღ-ვაწის უფროსი თანამედროვე იოსებ იაშვილი საინტერესო პიროვ-ნება ყოფილა, თავის დროისათვის საკმაოდ განათლებული, ქართუ-ლი ლიტერატურის გატაცებული მკითხველი, თვითონაც პოეტი-მთხზველი, მოლექსე, მაგრამ ჩუმი, მეტად მოკრძალებული, თავა-ზიანი, მოსიყვარულე, უპრეტენზიო, ცხოვრებაში ღრმად ჩახედული, სამშობლოსა და სახელოვანი წინაპრების დიდი თავყანისმცემელი.

აკაკი იოსებ იაშვილს დიდად აფასებდა, მასთან მეგობრობდა და პატივსა სცემდა. აკაკი იოსების პოეტურ ნიჭსაც მაღალ შეფა-სებას აძლევდა და სწყინდა, რომ მან, თავისი მორიდებულობისა და ნიჭის გამოუჩინებლობის გამო, სათანადო ყურადღება ვერ მიიქ-ცია. „თქვენი ლექსებიც ისე კარგია, — სწერდა აკაკი იოსებს, — რომ ნეტავი ჩვენი ახლანდელი მწერლები გარეგანი ფორმით მაინც მოგ-ბაძავდნენო“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ აკაკი გულითად მზრუნველობას იჩენდა ქაბუკ ლადო იაშვილის მიმართ, რომელიც რევოლუციურ გზას დაადგა. მას სიყვარულით იხსენიებდა და ზრუნავდა მასზე, როგორც საკუთარ შვილზე.

იოსებ იაშვილზე შეიძლება კიდევ ბევრი დაიწეროს. თანამედ-როვეთა გადმოცემით, საჩხერის რაიონის სოფლებში საქველმოქმე-დო ან საზოგადოებრივი საქმე ისე არ წამოწყებულა, რომ მასში მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს იოსებ იაშვილს.

მას მთელი სიცოცხლის მანძილზე დ ი დ ი ი ო ს ე ბ ი ს სახელი ჰქონდა ხალხში გავარდნილი — პირდაპირობის, სიმართლის-მოყვარეობის, ვაჟკაცობისა თუ ქველმოქმედებისათვის და ასეთად დარჩა იგი ბოლომდე.

იოსების უფროსი ქალიშვილი კესო სამუდამო კატორღამისკენ ძმას — ლადოს ციმბირში სწერდა მეტად მგრძნობიარე, შინაარსი-ან წერილს: „ჩემო ძამიკო! შენ ხომ ხალხისათვის ყველაფერი ვას-

წირე, სახლ-კარი, და-ძმანი, საკუთარი თავი, რომელიც ყველაზე უძვირფასესი იყო შენი ახლობლებისათვის და ასე სახელოვანი, უსახელოდ რად გაგვწირე და დაგვლუბე?“ ამის საპასუხოდ ლადომ დას ასეთი სანუგეშო ბარათი მოსწერა: „ნუ გიკვირს, დაო, ან მაშიჩემის შვილს განა შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო? ბავშვობიდანვე ამას არ მასწავლიდა და მინერგავდა დიდებული მამა, სიტყვით, საქმით — დღენიადაგ რომ ჩამძახოდა: არასოდეს თქვა ტყუილი, იყავი სამართლიანი, გიყვარდეს ჩაგრული, გრძნობდეს მჩავერდ-ლნი: სიკეთის ნერგი იხარებს თუ სიპსა ქვაზედ დარგო!.. აბა, რომელი ერთი ჩამოვთვალო, და მეც ხომ მისი სისხლი და ხორცი ვიყავი. დაო! იმ გზას გავეყევი, რომელიც სიყრმიდანვე დიდებულმა მშობლებმა მიანდერძა და ხომ გაგიგონია, სახელის გატეხას, მშრომელი ხალხის ღალატს, მომავლის რწმენა დავუბირისპირე და თუ სიკვდილი მიწერია, მე მას სიხარულით შევეგებები. სინანული სულმოკლეობის გამოხატულებაა, ერთნი მიდიან, მათ სხვები სცვლიან, რადგან ბრძოლა ჯერ ხომ არ დამთავრებულა უკეთესი მერმისისათვის?“

ქეშმარიტად კეთილშობილი, მებრძოლი კაცის ანთებული გულისფეთქვა ისმის ციმბირის შორეული ტაიგიდან — ძველ სამყაროსთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეჭიდებულ ბრძოლაში!...

სახელოვანი კაცია იაშვილის შთამომავალი — იოსებ იაშვილი, სახელოვანი შვილის, რევოლუციონერი კატორღელის — ლადო იაშვილის ღირსეული მამა იყო.

იოსებ იაშვილი 1900 წლის 6 თებერვალს, ჯერ კიდევ ქარმაგი (65 წლის ასაკში) გარდაიცვალა. ბედნიერი იყო იმით მაინც, რომ საკუთარი თვალთ ვერ იხილა რეაქციის ზეიმი და ცეცხლში დაფრეწილი მშობლიური კერა. არც უსაყვარლესი შვილის — ლადოს უდროოდ დაღუპვას შეესწრო. იგი იყო სოფლის სანაქებო თავკაცი, გაჭირვებულთა ნუგეში, მშრომელი — მხვნელ-მთესველი, მოცალების ჟამს კი თავდავიწყებულად შეყვარებული მშობლიურ მწერლობაზე, ჩუმი შემოქმედი. მისი ლექსებისა თუ მოთხრობების მსმენელნი ახლო ნათესავნი და შინაურები იყვნენ.

როდესაც იოსების ცხოვრების უკანასკნელმა საათმა დაჰკრა და რამდენიმე დღით ადრე იგრძნო ამ სოფლიდან გასვლის მოახლოება, იხმო ცოლშვილი და გადასცა მათ საფლავის ქვაზე ამოსაჰრელი ეპიტაფია:

„ჩემი ეპიტაფია.

მეც შემხვდა რიგი სოფლიდან გასვლის,  
მხედავ, მიწაში თავი მიყვია.

ამ ხვედრს ვერავენ ვერ ამორდება,  
ვერც ჰყუიანი, ვერცა ბრყეია.  
ღმერთმან კი უწყის, ძმის საზიანოდ,  
მრუდეთ აროდეს არ გამიყეია“.

აკაკი წერეთლის თაყვანისმცემელ ახლო მეგობართა შორის მადლიერი შთამომავლობა დამსახურებული პატივისცემით გაიხსენებს კატორღაში დაღუპული ლადო იაშვილის — „შაგბიჭას“ ჯამას — იოსებ იაშვილს იმ გულითადობისათვის, რაც მას აკავშირებდა ერის სასიქადულო პოეტთან.

აკაკი წერეთელი და მისი ძმა დავით წერეთელი — სხვიტორელი

ამ წერილის მიზანია საზოგადოებრიობის ყურადღება შეაჩეროს ერთ საკითხზე, რომელსაც აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის ისტორიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. საკითხი ეხება — თუ ვის ეკუთვნის ფსევდონიმი „სხვიტორელი“ და ვინ წერდა? 1875—1876 წლებში გაზეთ „დროებაში“ ამ ფსევდონიმით.

ამ საკითხის შესწავლასთან ერთად, საჭირო მასალების კვლევა-ძიებით მოპოვებული ცნობებითა და მიღებული შთაბეჭდილების შედეგად, შესაძლებელი გახდა, ერთგვარი დასკვნების სახით, წარმოვიდგინოთ ზოგი რამ, ღღემდე ნაკლებად ცნობილი, დავით წერეთლის — „სხვიტორელის“ ცხოვრებისა და საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ.

ეს გარემოება გარკვეული ინტერესის აღმძვრელი და მნიშვნელოვანია, რამდენადაც დავით წერეთელი აკაკი წერეთლის უფროსი ძმა არის და მასთან მჭიდრო კავშირი და საზოგადოებრივ-ლიტერატურული ურთიერთობა აქვს.

ქართული ლიტერატურის ისტორიასა და კრიტიკაში, დიდი კლასიკოსის — აკაკი წერეთლის მემკვიდრეობის შესწავლის დროს, თავიდანვე ერთი მეტად მცდარი შეხედულება განმტკიცდა. სახელდობრ, არსებობს შეხედულება, რომ ფსევდონიმი „სხვიტორელი“ აკაკი წერეთელს ეკუთვნოდა და რომ ამ ფსევდონიმით იგი თანამშრომლობდა 1875—1876 წლების გაზეთ „დროებაში“.

სათანადო ლიტერატურული მონაცემებისა და აკაკის მემკვიდრეობის საარქივო მასალის გადათვალიერებისა და შესწავლის დროს ნათელი გახდა, რომ „სხვიტორელის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი ნაწარმოებნი შეცდომით იყო აკაკისეულად მიჩნეული.

ამის საილუსტრაციოდ საჭიროა მოვიყვანოთ აქ ზოგიერთი ლიტერატურულ-კრიტიკული და ბიოგრაფიული მონაცემები ამ საკითხის გამო. აკაკის ბიოგრაფ-გამომცემელმა სერგი გორგაძემ ფსევდონიმი — „სხვიტორელი“ თავიდანვე აკაკის მიაკუთვნა. მანვე, თავის ნაშრომში „აკაკის ბიბლიოგრაფიაში“<sup>1</sup> შეიტანა „სხვიტორელის“ ფსევდონიმით 1875—1876 წლების გაზ. „დროებაში“ დაბეჭდილი „ძველებური ამბები“, წერილები, კორესპონდენციები და ფელეტონები, — სახელდობრ:

„საჩხერე მარტის ცხრამეტს“ (№ 37, № 38, 1875 წ.);

„ჩერქეზის ქალი (სხვიტორელის დღიურიდან)“, (№ 48, 1875);

„ძველებური ამბები — „მახვილაძე“ და „თუში“ (საგმირო გადმონაცემები)“, (№ 60, 1875 წ.);

„გივი ამილახვარი და იმის მოურავი“, „გურული“, „აზირებუ-ლი მოპიჯივარი“ (№ 64, 1875 წ.);

„ლანდია ხურო“, „ბატონები“ (№ 65, 1875 წ.);

„ფელეტონი. იმერული ქუდი“ (№ 70, 1875 წ.);

„ბაქრაძის ქვრივი“ (№ 108, 1875 წ.);

„ფელეტონი. არხეოლოგიური სახარება“ № 127, 1875);

„წერილი რედაქტორთან — ერთი ბლალოჩინის უწესო საქ-ციელზე“ (№ 130, 1875 წ.);

„ძველებური ამბავი“ (№ 145, 1875 წ.);

„დ. საჩხერიდამ, 18 თებერვალს“ (№ 22, 1875 წ.);

„დ. საჩხერე, 25 აგვისტო“ (№ 93, 1875);

„ზემო-იმერეთი დეკემბრის 2-ს“ (№ 134, 1876 წ.);

ნოველა „ჩერქეზის ქალი (სხვიტორელის დღიურიდან)“, ს. გორგაძის და ს. აბაშელის მიერ შეტანილ იქნა აკაკი წერეთლის „რჩეუ-ლი ნაწერების“ I ტომის პირველსა და მეორე გამოცემაში<sup>2</sup>.

ს. გორგაძე და ს. აბაშელი აღნიშნულ ორივე გამოცემათა პირ-ველი ტომის „შენიშვნებსა და ბიბლიოგრაფიაში“ აღნიშნავენ: „ჩერ-ქეზის ქალი“ პირველად დაიბეჭდა „დროებაში“ 1875 წლის 30 აპ-რილს (№ 48). ჩვენს გამოცემას ეს ტექსტი უდევს საფუძვლად. გა-

---

<sup>1</sup> ს ე რ გ ი გ ო რ გ ა ძ ე, აკაკის ბიბლიოგრაფია, 1915—1916 წლებში შედ-გენილი, ხელნაწერის სახით ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის აკაკის ფონდში.  
ს. გორგაძის „აკაკის ბიბლიოგრაფიაში“ გამოჩენილია სხვიტორელის ფსევდონიმით „დროებაში“ გამოქვეყნებული აკაკის წერილი „საჩხერე, 26 დეკემბრისთვის“ (1875 15 წ. № 26).

<sup>2</sup> იხ. აკაკის „რჩეული ნაწერები“. ტ. I, 1925, გვ. 141—143, მეორე გამოცე-მა, 1930, გვ. 143—145.



ზეთში მას ხელს აწერს „სხვიტორელი“, რომელიც ერთი მრავალ ფსევდონიმთაგანია აკაკი წერეთლისა<sup>3</sup>.

ამავე აზრს იმეორებს ს. გორგაძე აკაკის ბიოგრაფიულ ნარკვევში — „აკაკი წერეთელი“ (ბიოგრაფია) და აღნიშნავს აკაკის ფსევდონიმებს შორის „სხვიტორელსაც“<sup>4</sup>.

ასეთისავე შეცდომას ფსევდონიმ „სხვიტორელის“ საკითხის გამო ადგილი აქვს სხვა მკვლევართა შრომებშიც<sup>5</sup>.

მაგალითად, მკვლევარი ქ. რაჭველიშვილი სერგეი მესხის წერილების პუბლიკაციაზე დართულ შენიშვნებში წერდა: „აკაკი წერეთელი მუდმივი თანამშრომელი იყო „დროებისა“ და წერდა იქ „იმერლის“, „სხვიტორელის“, გ. ქართველიშვილის და აკაკის ხელმოწერით, ათავსებდა ფელეტონებს („ცხელ-ცხელ ამბებს“), პოემებს, ლექსებს, დღიურებს, კორესპონდენციებს და სხვა“.

როგორც ჩანს მკვლევარმა ლევან ასათიანმაც უეჭველად მიიჩნია „სხვიტორელი“ აკაკის ფსევდონიმად. თავის წიგნში „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“ მან 1875—1876 წლებში „დროებაში“ დაბეჭდილი „ძველებური ამბები“ აკაკის ხელმოწერით („დათუნა გოცირიძე“<sup>6</sup>, „ოთია მესხი“, („დროება“ № 57, 1875 წ.); „სოლომონ მეფე“. ელიზბარ ერისთავი და კორინთელი“, („დროება“ № 58, 1875 წ.); „ურიების ჩხუბი“ (დროება“ № 60, 1875 წ.) და სხვიტორელის ფსევდონიმით დაბეჭდილი ზემოთ დასახელებული წერილები ყველა აკაკის მიაკუთვნა<sup>7</sup>. ასე მაგალითად, ლევან ასათიანს აკაკის ნაწარმოებთა შორის დასახელებული აქვს სხვიტორელის ხელმოწერით გამოქვეყნებული „ძველებური ამბების სერიიდან“ — „თუში“. იგი წერდა: „... მთელი სერია, ძველებური ამბებისა, სადაც გადმოცემულია ძველი საქართველოს ცხოვრების სურათები, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა რაინდობა, მათი გონებათმახვილობა, სავაჟკაცო წესები და ჩვევები, ეს პატარა ნაწარმოებნი, მარგალატის მძივებივით ამოკრეფილნი ხალხის მეხსიერებიდან, აკაკიმ შემოაღწა ქართულ ლიტერატურაში, როგორც დაუვიწყარი საუნჯე; ასე-

3 აკაკი წერეთელი. რჩეული ნაწერები, 1925, ტ. II, გვ. 339; მეორე გამოცემის გვ. 343.

4 აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1926, გვ. 100 (ა. გორგაძის და ს. აბაშელის რედაქციით).

5 „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წიგნი I (სახ. უნ-ის გამოცემა), 1935, შენიშვნები, გვ. 516.

6 „დათუნა გოცირიძე (ძველებური ამბები)“ განსხვავებული ვარიანტით შემდეგ დაიბეჭდა „ივერიაშიც“ (№ 11, 1902 წ.) აკაკის ხელმოწერით.

7 ლევან ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1940, გვ. 289.

თებია, მაგალითად ნოველები: „დათუნა გოცირიძე“, „ოთია მესბი“, „კორინთელი“, „თუში“ და სხვა“<sup>8</sup>.

ამასთან დაკავშირებით, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსვენებული მაკლევარმა ლევან ასათიანმა, შემდეგში, ახლად გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე, ფსევდონიმ სხვიტორელის შესახებ გამოთქმული ახალი თვალსაზრისი მთლიანად გაიზიარა. მან, თავისი მონოგრაფიის „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“ მეორე გამოცემაში გარკვევით აღნიშნა, რომ დავით წერეთელი, თავისუფალ დროს ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა: კრებდა ზეპირსიტყვაობის ნიმუშებს, წერდა წვრილ მოთხრობებს, აგრეთვე ნარკვევებს ადგილობრივ ცხოვრებაზე, რომელთაც ათავსებდა გაზეთ „დროებაში“. ამ გაზეთის ფურცლებზე, 1875—76 წლების მანძილზე, სხვიტორელის ფსევდონიმით მას მოთავსებული აქვს კორესპონდენციები და წერილები, აგრეთვე მცირე ფორმის პროზაული ნაწარმოებები „ძველებური ამბების“ რუბრიკის ქვეშ. ასეთებია: „ჩერქეზის ქალი“, „მახვილაძე“, „თუში“, „ლანდია ზურა“, „ბაქრაძის ქვრივი“ და სხვ.

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის რედაქტორებსაც, როგორც ჩანს, უდავოდ მიაჩნიათ „სხვიტორელი“ აკაკის ფსევდონიმად. პ. ინგოროყვას ნარკვევში — „აკაკი წერეთლის შემოქმედება“, ნათქვამია, რომ „აკაკის ეკუთვნის აგრეთვე ციკლები: „ძველებური ამბები“<sup>9</sup> და სხვა. აქაც გაიგივებულია აკაკის და სხვიტორელის მიერ ხელმოწერით „დროებაში“ დაბეჭდილი „ძველებური ამბები“ და იგულისხმება, რომ ყველა აკაკისადმი არის მიკუთვნებული.

„სხვიტორელის“ ფსევდონიმით ზემოთ დასახელებული „ძველებური ამბები“, ფელეტონები და კორესპონდენციები ჩვენს სახელოვან პოეტს — აკაკის არ ეკუთვნის. მას ამ ფსევდონიმით არასოდეს არ უწერია.

აკაკის გარდაცვალების შემდეგ, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მკვლევარებმა და გამომცემლებმა, სრულიად შეცდომით სხვიტორელის ნაწერები მას მიაკუთვნეს.

ამ საკითხის ერთხელ და საბოლოოდ გადაჭრისა და დადგენა-

---

<sup>8</sup> იქვე, 1953, გვ. 48: ავტორი იქვე დართულ შენიშვნაში მიუთითებს დავით წერეთლის შესახებ. იხ. სტატიები: გ. აბოიანიძის — გაზ. „ლიტერატ. და ხელოვნება“, 1944, № 14 და შ. გოზალიშვილისა — ჟურნ. „მნათობი“, 1947, № 5.

<sup>9</sup> აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტომი I, ს. აბაშელის და პ. ინგოროყვას რედაქციით, 1940, გვ. 8

სათვის საჭიროა აღინუსხოს შემდეგი აუცილებელი ფაქტები: გაზეთი „ივერია“ 1886 წელს — „ახალ ამბავში“ იტყობინებოდა: „როგორც შევიტყუეთ, თავ. დავით წერეთელს, ადრე „დროებაში“ სხვიტორელის სახელით ცნობილს, დაუწერია მოთხრობა ტფილისის იმერელთა და სომეხთა ცხოვრებიდან. ავტორს განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში დაბეჭდოს ეს მოთხრობა“<sup>10</sup>.

ცხადია, არ შეიძლება, ისეთ პოპულარულ გაზეთს, როგორც „ივერია“ იყო, აკაკისა და დავით წერეთლის სიცოცხლეშივე შეცდომით ფსევდონიმი სხვიტორელი დავით წერეთლისათვის მიეკუთვნებინა.

1871 წლის მაისში გაზეთი „დროება“ ერთ-ერთ თავის ხელმოუწერელ მოწინავე წერილში — „ძველი ქართული წიგნების გამოცემაზე“, — სხვათა შორის წერდა: „თუ ვინ არ იცის რომ თ. ალექსანდრე წერეთელს, საჩხერეში, აუარებელი ძველი ქართული წიგნები უწყევია თურმე ზანდუკებში? ახლა მონასტრებში, საზოგადოებაში, კერძო პირების ხელში — რამდენი მასალები მოიპოვება, რომ პატრონი და გამრჩეველი იყოს ვინმე?“

როგორც ჩანს, „დროებაში“ დაბეჭდილ ამ წერილში დასახელებული ცნობილი ბიბლიოფილის — გრიგოლ წერეთლის მემკვიდრეს ალექსანდრე წერეთელს, მისთვის უსიამოვნო აღნიშნული წერილის ავტორად აკაკი წერეთელი დაუსახელებია და უარუყვია თავის ოჯახში ძველი წიგნების არსებობა; ამის გამო, აკაკი იმავე „დროებაში“ გამოეხმაურა მოსწრებულ წერილით, — „უფალო რედაქტორო!“ და უარყო დასახელებული წერილის ავტორობა, პოეტი წერდა: „თქვენის დროების“ მე-19 №-ში სხვათაშორის დაბეჭდილი იყო, რომ თ. ალექსანდრე წერეთელს ბევრი ქართული წიგნები აქვს და არავის ასარგებლებსო. ეს სიტყვები თ. ალ. წერეთელს მიუღია საწყენად და მის დაწერასაც მე მეწამება ამ სიტყვებით: „თუ ნამდვილად აკაკი წერეთლის დაწერილი არ არის, მისი აზრი ხომ მაინც არისო“. რომ ჩემი დაწერილი ის სტატია არ ყოფილა, — განაგრძობს პოეტი, — ის თქვენც იცით და რაც შეეხება ჩემს აზრებს ალექსანდრე წერეთლის ძველ ქართულ ზელთ-ნაწერების თაობაზე, იმედი მაქვს, რომ თქვენც და თვით ალექსანდრე წერეთელიც შემდეგი სიტყვებით სცნობთ“.

წერილში აკაკი მსჯელობს საზოგადოდ ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების ისტორიულ მნიშვნელობაზე და მათ შესანიშნავ შე-

ფასებას გვაძლევს. ამასთანავე იგი ამხილებს იმგვარ „გვამებს“, რომელთაც „ჩაუგდიათ ხელში ძველი ქართული ხელთ-ნაწერები და არც თვითონ სარგებლობენ და არც საზოგადოებას ასარგებლებენ“.

აკაკი გადაქრით გმობს ამგვარ მოქმედებას და საქვეყნოდ აცხადებს, რომ „ძველი ქართული წერილების მითვისება და დამალვა საზოგადოებისაგან, არის მითვისება საზოგადოების და შთამომავლობის საკუთრებისა!“.

რაც შეეხება, კერძოდ, თავად ალ. წერეთლის ოჯახში ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების არსებობას, აკაკი მეტად საგულაობაში ცნობებს გადმოგვცემს. ამის შესახებ პოეტი წერდა: „გამოჩენილის თავადის გრიგოლ წერეთლის ბედმა ისე იმუშავა, რომ ბევრის შეგროვებული წიგნები იმას ჩაუგდო ხელში. თვითონ გრიგოლ წერეთელი გაზრდილი იყო ზაქარია არხიმანდრიტის და ანტონ კათალიკოსისა და მათი დანარჩენი წიგნები მან შეიძინა“.

აკაკი წერეთლის სტატიაში გადმოცემული უტყუარი ცნობების მიხედვით, გრიგოლ წერეთელს სხვადასხვა დროს ხელთ ჩაუგდია, აგრეთვე, ცნობილი ისტორიული პირების — მეფე გიორგი მეთორმეტის ძის იოანესი, სამეგრელოს მთავარ დადიანის, გურიის მთავრის მამია გურიელის, თავად ივანე აბაშიძის და სხვათა ნაქონი მრავალი ძველი წიგნი და „შეადგინა ძვირფასი ბიბლიოთეკა“.

„ეს ვიცით, მართალია, მაგრამ ის კი არ ვიცით, მის ძეს თ. ალექსანდრე წერეთელსაც აქვს მისის მამისაგან შეძენილი წიგნები, თუ არა?! — დაასკვნის აკაკი, — მაგრამ ის კი უდავოა, რომ ვის არ უნახავს ერთი ხელთნაწერი რვეული, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ანდაზებს, შეკრებულს მამის მისის თ. გრიგოლ წერეთლისაგან. ეს ანდაზები ანა-ბანაზედ არიან დაწყობილი და იწყება ამ ანდაზით: „ავი ძაღლი არც სხვას აჭმევს და არც თვითონ სჭამსო“, და ბოლოვდება რუსთაველის ლექსით:

ფილოსოფოსნი შემოკრბენ, ამაზედ ქონდათ ცილობა,  
„ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა,  
თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“<sup>11</sup>.

„დროებაში“ დაბეჭდილი ხელმოუწერელი, თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი სტატია — „ძველი ქართული წიგნების გამოცემაზე“ იმითაც არის საყურადღებო, რომ იგი ემყარებოდა იმ ცნობებს, რომლებიც მოუწოდებია „ვინმე სხეიტორელს“. მას, თავის

---

<sup>11</sup> გაზ. „დროება“, 1871, № 28, გვ. 2—3; აკაკი წერეთელი, თხზულებანი. ტომი 14, 1960, გვ. 72—76.

მხრით, ძველი წიგნების ადგილზე არსებობის შესახებ ცნობების შეგროვების საქმეში „განსაკუთრებული ენერგია“ გამოუჩენია<sup>12</sup>.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვის ისტორიით გაირკვა, რომ აკაკი წერეთელმა აქაც უარყო აღნიშნული ხელმოუწერელი სტატიის ავტორობა.

საკითხი ფსევდონიმ სხვიტორელის აკაკისადმი შეცდომით მიკუთვნების შესახებ, პირველად ქართულ ლიტერატურაში, აღნიშნა 1937 წელს ცნობილმა მკვლევარმა-ისტორიკოსმა ქალმა, აწ განსვენებულმა ქრისტიანე შარაშიძემ თავის ნაშრომში — „ძველი ქართული საბიბლიოთეკო ფონდებისა და მათი დაცვის საქმისათვის“. ავტორი ამ ნაშრომში წერდა: „განსაკუთრებულ ენერგიას იჩენს ვინმე „სხვიტორელი“. მან გამოამჟღავნა „დროების“ ფურცლებზე, რომ ცნობილი ბიბლიოფილის გრიგოლ წერეთლის მემკვიდრე ალექსანდრე — უმაღლეს ქართულ საზოგადოებრიობას ძველი წიგნების იშვიათ საგანძურს“<sup>13</sup>.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ქრ. შარაშიძემ, დართულ შენიშვნაში გარკვევით აღნიშნა, რომ „სხვიტორელი არის ფსევდონიმი დავით წერეთლისა და არა აკაკისა, როგორც ეს ზოგიერთებს დავით წერეთლის სიცოცხლეშივე ეგონათ და როგორც ფიქრობდა აკაკის ბიოგრაფი განსვენებული სერგო გორგაძე (იხ. მისი წერილი — „აკაკი წერეთელი“, აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, ტფილისი, 1926)“<sup>14</sup>.

ამ საკითხის ნათელსაყოფად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ „სხვიტორელის“ ფსევდონიმიტ გამოქვეყნებული წერილების არც ერთი ავტოგრაფი არ მოიპოვება, აკაკის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

თვით მოთხრობა „ჩერქეზის ქალი (სხვიტორელის დღიურად-გან)“ აკაკის „რჩეული ნაწერების“ I ტომში, გაზეთ „დროების“ 1875 წლის № 48-ში დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით იქნა შეტანილი<sup>15</sup>.

---

12 ქ. შ. [ქრისტიანე შარაშიძე], ძველი ქართული საბიბლიოთეკო ფონდების და მათი დაცვის საქმისათვის, — კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, წიგნი III, 1937, გვ. 105—114.

13 იქვე, გვ. 109.

14 იქვე გვ. 109.

15 აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები ტ. I, 1925; „შენიშვნები და ბიბლიოგრაფია“, გვ. 141—143; მეორე გამოცემის გვ. 343.

ფსევდონიმი „სხვიტორელი“ აკაკის რომ არ ეკუთვნის, ამას თვით პოეტიც უდავოდ გვიდასტურებს. აკაკი, თავის პირად წერილში, რომელიც გამოუგზავნია „დროების“ რედაქტორ სერგეი მესხისათვის 1879 წელს პეტერბურგიდან, სხვა საკითხებთან ერთად, სერგეის ეკითხებოდა: „რატომ სხვიტორელის კორესპონდენციებსა და ს. მელიქიშვილის ფელეტონებს არ ბეჭდავ?“<sup>16</sup>

აკაკის მიერ 1875—76 წლების „დროებაში“ დაბეჭდილი „ქველბურთი ამბები“ და სხვ. აკაკის ხელმოწერით არის დაბეჭდილი, „სხვიტორელის“ ხელმოწერით გამოქვეყნებული „ქველბურთი ამბებისა“ და კორესპონდენციების პარალელურად. კერძოდ, „ქველბურთი ამბების“ საერთო სათაურქვეშ, 1875 წლის „დროების“ № 60-ში, პირველ გვერდზე დაბეჭდილია: „ურიების ჩხუბი“ აკაკის ხელმოწერით, ხოლო მეორე გვერდზე, „სხვიტორელის“ ხელმოწერით — „მახვილაძე“ და „თუმი“. ესეც ცხადად ადასტურებს, რომ „სხვიტორელი“ და აკაკი ერთი და იგივე არ არის. რა საჭირო იყო ერთსა და იმავე გაზეთში სხვადასხვა ხელმოწერით დაბეჭდა აკაკის თავისი ნაწერები? საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში უკვე ყველასათვის ცნობილი სახელოვანი პოეტი, მხოლოდ აკაკის ხელმოწერით აქვეყნებდა თავის ნაწერებს.

საკითხავია ამის შემდეგ, მაშ ვინ წერდა „სხვიტორელის“ ფსევდონიმით და ვინ არის გაზეთ „ივერიის“ მიერ დასახელებული თავ. დავით წერეთელი?

„სხვიტორელის“ ფსევდონიმით ქუთაისიდან 1875—76 წლებში გაზეთ „დროებაში“ წერდა დავით როსტომის ძე წერეთელი, აკაკის უფროსი ძმა.

აღნიშნული საკითხის გარკვევასთან დაკავშირებით, დავით წერეთლის მეუღლე მარიამი, მკვლევარ გიორგი აბზიანიძეს პასუხად, სწერდა: „თქვენი ეპი მართალი არის, მართლაც „ჩერქეზის ქალი“ და სხვიტორელის ხელმოწერით მოთავსებული წერილები „დროებაში“ ეკუთვნის ჩემს ძმარს დავით როსტომის ძე წერეთელს, აკაკის უფროს ძმას. „ჩერქეზის ქალის“ შინაარსი არაერთხელ მოუყვლია ჩემთვის სახლში, ასე უთქვამს: „ჩერქეზის ქალი“ როცა დავწერე, პირველად წაუფიქრებ ჩემს სიძეს ალექსანდრე ვამეხის ძე დადიანს, მატარს ქმარს. მან მირჩია დამეხეჭდა. ილია ჭავჭავაძესაც კი ძალიან მოსწონებოდა, აკაკისათვის ეთქვა: გამაცანი შენი ძმაო. თუ არ ვცდები, სახლში უნდა მქონდეს ჩერქეზის ქალის

16 იხ. აკაკის წერილები სერგეი მესხისადმი ჩვენი პუბლიკაციით, „მნათობი“, 1960, № 9, გვ. 110.

დედანი — ჩემი ქმრის ხელნაწერი. „დროებაში“ მოთავსებულ ჩემი ქმრის მოთხრობების და სტატიების დედნები ბევრი მაქვს შეარჩენილი“<sup>17</sup>.

საქითხის — ფსევდონიმ სხვიტორელის მიმოხილვის შემდეგ, უდავოდ უნდა ჩაითვალოს, რომ სხვიტორელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწერები არ ეკუთვნის ჩვენს დიდ მგოსანს — აკაკი წერეთელს.

ფსევდონიმ „სხვიტორელის“, „დ. წ.“-ის, „თ. დ.-წ.“-ის, „თავ. დ. რ წ“-ის და დავით წერეთლის ხელმოწერით დაბეჭდილი ძველებური ამბების, ფელეტონების და კორესპონდენციების ავტორი ერთი და იგივე პირია, — აკაკის უფროსი ძმა დავით როსტომის ძე წერეთელი.

ქართული ლიტერატურის დიდი კლასიკოსის აკაკის ლიტერატურულ ღირსებას ვერაფერს მატებს მათი გარდაცვალების შემდეგ დადასტურებული ავტორის — დავით წერეთლის — „სხვიტორელის“ ნაწარმოებთა შეცდომით აკაკისათვის მიკუთვნება.

არსებული მასალების მიხედვით, დავით წერეთელი — სხვიტორელი დაიბადა 1832 წელს. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. ამ სასწავლებლის უკანასკნელი კლასიდან გამოსული დავითი სამხედრო სამსახურში შესულა. იგი ჩაურიცხავთ აღბულალში დაბანაკებულ ქართულ გრენადერთა პოლკში.

დავითი სამხედრო სამსახურში 1853—1869 წლებში ყოფილა, — შემდეგ იგი გამოსულა სამხედრო სამსახურიდან. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, საზოგადო მოღვაწის — იასონ ლორთქიფანიძის გადმოცემით, დავით წერეთელი, სამხედრო სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ, იმყოფებოდა ქუთაისში. იგი, ქართულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, მეტად პოპულარული, დარბაისელი პიროვნება და კარგი მოსაუბრე ყოფილა.

მათი მომსწრე და თანასოფელის — პეტრია კირვალიძის გადმოცემით, „აკაკის მსგავსი იყო მისი ძმა დავითი, არავის აწყენინებდაო“<sup>18</sup>. თვით აკაკის და დავითს, სიკვდილამდე ტკბილი ძმობა და სიყვარული ჰქონიათ, ერთმანეთს უდიდესი პატივისცემითა და მოკრძალებით ეკიდებოდნენ.

---

<sup>17</sup> გიორგი აბზიანიძე, ვის ეკუთვნის მოთხრობა „ჩერქეზის ქალი“, გაზ. „ლიტ. და ხელოვნება“, 1014, № 14, გვ. 4.

<sup>18</sup> ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3—4, 1942, გვ. 46 (პეტრია კირვალიძის მოგონებიდან).

რუსეთ-თურქეთის ომის დროს, 1877—1878 წლებში დავითი ისევ სამხედრო სამსახურშია. რუსეთის მიერ ბათუმის აღების შემდეგ, დავით წერეთელი დაუნიშნავთ აქარაში მაჭახელის უბნის უფროსად. ცხოვრების ამ პერიოდში მან დაბეჭდა გაზეთ „დროებაში“ ფელეტონები და კორესპონდენციები აქარელი ხალხის ბედ-უკუდმართ ცხოვრებისა და მდგომარეობის, მათი ზნე-ჩვეულებების შესახებ<sup>19</sup>. ასეთებია: „ბათუმი, 25 სექტემბერს“, „მაჭახელა, 8 ნოემბერს“, „მაჭახელა (ერთი თვალის გადავლება)“<sup>20</sup>, „მაჭახელა, 4 დეკემბერს“, „მაჭახელა, 3 დეკემბერს“, „მაჭახელა“, „მიზეზი ბათუმის ქართველების გარდასახლებისა (წერილი მაჭახელიდან)“; „მაჭახელა, 27 თიბათვეს“, „მაჭახელა, 2 სექტემბერს“ და სხვ. ეს წერილები დაბეჭდილია „დ. წ.“-ის და „თ. დ. წ.“-ის ხელმოწერით. ყველა ამ წერილებიდან მოჩანს დავით წერეთლის დიდი გულშემატკივრობა, ზრუნვა და სიყვარული, ხანგრძლივი დროის განმავლობაში თურქეთის ხელში მრავალტანჯული მოძმე აქარელი ხალხისადმი.

არსებული ცნობების მიხედვით, დავით წერეთელს დაბეჭდილი აქვს, აგრეთვე, წერილები ქუთაისის გაზეთ „შრომაში“<sup>21</sup> — „ქართველი მონასტრები უცხოეთში“ („თავ. დ. რ. წ“-ის ხელმოწერით); „ჩვენი ძველი და ახალი ეკლესიები“<sup>22</sup> (დავით წერეთლის ხელმოწერით) და სხვ.

აკაკი წერეთლის უფროსმა ძმამ — დავით როსტომის ძე წერეთელმა გარდაცვალების შემდეგ (1902 წ.) საკმაოდ საყურადღებო არქივი დატოვა. არქივი ინახებოდა მისი მემკვიდრის — ვასილ წერეთლის ოჯახში და ქართული ლიტერატურული საზოგადოებისათვის უცნობი იყო.

არქივის მოწესრიგებისა და გარჩევის შედეგად აღმოჩნდა, რომ დავით წერეთელი — „სხვიტორელი“ თავის დროისათვის მეტად განათლებული, პოპულარული და პროგრესული საზოგადო მოღვაწე ყოფილა. მისი პიროვნების ყოველმხრივი დახასიათებისათვის მის მიერ დატოვებული არქივი საკმაო მასალას იძლევა.

ამ არქივის მიხედვით ჩანს დავით წერეთელი — სხვიტორელი, როგორც მწერალი („ძველებური ამბები“, კორესპონდენციები და სხვა), მთარგმნელი, ლექსიკოლოგი, ისტორიული ხასიათის უცნო-

<sup>19</sup> „დროება“, 1878 წ. №№ 99, 237, 238, 255, 257; 1879 წ. №№ 2, 35, 37, 141, 187 და სხვ.

<sup>20</sup> ეს ფელეტონი გაზ. „დროებიდან“, „ივერიაშიც“ იქნა დაბეჭდილი (№ 47, 1878 წ.).

<sup>21</sup> გაზ. „შრომა“, 1882, № 5.

<sup>22</sup> იქვე, 1883, № 24.



ბების და ხალხური ყოფის დამახასიათებელი თქმულებების, ქველებური ამბების, არაკებისა და ანდაზების შემკრები და ჩამწერი. ძველი ხელნაწერების გადამწერი, ისტორიული და არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე ნივთების შემგროვებელი და სხვ.

უკანასკნელ წლების პერიოდში პრესაში გამოქვეყნებული მოსაზრებები დავით წერეთელ-სხვიტორელის შესახებ, ამ არქივის მიხედვით, მთლიანად დადასტურდა. ერთხელ და საბოლოოდ ექვმიუტანელი გახდა, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სამშობლოსათვის თავდადებულ მოღვაწეთა შორის გარკვეული მონაწილეობა მიუძღვის აკაკის უფროს ძმას — დავით წერეთელ-სხვიტორელსაც.

სხვიტორელის ხელმოწერით გამოქვეყნებული ნაწერების ავტორი რომ დავით წერეთელი იყო, ამის დამადასტურებელ ჟოკუმენტს წარმოადგენს არქივში აღმოჩენილი ბიბლიოგრაფიული ცნობები, ავტოგრაფი — „ჩემი სტატიები გაზეთ „დროებაში“ 1875 წელსა, სხვიტორელის ფსევდონიმით“, — შედგენილი თვით დავით წერეთლის მიერ. ამ ცნობარში ჩამოთვლილია ის ფელეტონები, სტატიები და კორესპონდენციები, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა მაშინდელ პრესაში („დროება“, და „შრომა“) და რომელთაც უკანასკნელ დრომდე შეცდომით აკაკის აკუთვნებდნენ.

საარქივო მასალებიდან აღსანიშნავია ხელნაწერთა ორი მოზრდილი წიგნი (დავთარი), წარწერით: „თავადი დავით როსტომის ძის დღიური“. ეს წიგნები წარმოადგენენ ავტოგრაფს, რომელშიც თავმოყრილია ნაწერები: ძველებური ამბები, გადმოცემები, ისტორიული ცნობები, ნარკვევები, მასალები (ჩანაწერები) სტატიებისათვის და სხვ. აქ თავმოყრილია ყველა ის მასალა, რომელსაც გადამუშავების შემდეგ, ავტორი თანდათან ბეჭდავდა. ასეთებია „ჩერქეზის ქალი“ (სხვიტორელის დღიურიდან), „იმერული ქუდი“, „ბატონები“, „აზნაური ბაქრაძე“ და სხვ.

დ. წერეთელს საკმაოდ დიდი მუშაობა ჩაუტარებია როგორც მთარგმნელს. მის არქივში ინახება ისტორიული ხასიათის ინგლისური მოთხრობა „მეუფე ტომისაგან დავითისა“ (569 გვ.) (თარგმანი რუსულიდან ქართულად, შესრულებული 1899 წელს); ისტორიული ლეგენდა — „უკანასკნელი ღამე იუდა ისკარიოტელისა“, ფრანგულიდან, (თარგმანი რუსულიდან ქართულად 1900 წელს), მოთხრობა იასინის „კაცობრივი ცნება მეგობრობაზე“ (თარგმნილი 1897 წელს), ჰენრიკ სენჩევიჩის მოთხრობა — „თან გავყვით“ და სხვ.

დ. წერეთელს საკმაოდ დიდი მუშაობა ჩაუტარებია, აგრეთვე, სალექსიკოლოგიო მასალის შეგროვება-დამუშავებისათვის, იგი თავს უყრიდა სიტყვათა მარაგს და იძლეოდა მათს განმარტებებს. დღესაც ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მის მიერ თავმოყრილი სალექსიკოლოგიო მასალა.

აქვე მრავლად არის თავმოყრილი ისტორიული ზასიათის ცნობები, თარიღები, ეპიგრაფიული გადმონაწერები, წერილი ამბები, საგვარეულო საბუთები, ოფიციალური თხოვნები და განცხადებები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ გასული საუკუნის ქონებრივი და სოციალური ურთიერთობის ცალკეული საკითხების გაშუქებისათვის.

დ. წერეთლის — სხვიტორელის პიროვნებისა და აზროვნების შესასწავლად მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალას წარმოადგენს მის მიერ სხვადასხვა დროს წარმოთქმული სიტყვები, რომლის ტექსტებიც არქივშია დაცული.

არქივში შემონახულია აკაკის, დავითის და სხვათა პირადი წერილები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ზოგიერთი საკითხების გარკვევისათვის.

ქართული კულტურის ისტორიის სათუთი სიყვარულის შედეგად დავით წერეთელ-სხვიტორელს არქივში, სხვებთან ერთად, შემოუნახავს და დაუცავს „ქართლის ცხოვრებისა“ და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის დღემდე უცნობი ხელნაწერი ეგზემპლარები.

„ქართლის ცხოვრების“ ეს უცნობი ხელნაწერი უნდა ეკუთვნოდეს მე-18 საუკუნის 60-იან წლებს. ხელნაწერი საჩუქრად მიუღია დავით წერეთელს ქართლში, თედეოზ გურამიშვილის (ილია კავჭავაძის სიძემრი) ოჯახიდან. წიგნი კარგად არის დაცული, ტყავგადაკრული ხის ყდით.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიც კარგად არის დაცული. ტყავგადაკრული ყდით, ორნაირი მხედრული ხელით, სუფთად და ლამაზად არის შესრულებული. ეს ხელნაწერი უნდა ეკუთვნოდეს მე-18 საუკუნის მეორე ნახევარს, დღემდე უცნობია და ვარიანტული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ლექსიკონი აკაკი წერეთლის ნაქონია, რასაც ადასტურებს მისი უფროსი ძმის — დავით სხვიტორელის, მინაწერი: „ეს ლექსიკონი მომცა ჩემმა ძმამ აკაკიმ 1889 წელს 5 იანვარს“.

დავით წერეთელ-სხვიტორელის არქივი, როგორც აკაკის, ისე დავითის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის დიდი

მნიშვნელობის მქონეა. ამჟამად ეს არქივი დაცულია სოფელ სხვიტორში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის ფონდში<sup>23</sup>.

დავით წერეთელი აქარაში, სამხედრო სამსახურში, 1881 წლამდე ყოფილა, რის შემდეგაც სამსახურიდან გამოსულა და დაბრუნებია თავის ოჯახს. თავისი სიცოცხლის უკანასკნელი დრო მას გაუტარებია სამშობლო სოფელ სხვიტორში.

დავით წერეთელი გარდაიცვალა 1902 წელს, რასაც იუწყებოდა გაზეთ „ივერიაში“ მოთავსებული სამგლოვიარო განცხადება<sup>24</sup>. იგი დასაფლავებული იქნა სოფელ კვერეთში მამაპაპეულ აკლდამაში.

კვერეთში, მამაპაპეულ აკლდამაში დავითისათვის სამხარის გატარის დროს, აღმოჩნდა ძველი საფლავი და ზედ ქვა წარწერით. აკაკის მიერ შემოწმების შემდეგ გამოიჩვენა, რომ აღნიშნული საფლავი ეკუთვნოდა დავით როსტომის ძე წერეთელს — აკაკის და დავითის მამის ძმას.

ამგვარად, აკაკის ძმა დავითი თავის ბიძის დავით როსტომის ძე წერეთლის საფლავის ზემოდან დაიმარხა. აკაკიმ ამის გამო, თავისი ძმის — დავითის საფლავის ქვას ასეთი წარწერა გაუკეთა:

ორი დავით როსტომის ძე  
ერთი ბიძა და ძმის წული,  
ერთ საფლავში მოვიქცით  
წერეთლები დამარხული.  
ალბათ თურმე ეგ ყოფილა  
ცა და ქვეყნის ღვთის განგება,  
და ორივეს ერთად გვითხრან  
საუკუნო განსვენება.

---

<sup>23</sup> ლიტერატურული მატრიანე, წიგნი 3—4, 1942, გვ. 35, ბაგრატ ზაჰახიძის მოგონებიდან.

<sup>24</sup> გაზეთი „ივერია“, 1902, № 95.

## ლეილა სულხანიშვილი

### პართველ სამოციანელთა იდეურ-მხატვრული ტენდენციები ვაჟა-ფშაველას ლირიკაში

მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ძირითადი და წამყვანი ტენდენცია პატრიოტული ხასიათისაა. ამ ტენდენციამ, გასაგებები მიზეზების გამო, პატარა, ხანგრძლივ ბრძოლაში დამარცხებული ერის პატრიოტიზმისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი შეიძინა. აქ, პირველყოვლისა, აღსანიშნავია ეროვნული თავისუფლების წყურვილი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სულისკვეთება. ამ ბრძოლის ინტერესები შინაგან მობილიზებას, სულიერი ენერგიის მოკრებასა და მთელი ძალების დაძაბვას მოითხოვდა ერისაგან; იგი მოითხოვდა დაუცხრომელ მოქმედებას, დაუღალავ შრომას, გონებრივ გაღონიერებასა და ზრდას, რათა „მცნების ნათლით ზე-აღზიდულსა და ამალღებულ“ ერს, როგორც ილია იტყოდა. „ჰკუთთ განეჰვრიტა საზოგადო ცხოვრების დენა“ და მოზავლის გზა გაეკვლია.

საქვეყნო საქმისათვის ერთობლივი შრომა და ღვაწლი კი, თავის მხრივ, საქვეყნო ტკივილებით განმსჭვალვას, პირადი ინტერესების, პირადი მტრობისა და შუღლის დავიწყებას, გაერთიანებას, ერთმანეთთან დაკავშირებას და, საზოგადოდ, ერის გარკვეულ ზნეობრივ ამალღებას გულისხმობდა.

60-იანი წლებიდან, როცა ქვეყნის ცხოვრებას თერგდალეულები ჩაუდგნენ სათავეში, ერის ცხოვრების ზემოხსენებული მიმართულებით წარმართვა ლიტერატურამ იტვირთა; ერის გამოფხიზლება, მასში მოქალაქეობრივ-მამულიშვილური გრძნობების გაღვიძება, ეროვნული თავმოყვარეობისა და სიამაყის, ეროვნული თვითშეგნების აღდგენა მან დაიწყო. ლიტერატურა თერგდალეულებმა ხალხის სამსახურში ჩააყენეს და მას ერის მრჩევლისა და წინამძღოლის ფუნქცია დააქისრეს.

ვაჟას მთელი შემოქმედება თერგდალეულთა მიერ ლიტერატურისა და მწერლისათვის დაქისრებული ამ დიდ მოვალეობის

შეგნებით არის აღბეჭდილი. იგი თავიდანვე მტკიცედ დაადგა სამოციანელთა კვალს და, შეიძლება ითქვას, ბოლომდე ამ გზით იარა. ამიტომაც, მისი შემოქმედების იდეური შინაარსი: სამშობლოს სიყვარული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოტივები, ერისგან გაერთიანებისა და ინტენსიური მოქმედების მოთხოვნა, ზნეობრიობის დაყენებული ქადაგება, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია ვაჟას პუბლიცისტური ხასიათის ლექსებისათვის, არსებითად სამოციანელთა სულიერი მემკვიდრეობით არის განსაზღვრული. მეორე (თუმცა არა მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის) საკითხია, თუ მხატვრულად როგორ გამოვლინდება ვაჟასთან ეს იდეური შინაარსი და რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს იგი, ამ თვალსაზრისით, სამოციანელთა მემკვიდრეობასთან.

ვაჟას შემოქმედების პატრიოტული ხასიათი ძნელი შესამჩნევია არ არის. ამ გრძნობით ვაჟას პოეზიაში არა ერთი და ორი ნაწარმოების შინაარსია განსაზღვრული. იგი გამოსკვივის და ხშირად მკაფიოდაც ჩანს იმ ლექსებშიც კი, სადაც წამყვანი მოტივი თითქმის სრულიად სხვა ხასიათისაა (ვთქვათ, სატრფიალო ხასიათი), ან სადაც ბუნების სურათებია მოცემული. ამგვარად იკვეთება ვაჟას შემოქმედებაში პატრიოტული გრძნობის გამოვლენის ერთი თავისებურება<sup>1</sup>.

ამავე დროს, სამოციანელებისაგან განსხვავებით, ვაჟასთან სამშობლოს ცნება სრულიად კონკრეტული შინაარსით ივსება. სამშობლო აქ უკვე აღარ არის „ზოგადი იდეა“ სამოციანელებისა, არამედ არის აი, ეს მთები, ეს ამწვანებული თუ დათოვლილი ქედები, ეს მდინარეები და ნაკადულები, ეს სოფლები და ციხე-კოშკები<sup>2</sup>. პატრიოტული გრძნობა ვაჟასი ჩანს არა მარტო ისეთი პოეტური სტრიქონებიდან, როგორიცაა:

სამშობლოსათვის სიცოცხლეს  
ისე ვწევთ, როგორც ჩალასა...

---

<sup>1</sup> ეს თავისებურება დაკავშირებულია ვაჟას ლექსის პოლითემატურობასთან. ამის შესახებ იხ. გ. რ. კიკნაძის „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, 1957, გვ. 39.

<sup>2</sup> იხ. გ. რ. კიკნაძის „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, 1957, გვ. 44, სადაც ვკითხულობთ: „ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სამშობლო წარმოდგენილია არა როგორც ზოგადი იდეა, არამედ როგორც მისი კუთხე თავისი მდინარეებითა და მთებით, ყვავილებით, ფრინველებით და ცხოველებით. აქ სამშობლო თვით ამ კონკრეტულ მოვლენებში დაინახება, ე. ი. სამშობლოს იდეა მოუცილებელია ქვეყნის კონკრეტული შინაარსისაგან“.

არ მივცემთ სხვასა სამშობლოს  
ჩვენის ცოცხალი თავითა... („მხედართა ძველი სიმღე-  
რა“)

არა მართო იმ ნაწარმოებებიდან, რომლებშიც წარსული ღროის  
გმირული ბრძოლებია დახატული („ბახტრიონი“, „მოხუცის ნათქ-  
ვამი“, „ბაკური“), ან იმ ლექსებიდან, რომლებსაც მოლაშქრეთა სიმ-  
ღერები ჰქვია, არც მხოლოდ ერეკლესა და მისი უკანასკნელი გაბ-  
რძოლებისადმი მიძღვნილი თხზულებებიდან, არც მხოლოდ იმ პოე-  
ტური სიზმრებიდან და ჩვენებებიდან, რომლებიც თვალწინ წარ-  
მოგვიდგენენ აბჯარასხმულ და ისევ სალაშქროდ გამზადებულ ჩვენს  
გმირ წინაპრებს... არანაკლებ ღრმა პატრიოტულ გრძნობას გამოავ-  
ლენს მთების დანახვაზე ვაჟას აღტაცებული შეძახილი:

თქვენი ჰირიშე, ჰოი, მთებო,  
ქედაწვდილებო ზეცადა...

ან მშობლიურ კუთხეს მონატრებული ფშაველი მწყემსის სიმღერა:

ისევ ფშავის ხევს ვენაცვლე,  
გულკუთილს თავაზიანსა,  
მის მთებს, მორთულებს ბალახით,  
ძირს — ქალებს, გორ-გურს ტყიანსა...

არაგვისადმი პოეტის ტრფიალშიც ჩვენ სწორედ სამშობლოს სიყვარულს ვხედავთ. როცა, მაგალითად, ვაჟა იტყვის:

დაწუხებულმა, არაგვო,  
რო გნახე, გავიხარეო,  
სრულიად გამოვიცვალე,  
წელშიაც ავიხარეო.  
რა ლამაზია, წყეულო,  
შენთ ზვირთთა ლაღნი ჩქერანი,  
გაათრებულსა ტალღასა  
კლდეს რო წაუვლენ თქერანი!

და შემდეგ:

გულიც იქ იწევს, თვალიცა,  
იქ რო მაღალი მთებია.  
ვინც რომ გიქმადი გაგზარდა,  
ვის ძუძუც პირში გდებია, —  
იმათ კალთაზემც მოვეკვდები,  
მათ ლოდი გულსამც მდებია! („არაგვს“)

როცა ამ სტრიქონებს ეკითხულობთ, ჩვენთვის აშკარაა, რომ გიჟ-მაყი არაგვისა და მაღალი მთების სახით, რომელთა კალთაზე 'აი-ვლილიც კი სიზარულია პოეტისათვის, ვაჟა ეტრფის თავის სამშობლოს, თავის კუთხეს, სადაც, მდინარეები და მთები კი არა, ყოველი კენჭიც კი ძვირფასია მისთვის.

ადგილო კურუმ-კურუმო,  
ველიან-ჭალიანო,  
სამოთხესავეთ ლამაზო,  
მიყვარხარ ძალიანო... („ადგილო კურუმ-კურუმო“)

იღინონ ნელის ნაბიჯით  
შავთ ნისლთა გასაშტეროთა,  
მკერდს მაიფინონ ყვავილნი  
ჩემის სამშობლოს მდებლთა... („ადარც-რას  
მერცხალს ვუყურებ“).

ასეთი სტრიქონები ხშირად გვხვდება ვაჟას პოეზიაში და არ უნდა იწვევდეს ეჭვს, რომ მწვანე მდებლობებზე მოფენილი ყვავილების, დინჯად, ნელის ნაბიჯით მომდინარე ნისლისა თუ ველიან-ჭალიანი ადგილების სიყვარულით ვაჟა სწორედ თავისი სამშობლოსადმი აღტაცებულ სიყვარულს გამოხატავს.

მართალია, ვაჟას შემოქმედებაში სამშობლო ხშირად „კონკრეტულ მოვლენებში დაინახება“ და მისდამი ტრფიალი ამ მოვლენებთან პოეტის ემოციურ მიმართებაში ამოიკითხება; მართალია, ვაჟას პოეტური ინდივიდუალობისათვის პატრიოტული გრძნობის სწორედ ამგვარი მხატვრული გამჟღავნებაა დამახასიათებელი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ვაჟა არც ქართულ მწერლობაში მიღებულ და იმ დროისათვის უკვე ტრადიციულ გზაზე ამბობს უარს. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს, პირველ ყოვლისა, მე-19 საუკუნის პოეზიაში გავრცელებული სატრფო-სამშობლოს ალეგორიული სახე. ეს ალეგორია, რომელიც ქართულ მწერლობაში ვახტანგ I-თან იღებს სათავეს, ჭერ დავით გურამიშვილის, ზოლო უფრო მოგვიანებით ალ. ჭავჭავაძის ლირიკაშიც იჩენს თავს, ბოლოს კი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს აკაკის პოეზიაში („მუხამბაზი“ — 1872, „აღმართ-აღმართ“ — 1876, „ჭაღარა“ — 1886, „სატრფოს“ — 1892, „სალამო“ — 1892, „სატრფოვ, ნუ გეშინია!“ — 1911 და სხვ.). ვაჟა-ფშაველა აგრძელებს ამ ტრადიციას და დაჩაგრულ, დამონებულ სამშობლოს მშვენიერი ქალის, სატრფოს („კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“ — 1906, „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“ — 1907, „შენდამი“ — 1909, „რუსთაველის ნეშტს“ — 1909), ზოგჯერ კი დედის

სახით წარმოგიდგენს („შინ ბრუნდებიან“ — 1905, „დედას ტირილი“ — 1908). ჩაგრული სამშობლოს ასოციაციას იწვევს და, მართლაც, მისი ალეგორიული გამოხატულება უნდა იყოს იმ ტურთა ასულის სახეც, რომელიც ვაჟას „ჩვენებათა“ ციკლის მოთხრობებშია გამოყვანილი („საახალწლო სიზმარი“ — 1893, „მოჩვენება“ — 1897, „ამირანის ზმალი“ — 1902, „ოცნება“ — 1903). ზოგჯერ ვაჟას ეს ალეგორიული შინაარსის ხატი აკაკის იმავე შინაარსისა და მნიშვნელობის ხატს კონკრეტული შტრიხებითაც ემსგავსება. ასე მაგალითად, აკაკის სატრფო ავადმყოფია („ავადმყოფი“), ცოცხალ-მკვდარი:

ძველი ტურთა, დღეს მკვდარივით მძინარია  
ფეხშიშველი, თავზედ ლეჩამოხდილი,  
უგრძნობლად ჰხდის საწყალს საღათს ძილი!  
(„მუხამბაზი“).

ვაჟასთან ვკითხულობთ:

გავხდი მძინარის სათრეველად,  
მის ლამის დასალამადა.  
ან ს ა ტ რ თ ო ს რაღა ვუშველო,  
ვიცი, რომ არის ა ვ ა დ ა.  
წამლები უნდა, ექიმი,  
როდი მორჩება თავადა!  
(„ხილო, მოგენდე, ჩამიტყლი“ 1908).

ლექსში „შინ ბრუნდებიან“ დედა (სამშობლო) უსაყვედურებს შვილებს:

რად მოხდა ასე? როდესაც  
ლოგინად ვიწვე ს ნ ე უ ლ ი,  
კკნესოდი, ცრემლებს ვაფრქვევდი  
მიტოვებული, ეული,  
წყლულებში აღარ მიჩანდა  
გვემულ-ტანჯული სხეული;  
თქვენ არ მიგდებდით მაშინ ყურს,  
ვინ გაბრიყვებდათ წყეული?!  
„კვდებაო — გულში ამბობდით —  
თ ა ე ს მ ა ნ დ ი ლ - ჩ ა მ ო ხ ე უ ლ ი .“

როგორც ვხედავთ, სამშობლოს ავადმყოფ სატრფოდ ან სნეულ, „თავს მანდილჩამოხეულ“ დედად წარმოდგენა არ არის ორიგინალური ვაჟასათვის და იგი აკაკის მიერ შექმნილ ხატს ეყრდნობა. აკაკისვე ეკუთვნის, როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა გამოყენება დამონებული სამშობლოსა და მისთვის



თავდადებულ გმირთა ალეგორიული გამოსახვისათვის. აკაკის პოე-  
ზიაში სამშობლო ქაჩთა მიერ შეპყრობილი ნესტანია, ტარიელ,  
ფრიდონ და აეთანდილი კი — მის დასახსნელად თავგანწირული  
მამულიშვილები („სატრფოს“, „სალამო“ „ჭალარა“). ვაჟა ამ ალე-  
გორიას იმეორებს ლექსში „რუსთაველის ნეშტს“, როცა იგი თავის  
დიდ წინაპარს მიმართავს:

წამოგვეზარდნენ კაბუჯნი,  
ჰნახო, სენობ არწივ-ქორადა!  
თავს სწირვენ ნესტანისათვის  
ტარიელივით ლომადა.

ვაჟას პოეზიაში ბუნების აყვავებასთან, გაზაფხულთან ასოცირ-  
დება ზოგჯერ სამშობლოს მდგომარეობა, მისი მომავალი. სანიშუ-  
შოდ შეიძლება დავასახელოთ ლექსი „რად ამბობთ, გაზაფხულ-  
დაო“, რომლის დასაწყისი სტრიქონებიდანვე მკაფიოდ იგრძნობა  
გაზაფხულის გადატანითი მნიშვნელობა:

რად ამბობთ: „გაზაფხულდაო“,  
მოკლულს გულს მიკლავთ მეორედ?  
სთქვით, კიდევ სთქვით, საწყლებო,  
სიცრუე გაიმეორეთ!  
მე ვერსად ვხედავ გაზაფხულს,  
ვერსად ვარდს, ველარც იასა;  
მიწურულია აპრილი,  
დღეს კი ვერ ვხედავ მზიანსა  
გაზაფხულისას, ტკბილს და თბილს,  
არც მერცხლებს მალხაზ-ფრთიანთა:  
ყორნებსა ვხედავ მხოლოდა,  
სისხლით დათხუპნილთ, ბრჭღლიანთა.

თუმცა ციტირებულ ნაწყვეტში და, საერთოდ, მთელ ლექსში  
ინტონაცია, პოეტური ლექსიკა. გამოთქმები, საგნები და, საზოგა-  
დოდ, მთელი პოეტური გარემო ვაჟასეულია, თვით გაზაფხულა,  
როგორც სამშობლოს სასურველი მდგომარეობის ალეგორიაა ტი-  
პიური მე-19 საუკუნის პოეზიის. კერძოდ, სამოციანელთა პოეზიი-  
სათვის. გავიხსენოთ ილიას „გაზაფხული“ („ტყემ მოისხა ფოთო-  
ლი“...), აკაკის იმავე სათაურის ლექსები, დაწერილი 1881, 1883,  
1905 წლებში, რომელთაგან ერთი ასეთი სტრიქონებით მთავრდება:

მხოლოდ ჩემი გაზაფხული  
არ მოსულა ჭერაც კიდევ,  
გინდ ხმელეთიც აბიბინდეს  
და აყვავდეს კიდის-კიდე.  
სანამ ძველი პრომეთეოს,

ქართველების ამირანი  
მიჯაჭველი მეგულება,  
ვერ გამსკვალავს სხვა საგანი.  
და როდესაც თავს აიშვებს,  
ქირნახული გმირთა-გმირი,  
ჩემთვის მაშინ ვარდის ფერად  
აპყვავდება ქვეყნის პირი.  
მაშინ მხოლოდ!.. მხოლოდ მაშინ  
დამიდგება გაზაფხული,  
და მოგიკვდეთ, თუ სიმღერით  
ვერ დაეჩაგრე მე ბულბული! (1883).

ვაჟას ჩანგიც ხომ, მსგავსად აკაკისა, ასეთ გაზაფხულს ელის, —  
საქვეყნო გაზაფხულს. მისი ფანდურიც ხომ ღუმს, როცა გონების  
თვალი გაზაფხულის მაუწყებელ ნიშნებს ვერ ხედავს:

არც კექა მესმის. არც ელვა  
და არსად წვიმის შხაპუნი.  
„მცივო, ცეცხლზე გამათბე“,  
მესმის კარების რაკუნი  
მგზავრის... ზაფხულის ლოდინით  
გზიბლავთ ოცნება მაცდური.  
ამგვარი გაზაფხულისთვის  
არა ჰქვდეს ჩემი ფანდური

აკაკის პოეზიასთან ვაჟას აახლოებს, აგრეთვე, მიჯაჭველი  
ამირანის თემა. ამირანიც დამონებული სამშობლოს ალეგორიული  
სახეა. თქმულება ამ ღმერთებისაგან დასჯილი მიჯაჭველი ტიტანის  
შესახებ ჯერ კიდევ ბავშვობისა და ყრმობის წლებში შეიძლებოდა  
შექრილიყო ვაჟას სულიერ სამყაროში. სწორედ ყრმობისდროინდელ-  
ი, განსაკუთრებით ცხოველმყოფელი შთაბეჭდილების შედეგად  
უნდა გასდევდეს ეს სახე მიჯაჭველი ამირანისა ვაჟას მთელ შემოქ-  
მედებას — დასაწყისიდან დასასრულამდე („ამირანი“ — 1894,  
„დაუსრულებელი კენესა“ — 1890, „სიზმარი ამირანისა“ 1894,  
„გაზაფხული“ — 1898, „მემღერება და ვიმღერი“ — 1903, „ამგლიჯა  
გული შავმა ყორანმა“ — 1907); და არა მარტო პოეზიას, — მხატვ-  
რულ პროზასაც („კლდე მტირალი“ — 1889, „ამირანის ხმალი“ —  
1902).

აკაკის მსგავსად, ვაჟაც ამირანის სახეს ალეგორიული შინაარ-  
სით ტვირთავს და მას გაიაზრებს როგორც ბორკილდადებულ სა-  
ქართველოს. ამ სახის შემცველი თითქმის ყველა ნაწარმოები, ვა-  
ჟასთანაც და აკაკისთანაც, გმირის მიერ ჯაჭვის აწყვეტის, თავის  
ახსნის, ბორკილების მსხვრევის მოლოდინით არის აღბეჭდილი.

მოვა დრო და თავს აიშვებს,  
იმ ჭაქვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!...  
სიხარულად შეეცლება  
ამდენი ხნის გასაჟირი!..

აკაკის ამ იმედიან სტრიქონებს არაერთხელ ეხმაურება ვაჟა-  
მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე. და თუმცა  
მოთხრობაში „კლდე მტირალი“ ერთ პატარა ღობემძვრალა ჩიტს  
ათქმევინებს ჭინკებისა და მათი სახით, ყოველგვარი ბოროტების  
მისამართით:

ღმერთი გრისხავდეთ მაღალი  
სამის სამების ძალითა,  
რომ ამირანის ტანჯვაში  
თქვენ არ გაგათბოთ ბრალითა.  
კიდევაც პნახავთ ამირანს  
ხელში ხმლით, ტანზე რვალითა,  
მოგდევდეთ, გაწიოკებდეთ  
თავის ძლიერის მკლავითა.

ჩვენ ამ სტრიქონებში ვაჟას მქუხარე ხმა გვესმის.

ერთი რამ კი უნდა ითქვას: ვაჟას შემოქმედებაში ამირანის სა-  
ზე გაცილებით მეტ კონკრეტულობასა და სიცხადეს იძენს, ვიდრე  
აკაკისთან, იმის გამო, რომ ვაჟას ეს გმირი არაერთი ინდივიდუა-  
ლური ნიშნითაა წარმოდგენილი — გარეგნული თუ სულიერი მოძ-  
რაობის გამომხატველი ნიშნით:

უზარმაზარი ტანისა  
კაცი ეინმე სჩანს კლდემიო,  
გულის მდნობელი ნაღველი  
უხმოდ დუღს იმის მკერდშიო.  
უგრძნობი ჭაქვი მკლავებზედ  
ეხვევა როგორც გველიო,  
და აბლაბუდა თვალებზედ  
გადაჰკრობია ქსელიო.  
ტანზედ აჰსხმია ყინული  
და ხავსი შავის ფერისო,  
სდგას ესე დაჩოქებული,  
მომლოდნე ჭაქვის მტკრევისო. („ამირანი“)

აქ მოცემული გარეგნული ნიშნები — მკლავებზე გველივით  
შემოხვეული უგრძნობი ჭაქვი, თვალებზე გადაკრული აბლაბუდა,  
ტანზე ასხმული ყინული და შავი ფერის ხავსი, დაჩოქვით დგომა —  
გარდა იმისა, რომ თავისთავად მხატვრულად საყურადღებო ნიშნე-  
ბია და მათი ერთობლიობით საკმაოდ თავისებური მხედველობითი

ხატი იქმნება, — საინტერესოა იმიტად, რომ ყოველი მათგანი გმირის დიდ სულიერ ტანჯვაზე მიუთითებს. იმავე ლექსში ამირანის ნდგომარეობა და მისი გარემო წარმოდგენილია ისეთი დეტალებით, რომლებიც ამდიდრებენ კიდევ ამირანის სახეს და, ამავე დროს, ხალხური თქმულებიდან მის წარმომავლობას ცხადყოფენ:

პირდაპირ დაუდებელი  
ჟანგდება მისი ხმალიო,  
მოსვენებასა თაკილობს,  
კრემლსა ღვრის, როგორც ქალიო.

.....

მოზარე წამებულისა  
ფეხთ ჩასწოლია ფინია,  
ამ პაწაწინა არსებას  
უცხო რამ დაუფინია.  
დაუსვენებლად ენითა  
ლოკავს ჭაქვს — უნდა გასწყვიტოს,  
რომ თავი იხსნას ტანჯულმა,  
ბილწი მკედლები გასწყვიტოს.

საგულისხმოა, რომ ეს სურათი თითქმის უცვლელად მეორდება ვაჟას პროზაში:

„კლდის გულში სხვა ვიღაც კვნესის, წყვილიაღში შემწყვდეული. მეტისმეტს ვარამს იმის თვალეზზე კრემლი შეუშრია, თუ ბევრი უტირნია და კრემლი გამოჰლევია. კლდეს რა უჭირს, — ცასა და მზეს, დედამიწას მაინცა ჰხედავს, მაგრამ ეს ვიღაც სულიერი კვნესის კლდის გულში, ის ყველაფერს მოკლებულია, ტანჯვას ვარა, ს ქ ე ლ ი ს ჯ ა ჰ ვ ი თ დ ა ბ მ უ ლ ი, დაღვრემილი, წ ვ ე რ-მ ე ხ ა ვ ს ე ბ უ ლ ი ა და ტ ა ნ ზ ე დ ა ც კ ი ხ ა ვ ს ი მ ო ჰ კ ი დ ე-ბ ი ა... იმის კვნესა არავის ესმის, კლდის მეტს. პ ი რ დ ა პ ი რ უ კ ი დ ი ა ხ მ ა ლ ი, იქვე გდია იმისი ლახტი. იმათ რომ ჰხედავს, უფრო გული უკვდება. ერთს დროს ჰხმარობდა და ეხლა კი ყ ა ნ-გ ი ს ს ა ჰ მ ე ლ ა დ გ ა მ ზ დ ა რ ა თავის იარაღითურთ. იცვლება დღე დღით, ღამე — ღამით, ამოდის მზე და ჩადის, მაგრამ ამ კაცს შვება არ ეძლევა; ებმის საუკუნე საუკუნეს და არსად შველა მისთვის, არსად ხსნა...“

ვინ არის მეშველი გმირისა? არავინ. ერთი მარტო გ ო შ რ ა ა იმისი პატრონი, მთელის წლის განმავლობაში დ ა უ ს ვ ე ნ ე ბ ლ ა დ პ ლ ო კ ა ვ ს ჯ ა ჰ ვ ს ა და როცა მიიყვანს გაწყვეტაზე, მკედელი გრდემლზე კვერს დაჰკრავს და ჯაჰვი ისევ გამთელდება“ („კლდე მტირალი“).

ვაჟა სულ უფრო და უფრო აღრმავებს თქმულებიდან წარმოღებულ ამირანის სახეს, მის სულიერ ვითარებას ნაირ-ნაირი საშუალებებით ხატავს, მიმართავს სიზმარს, კოშმარებს, როგორც გმირის სულიერი ტანჯვის გამოსახვის გზებს, და ამასობაში სახე იმდენად ცოცხლდება, იმდენად ხელშესახები და ადამიანური ხდება, რომ ეს ალეგორიული შინაარსის ხატი სრულიად თავისუფლდება ჩვეულებრივი ალეგორიული მეტყველებისათვის დამახასიათებელი სქემატურობისა და, როგორც შენიშნავენ საზოგადოდ ვაჟას ალეგორიების შესახებ, რაციონალისტური ელფერისაგან<sup>3</sup>. ეს, მხატვრობის თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი თავისებურება განასხვავებს ვაჟას ალეგორიულ სახეებს აკაკისა და, საერთოდ, მე-19 საუკუნის პოეზიაში გავრცელებული ალეგორიული სიმბოლიკისაგან.

ცნობილია, რომ დიდმა სამოციანელებმა — ილიამ და აკაკიმ, სხვა მხატვრულ საშუალებებთან ერთად, ისტორიული თემატიკაც გამოიყენეს მკითხველი საზოგადოების გამოსაფხიზლებლად, თავიანთ ხალხში ეროვნული გრძნობის გასაღვივებლად, მის შეგნებაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეების დასანერგად. ისტორიული მასალით გატაცება განსაკუთრებით აკაკის შემოქმედებაში იგრძნობა. „ბაგრატ დიდი“, „თორნიკე ერისთავი“, „კიკელას ნაამბობი“, „ნათელა“, „ბაში-აჩუკი“, — ყველა ეს თხზულება იმ დროს იკითხებოდა როგორც საბრძოლო მოწოდება, მათში გამოყვანილი ისტორიული პერსონაჟები მკითხველს სამაგალითო, მისაბამ გმირებად ესახებოდა... — და პოეტის მიზანიც ეს იყო. სწორედ ამ გზას ადგას, სამოციანელთა ამ ტრადიციას აგრძელებს ვაჟა-ფშაველა, როცა თავის ეროვნულ გულისტკივილს გამოხატავს ისტორიული პოემებით — „მოხუცის ნათქვამი“ და „ბახტრიონი“, როცა მიმართავს გმირი ერეკლეს აჩრდილს (ლექსები: „ხმა სამარიდამ“, „1795 წლის სახსოვრად“, „დანაბარები“, „ერეკლეს სიზმარი“), აკლდამებიდან გამოჰყავს წარსული დროის რაინდები („სიზმარი სასოწარკვეთილისა“, „ზმანება“, „სიყრმიდან საიჭიოსთან“, „ჩვენება“, „კახეთს“).

აი, პოეტის თვალწინ გაიელვებს

წინაპართ გმირთა სახენი,  
ჯაჳე-მუზარადით შორთულნი,  
წარსულთა დროთა ქართველნი.

3 გ. ასათიანი, ქართველა ლირიკოსები, 1963, გვ. 66.

მათ ტანთ შავები აცვიათ...  
სდუმან, ხმას ერთიც არ იღებს,  
მხოლოდ ცრემლს ჰღვრიან გმირები...

(„ზმანება“).

და მკითხველი სრულიად ადვილად ხვდება, თუ რატომ არიან თაძით მოსილნი მისი „ნამაშვრალ-დატანჯული“ წინაპრები, რატომ დუმან ასე მწუხარედ და რასა გლოვობენ:

ნუ იტყვით, ნურაფერს იტყვით,  
ნუ დაიჩივლებთ, ძმობასა,  
კ ა რ გ ა   გ ა ვ ი გ ე,   რ ი ს თ ვ ი ს ა ც  
ხ ა რ თ   უ ნ უ გ ე შ ო ს   ყ ო ფ ა ს ა:  
თქვენი დარდი და ტირილი  
ჯერ ვერ მოგვიყვანს ცნობასა,  
ჯერ დრო არ არი, ვერ მოვშლით  
ერთურობის შურს და მტრობასა.  
თქვენ დაგაბრალებთ ავს საქმეს,  
თქვენვე დაგიწყებთ გმობასა.

გრ. ორბელიანმა, რომელმაც პირველმა გამოიწვია შორეულ და უახლოეს წინაპართა აჩრდილები, ვინც მოიგონა და ხოტბა შეასხა მათ საქვეყნო ღვაწლს და მათი გმირული ცხოვრება თანამედროვეთ მაგალითად დაუსახა, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებში წარმოთქვა:

ვ ი ნ   ა ლ ჩ ნ დ ე ს   გ მ ი რ ი,  
რომ მის ძლიერი  
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?  
რომელ მარჯვენით,  
ერთისა დაკერით,  
უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰცემდეს?  
მაგრამ ამაოდ, ჩემო იარალი,  
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა... („იარალი“).

გრ. ორბელიანის ამ სიტყვებს სამოციან წლებში დიდი ილია გამოეხმაურა. მან თავისი დროის ქართველობა ერთხელ კიდევ მიახედა წარსულისაკენ და გაახსენა: აი, რანი ვიყავით, რად გვიღირდა საქვეყნო საქმე, როგორ ვიცავდით თავისუფლებას, და დღეს რაღა ვართო...

მაგრამ, ქართველნო, ს ა დ ა რ ი ს   გ მ ი რ ი,  
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ესტირი?  
იგი აღარ გყავთ...

— თქვა მან უდიდესი გულისტკივილით.

აქ არვის — დიდსა თუ პატარასა —  
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული.  
დაჰვიწყებიათ, რომ ქვეყნად ცასა  
ღვთად მოუცია მარტო მამული. („აჩრდილა“).

მხატვრული თვალსაზრისით, სრულიად განსხვავებულად — არა რიტორიკული სტილით, არამედ წმინდა პოეტური ხატებით — აქვს ეს აზრი განსახიერებული ვაჟა-ფშაველას არაერთ შედევრში, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია ლექსი „ძვლები“. ამ ლექსში წარსული დროის მეომართა ძვლები მამულის დასახსნელად სამარიდან ამოსვლას ლაშობენ. მათ ერთი ბერი მეომრის, ქიებისაგან დაზრული, ძვალი აჩერებს შემდეგი სიტყვებით:

დაეყარნით თქვენთვისა,  
თქვე საცოდავო, ხმელანო!  
ის დრო ხომ არა გგონიათ,  
ჩვენ რომ მოვკამეთ ძველადო?  
ნეტავ რო სჩქარობ ადგომას,  
ვის გაუძღვები, ბელადო?!  
სამარეშიით ყურს ეუგლებ  
ჩვენს საფლავებზე მავალთა,  
ხმა მათი კაცის ხმას არ ჰგავს,  
ენა უცხო აქვს მრავალთა.

თანამედროვე სულის ამგვარი დაკნინებით, ამგვარი დაუძლეუ-რებით გამოწვეული ტკივილი ყველაზე დიდი ტკივილი ჩანს — სა-მოციანელთა და, განსაკუთრებით, ილიას მსგავსად, — ვაჟა-ფშავე-ლას პოეზიაშიც. ამიტომ არის, რომ ისიც გარდასულ დროთა გმი-რებს იშველიებს თანამემამულეთა გასაწინეებლად და მათში ვაჟა-ცური სულის გამოსაღვიძებლად; ამიტომ არის, რომ ეს გმირები, რომლებიც ხშირად ვაჟას პოეტური „სიზმრებისა“ და „ჩვენებების“ პერსონაჟებად წარმოგვიდგებიან, მოდიან მწყობრი ნაბიჯით, ჯაჭუ-იარაღში ჩამსხდარნი, სალაშქროდ გამზადებულები. სწყურიათ ბრძო-ლა, სწყურიათ იხილონ განახლებული საქართველო. ამგვარ მიზან-სწრაფვაზე მეტყველებს ვაჟას ყველა ზემოხსენებული ლექსი. ლექსში „ხმა სამარიდან“ კი ეს მიზანსწრაფვა სრულიად შეუნიღბავ საბრძოლო მოწოდებად იქცევა:

ხმალი გალესე, ძმობილო,  
მტერი გადმოდგა მთაზედა:  
აგვიოხრებენ ქვეყანას,  
დაგვეცემიან თავზედა.

გალესე, ისე გალესე,  
პირს იკიდებდეს თმაზედა.  
მადლია, კიდევ ელისოს  
გორდას მტრის სისხლი ფხაზედა!

ვაჟას პოეზიაში ხშირად ვხვდებით ასეთ სათაურებს: „ომის წინ ჯარის სიმღერა“, „გალაშქრება ლაშარის ჯვრის დროშით“, „ჩივილი ხმლისა“, „სამშობლოს მცველნი“, „მოხუცი რაინდის სიმღერა“, „ირაკლი ბრძოლის წინ“, „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“. უკვე ამ სათაურებით ეფინება ნათელი პოეტის სულიერ ვითარებას და ცხადი ხდება მისი საბრძოლო განწყობილება. ბრძოლისათვის სამზადისი. თვით ბრძოლის ეპიზოდები, რომელთა გათამაშების დრო ზოგჯერ მინიშნებულია წარსულში, ხშირად დახატულია როგორც დღევანდელი ამბავი. ის, რაც უნდა ვაჟას, რომ მოხდეს, რაც უნდა, რომ იყოს, მაგრამ არ არის, მას პოეზიის საშუალებით მოჰყავს სისრულეში.

საქართველოს აღდგენის იმედს, რაც ილიას „აჩრდილში“ ცის-არტყელას მოვლინებით არის გამოთქმული, ვაჟა მხოლოდ „ბახტრიონში“ კი არ გამოხატავს სიტყვებით: „ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა“, არამედ — არაერთ ლექსში. ასე მაგალითად, ლექსში „ჩვენება“, რომელიც 1911 წელს არის დაწერილი, წარსული დროის გმირებს, გახარებულებს და პირმოდიმართ, ხელთ უპყრიათ ოქროს ფიცარი, რომელზეც წერია: „აღსდგება საქართველოვო!“ ერთი წლით ადრე კი, ბაჩანასადმი მიძღვნილ ლექსში „მთამ სრულიად სხვა სთქვა“, ვაჟამ ასევე პირდაპირ განაცხადა: „რომ მომავალი ჩვენია, ამას რად უნდა მისანი?!“

როგორც უკვე ითქვა, ვაჟას სამოციანელებთან ეროვნული ერთიანობისკენ მისწრაფებაც აახლოებს. ამ მხრივაც, იგი სამოციანელთა გვერდით დგას და მათ ტრადიციებს აგრძელებს. ისევე, როგორც დიდ ილიას, ვაჟასაც ძალიან აწუხებს ქართველთა დაქსაქსულობა, მათი ინტერესების გათიშვა; ის, რომ ქართველობას აღარ აკავშირებს ერთმანეთთან საერთო, საქვეყნო გულისტკივილი, ერთსა და იმავე საგანს აღარ დასტრიალებს თავს მათი ფიქრი და გონება. ვაჟაც ქართველთა ურთიერთგათიშვასა და საერთო ინტერესების, საერთო აზრის უქონლობაზე ჩივის და ამ ფაქტს, ილიას მსგავსად, ეროვნულ ტრაგედიად მიიჩნევს:

ჩემი ხალხი და ქვეყანა  
მყვანდა მეორე ღმერთადა,  
მაგრამა თავი ქართველებს  
ეერ მოვეუყარე ერთად ა.



არც ერთხელ მშვიდის ძილითა  
ვერ დავიძინე ღამითა.  
ორი ერთს პირზე დამდგარი  
ჩვენში ვერ ვნახე თვალითა.  
მარტო მე რას გავხდებოდი —  
ერეკლე — თავის ხმალითა!.. („ხატმა  
გვიბძანა“).

ეროვნული ერთიანობის იდეას ალეგორიულად, საქართველოს სხვადასხვა კუთხის (მთიულეთი, ქართლი, კახეთი, იმერეთი) მდინარეთა ერთმანეთისკენ სწრაფვით, გამოხატავს ვაჟა ლექსში „გაზაფხული“. ყველა კუთხე მისი ქვეყნისა ვაჟას პოეზიაში საბოლოოდ სამშობლოსა და საქართველოს ცნებებში იყრის თავს. საქართველო და სამშობლო შემკრებლობითი ცნებებია და ეს უნდა ვაჟას, დანახვოს და აგრძნობინოს თანამემამულეთ; უნდა დაანახვოს, რომ აღმოსავლეთი საქართველო უდასავლეთოდ არ ვარგა და დასავლეთი — უაღმოსავლეთოდ; ბარი — უმთოდ და მთა — უბაროდ. აი, რას ეუბნება ერთ-ერთ ლექსში ვაჟა თავის საყვარელ მთას:

შენი ძმარის ბარიცა,  
სთველ-ზაფხულ ბარაქიანი,  
გმირთ სისხლით შეღებილი აქვს  
ველები ბლახიანი.  
შენი ხევებიც იქ ჩადის,  
ხევები კალმახიანი.  
საფუძვლად, მთაო, ბარი გაქვს,  
იოლდე, ტალახიანი.  
თუ ის ჩაეარდა უფსკრულსა,  
შენ თან ჩაყვები ნიადა:  
არ გარგებს, თორო შენ იცი,  
მთავ, ამაყობა ფრიადა. („მთა და ბარი“).

ერთიანი საქართველო, ერთი აზრით და მიზნით გაერთიანებული ქართველობა, — აი, ვაჟას ოცნება, ვაჟას იდეალი:

რა კარგი სანახავია  
ქვეყანა ჰკვათა-ყოფელი,  
ერთის ფიქრით და გრძნობითა  
გამტკიცებული სოფელი. („მგოსანს“).

ლექსიდან „ილიას საღამო“ ჩანს, რომ ვაჟა იზიარებდა ილიას თვალსაზრისს თავადსა და გლეხს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენის თაობაზეც. ერთიანი საქართველოს იდეა თავადსა და გლეხს შორისაც, მისი რწმენით, ძმურ, მეგობრულ ურთიერთობას გულისხმობდა. ვაჟა ემხრობოდა ილიას,

მას, ვინც ურჩევდა თავადსა,  
ძმობა ჰქონიყო გლეხთანა,  
სწამდა, რომ ამით ძალასა  
შეიმატებდა ქვეყანა,  
და უფრო საშიშრად ჰქმნიდა  
ერთად ორივეს მტერთანა.

ის, რაც ითქვა ზემოთ ილიასა და აკაკისთან ვაჟას შემოქმედებით ნათესაობაზე, მხოლოდ საერთო ტენდენციების ფარგლებში თავსდება. სპეციალურ ლიტერატურაში მათ შორის — განსაკუთრებით, აკაკისა და ვაჟას შორის, — კიდევ უფრო თვალსაჩინო პოეტური სიახლოვეა შენიშნული<sup>4</sup>. შენიშნულია, მაგალითად, რომ, მიუხედავად უაღრესად ორიგინალური, სრულიად განუმეორებელი მხატვრული ხედვისა, ვაჟას ზოგჯერ წლების მანძილზე თან სდევს აკაკის ამა თუ იმ თხზულებისგან ერთხელ მიღებული შთაბეჭდილება. ასეთი ძლიერი შთაბეჭდილების გავლენით უნდა იყოს დაწერილი ვაჟას „სიმღერა“ („ჩემის კაცობის გვირგვინო“ — 1910), „ქართლს“ (1912), „ვლ. მესხიშვილის ბაიუბილეოდ“ (1913) და მთელი რიგი სტრიქონებისა სხვადასხვა წლით დათარიღებულ ლექსებში, რომელთა შოშიდინარეობა აკაკის „განთიადიდან“ (1892) უეჭვოა. აშკარად „ქალარას“ (1886) პოეტური გარემო მეორდება ვაჟას ლექსებში: „ომის წინ ჯარის სიმღერა“ (1888), „საახალწლო“ (1894), „ქებათა-ქება“ (1897), „რაფიელ ერისთავს“ (1901), „ხევსური ბერდია“ (1906) და, განსაკუთრებით, ლექსში „ჩონგურს სიმები დამიწყდა“ (1904). ასევე ცხადია აკაკის „თქვენი ქირიმესა“ (1905) და ვაჟას „დედის ტირილის“ (1908) ურთიერთმიმართების ხასიათი. ყოველივე ეს კი მკაფიოდ მეტყველებს იმ მნიშვნელობაზე, რომელიც ჰქონდა ვაჟასთვის მისი დიდი თანამედროვეების ლიტერატურულ მემკვიდრეობას არა მარტო იდეური, არამედ წმინდა მხატვრული თვალსაზრისითაც.

<sup>4</sup> იხ. მ. ი. ზანდუკელი, ვაჟა-ფშაველა, 1955, გვ. 34, 40, 66; გ. რ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, 1957, გვ. 278-279; ც. შარიქაძე, აკაკი და ვაჟა (შემოქმედებითი შეხედრები), ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვრება, 1966, გვ. 192-196.

## ალექსანდრე ყაზბეგის პოეზია

ალ. ყაზბეგი უაღრესად ორიგინალური მწერალია. ის გმირულ-რომანტიკული სამყარო, რომელიც მან გადაშალა მკითხველის წინაშე, მას მართლაც „უცხოდ აყენებს ქართული ლიტერატურის სივრცეზე“, მაგრამ ამავე დროს იგი თავისი ერისა და თავისი ეპოქის შვილია; მყარად დგას მშობლიურ ნიადაგზე და საზრდოობს იმ გემკვიდრეობით, რომელიც შექმნა მრავალსაუკუნოვანმა ქართულმა მწერლობამ. ალ. ყაზბეგს ფესვები ქართულ სინამდვილეში, ქართული ლიტერატურის ტრადიციებში უდგას. შემთხვევითი არ არის მისი სიტყვები:

მე მაქვს ჩემი გზა, მას მივდე  
წინაპართ ნაკვალევია.  
მათივ გამოყევა გუნება,  
სისხლი, ხორცი და ძვალია.

ალექსანდრე ყაზბეგი რეალისტია, სამოციანელთა მოძღვრების ერთგული მიმდევარი. მაგრამ ყაზბეგის შემოქმედება აგრეთვე საკმარისადაა დავალებული ქართული რომანტიზმისაგან და სწორედ ეს რომანტიკული ელფერი აძლევს მას რაღაც განუმეორებელ, თავისებურ სახეს; ყაზბეგის რეალიზმი შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც ახალი საფეხური XIX საუკუნის ქართული რეალიზმის განვითარებაში. რომანტიკული ნაკადი აქ თამაშობს არა დამხმარე. მეორეხარისხოვან როლს, არამედ მკიდროდ არის მასთან შეკავშირებულ-შერწყმული და ერთ ორგანულ მთლიანობას ქმნის.

ალექსანდრე ყაზბეგის პოეზიაშიც ეს თანაარსებობა რეალისტურ და რომანტიკულ ნაკადს შორის სახეზეა, თუმცა აქ იგი ძირითადად ეკლექტიკურ ხასიათს ატარებს.

ლექსი „ფანდური“ აწმყოთი დაექვეების და წარსულის იდეალიზაციის გამომხატველია და აშკარად რომანტიკული ხასიათისაა:

ჩაქარ და ჩაქარ ფანდურო,  
ტყბილი ხმა გამაგონეო,  
ძველ დროში როგორ ცხოვრობდნენ

ჩვენები, მომავლო...  
ძველ დროში კაცი კაცობდა,  
ღიაღი კეკლუც-ქალობდა,  
ბულბულსა ვარდი უყვარდა  
და ტბილად მასზე გალობდა.  
და ეხლა, ჩემო ფანდურო,  
რას გვირჩევ დასამშვიდებელს,  
სიცოცხლეს მებრძოლს, თუ სიკვდილს,  
მშვიდარას — დასამიწებელს.

ლექის ბოლო სტროფი „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანის“ ვარიაციას, ოღონდ იგი მოკლებულია შოთას დამაჯერებელ ოპტიმისტურ კილოს. ყაზბეგის შემოქმედებაში, როგორც აღვნიშნეთ, მძლავრია რომანტიკული ნაკადი, რომანტიზმი მისი მსოფლმხედველობის (შემოქმედების) ორგანული შემადგენელი ნაწილია, და ბუნებრივია, რომ მის პოეზიაშიც აირეკლა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებითი იდეალები. ყაზბეგის პოეზიაში ჩვენ საკმარისად ვხვდებით გრ. ორბელიანისებურ, ალ. ჭავჭავაძისებურ ან ბარათაშვილისებურ სტრიქონებს. და ხშირად ეს სტრიქონები ეპიგონურ, შეგირდულ ზასიას ატარებენ. ავიღოთ ყაზბეგის ლექსი „იყო დროება“:

იყო დროება, როდესაცა ჩვენაც ვხარობდით,  
თავისუფლებას ამაყად ჩვენცა ვჩემობდით,  
ძლიერსა ხალხსა შესაშვენად ჩვენც ვმეგობრობდით  
და მეზობლებსა თუ არ ვძმობდით, პირდაპირ ვმტრობდით.  
არასოდეს არ გვჭონია ავი აზრები,  
რომლითაც ასე ამაყობენ სხვა ბატონები,  
რომ ჩვენ შეგვეყურო სხვა ნაცია დაეწიროებით,  
მათში მოგვეკლა შინაარსი ძალდატანებით.

ეს დიდი სევდითა და გულისტკივილით გამსჭვალული, წარსულის გამაიდვალებელი ლექსი, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივაც რომანტიკულია. შევადაროთ იგი, მაგ., გრ. ორბელიანის ლექსს:

ჰე, ივერიაჲ, ვიდრე იყო ქედმოდრეკილი,  
ვიდრემდის სხვათა ყვედრებითა გფარვიდეს ძალი,  
რად არა გახსოვს ძეთა შენთა ზრმალთა კრიალი,  
ძლევათა მათგან, რომ დიდებით იუაჲ მოსილი.  
წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის არღა მდინარებს,  
თავისუფლება გაქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს.  
შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,  
მოყვრულადა გვმტრობს, გვტაცებს ყოველს, გვიქებს, აღერსობს.

ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას.  
ბედო, ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენ ვაებას.

სატრფიალო მოტივს ალ. ყაზბეგის პოეზიაში ძალზე მცირე ადგილი უჭირავს და რაც არის, უთუოდ რომანტიკოსთა გავლენაზე მეტყველებს.

ქართველი რომანტიკოსების სტილშია დაწერილი ლექსები: „ვისის ტრფიალით“.

ვისის ტრფიალით არ ვილაღები  
ან ასე ვისგან გავეწვალები?  
თავად მიხედება შავი თვალები,  
ვისაც მე მუდამ ვენაცვალები.  
შავი თვალები,  
ძალზედ მწვალები,  
აღმიშფოთებენ ისეც მშფოთავ სულს.

### გრძნობის ფიალა

რისთვის მაძალებ ღვინოს ფიალით  
ისეც ვარ მთვრალი — შენის ტრფიალით.  
შუქო მთვარისავე! შენის ცქრიალით  
მკლავ და გასახობს გული ტრიალით.

### რა გინდოდა

ჩემი სული შენგან აღშფოთებული,  
ჩემი გული შენგან აოხრებული,  
თვით სიცოცხლე, შენგან გაოხრებული,  
ჰკენეს და დნება გრძნობა გახლებული.

უსახელო გამოუქვეყნებული ლექსი, დაცული მის სახლმუზეუმში:

ისე ტყბილი ხმა გამაგონე!  
წარსული ხელახლა მომაგონე!  
გულს ალერსით ისე რომ ჩამეკონე,  
რომ თვით ღმერთი საიმედო მეგონე.  
მაგრამ არა, მაინც არ მომისვენე,  
მომხიბლე და წინ ხატად დამასვენე,  
სატყუებებელს მაცდურად მომეჩვენე  
და შენს გარეთ ქვეყანა შემაჩვენე!

როგორც ვხედავთ, ყველა ეს ლექსი მეტ-ნაკლებად ეპიგონურ, მიმბაძველობით ხასიათს ატარებს, მათში არაფერია, ან ძალზე ცოტაა ორიგინალური, მაგრამ ეს ფაქტი მოწმობს ყაზბეგის დაინტერესებას რომანტიკოსებით, რაც თავისთავად მათი ერთგვარი

სულიერი ნათესაობის მიმნიშნებელია. ლექსში „იმ გულმა რაღა  
ქნას“ არის ისეთი სტრიქონები, რომლის პათოსი ძალზე წააგავს  
ბარათაშვილისებურ დაუშოშმინებლობას, სწრაფვას — გაარღვიოს  
სულის შემხუთველი ჩარჩოები:

რა ჰქნას იმ გულმა, რომელიც  
ამ სოფელს ვერა თავსდება,  
რაც ზღვადა წაღეს, ირყევა,  
არც ჰქნება, არცა ხავსდება?  
ან რა ჰქნას სულმა, რომელიც  
სდულს ჰქაფობს, მიიბრძოლება?  
მოუსპობთ მოძრაობასა, —  
მოკედება, ჩაიქოლება?  
ვინც კი მიმხედარა მაღალ აზრს,  
რომ კაცად გაჩენილია,  
მას სკირის გული მოჰქმედი,  
ჰგრძნობს მანდილს ხურავს ძილია.

ამ ლექსის ბოლო სტროფში ბარათაშვილისეულ მოტივებთან  
ერთად („მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან“) იჭრება ილიასეული მო-  
ტივი მამა-პაპური ძილის დამლუპველობისა, მოქმედების აუცალე-  
ლობისა. ლექსშიც „მოდის“ შეიძლება ბარათაშვილისეული მოტი-  
ვების პოვნა. თუმცა ეს ლექსი უკვე განთავისუფლებულია რომან-  
ტიკოსთა ფორმისაგან და უფრო ხალხურ ლექსს უახლოვდება.

მოდის, თუ მოხვალ, ვინცა ხარ  
ჩემს ბედათ მომავალია.  
არ გამიკვირდეს მძლევე თუ გძლევე,  
ორივე მოსავალია!  
მოდის აქ ედგევარ, თუნდ იყო  
რკინისა გადამდნობელი!  
ნუ ჰფიქრობთ: — ძალა რომ შეგრჩათ  
დღემდის ჩემ გაუცნობელი!  
სიკედლისა?... მაგას მექადის  
ეს მწარე წუთისოფელი?  
აჰა, წაიღე, რად მინდა,  
რაც წამართვი მშობელი!  
ალარც მშობელი, ალარც ძმა;  
არც კაცი დასანდობელი!  
მოვეკდე სჯობს, სანამ შევიქმნე  
ჩემის სიწმინდის მგმობელი.

ამ ლექსში „სულო ბოროტოს“ ჰანგები ისმის, ხოლო ბოლო  
სტროფი საოცრად მოგვაგონებს ბარათაშვილის მიერ მაიკო ორბე-  
ლიანისადმი მიწერილი წერილის განწყობილებას, სადაც დიდი რო-

მანტიკოსი, გარშემო მყოფი საზოგადოებით გულგატეხილი, ობლობას უჩივის.

ლექსში „გაუტეხელი“ ისმის ბარათაშვილის მოტივი — „მაგრამ რადგანაც კაცნი გეპქიან შვილნი სოფლისა“:

სოფლო, რაც კი შეიძლე,  
სცადე რომ მტერად მომეპყე.  
მიწავე ინგრევი, ცავე სკდები,  
თავეში რომ მეხად დამეცე.  
მთელის ცხოვრების ნაყოფი  
გწადის წვეთობით დამეპყე.  
მაინც შენს წინ ვარ... ნუ პფიქრობ  
დავლაჩრდე, უკუ გაგაქცე.

აქ ყოფნა-არყოფნის საკითხი ყოფნის სასარგებლოდაა გადაწყვეტილი. ლექსში ისმის შეურიგებლობის, ცხოვრების წინაშე ქედმოუხრელობის თემა. ამავე ლექსში შემოდის „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანის“ მოტივი:

უკუ გაქცევით ვაჟკაცი  
ვით აღისრულებ წადილსა,  
სიკვდილის დროსა სიცოცხლე  
ხურავს დიაცის მანდილსა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ლექსის ფორმაც დამოუკიდებელია რომანტიკოსებისაგან და აგრეთვე ხალხურ ტრადიციებზეა შექმნილი.

მიუხედავად რომანტიზმთან დიდი სულიერი ნათესაობისა, ყაზბეგის პოეზიას უმთავრესად ილიას და აკაკის პოეზიის სურნელი დაჰკრავს, თუმცა ყაზბეგი მხოლოდ შეგირდად რჩება და ვერ მალღდება სამოციანელთა მაღალი პოეზიის დონემდე.

მაგალითად, თემატურად ალ. ყაზბეგის ლექსები „ჩემს კალამს“ და „ჩემს რეველს“ ძალზე ახლოს დგას ილიასა და აკაკის ცნობილ ლექსებთან:

შენ გენაცვალედი კალამო,  
სხვა ფრივ ხარ მონათლულიო,  
გულის წადილი პირდაპირს  
არა გაქვს დამალულიო,  
პგრძნობ მკენესავს, იცი მშრომელსა  
თვალზედ არ მოსდის ლულიო.  
და ხელი ძმურად მიეცი  
შეუმსუბუქე წყლულიო.

შეადარეთ ილიასთან:

ერის წყლული მანდეს წყლულად,  
მეწოდეს მის ტანჯვით სული,  
მის ბედით და უბედობით  
დამედაგოს მტკიცე გული.  
მაშინ ცილამ ნაპერწკალი...  
თუ აღმოფეთქს გულში ცეცხლსა,  
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ  
მოეწმენდ ერსა ტანჯვის ცრემლსა.

აკაკისთან:

რომ დაჩაგრულს ამ სიტყვებით  
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს  
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით  
ისარივით ესობოდეს.  
მაშინ მხოლოდ ამ ჩემს ჩონგურს  
აშორდება უქმად გდება.

სამივე ლექსში ლაპარაკია პოეზიის საზოგადოებრივ დანიშნუ-  
ლებაზე.

რვეულო მე თუ მოგკვდები,  
შენ ხომ დარჩები ამიერ,  
მე მიწის მიწად ვიქცევი,  
შენ ივლი ღლე და ღამიერ.  
გემუდარები, ჩასძახო  
ერობას ყოველ წამიერ,  
რომ მხოლოდ ძმების ერთობით  
იცოცხლებს მრავალყამიერ.

ამ ლექსის პირველი სტროფი მოგვაგონებს პუშკინის ცნობილ  
ლექსს „ძეგლი“. აქ საკუთარი ღიღების შეგრძნება ჩანს. მეორე  
სტროფს კი ეროვნული ტკივილი უდევს საფუძვლად. იგი აკაკის  
„ნათელას სიმღერას“ უახლოვდება.

ერთობა ჩვენთვის ტახტია,  
მტრებისთვის სახრჩობელაო.  
მტერს „ვაი დედა“ ვაძახოთ,  
ჩვენა ვთქვათ დელა დელაო.

აკაკი მიმართავს ზანჯალს, რომელიც მტრისაგან გამოხსნის ერ-  
თადერთ იმედად მიაჩნია;

შენი კირიმე, ზანჯალო,  
რკინაო ხვარასნისაო!  
შენ ერთად ერთო იმედო



მტრისაგან გამოხსნისაო!  
გლესაჲ და გლესაჲ ხანჯალო,  
ამოგიფერაჲ გულსაო!  
შენ უნდა უძმო და ეყმო  
უმართლოდ დაჩაგრულსაო.

ალექსანდრე ყაზბეგიც ზოტბას ასხამს თავის ფრანგულს, რადგან იგი მისთვისაც „მტერთა გულის გამპობია“.

შენი კირიმე ფრანგულო,  
არა ხარ გასალესია!  
შენის იმედით მტერს დაჰკრავ,  
თუნდ დამხედეს ასჯერ ასია.

აღსანიშნავია, რომ ორივე ლექსს ზალხური სიმღერა უდევს საფუძვლად („გლესაჲ და გლესაჲ ნამგალო“).

ილიას „აჩრდილში“ ერის დაცემით დამწუხრებული მოხუცი ასე მიმართავს საქართველოს:

მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი,  
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ესტირი?  
იგი აღარ გეყავს... მის მოედანი  
ჯაგით აღესილა, ვერანად ქმნილა.  
გმირის დამბადი დიდი საგანი  
თქვენში სპობილა და წაწყვეტილა.

ასეთია ილიას აზრი აწმყოზე და იგი მთელ თავის იმედებს მომავალში ხედავს. ასევე მომავლის იმედი აქვს ყაზბეგსაც, რომლის ლექსი „გულგატეხილები“ თითქოს „აჩრდილის“ ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტის პასუხს წარმოადგენს და თემატურად ილიას „ბაზალეთის ტბას“ უკავშირდება.

ნუთუ არ გჯერათ, რომ ის მამული,  
რომელიც ზრდიდა წარსულს გმირებსა,  
კვლავაც შეიძლებს შეილების აღზრდას  
და მათ ღომ-გმირად მკერდის გადაშლას.  
ნუთუ არ გჯერათ, რომ ზალხის გული  
ერთხელ ნაწრთობი კაჟადა ხდება,  
და მათნი შეილნი, მათი რძით ზრდილნი,  
ერთის შემთხვევით ზომ ვერ წახდება?  
ნუ დამიღონდით, რაც რომ არ არის  
აწ ეხლა ამ ჩვენს სამშობლოშია.  
კვლავაც ვიხილავთ აზურმუხტებულს,  
მთელად ქვეყნისას ედემის კუნძულს,  
აყვავებულსა მასთან კაჟად ქმნილს,  
და კაჟად ვიგარძნობთ ქართველისა გულს.

ალ. ყაზბეგი, როგორც პოეტი, არის სამოციანელთა პოეტური მრწამსის მემკვიდრე, თავისი კრედო მას ჩამოყალიბებული აქვს მთელ რიგ ლექსებში: „ჩემს კალამს“, „ჩემს რვეულს“, „კალამს, „რვეულს“, და სხვა. კალამი ყაზბეგისათვის არის „გრძნობის ალამი“, რომელიც მან აღმართა „მკენესავისა და მშრომელის“ დასაცავად. ლექსი „ჩემს კალამს“ მიმართვის ფორმით არის დაწერილი, ყაზბეგისათვის დამახასიათებელი შაირით:

მიყვარხარ, ჩემო კალამო,  
.  
.  
.  
მტერთა ვერ შეგაჩერაო,  
დაჭრილის გულის მალამო  
ჩემი ხარ ბედისწერაო („ჩემს კალამს“).

ზუსტად ასეთივე ფორმით, ასეთივე ინტონაციით მიმართავს ყაზბეგი ფრანგულს ლექსში „ფრანგულს“:

კარგი ხარ, ჩემო ფრანგულო,  
გამპობო მტერთა გულისა,  
მომწმენდი ვარშის ყოფილხარ  
ნაღვლისგან დადავულისა  
(„ფრანგულს“)

ეს პარალელი შემთხვევითი არ არის. ყაზბეგი ერთნაირი გზნებით მიმართავს კალამსაც და ფრანგულსაც, რადგან კალამიც და ფრანგულიც მისთვის ერთი და იგივე დანიშნულებისაა, — ესაა ბრძოლა მედგარი და შეუპოვარი:

რითაც გაგვივა, იმით ვკრათ,  
იმით შევებათ მტერსაო.  
გზა დაუჩვენოთ ნაწვალებს  
და დაღონებულს ერსაო („მდევრად“)

აი, ესაა ყაზბეგის პოეტური შემოქმედების თავიდათავი — ბრძოლა „კალმით თუ იარაღით“ ეროვნული ბედნიერებისათვის.

პოეზია ყაზბეგისათვის არ არის რაღაც ზებუნებრივი ძალა, ამქვეყნიურ რეალობას დაპირისპირებულ ზმანებათა სამყარო. მისთვის პოეზია მძიმე ჭაპანია („მეცა მაქვს ერთი კუნჭული“); პოეტი თავის თავს ბუღბულს კი არ ადარებს, არამედ გუთნისდედას, რადგან მისთვის პოეზია ტკბილხმოვანება კი არ არის, შრომაა და ბრძოლა. პოეტი სიძნელეებს არ უნდა შეუშინდეს, მისი ზვედრა თუმც მძიმეა, მაგრამ საპატიო. ყაზბეგი ზეციურ ძალებს არ მოუბმობს საშველად, მას საკუთარი ადამიანური ძალებისა სჯერა:

მაგრამ ესტევი, მთვარე იქ უნდა,  
სადაც კი ღამე ბნელია,  
ცეცხლისა შემოკეთება,  
თუ კაცის გრძნობა ნელია.  
კპანის დაძაგვრა ხართაგან,  
თუ მიწა ასახვნელია,  
და იქვე ჩაბმა ვაეკაცთა,  
სადაც კი უფრო ძნელია.  
მეც ამად ვებმი უღელში,  
ამად ვწევ ძალი ძალზედა,  
ვფიქრობ, ოდესმე შევავლებ  
გუთანსა თავის კვალზედა.

ვახტანგ კოტეტიშვილი სამოციანელთა პოეზიას მეცხრამეტე საუკუნის დეკადანსს უწოდებს (მას მხედველობაში აქვს ლექსის გარეგნული მხარე). თუ აკაკისა და ილიას პოეზიის ამგვარი შეფასება ძნელი გასაზიარებელია, ალ. ყაზბეგის პოეზია დეკადანსის კოტეტიშვილისებურ გაგებასთან უფრო ახლოს დგას. შინაარსი მის პოეზიაში აშკარად იმორჩილებს ფორმას. ლექსის ფორმის მრავალფეროვნება და მოქნილობა მასთან მინიმუმამდეა დაყვანილი. ძირითადი და თითქმის ერთადერთი საზომი ყაზბეგის ლექსისა არის ე. წ. „რვეული“, ხალხური სიმღერის ფორმა.

ალ. ყაზბეგი თავის ლექსს, უპირველესად ყოვლისა, ანიჭებს დიდაქტიკურ, პროპაგანდისტულ ფუნქციას, ამიტომ მის პოეზიაში წინა პლანზეა წამოყენებული ეროვნული და ეთიკური მოტივები. ყაზბეგი-პოეტი თავის პიროვნულ „მე“-ს განიცდის ეროვნულ კონტექსტში — როგორც ეროვნულის ნაწილს. ყაზბეგის პოეზიაში ფაქტიურად არ არის ლირიკული გმირი. პოეტი დიდი თემებით არის დაკავებული და მას არ სცალია საკუთარ გულში ჩასახედად, საკუთარი ინტიმური გრძნობების გამოხატავად. ამიტომაც, სიყვარულის მოტივს ყაზბეგის პოეზიაში ძალზე მცირე ადგილი უკავია. ალექსანდრე ყაზბეგი არის პოეტი რიტორი, მისი ლექსებისათვის დამახასიათებელია პუბლიცისტური პათოსი, მათში არ იგრძნობა ინტიმი, ის სინაზე და უშუალობა, რაც ასე აუცილებელია ყოველგვარი ლირიკისათვის, ამავე დროს, მის ლექსებში თითქმის ყოველთვის გამოისმის მძლავრი ოპტიმიზმი, ბრძოლის, შეუპოვრობისა და დაუშოშმინებლობის პათოსი.

საერთოდ, ყაზბეგის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია, რომ უაღრესად ტრაგიკულ სიტუაციებშიც კი ყოველთვის გამოისმის რაღაც შინაგანი ოპტიმიზმის ხმა, რომელიც წინაღუდგება სიკვდილს, უბედურების ყოვლისშემძლეობას და მკითხველს არ აძ-

ლევს უფლებას პესიმისტური დასკვნების გამოტანისა. უადრესად პესიმისტური და სევდით დამძიმებული სტრიქონებიც კი შეიცავენ რაღაც დაფარულ შინაგან პროტესტს, რომელიც მკითხველს ცრემლიანი, სენტიმენტალური თანაგრძნობისათვის, ანდა ბედნიერების შეუძლებლობით გამოწვეული სასოწარკვეთილებისათვის კი არ განაწყობს, არამედ ანთებს მათში რაღაც ნაპერწკალს, უღვიძებს წინააღმდეგობის, მოქმედების სურვილს.

ყაზბეგის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია „ობლობის ცნებას“. ობლობა ყაზბეგთან ადამიანის მარტოობის, განწირულების, მასაზრდოებელი ნიადაგის დაკარგვის და, ამდენად, მომავლის უქონლობის, უპერსპექტივობის გამოხატულებაა.

სიცოცხლე, სხვისთვის ნათელი,  
ჩემთვის შავი და ბნელია...  
დედა მომიყვდა პატარას  
და მარტოდ დავრჩი ობლადა.  
დედინაცვალმა გაშაგდო,  
ალარ მიმიშვა სოფლადა.

. . . . .  
რომ ვისმეს გაჭირვებაში  
ძმურად მოეცა ხელია,  
არ მახსოვს სწორედ იმ დღიდან,  
რაც თვალი ამიხელია!  
ჩემს ადგილს მევე უცხო ვარ  
და კერა ჩამბნელებია!...  
დაესუსტდი, ღონე მომაკლდა,  
სიცოცხლე გამჭირვებია,  
ამ ტიალს წუთისოფელში  
ერთხელ არ გამზარებია... („გულის პასუხი“)

ობლობა ყაზბეგისათვის საშინელი უბედურებაა, რადგან იგი ადამიანის უნიადაგობას მოასწავებს. გავიხსენოთ ყაზბეგის ლექსი:

ღარიბობა და ობლობა, ორივე გამომივლია,  
სჯობს ღარიბობა ობლობას, ობლობა მეტად ძნელია.  
ობოლს ვინა ჰყავს პატრონად, ვისთვის რა საფასურია...  
მედამ დღე ჩაგვრა ხალხისგან, ოხ, ღმერთო! რარიგ ძნელია.

კიდევ უფრო საშინელია, როცა კაცი ძალით იობლებს თავს. ესე იგი, „მამის მკვლელი“ ხდება („რეგვენს“, „ნუ სჩივი“).

ობლობა ყაზბეგთან სიმბოლური ცნებაა და იგი მას ზოგად პლანში ეროვნული მნიშვნელობითაც ხმარობს. ობლობაში — „მამის მკვლელობაში“ იგულისხმება ეროვნული სულის, წინაპართა

ტრადიციების გმობა. „თემის მგმობელი“ „სამშობლოს დამამხობელია“. ლექსში „გაპირდა“ ყაზბეგი ერის ობლობას დასტირის:

სად არის დედა, რომელიც  
ჭირში არ მოიხრებოდა,  
ვინცა ქვეყნისთვის იწოდა,  
სდულდა და ამოშრებოდა?  
სად არის წმინდა ქეთევან,  
ვინც მტერს პირდაპირ შაების,  
მეფე-თამარი „პირიმზე“,  
მშობელი ჩვენი არსების?  
აწ ველარ ნახავ ერეკლეს,  
გმირთ-გმირსა, მირონცხებულსა,  
მტერზედა მების დამტეხსა,  
მოყვრისგან შეწუხებულსა.

აქ ჩამოთვლილი სახელები ყაზბეგის შემოქმედებაში სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს: თამარ — „პირიმზე“ ეს არის საქართველოს ეროვნული დიდება, ეროვნული სულის, მშვენიერებისა და ძლიერების სიმბოლო. ქეთევან დედოფალი უმაღლესი მორალური პრინციპების, ქვეყნისათვის თავგანწირული უკვდავი სულის განსახიერებაა; ერეკლე მეორე არის თავისუფალი საქართველოს უკანასკნელი ბურჯი, ერის მამა, სიმბოლო ჭირში უტეხი ხმალშემართული მებრძოლი სულისა, რომლის სიკვდილის შემდეგ დაობლდა საქართველო. ამ წმინდა სახეების დავიწყება სიმბოლურად გამოხატავს ეროვნული ტრადიციების დავიწყებას, რაც უდიდესი ეროვნული უბედურებაა.

ამგვარი უბედურებით გულდათუთქული პოეტი აკეთებს მწარე დასკვნას: კაცობრიობა დაავადებულია, იგი განიცდის შინაგან გააჩწინას.

აწ ყველა მოდუნებულა,  
ყველას ექიმი სჭირია,  
კაცობრიობა დასუსტდა,  
განკრა მათ შორის პირია.

ამ უბედურების. საყოველთაო დაძაბუნების, სისტემის მიზეზს ყაზბეგი, როგორც ავლნიშნეთ, უპირველეს ყოვლისა, „მამის მკვლელობაში“, ე. ი. შინაურობაში ხედავს. მისთვის ყველაზე უფრო სამძიმო შინაურ მტერთან ბრძოლაა („ზოგის გაქცევის ცხოვრება“).

ეს ყველაფერი, წინაპართა ტრადიციების მივიწყება, ეროვნული სულის გმობა და აქედან გამომდინარე, შინაგანი რღვევა, ყაზბეგის აზრით, დაკავშირებულია მისთვის სავსებით უცხო და მიუღე-

ბელ ახალ, ბურჟუაზიულ სულისკვეთების გაღვიძებასთან. პროზაში ეს ყველაზე კარგად მის ე. წ. „ბარის ნაწარმოებებში“ აისახა. ლექსში „ღარიბი ვიყავ“ ყაზბეგის მწარე ირონია ახალი, ბურჟუაზიული, მომხვეჭელობასა და ანგარებაზე დამყარებული ცხოვრების წესის წინააღმდეგაა მიმართული.

აწ ყველა გასასყიდა,  
ყველგან პირველობს ფულიო,

წერს ყაზბეგი ლექსის „ჩემს კალამს“ ვარიანტში.

ეს ყველაფერი კი ახალმა დრომ „დაბადა“, რომლის დადგომასაც ყაზბეგი ასეთი სიტყვებით აგვიწერს:

რა დრო შეიქმნა ტიალი,  
როგორი ცივი ქარია,  
თოვლმა ნამქერით ბეჩავ სულს  
ამოუქოლა კარია!  
ალარცა ნდობა, არც ძმობა,  
გულს შემოადგა ძმარია („დრო“).

ახალი ქარის ქროლვა თვით ისეთ გრძნობასაც შეეხო, როგორიც სიყვარულია: „უფულოდ რა სიყვარულია?“

საკუთარი მშობლის მოკვლას დედინაცვლის დამკვიდრება მოჰყვა თან, ეს ის ახალი ძალაა, რომელიც უცხოვრდ შემოიჭრა ერის სინამდვილეში. „მამისმკვლელმა“ თავად შეუწყო ხელი მისი ფესვების გადგმას.

ჩეგვენო, მშობელს ვით გავცვლი  
პრისხანე დედის-ნაცვალზედ,  
ჩემს ხევისბერებს დიდებულთ  
შენს ჩაფრებს პრისტანაცვლებზედ?  
შენსა გზას ვითა მივყვები  
სისხლითა ნახნავს ნაკვალზედ,  
სადაც დამყარდა ცხოვრება  
მთლად უსამართლო ძალაზედ („ჩეგვენს“).

ამ ახალ „უსამართლო ძალას“, რომელსაც ყაზბეგის შემოქმედებაში ტრაგიკული ბედისწერის სახე აქვს, მის პოეზიაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ლექსი „დილილმე“ ირონიულ სტილშია დაწერილი, მაგრამ ამ ირონიის უკან იგრძნობა სამშობლოს უბედურებით გულდამწვარი პოეტის ღრმა სევდა. აქ ირონიული ფორმით იგივე აზრია გადმოცემული, რაც ილიას ლელთ ღუნისა აწუხებდა, სახელდობრ — უცხო ხიშტების „საფარქვეშ“ ფიზიკური და სულიერი ძალების მოდუნება.

თუკი ზოგიერთ ლექსში იგრძნობა ერთგვარი „დაყვავება“, შე-  
რიგების, მოღბობის სურვილი („ძმად მოწვეულს“), ლექსები  
„ვინ ხარ“, „მღევრად“, „ჩემო იღბალო“ და სხვ. გამოხატავენ  
პოეტის რისხვას, უკიდურეს აღშფოთებას; ყოველგვარი მუდარა  
და მოღბობის ცდა ამოა: საჭიროა აქტიური მოქმედება.

ბრძოლის, აქტიური მოქმედების გარეშე მიუღწეველია სანუკ-  
ვარი ბედნიერება. ყაზბეგისათვის მიუღებელია მონური თავის მოდ-  
რეკა, კირთა თმენა და პასიური მოლოდინი უკეთესი მომავლისა.

ჩემო იღბალო, ესეც სთქვი:  
მცემელს რას უღიმდებიან!  
ვინც კი დასკვივლებს, სუყველას  
მუნ როგორ უჩუმდებიან?  
ერთხელ სადმე საცდელად მაინც,  
რატომ არ ახირდებიან,  
არა სწამთ, მტერთან ლაქუცით,  
რომ მუდამ გავირდებიან?!  
ჩემო იღბალო! ესეც სთქვი,  
რით სჯობს სიცოცხლე სიკვდილსა,  
მით თუ, რომ შიში ცოცხალსა  
ხურავს ღიაის მანდილსა?!  
ან თუ ელიან რეგვენნი:  
აღუსრულებენ წადილსა,  
უმსხვერპლოდ, თავის ნებითა.  
ვაფურთხებ მაგვეარ ქადილსა!“ („ჩემო იღბალო“).

დამონებული, უმოქმედო, თავმოდრეკილი სიცოცხლე ადამი-  
ნის შესაფერი არ არის.

ჩემო იღბალო, რა ვარ მე,  
რა პირუტყვისა გვარისა,  
რასა ელოცულობ რწმუნებად,  
ნუთუ დღეს ისევ ჭვარია?

ყაზბეგი ეძებს იმ ძალას, რომელიც ძალადობას წინ აღუდგება,  
მაგრამ თავისი სამშობლო მას მოშლილად, დაქსაქსულად, წინა-  
აღმდეგობის უნარდაკარგულად ესახება.

ჩემო იღბალო! მიჩვენე,  
სად არის იგი ერიო,  
რო ძველებურად ღრეობდეს,  
მართავდეს „ხევის ბერიო“?

ყაზბეგი შავი ფერებით ხატავს აწმყო ცხოვრებას; ირგვლივ  
უიმედობაა გამეფებული.

ჩემო იღბალო! ეს იყო  
იმედი შირონცხებული?  
მზე შავი, მთვარე უფსკრული,  
საცოცხლე ჩანალებული,  
გულს ცეცხლი, სულსა აღშფოთვა,  
ცხოვრება ჩაბნელებული...

ამგვარი უიმედობისა და უპერსპექტივობის სამყაროში ყაზბეგი პოულობს ნათელ წერტილს. ეს არის მშობლიური მთა. მთის სიმბოლიკა ყაზბეგის პოეზიაში უდიდესი მნიშვნელობის მქონეა. მთა არის სამშობლოს. შეურყენელი ეროვნული სულის, სისპეტაკისა და სიმედგრის გამოხატულება.

ქალარაშერეული მყინვარი,  
ამაყი ბუმბერაზია,  
ძლევამოსილი მცეღად დგას,  
ქართველთა კეკა-რაზია.  
დაღერემილს, ქართლის ცხოვრება  
ჯმუხს შუბლზე დაუხაზია,  
მედგარი შეხედულებით,  
შვილთათვის გულით ნაზია.  
მტერს რომ დასკეპავს გაუხდის  
საქმესა შესატირებლად,  
მოჰქროლებს წყნარის ნიათით  
სამშობლოს გასაგრილებლად.  
იქვე მონასტრობს სამება,  
საბჭეო მთელის ერობის,  
ბეთლემი, ქრისტეს აბანო,  
თავდები ხალხის ერთობის,  
სადგური წმინდა მამათა,  
მჩვენები კაცის ღმერთობის. („ქალარა მყინვარი“).

მთას ყაზბეგმა იმიტომ მიაშურა, რომ აქ ხედავს იგი ჯერ კიდევ შეურყენელ ატმოსფეროს, აქ ხედავს იგი ჯერ კიდევ მჭიდრო კავშირს ტრადიციასთან, დიდებულ წარსულთან, აქ ხედავს იგი ჯერ კიდევ მოუდრეკელ ადამიანურ თვითშეგნებას და გმირულ სულს. მაგრამ ყაზბეგისათვის მთა გვალვისაგან დამსკდარ მიწაზე შემორჩენილი პატარა ოაზისი კი არ არის, არამედ ტრამპლინია მთელი ერის ძლიერების (შინაგანი ძალის) აღორძინებისათვის. ეს მთის პატარა ანკარა ნაკადულია, რომელსაც შეუძლია მძლავრ ნაკადად იქცეს და დიდი მდინარე ნაპირებიდან გადმოიყვანოს.

მთაში ეგულება ყაზბეგს ერის ის სასიცოცხლო ძარღვი, რომელსაც სიკვდილი არ უწყერია.



ვერ მოშლის ტკილი ნიავე  
წყნარად და წყნარად ჰქროლასა;  
წყალნი, მთით გადმოქუხენი,  
მედგრად ზეირების სროლასა.  
მათ შორის ნაწრთობ-ნაგილი  
მთიელი კაცის ბუნება  
ვერ მოშლის თავის ცხოვრებას,  
ვერ შეეცლება ბუნება.  
ვერც მოშლის თოფის ჩახმახსა,  
ვერც მის შვილს მოედინება,  
თუნდ თვითონ ზეცამ დასქექოს,  
ოღნავ არ მოილუნება! („მთიელის სიმღერა“).

ყაზბეგს ჩამოყალიბებული აქვს მთიელის მთელი მორალური პროგრამა („მთიელის აღთქმა და ფიცი“).

მთის სიმბოლიკა, მთისა და ბარის დაპირისპირება, შეადგენს ყაზბეგის შემოქმედების საერთო ტენდენციას როგორც პოეზიაში, ასევე პროზაშიც. ბარის ცხოვრებით უკმაყოფილო მწერალი მიმართავს მშობლიურ მთას, რადგანაც აქ ეგულება „უკვდავებისა წყარონი“, რომელთაც უნდა გააცოცხლონ, გამოადვილონ „ბარში“ ჩამკვდარი, მიძინებული სული.

ყაზბეგის შემოქმედებაში მთის სიმბოლიკის, მთისა და ბარის დაპირისპირების ასახსნელად ძალზე საინტერესოა პოემა „მთა და მთიელი“. ამ პოემაში ერთგვარად თავმოყრილი, რეზიუმირებულია ყაზბეგის მსოფლმხედველობა, იგი ყაზბეგის მთელი შემოქმედების ერთგვარ გასაღებადაც შეიძლება ჩაითვალოს.

პოემა თემატურად უახლოვდება ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“. იგიც საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვისა და რუსეთთან შეერთების პრობლემებს ეხება. მაგრამ თუ ბარათაშვილის პოემაში საქართველო ჭერ კიდეც თავისუფალია და მხოლოდ მისი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი დგას, რაც სოლომონისა და ერეკლეს კამათის საგანს შეადგენს, ყაზბეგთან ახალი ძალა უკვე მკვიდრდება ქართულ სინამდვილეში და მისი შედეგები უკვე ნათლად ისახება პოემაში. ამას ყაზბეგი უკვე პოემის ექსპოზიციაში გვაგრძნობინებს: პოემა იწყება ბუნების ფერადოვანი სურათების აღწერით; ძალაში შედის გაზაფხული. ეს ის დროა, როდესაც ბუნება განიცდის განახლებას, ყველაფერი ცოცხლდება, იღვიძება მიძინებული სიცოცხლე, — ეს სიყვარულის, ანუ სიცოცხლის დროა.

მაგრამ ბუნების ამ დიდებულებისა და მშვენიერების ნათელ ფერებში, რომელიც სიცოცხლის, სიხარულისა და ბედნიერების დღესასწაულად წარმოგვიდგება, ყაზბეგს მოულოდნელად შემოაქვს

წავი ფერი, აბნელებს, ამუქებს საღებავებს, — „ნათელის სამფლობელოში“ შავი წყვედიანი ისადგურებს:

იმ წუთებში, როცა კაცი  
მუნ ამაყობს და ღმერთდება,  
როცა გული სულს ხელს აწვდის,  
დიდებისთვის შერთდება  
და თვით გრძნობა სატკბუნებლად  
მხოლოდ მღერას არ სჯერდება,  
მუნ ერთბაშად ცამ დასჰქეპა,  
ჩაბნელდა და ავდარდება.

ასეთია პოემის ექსპოზიცია, სადაც ალეგორიული ფორმით გადმოცემულია ახალი დროის დადგომა.

ამის შემდეგ იწყება პოემის ძირითადი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს საუბარს ბარელს, მთიელსა და მთას შორის. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ მსგავსად, „მთა და მთიელი“ პოლემიკური საუბრის ფორმით არის დაწერილი. აქ ერთმანეთს უპირისპირდებიან მთიელი და ბარელი. მთიელი წინააღმდეგია ბარელის ორიენტაციისა, უკიჟინებს მას „ყინვის ძმობას“.

ბარელი რეალისტური ორიენტაციის მომხრეა, მაგრამ თუ ბარათაშვილის პოემაში ერეკლე თვით გვევლინება ბედის წარმართველად, ბარელი ბედის მორჩილია:

რა გვექნა შენი კირიმე!  
შევწუხდით, ბარი დაღონდა,  
თათარს და ლეკსა სულ მუდამ  
მთის რისხვა ჩვენზედ მოჰქონდა.  
მეტად დავსუსტდით, დავდუნდით,  
ღონე რო აღარა გვექონოდა,  
მასთანვე მათი მოწვევა  
მეფემ თავადვე იწება.

მაგრამ მთიელს არ აკმაყოფილებს ბარელის ეს არგუმენტები:

შეგრცხვეს, სადა გაქვს გონება?  
ვინ ანბობს მეფემ იწება!  
ცილს სწამებ წმინდანს, მაგისტის  
არ აგცდეს ქვეყნის გინება.  
ყელის გამოჰრა შვილების  
მშობლისგან თქმულა, იქნება?

აქ უეჭველია, ლაპარაკია მეფე ერეკლეზე. ყაზბეგი ცდილობს „მთიელთა სალოცავ“ მეფეს ააცილოს ისეთი მძიმე ბრალდება, როგორიცაა საქართველოს სხვისთვის დამორჩილების სურვილი.

საბრალო... მეფე გიორგი  
სჩანს სწორედ გაგიჟებულა.  
ნუთუ ნათელი სპეტაკი  
დღე მისთვის ჩაბნელებულა.  
მთიელო ამ დროს სად იყავ?  
ვერ პგრძენ, მთა დანელებულა,  
ვერ მივხვდი, მათი გონება  
უფსკრულად ჩაბნელებულა!  
მაგ საქმის ნება ვით მიეც,  
ვით წინა მათ არ აღუდგე?

მთიელი თუმცა წინააღმდეგია ბარელის ორიენტაციისა, იე-  
დავს, რომ მისი მოძმე მცდარ გზას დასდგომია და გამოფხიზლები-  
საქენ, გონს მოსვლისაქენ მოუწოდებს მას, მაგრამ მაინც ვერ  
რჩება ბოლომდის თანმიმდევრული და მზადაა ბარელის კვალს  
გაჰყევს. ბარელი კი „ქირთა თმენის“ შემპრიგებლურ პოლიტიკას  
ქადაგებს. ამ პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო. დაიწყო შინაგა-  
ნო გახრწნილობა:

ძმა ძმისთვის ტლაპოდა ქმნილი  
ჯაშუში გახდა, მთხრობელი,  
სცოცხლობდა მხოლოდ მურტალი,  
თემობის დამამხობელი.

„მტერი დროს მიხვდა“, ძალის პოლიტიკა დაყუარების პოლი-  
ტიკით შეცვალა, ჩინ-მედლები და უხვი წყალობა არ დაიშურა, რი-  
თაც ქართველთა შინაგან დაშლილობას კიდევ უფრო შეუწყო ხე-  
ლი. ვორონცოვის პერიოდისათვის დამახასიათებელი სიტუაცია  
ყაზბეგმა მართლაც რომ რეალისტური ფერებით დაგვიხატა თავის  
პოემაში.

დროს მიხვდა მტერი, გამართა  
ლხინი დროს შესაფერია.  
კახურსა, შავსა კუპრსავეთ  
ასხავედა შესამღერია.  
ვინც გასკდის, გატყრის, ამაყად  
მას ყელი მოუღერია,  
გალეჩებული იძახდნენ  
მტრის ძმობა დასაჩერია

„მტრის მეგობრობით“ თავბრუდახვეული და ღვინით გამომ-  
ოვრალი ბარელი მზადაა ჩრდილოელის სიამოვნებისათვის ყველა  
მისი სურვილი აღასრულოს.

მთიელისათვის მიუღებელია მონობა, მაგრამ მოძმის მიტოვება

არ სურს და მზადაა ქედი მოიდრიკოს და ბარელის გვერდით მუხ-  
ლებზე დაეშვას.

რო გაწყდეთ. თქვენთვის ისა სჯობს,  
სანამ მუნ მონად ხლებასა,  
დაბრმავებულნი ეძახით  
უფსკრულსა განათლებასა.  
თვით მბრძანებლობას ივიწყებთ,  
რჩეულობთ მონად ხლებასა,  
და თვითვე რჩევობთ სამარცხვოდ  
ქვეყნისგან გამოკლებასა.  
მაგრამ მეც თქვენთან ვიქნები,  
თქვენს გვერდით სულის დამლევი,  
წინადავ მგრძნობი, რომ თქვენი  
რეგენობა იყო დამღლევი.

ასეთია ეპოქის ის მძიმე სურათი, რომელიც ყაზბეგმა ესოდენ  
მუქ ფერებში დაგვიხატა. საინტერესოა, რომ ამ პოემაში ყაზბეგი  
ლაპარაკობს არა იმდენად ახალი ძალის — ცარიზმის უძლეველო-  
ბაზე, მის სისასტიკეზე, არამედ თვით ქართველთა შორის რღვევაზე,  
მათ სულიერ მოშლილობაზე, მათ წახდენაზე. ბარელი უძლეველ  
მტერთან ბრძოლაში კი არ მარცხდება, არამედ ღვინით დამთვრალი  
და თვალთმაქცური დაყვავებით გაბრიყვებული ერთგულების  
ფიცს აძლევს „ძლიერ მტერს“ და სიცოცხლეს ინარჩუნებს იმით,  
რომ „თემობის დამამხობელად“ იქცევა. ეს საოცრად მკაცრი ეროვ-  
ნული თვითკრიტიკაა, რომელიც საშოცისანელებისათვის იყო და-  
მახასიათებელი. ეს მართლაც მძიმე, მაგრამ რეალური სურათია  
XIX საუკუნის საქართველოს მდგომარეობისა. ყაზბეგიც რეალის-  
ტური ფერებით გვიხატავს მას, მაგრამ ამ რეალისტურ სურათში  
ყაზბეგს შემოაქვს ერთი შტრიხი, რომელიც ერთგვარ რომანტიკულ  
ელფერს აძლევს მას. ეს არის მთის სამშობლო. მთა არის მამა, მშობე-  
ლი, ძალა და საყრდენი, მასაზრდოებელი წყარო ერის სიცოცხლისა  
და ძლიერებისა. ამ წყაროს დაწაფებულ შვილებს, მითიური ანთეო-  
სის მსგავსად, უორკეცდებათ სულიერი და ფიზიკური ძალები, ზო-  
ლო ვინც მოსწყდება მას, ვინც ზურგს შეაქცევს, იგი ობლად  
რჩება დასაღუპავად არის განწირული. მთა ერთიანი, მთლიანი  
საქართველოს გამოხატულებაა.

პოემის დასაწყისშივე ყაზბეგი გვაძლევს მთის დიდებულ  
სურათს.

მუნვე მთად—მეფე კალარა  
ყინვარი გულით სტკებოდა,  
მის ძირში შეილნი ლომ-გმირნი,

მთის სადიდებლად რკებოდა.  
ერთობის გრძნობა-რწმუნება  
მათ გულში არა ჰქრებოდა,  
და კლდენი ბანსა აძლევდნენ,  
როდესაც ხალხი ღრებოდა.

ამ პოემაში, ისევე როგორც ყაზბეგის მთელ შემოქმედებაში, მთასთანაა დაკავშირებული ერთობის, ერთვლ სულთან ზიარების, ბრძოლისა და შურისგების მოტივები. მასთან მიდიან გაქირვებაში ჩაყარნილი შვილები — მთიელი და ბარელი და მასაც სურს აულოერი ძალები, მხნეობა ჩაუნერგოს მათ: „მაშ იგრძენ, სცოცხლობს სულია?“ კითხულობს იგი და აქტიური, ერთობლივი შეკავშირებული მოქმედებისაკენ მოუწოდებს თავის შვილებს.

მაშ თუ ეგრეა, შეკრბენით,  
მტერს დაუბნით გონება,  
კაცს მოქმედება დაიხსნის  
და არა მუდამ ღონება.  
სიმძლავრე ძმათა ერთობის  
მათ მუდამ მოეგონება!  
წადი! დაჰკარით, უჩვენეთ  
რალაც ღირს ქართველთ ქონება.

ამ სიტყვებში აშკარად გამოისმის სამოციანელთა მრწამსი. „მოქმედება და მხოლოდ მოქმედება არის ადამიანის ცხოვრების ქვაკუთხედიო“, ამბობდა ილია ქავჭავაძე. მთა თავის შვილებს თავგანწირვისაკენ, სამშობლოსათვის, თემობისათვის თავის დადებისაკენ მოუწოდებს:

კმარა ყბედობა, ვილოცოთ,  
ღლე მოგვეცეს მტერზე ზენამა.  
სამშობლო ბევრჯერ გაწმინდა  
შვილთაგან სისხლის ღენამა,  
და გააბრწყინა თეშობა  
სახელის გამოჩენამა!.

მთა ეს შინაგანი ხმაა, შინაგანი მორალია. ეს ის ცნებაა, რომელმაც ყაზბეგის გვიანდელ შემოქმედებაში თემის სახეში ჰპოვა პერსონიფიკირება. ბარელმა უარყო იგი, არ შეისმინა მისი, ამით იგი „მამის მკვლეელი“ შეიქმნა. მთამ განდევნა ის და ამგვარად ბარელი ობლად დარჩა სასტიკი მტრის პირისპირ.

მთიელი, მართალია, ბარელის კვალს დაადგა, მაგრამ მთის სიყვარული, მასთან სულიერი კავშირი მთლად არ აღმოფხვრილა, ამიტომ იგი მაინც მიილტვის მთისაკენ.

მთიელი გაორებულია. ერთი მხრივ, მას არ სურს ზურგი შეაქციოს თავის მოძმეს, ბარელს, მაგრამ მეორე მხრივ, მთასთან, მშობელთან ჭერ კიდევ არსებული კავშირი არ აძლევს მას უფლებას ბარელთან ერთად ხმალი აღმართოს მოძმე მთიელებზე, ლეკებზე და ჩეჩნებზე, რომლებიც თავისუფლებისათვის იბრძვიან. მათზე გალაშქრება მთის, ე. ი. მშობლის საბოლოო ღალატი და მასთან კავშირის გაწყვეტა იქნებოდა.

ძმანი ვართ, უნდა იმათთან  
შეც ავიკეცო კალთები,  
კირში თუ ლხინში მათთანვე  
მათი ძმა დავიბალთები.  
ეჰა! მთავ!... ბედნიერება  
ბეჩავეისათვის სად არის?  
აწ დღევანდელი ქართველი  
იქმნა ღიაღის სადარი.

უბნება მთიელი მთას და ამ „დღევანდელ ქართველში“ თავის თავსაც გულისხმობს.

მთიელის ამ გაორებაში, ერთი მხრივ, მთისაკენ ლტოლვაში და მეორე მხრივ, ბარელთან გვერდით დგომის სურვილში, ჩემი აზრით, ძნელი არ არის ვიცნოთ სვიმონ ჩოფიკაშვილის სახის კონტურები.

მთიელში საბოლოოდ მაინც მთასთან მშობლიური კავშირი სძლევს, იგი უარყოფს მტერთან კომპრომისებს.

მარტო რო ვიყო, ვის ეთხოვდი  
ამ ქვეყნად მოწყალებასა?  
ამ დღეშიც მყოფი შენა გთხოვთ,  
მხოლოდ შენ, შებრალებასა!  
დამლოცე!.. წაეალ, მოვკვდები,  
ვერ გაეძლებ მტერთან ზლებასა....  
არა, მთავ, ველარ შევიჩენ  
აწმცა სირცხვილად მტრისაველს!  
ორთავ მივანდობ მოსაველს,  
მარცხსა თუ გამარჯვებასა.

მთისადმი - მშობლიური სიყვარული, ერთგულება იმარჯვებს მთიელში. იგი კვლავ დაუბრუნდა თავის მშობელს, კვლავ ეზიარა ეროვნულ სულს, ამიტომ ის უკვდავებასაც ეზიარა.

ჰა, მკერდი იგი მზად არის  
ჩაგიკრას მფეთქავს გულთანა,  
ეიცი, რომ ადგილს დაიჭერ  
მშუქავ ედემის რგულთანა.  
წადი, იარე მთავრესთან,

ნათლად სრულს ამოსულთანა,  
თუ მოჰყვდი, წილი გეჰქნება  
შენის ერობის სულთანა.

მთიელი (დაიჩოქებს):

გფიცავ შენ, რაც ვარ ის დავრჩე,  
არ ვუღალატო ანდერძსა.  
არცა თუ სადმე მიებაძო  
ზოგიერთს იუდის კერძსა!  
სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვიქმ,  
გზას არ დაუთმობ მოშარეს,  
რაც გავჩნდი, იგივე მოვეკედები,  
იგივე ჩავალ სამარეს!

აქ კვლავ ისმის ეროვნული ტრადიციების ერთგულების, მშობ-  
ლიურ ფესვებთან კავშირის თემა, რომელიც ასე ორგანულია ყაზ-  
ბეგის მთელი შემოქმედებისათვის.

ამ პოემაში დასმულია მრავალი ისეთი საკითხი და პრობლემა,  
რომლებიც შემდგომ გაღრმავებას თუ გადაწყვეტას ყაზბეგის სხვა  
ნაწარმოებებში ჰპოვებენ. აქ ეს პრობლემები და საკითხები, რა თქმა  
უნდა, ერთგვარად აბსტრაქტულად არიან წარმოდგენილი. მოქმედი  
პირებიც სიმბოლო-ალეგორიები უფრო არიან, ვიდრე ხორცშეს-  
ხმული, ცოცხალი ადამიანები. ეს პოემა განსაკუთრებით იმით არის  
საინტერესო, რომ იგი ყაზბეგის „ბარისა“ (ქალაქის) და „მთის“  
შემოქმედების ურთიერთდამოკიდებულების გასაღებს იძლევა. მთა  
არც ისეთი აბსტრაქტული სიმბოლოა, როგორიც ჩვენ ერთი შეხედ-  
ვით შეიძლება მოგვეჩვენოს. მთა ის ძალაა, რომელიც მთელი შე-  
მოქმედების მანძილზე ესაუბრებოდა და ჩასძახოდა თვით ალექ-  
სანდრე ყაზბეგს: უღვივებდა მას მაღალ გრძნობებს, უბიძგებდა  
მას ეძებნა ახალი იდეალები, ნამდვილი, ქვეშაირი, იდეალური  
ადამიანები. ისევე როგორც პოემის მთიელს, მთა ყაზბეგსაც  
დღითი დღე მოუწოდებდა ბრძოლისა და მოუდრეკლობისაკენ. ამ  
პოემის პატრიოტული პათოსი აშკარაა. მაგრამ პატრიოტიზმის  
ცნება ყაზბეგისათვის საერთოდ ტევადია და მრავლისმომცველი და  
ეს ამ პოემის მაგალითზეც კარგად ჩანს. აქ წარმოდგენილია მძლავ-  
რი ეროვნული თვითკრიტიკა, მაგრამ ეს თვითკრიტიკა დაკავშირე-  
ბულია მომავლის იდეალებთან, რომლებსაც, თავის მხრივ, მჭიდროდ  
აქვთ ფესვები წარსულში გადგმული. ყაზბეგი ქადაგებს ეროვნულ  
ნიდაგზე მყარად დგომას, ეროვნული სულის ერთგულებას; წარ-  
სულით, წინაპართა ტრადიციებით ზურგამაგრებულ, მომავლ-  
საკენ, ბედნიერებისაკენ ქედმოუხრელად მსწრაფლ, აქტიურ, ქმე-  
დით, მებრძოლ ადამიანს.

## 1905 წლის რევოლუციის ასახვა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურა, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, სათავეში ედგა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალებდისთვის დაუღწეულ სამოციანელ-თა ამ თაობას 80-იან წლებში შეემატა ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის მებრძოლი ლიტერატურა. ვაჟა-ფშაველამ პუმა-ნურობისა და დემოკრატიზმის მაღალი იდეალებით გააშინაარსიანა ქართული ლიტერატურა და საზოგადოებრივი აზროვნება, წინ წასწია ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა.

მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მწერლებიდან ყველაზე მხურვალედ 1905 წლის რევოლუციას აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა გამოეხმაურნენ. აჯანყებული ხალხის გამოსვლებში და რევოლუციის მძლავრ გუგუნში მათ თავიანთი განმათავისუფლებელი იდეალების შესაძლო განხორციელება ამოიკითხეს. ამიტომ მეტად გულწრფელია ამ პერიოდის ვაჟას პოეტური სტრიქონები. იგი ხალხს ცარიზმის დამხობისაკენ მოუწოდებდა. ვაჟა-ფშაველა პირადად ხელმძღვანელობდა მთავრობის საწინააღმდეგო შეიარაღებულ რაზმს. ამ სახალხო გამოსვლების დროს თიანეთი ვაჟას თავის ხელმძღვანელად ასახელებდა.

ხალხის ფართო ფენების სტიქიური გამოსვლა ცარიზმის წინააღმდეგ უაღრესად დადებითი მოვლენა იყო. კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში შექმნილი ასეთი რევოლუციური გამოსვლები ემთხვეოდა ვ. ი. ლენინის მოთხოვნას, რაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მესამე ყრილობამ საგანგებოდ შეიტანა 1905 წლის რევოლუციის შეიარაღებული აჯანყების შესახებ მიღებულ რეზოლუციაში: „1. რომ გლეხთა მოძრაობა, რომელიც ამჟამად იზრდება, სტიქიური და პოლიტიკურად შეუგნებელია, მაგრამ მაინც გარდუვალად მიმართულია არსებული წყობილების



წინააღმდეგ და საერთოდ ბატონყმობის ყველა ნაშთის წინააღმდეგ; 2. რომ სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ამოცანაა მხარი დაუჭიროს არსებულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წყობილების წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას<sup>1</sup>.

ხალხთა გამოსვლები ცარიზმის წინააღმდეგ ნაყოფია იმ დიდი საგანმანათლებლო დემოკრატიული მოძრაობისა, რასაც რუსეთის მოწინავე რევოლუციური ძალები აწარმოებდნენ მეფის მთავრობის წინააღმდეგ, ბატონყმობის ნაშთების მოსპობისა, ხალხთა სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის. ამ დიდ მისიას ქართულ სინამდვილეში ასრულებდა ქართველ სამოციანელთა სახელოვანი თაობა, რომლის ერთ-ერთი წამყვანი ბურჯთაგანი ვაჟა-ფშაველა იყო.

ვ. ი. ლენინი, ანალიზს უკეთებდა რა რეფორმის დროიდან (1861 წ.) 1905 წლის რევოლუციამდე ცარიზმის წინააღმდეგ რუსეთში ჩატარებულ მუშაობას, ასკენიდა, რომ ამ პერიოდმა შოკად აღსთქვა რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და რომ „1861-მა წელმა წარმოშვა 1905 წელი“.

რევოლუციის წინა პერიოდი დიდი პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობის მოვლენებით და საზოგადოებრივი ცხოვრების გაზრავალფეროვნების ნიშნებითაა ცნობილი საქართველოში. გრძელდება ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარება-გაფართოება, რომელსაც სათავეში კვლავ ქართველი სამოციანელები უდგანან.

ამის პარალელურად, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შესაბამისად, ისახება თვისობრივად ახალი პროლეტარული მწერლობის კონტურები, სოციალისტური რეალიზმის მწერლობის პირველი ნიშნები, თუმცა საზოგადოებრივ ლიტერატურულ ცხოვრებაში ერის წინაშე დასმული აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა კვლავ სამოციანი წლების განმანათლებელთა თაობას ეკისრება. ამ პლედის მწერლები კვლავ დემოკრატიულ-ჰუმანისტური ქმნილებებით ამდიდრებენ ქართულ ლიტერატურას. გაფურჩქვნის ახალ, მაღალ საფეხურს აღწევს ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. ხალხოსნური მიმართულება და მათი ლიტერატურა, რომელმაც თავის განვითარებას ოთხმოციან წლებში მიაღწია, ოთხმოცდაათიანი წლებისათვის, როგორც მიმდინარეობა აღარ არსებობს. მისი მოღვაწეები — ანტონ ფურცელაძე, მიხეილ გურგენიძე, სტეფანე ჭრელაშვილი, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ხიზანიშვილი და სხვები, „ივერია“, „მოამბისა“ და

<sup>1</sup> სკკპ ისტორიის ქრესტომათია, I, 1974, გვ. 32.

„კვალის“ რედაქციებში მოკალათდნენ და სამოციანი წლების განმანათლებლურ იდეალებს ქადაგებენ. მაგრამ ხალხოსნური იდეალების გამოძახილი მაინც რჩებოდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი იდეების პროპაგანდას კვლავ ეწევიან ეკატერინე გაბაშვილი, გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, ნაწილობრივ — შიო არაგვისპირელი და სხვები.

ქართველი პროგრესული საზოგადოება, რომელსაც დახშული ჰქონდა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის პირდაპირი პოლიტიკური გზა, თავის მოწინავე შეხედულებების პროპაგანდას მხატვრული ლიტერატურის საშუალებით ეწეოდა: მწერლობას ეკისრებოდა ხალხების სულიერი აღზრდა, მათი მომზადება მომავალი რევოლუციისათვის. სამოციანი წლების თაობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით კვლავ ჰუმანიზმის, დემოკრატიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების დროშის ქვეშ რაზმავდა ჩაგრულ ხალხს. 1895 წელს ნ. ნიკოლაძე, „მოამბის“ პირველ ნომერში, გერცენის მსგავსად, საგანგებოდ ხაზს უსვამდა მწერლობის აღმზრდელობით ფუნქციას საერთოდ, და, კერძოდ, საქართველოსათვის: „უფრო განვითარებულ ქვეყანაში ბევრი სხვა იარაღი აქვს ერს, მწერლობაზე უფრო ძლიერი — სრული თვითმმართველობა, წარმომადგენლობა, ყრილობანი და სხვადასხვა. ჩამოქვეითებულ ქვეყანაში კი, საცა თითქოს ერთიანად დახშულია სხვა გზა განვითარებისა, მწერლობა ერთადერთი იარაღია საზოგადო სიკეთის დაცვისა და შემატებისათვის, ჩვენც ამ მდგომარეობაში გახლავართ“.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შესაბამისად იცვლებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალური ბრძოლის ტაქტიკა. მაგრამ საბოლოო მიზანი ქართველ განმანათლებლებისა თითქმის ერთნაირი იყო: მოესპოთ ეროვნული და სოციალური ჩაგვრა, შეექმნათ ხალხისათვის შრომისა და პიროვნების თავისუფლება, — დამოუკიდებელი, თანასწორუფლებიანი, ყველასათვის მისაწვდომი სახელმწიფო აპარატი, სადაც მოისპობოდა ადამიანის ჩაგვრა, ექსპლოატაცია, სიღარიბე. ეს ის პერიოდი ქართული საზოგადოებრივი ბრძოლის ისტორიაში, როცა დემოკრატიზმი და სოციალიზმი ერთმანეთის შემაჯსებელ ცნებებს წარმოადგენდა. მაშინდელი განმანათლებლობა იტევდა დემოკრატიზმისა და სოციალიზმის ერთიანობას.

90-იანი წლებისათვის, როცა გამწვავდა კლასთა ბრძოლა და დემოკრატიას გამოეყო სოციალიზმი მეცნიერული კომუნიზმის მოძღვრების სახით, ქართველ განმანათლებელთა მოღვაწეობაც

თითქმის ამოწურულად ითვლება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა სხვა, ახალი შინაარსით იტვირთება, მაგრამ ღერგდალეულთა განმანათლებლობა უაღრესად პროგრესული მოვლენა იყო. მათ პირველებმა დაიწყეს აშკარა ბრძოლა ეროვნული და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, რომელსაც დემოკრატიული შინაარსი განსაზღვრავდა. რასაკვირველია, ამ თაობას არ შეეძლო გაეთვალისწინებინა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ნამდვილი არსი, ეჩვენებინა ხალხისათვის არსებული უსამართლობის მოსპობისათვის პოლიტიკური ბრძოლის მართებული გზა. მაგრამ ამ თაობის დიდი „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიული მოღვაწეებს თანაჲედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ, იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“<sup>2</sup>. ამ მოსაზრებით ქართველი განმანათლებლები უშუალო წინამორბედები არიან მარქსისტული იდეებისა.

90—900 წლების მარქსიზმი გზას იკაფავდა და ყალიბდებოდა ნაროდნიკებთან და მათ ნაირსახეობასთან ბრძოლაში, მაგრამ, ვინაიდან ქართული ხალხოსნობა განსაკუთრებით 90-ანი წლებისათვის დაკნინებულია და აღარ წარმოადგენს ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალას, ამიტომ მარქსიზმის უშუალო წინამორბედად საქართველოში გვევლინებიან ქართველი სამოციანელები, რომლის ორბიტაში 90-იანი წლებისათვის თავს იყრიდნენ არა მარტო დემოკრატიზმის, არამედ ნაროდნიკული იდეალების გამომხატველი მოღვაწეებიც.

კაპიტალიზმის განვითარების კვალდაკვალ მატულობს მუშათა კლასისა და სოფლად ღარიბი გლეხობის რიცხვი. ანალოგიური დაპირისპირება მუშასა და კაპიტალისტს შორის, ერთი მხრივ, გლეხობასა და მემამულე-კულაკებს შორის, მეორე მხრივ, — თვალსაჩინოა. იწყება მუშათა გაფიცვები, იზრდება უკმაყოფილებები. ხალხის საერთო უკმაყოფილებას სოციალურ და ეროვნულ საკითხში, ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა და მათთან შეკავშირებული ყოფილი ხალხოსნები — ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, სტეფანე ჭრელაშვილი და სხვები — თავიანთი დემოკრატიული და ბურჟუაზიული პროგრამის განხორციელებისათვის იყენებდნენ.

მათ ღრმად სწამდათ, რომ მომავალი სახალხო აჯანყება ცარიზმის წინააღმდეგ, დაამხოდა თვითმპყრობელობას და ნანატრი ხალ-

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 217.

ხთა თავისუფლება დამყარდებოდა. რასაკვირველია, მომავალი ხელისუფლების კონკრეტული სახეები სხვადასხვანაირად ესაზღვრებოდათ მათ, მაგრამ მთავარი, რაც აერთიანებდა რევოლუციის პერიოდის განმანათლებლებს — ეს იყო ეროვნული და სოციალური თავისუფლების მოპოვება, თუმცა ამ მიზნისაკენ სავალი გზები მათთვის სხვადასხვა იყო. მიუხედავად ამისა, აკაკის თქმით, მათ ხელი არ უნდა შეშლოდათ ამ წმინდა საქმეში — „ყველა გზა რომში მიდიოდა“ და ყველა მოღვაწე, მარჯვნივ იხრებოდა თუ მარცხნივ, ამ საერთო საქმის გარშემო უნდა გაერთიანებულყო.

ქართველ განმანათლებელთა თანმიმდევრული ბრძოლა ხალხის ფართო მასების განათლებისა და მათი აჭანყების მომზადებისათვის უდიდესი მოვლენა იყო მეცხრამეტე საუკუნის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. მაგრამ მიუხედავად ამ თაობის დიდი შრომისა და გულწრფელობისა, მათ არ გააჩნდათ თეორიული განათლების ის ახალი ელვარება, რაც საზოგადოებრივი განვითარების ახალი დროისათვის იყო ნაკარნახევი. ამიტომ ამ თაობის ყველა წარმომადგენლის რევოლუციური ქადაგება 90-იანი წლებისათვის აღარ შეეფარდებოდა ცხოვრების განვითარების კანონზომიერებას.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, რევოლუციის გარკვეულ ეტაპზე, რევოლუციურ-დემოკრატიული თაობის მწერალთა შემოქმედება, ხელს უწყობდა რა ხალხის უკმაყოფილების ზრდას და მათ პოლიტიკურ გამოსვლებს, სავსებით ენიადაგებოდა რევოლუციის მიმდინარეობას. ვაჟა-ფშაველას რევოლუციის პერიოდის ლექსები გაისმოდა, როგორც საბრძოლო მოწოდების ხმა და ხალხს გამათავისუფლებელი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

ვაჟა-ფშაველას ყველა ლექსი, პოემა თუ მოთხრობა, მისი სათაყვანებელი ხალხის ჭირ-ვარამზე ღაღადებს, იგი, როგორც მაღალი რანგის მხატვარი, საოცარ ფერებში ხატავს თავისი ქვეყნის ბედ-ილბაღს, მისი ხალხის ცხოვრებას, ადამიანის სულიერ ღელვას. ილიას „ივერია“ მუდამ ღია იყო ვაჟას ქმნილებებისათვის. ილია ხშირად მოაგონებდა ვაჟას: „ჩამოდი შენი ზურჯინით და ლექსები ჩა-პოიტანეო“.

სამშობლოს სიყვარულისადმი მიძღვნილი ვაჟას ეპიკური ნაწარმოებები, „კარგი ყმის“ სახელით მებრძოლი პერსონაჟები თავს დებენ მამულისათვის. ვაჟას მებრძოლი პარტრიოტიზმის ფართო დიაპაზონი კარგად გამოჩნდა „ბახტრიონში“, სადაც ამაღელვებლადაა ნაჩვენები მთის ხალხის გმირული ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისათვის. სანათასა და ლელას ინტერესთა სფერო მომავლის მაღალი იდეალებითაა შთაგონებული.

ვაჟა-ფშაველას პატრიოტული ხასიათის ნაწარმოებები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მასშტაბურობის დამადასტურებელია, ღრმა ჰუმანიზმისა და მუდამ ქვეყნის სიკეთეზე დაფიქრებული ადამიანის ფილოსოფიაა („ზახტრიონი“, „მოკვეთილი“, „ნის ბეჭი“, „ეთერი“ „სიზმარი ამირანისა“, „ბაკური“, „კიდე ზმა მესმის ციღამა“, „კლდე და მდინარე“, „ჩემი ვედრება“, „ქებათა ქება“ და სხვ.). აქ ყველგან ისმის ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედების კეთილისმყოფელი გავლენა. საერთოდ, ვაჟას რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია სამოციანი წლების მოღვაწეთა შეხედულებებმა, გორის საოსტატო სემინარიაში სწავლის პერიოდის რევოლუციონერ ხალხოსნებთან შეხვედრებმა, რაც მთავარია, 90-იანი წლების რევოლუციურმა ეპოქამ, როცა ეროვნული საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით მკაცრი პოლემიკა წარმოებდა „ივერისა“ და „კვალს“ შორის.

გენიალური ვაჟა ჩაგრულთა პოზიციებიდან ეხმაურება 900-იან წლებში გამწვავებულ კლასთა ბრძოლას და ინტუიციით გრძნობს რევოლუციის მოახლოებას. ასეთია რევოლუციის წინა პერიოდის მისი ლექსები: „კლდე და მდინარე“. „დანაბარები“, „ის კი არ არი ბიჭობა“, „მგოსნის სიმღერა“, „ანდერძი“, „კითხვა-პასუხი“, „მთების სიზმარი“, „ვინ არის კაცი?“, „დამსეტყვე ცაო“, „ოცნებაჲ, ჩანგი მომართე“, „მოხუცი რაინდის სიმღერა“, „გულო, არ გატყდე“, „ჩონგურს სიმები დამიწყდა“, „შემოდგომა“ და სხვა მრავალი.

პოეტი შეზარის ახალი ღროის — რევოლუციის მოახლოებას:

კიდე ველირსე გაზაფხულს,  
ციღამ მანანის ღენასა;  
ბუნების გამოღვიძებას,  
ფრინველთ საამო სტვენასა, —  
გუშინ მეგონა დაემუნჯდი,  
დღეს ისევ ვიდგამ ენასა.  
მშორდება, თუ რამ ჰკვაზდა  
ან გულზე ჟანგი მდებოდა  
გული აძგერდა სხვა გვარად  
ენახე, ზამთარი კვდებოდა,  
მტარვალად გამომჰქირალი  
მთებზე ყინული დნებოდა.

„გაზაფხული“.

ახალმა ღრომ პოეტს „დაკიდული“ და „დაქვეებული“ გონე-

ნება გაუხსნა. „დღეს შტირალს, ბედის მომღურავს“ გული უხარის,  
ვინაიდან ახალი დრო „დაბმულს აუშვებს და ახსნილს დააბამს, გა-  
აქავებს“...

საწუთროს ეინი შეიგნო,  
დღე ღამეობა ეამისა,  
ხვალ განთიადის მომლოდნეს  
შიში არა აქვს ღამისა;  
ზამთარს ზაფხული მოჰყვება,  
ყნოსვითა ვტკბებით. მწვანისა...  
„კიდეც ხმა მესმის ციღაჲა“

ვაქვს თქმით. ახლანდელ დროში კაი ყმის კაცობა აქმით გაი-  
ზომება, ახლა „ბიჭობა ის არი“, ვინც „დაჩაგრულთათვის წვა-  
ლობს“. პოეტი მთელის ხმით ღაღადებს, რომ სანატრელი დრო  
დაუდგა:

დიდება უფალს, რაკი შევიძელ,  
კვლავ სამსახური ჩვენის ერისა,  
დაჩაგრულების გამოსარჩლება,  
გათახსირება იმის მტერისა.

„მგოსნის სიმღერა“

პოეტი ჰერეტს, რომ თვითმპყრობელობას უსათუოდ დაამარც-  
ხებს ხალხთა შეერთებული ძალა, რომ მოძალადის სიმტკიცე დაირ-  
ღვევა და ხალხი სანატრელ თავისუფლებას მოიპოვებს. ამის ახს-  
ნას ვაქვს მისთვის დამახასიათებელი პოეტური ოსტატობით გად-  
მოგვცემს ალეგორიული ხასიათის ნაწარმოებში „კლდე და მდინა-  
რე“. მდინარის შეუპოვარმა ბრძოლამ სძლია მოძალადე კლდის სი-  
მაგრე. კლდე ხელს უშლიდა მდინარის თავისუფალ სვლას, ხალხის  
გვეგვავი ველ-მინდორის მორწყვას. მდინარის შეუპოვარმა ძალამ  
სძლია მოძალადე კლდის (თვითმპყრობელობის) სიმაგრე, ნამსხვრე-  
ვად აქცია მისი კედლები და ძლევამოსილად გაიკვლია გზა თავი-  
სუფლებისაკენ:

ანგრევს, რაც უშლის მგზავრობას,  
დაღეწა ყველა საფარი,

ახალი სანახავითა  
გაოცებულა მთა-ბარი  
გაღებულ კალაზე  
მოიზღაზნება მღერითა,  
საამო სანახავია  
გამარჯვებულის ფერითა.

პოეტი მთელის ხმით მოითხოვს ძალადობის დათრგუნვას, იმ ბოროტების მოსპობას, რომელიც ცდილობს საქართველოს მთლიანობის დარღვევას, დედაენის მოსპობას:

გადაამტერებს ერთმანეთს  
ქართლსა, იმერეთს, კახეთსა,  
საკუთარს ანბანს შეუღვენს  
სამეგრელოს და სევანეთსა.

„ვინ არის კაცი“?

მაგრამ ვაჟის გულს ვერ უტეხს ძალადობაზე აგებული უსამართლობა. პოეტი მუდამ ქვეყნის სიკეთეზე ფიქრობს. ლექსში „დამსეტყვე ცაო“ შესანიშნავად ჩანს დაჩაგრულთათვის თავდადება, სამშობლოსათვის მხურვალე სულის მღუღარება.

სანამა ეოცხლობ, გულში მაქვს  
კეთილსა ვეჟანდე ზიარად,  
ვერ მივცემ მტერსა მამულსა  
საჭიჭგანდ, დასაზიანად.

„დამსეტყვე ცაო“.

ცხრაასიანი წლები რუსეთსა და საქართველოში აღინიშნება ზეშათა მოძრაობის განსაკუთრებული აღმავლობით. 1900—1901 წლებში თბილისში იწყება მუშათა რამდენიმე გაფიცვა, რომელთა შორის ყველაზე გრანდიოზული იყო 1900 წლის აგვისტოში რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშების გაფიცვები. 1901 წლის 22 აპრილს თბილისის ცენტრში, ხელისუფლების თვალწინ გაიმართა საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელსაც ჰაბუკი სტალინი ხელმძღვანელობდა. ცნობილია, როგორი მაღალი შეფასება მისცა ლენინურმა „ოსკრამ“ თბილისის მუშათა აღნიშნულ ლეგალურ ჰაზისობას.

მუშათა გამოსვლებმა ორგანიზებული ხასიათი მიიღო საქართველოს სამრეწველო ცენტრებში. 1902 წლის იანვარში მოეწყო როტშილდისა და მანთაშევის ქარხნების მუშათა გაფიცვები ბათუმში, ამავე წლის მარტში მოხდა ბათუმის მუშათა ცნობილი პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელიც მთავრობის ჯართან სისხლიან შეტაკებაში გადაიზარდა. ბევრი მუშა იქნა მოკლული, დაჭრილი და დასაჯიჩრებული. დაიწყო მასობრივი დაპატიმრება-გადასახლებაები.

მგოსანი ინტუიციით გრძნობს ახალი ხანის, ბრძოლისა და რევოლუციის საუკუნის დაწყებას. ეს მომავალი ჯერ კიდევ „შბუ-

ტავ ვარსკვლავადა“ ჩანს (1903 წ.), მაგრამ პოეტი მაინც თვალს  
ვერ აშორებს ამ ვარსკვლავს, რომელმაც მომავლის ფიქრები უნდა  
„გაამზიანოს“. პოეტის მუზა აკაკის მსგავსად უხმობს ამირანს,  
რომლის ჯაჭვი ერთგულ გოშის გაულრღნია. მკითხველი გრძნობს,  
რომ ამირანი თავისუფალია და ხელთ ხმალი უნდა აიღოს, ვინაიდან  
„მომავლის სხივი აქარებებს გმირის ოხვრას და გმინვასა“ („მემლე-  
რება და ვიმღერი“).

ვაჟას პოეტური მუზა წარსულის გმირთა აჩრდილებს მოუხ-  
ნობს და მათი საშუალებით აცნობიერებს აწმყოს ვითარებას.

ტახტზე ბრძანდება თამარი,  
დილის ცისკარსა ჰგავისა,  
ვახტანგს მოურჩა წყლულები,  
იმედიცა აქვს ხმალისა,  
დავითმა ნება აიღო კავკასიის ერთა ზავისა,  
სულ გარს მარტყია გმირები  
იმ გარდასულის ჟამისა...  
აქ სდგება უფლის საბჭოში,  
დადგენილება ამისა,  
არჩევენ გათენებასა  
კვლავ სამანდაო ღამისა.

„მოფრინდა უცხო ფრინველი“

ვაჟას უსაზღვროდ უყვარს გლეხკაცობა, ხალხის დაბალი ფე-  
ნები. ამიტომ მომჭადოებლად გამოიყურება დაჩაგრულთაღმძი მიძ-  
ღენილი მისი სტრიქონები: „მწამს აზრი კაცთა სიცოცხლის, მწამს  
საიდუმლო სოფლისა; მწამს, რომ ანათებს ღვთის სადგურს სანთ-  
ლები მშრომელთ ოფლისა“.

რევოლუციის გარიჟრაჟზე 1904 წლის 28 ნოემბერს გაზეთ  
„ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში (№ 274) დაიბეჭდა  
ვაჟა-ფშაველას „მხედართა ძველი სიმღერა“. დიდი პოეტური ოსტა-  
ტობით შესრულებულ ლექსში საბრძოლო ჰიმნად გაიჟღერა სამშობ-  
ლოს დაცვის და განთავისუფლებისაკენ მოწოდება:

სამშობლოს არვის წავართმევთ,  
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,  
თორემ ისეთ ღღეს დაეყრით,  
მკედარსაც კი გაეცინება,  
არ მივეცემთ სხვასა სამშობლოს  
ჩვენის ცოცხალის თავითა;  
უკან ვერ დაგვახეინებთ  
მისთვის ნაძღვნივეის შრომითა.  
მტრისავე მივიზიდებით,  
რომ გაეწყდეთ, როგორც ლომები.



ერთ სიმღერაში, რომელიც კვლავ „ცნობის ფურცელში“ რევოლუციის დაწყების წინ დაიბეჭდა, ვაჟა რევოლუციის მაცნეს. — პირბადრ მთვარეს მიმართავს, რათა წყვდიადი გაანათოს:

გულს სწყურის განახოს ბადრადა,  
ამო, ამოჩნდი ბარეო,  
ვიხილო შენი სხივები  
მთა-ბარზე მოელვარეო.  
გზა დაკარგულთა ნუგეშო,  
შენს სხივებს ვენაცვალეო!

„ყური დაგინდა“.

ვაჟა თვითონ ყოფილა ჩაბმული რევოლუციურ მუშაობაში; პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა ფშავ-ხევსურეთის გლეხთა გამოსვლებს. რევოლუციური მოვლენების განვითარებას ჩვენში ვაჟა უკავშირებდა რუსი ხალხის აჯანყებას: „თუ ეს მოძრაობა რუსეთში მეტისმეტად გაძლიერდებოდა“, უნდა გვესარგებლა ამ მდგომარეობით და საქართველოს განთავისუფლება ჩვენ აქედან, მთიდან უნდა დავიწყოთ... ვაჟას საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონია რაზმელ ხევსურებთან, რომლებთანაც ხშირად მართავდა საიდუმლო მოლაპარაკებას. ადგენდნენ მომავალი აჯანყების პროგრამას, იწვევდნენ საიდუმლო კრებებს<sup>3</sup>. „1905 წელს ლუკა არ დარჩა ისე, რომ რევოლუციისათვის შორიდან ეცქირა და მონაწილეობა არ მიეღო მასში, — წერს ვაჟას ცოლი თამარი, — ვაჟას სწამდა, რომ, როდესაც რევოლუცია გაიმარჯვებდა, საქართველო აუცილებლად განთავისუფლდებოდა თვითმპყრობელობის კლანკებიდან“<sup>4</sup>.

რევოლუცია, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში მრავალი წლის განმავლობაში მზადდებოდა, მწვავდებოდა და ვითარდებოდა. რუსეთის მთავრობამ, იგრძნო რა რევოლუციური სიტუაციების განვითარება, ყურადღების ცენტრი საგარეო პოლიტიკურ ამბებზე გადაიტანა და ომი წამოიწყო აღმოსავლეთში. რუსეთ-იაპონიის ომმა და ამ ომში რუსეთის დამარცხებამ კიდევ უფრო გააშიშვლა თვითმპყრობელობის წყულულები. ხალხმა დაიწყო გაფიცვები, დემონსტრაციების მოწყობა. 1905 წლის 9 იანვრის ამბებმა, როცა მეფის მთავრობამ დახვრიტა პუტილოვის ქარხნის მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაცია, მკაცრი პროტესტი გამოიწვია და დასაბაჰი მისცა რევოლუციის აღმავლობას მთელ რუსეთში. იანვრის დღეებში მთელი საქართველო — მასობრივი გამოსვლებითა და მთავრობის

3 ს. ყუბანეიშვილი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, 1961, გვ. 272.

4 იქვე, გვ. 275.

საწინააღმდეგო მტკიცე პროტესტით, სოლიდარობას უცხადებდა რუსეთის მუშათა კლასს; რევოლუციურ მუშათა და გლეხთა ხელმძღვანელობა მტკიცედ აიღო ხელში ბოლშევიკურმა პარტიამ. ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა რევოლუციური მოვლენების განვითარებას ამიერკავკასიაში და საქართველოში.

1905 წლის ამ დიდ მოვლენებს აქტიურად ეხმაურებიან მწერლები და საზოგადო მოღვაწეები და დემოკრატიული ლეგალური და არალეგალური ბოლშევიკური პრესა. სამოქმედო ასპარეზზე გამოდის რევოლუციური პათოსით აღსავსე ახალგაზრდა მწერალთა მთელი პლუადა: იროდიონ ევდოშვილი, კოლა ლომთათიძე, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, ნოე ჩხიკვაძე, ნინო ნაკაშიძე, ნოე ზომლეთელი, ნატალა აზიანი, დომენტი თომაშვილი და სხვ.

აჯანყების შესასუსტებლად მეფის მთავრობა იმპერიის განაპირა რაიონებში მიმართავდა ერების ერთმანეთზე წასისინების პოლიტიკას. ასეთი პროვოკაციული საშუალებებით მოხდა სომხეთათართა სისხლის ღვრა თბილისში 1905 წლის 22 ნოემბრის დამით. ქართველი ბოლშევიკების აქტიური ჩარევით ძმათა შორის სისხლის ღვრა მალე იქნა შეჩერებული. ამის შესახებ ი. სტალინი სახელდახელოდ დაბეჭდილ პროკლამაციაში წერდა: „იგი (მეფის მთავრობა — შ. ვ.) შულღს თესავს რუსეთის ეროვნებებს შორის“<sup>5</sup>... „დიახ. მოქალაქენო! მეფის მთავრობის აგენტები იყვნენ, თათართა შეუგნებელი ნაწილი მშვიდობიან სომხებს რომ მოუსიეს!... ორ თვეს ამზადეს მათ — მეფის მსახურებმა — ძმათა მკვლელი ომი, და აი, ბოლოს, მიაღწიეს თავიანთ ბარბაროსულ მიზანს. წყევლა და სიკვდილი მეფის მთავრობას!

ახლა უბადრუკი მეფის ეს უბადრუკი მონები ცდილობენ ჩვენშიც, თბილისშიც, ასტეხონ ძმათა მკვლელი ომი! ისინი აქვენს სისხლს მოითხოვენ...“<sup>6</sup>

ძმათა შორის სისხლის ღვრას ბაქოსა და თბილისში მხურვალედ გამოეხმაურა აკაკი წერეთელი, მაქსიმ გორკი. რევოლუციის პერიოდში ეროვნულისა და ინტერნაციონალური პოზიციების განსაზღვრას ეხმაურება 1905 წლის ილიას „ივერიაში“ დაბეჭდილი გაუას თეორიული წერილი — „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. „ზოგს ჰგონია, — წერდა გაუა, — რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი

<sup>5</sup> ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, თბილისი, 1947, გვ. 79.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 80.

გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია, როგორ? ასე, — რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო ადამიანთა გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელი ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფს. თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის საღაროში...

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაჩენა და განაღოდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შეილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც პოვეს სამშობლო, მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთა ნაწარმოებიც უფრო სარგებო და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე...

პატრიოტიზმი, — განაგრძობს ვაჟა, — უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურების ასაცილებლად, რომელიც ღღემდის მთელ კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწი მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაზაროს და გაუთანასწოროდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისივე შეუძინებელად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე ვაგიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო, მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის

პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარს ძალ-ღონით განვითარდეს“<sup>7</sup>.

ხალხი აღფრთოვანებით ხვდებოდა რევოლუციას, მაგრამ ყოველი მათგანის წინაშე სასწორივით დადგა კითხვები — ჰო, თუ არა? ვიცხვრით ძველებურად, ისევ ვითმინოთ ყოველივე, რაც ჩვენს გარშემო ხდება, თუ არა? ეს კარდინალური კითხვა რევოლუციისა, ვაჟამ ასახა „ივერიაში“ დაბეჭდილ პატარა მოთხრობაში „ჰო, თუ არა“<sup>8</sup>. ეს ხალხის საერთო ტკივილი იყო, საერთო ხმა, საერთო ორქოფობა, ამიტომ ვაჟამ, როგორც დიდმა მხატვარმა, მართებულად ასახა წინააღმდეგობების შემცველი მუშათა და გლეხთა მდგომარეობა, საზოგადოების სხვადასხვა ფენების დამოკიდებულება რევოლუციასთან. ვაჟა-ფშაველას თქმით, „ორ წყალს შუა ჩა-ეარდნილა გონება: ჰო, თუ არა? ჰო, თუ არა? მხოლოდ ეს ორი საკითხავი დასდგომია თავს ჯალათივით, არ აძლევს მოსვენებას“.

ამ ნაწარმოებით („ჰო, თუ არა?“) ვაჟამ შესანიშნავად გადმოგვცა თავისი პირადი და საერთო მისწრაფება, ამავე დროს გვიჩვენა რევოლუციის განვითარება, მისი სასიცოცხლო ხასიათი. აბობოქრებულ რევოლუციურ ხალხის ხმას უერთდება ვაჟას მოწოდება: „წინ, წინ, მამაცად, შეუღრეკლად ძმანო!“

იცოდა ვაჟამ, წინ, გამარჯვების გზაზე, დიდი კედელი იყო: იცოდა, ძნელი იყო ამ კედლის გარღვევა, იცოდა, რომ ეს კედელი აბრკოლებდა რევოლუციის საერთო წინსვლას. ამიტომ საჭირო იყო ბრძოლის ხერხების ცოდნა: „გინდა წინ წასვლა, მაგრამ გაბრკოლებს: შესდექ, დაიწი უკან... უკან! მიდექ უკან, ხომ გესმის? თორემ...“ მაგრამ ვაჟას სწამდა, რომ გერაფერი ვერ აღუდგებოდა ზღვასავით აბობოქრებული ხალხის გულისთქმას. „ჩვენ ხომ ზღვასთან გვაქვს საქმე, ზღვაა დღეს მოლოდინში, იმის მკერდიდან ამოქექეს ეს საჭირბოროტო ხმა — ჰო, თუ არა?...“ იცოდა ვაჟამ, რომ ხალხთა ამბოხება ზღვის ღელვის მსგავსია, ეს ზღვა, ვაჟას თქმით, დიდხანს არ „მოინდომებდა“ ლოდინს.

ვაჟას სწამდა, რომ მოვიდოდა განთიადი, გამართლებოდა მოლოდინი ბუნების იმ შვილათთვისაც, რომელნიც „სდუმან და სასოებით ელიან განთიადს“. ეს ბრწყინვალე და, ამასთანავე, აშკარა ალეგორია კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმაზე, რომ ბუნების „ასა-

7 ვ ა ჯ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ. ტ., 5, 1961, გვ. 213—214.

8 წერილი მიაკვლია და სათანადო კომენტარით დაბეჭდა ლ. კრელაშვილმა, იხ.. „ვაჟას კრებული“, 1970, გვ. 231—236.

უბრება“ პოეტისათვის ძირითადად ერის სოციალურ-პოლიტიკური ავბედითობის ეზოპეს ენით გამოხატვის საშუალება იყო.

ახლად ჩასახული რევოლუცია პოეტს ახლად დაბადებული გოლიათის სახით აქვს წარმოდგენილი. მის გაზრდას, გაძლიერებას, ისევე, როგორც ადამიანის გაზრდას, ბუნების წესად მიიჩნევს.

ვაჟა-ფშაველა ღრმად შთააგონა 1905 წლის რევოლუციამ, სოციალური უსამართლობისათვის ხალხის ამოქმედებამ. პატარა ერებისათვის დამოუკიდებლობის მოპოვების პერსპექტივამ გულწრფელად აამეტყველა პოეტი, იმედით აღავსო მისი პოეტური ბილვა, გააშინაარსიანა მისი შემოქმედება. ვაჟას ღრმა რწმენით, რევოლუციით გამოწვეული პოლიტიკური ძვრები ქართველი ხალხის ეროვნულ განთავისუფლებას აახლოვებდა. ამიტომ პოეტი მგზნებარედ წერდა თვითმპყრობელობის დამხობაზე, „მონობის ბორკილის“ მსხვრევაზე, „მზიანი დღის“ მოსვლაზე:

მზედ იქცა გულში მთრთოლვარე  
იმედი, ოღნავ მბუტბავი;  
კვდება, სულსა ჰლევეს ვეშაბი  
ქვეყნისთვის სისხლის მსუტავი.

„მთრია წუთისოფელა“

პოეტის თქმით, კმარა რაც ხალხმა ითმინა, ახლა ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ თავისუფლებათ, ამ შეგნების გამოძახილია მისი ლექსი „ბერიაკული“, რომელიც 1905 წლის 19 ივნისის „ივერიაში“ დაიბეჭდა და მთლიანად ეხმაურება ქართველ მუშათა და გლეხთა მასობრივ გამოსვლებს 1905 წლის მაის-ივნისში:

საქმამ ხანი ეითმინე,  
მთმენა გამოშლია.  
ახლა ხმალს ელესავ გორდასა,  
გალესვა იმის ჭერია;  
იქნება იმან მიშველოს  
და მომამოროს მტერია

„ბერიაკული“

გარდა ლექსებისა, 1905 წლის რევოლუციის თემას და ამ პერიოდში შექმნილი რთული მოვლენების ახსნას ვაჟა-ფშაველამ უძღვნა მთელი სერია პუბლიცისტური წერილებისა: „ვინ არის მართალი“, „მახლას“ „ბიუროკრატის ჩივილი“, „შავბნელი ამბები“, „დიდ-მარხვა“ და სხვ.

რუსეთ-იაპონიის ომში თვითმპყრობელობის დამარცხებას სხვადასხვანაირ ახსნას აძლევდნენ იმ პერიოდის ჟურნალ-გაზეთე-

ბი და პოლიტიკური პარტიები. ვაჟა-ფშაველა „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილში — „ვინ არის მართალი?“, ცარიზმის დამარცხების მართებულ განმარტებას იძლევა. იგი ეკამათება ამ პერიოდის „მოსკოვის უწყებების“ მიმომხილველებს, რომლებიც, ვაჟას თქმით, დაუსაბუთებლად მოითხოვდნენ იაპონიასთან ომის გაგრძელებას. ისინი ვერ ხედავენ ქვეყნის აწეწილ საქმეებს და დაჟინებით ამტკიცებენ: რუსეთის „შინაური საქმეები არავითარ ცვლილებას არ საჭიროებენ, — თუ ცვლილება რამ მოხდაო, თქვენი მტერი, დაილუპება მთელი ქვეყანა. ომი უნდა განვაგრძოთ..., რაც შეიძლება მეტი მიწა-წყალი შევიძინოთ, მეტი ქვეყნები დავიპყროთ, დავამორჩილოთ. მოვლა და მოწყობა ამ ქვეყნებისა კი ღმერთზე მივანდოთო...“

ვაჟამ სასტიკად გააკიცხა „მოსკოვის უწყებების“ დოგმატი ვაი პოლიტიკოსების დამპყრობლური „თეორიები“, მაგრამ ეს კრიტიკა არა მარტო „მოსკოვის უწყებების“, არამედ მთელი რუსეთის ბიუროკრატიული მმართველობის კრიტიკა იყო, რომელთაც ვერ გამოქონდათ სწორი დასკვნები რუსეთის იმპერიაში შექმნილ ნამდვილ პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაზე. ვაჟას თქმით, მოკლედ ასე შეიძლება გამოვხატო მათი გონებრივი და ზნეობრივი ავლადიდება. ფორმულა: „სწეულს ქვა მოუხარშეთ, ნახარში წვენი ახვრიპეთ, ქვა აკვნეტინეთ, — მორჩა და გათავდა, სალ-სალამათი დარჩებაო... გესმით?... მახლას...!“<sup>9</sup>

დამპყრობლური ომით გაბრუებული პოლიტიკალების მსჯელობას ვაჟა უპირისპირებს უბრალო ადამიანის — ხევსურ თოთიას მსჯელობას „ძალიან საკვირველია, დიდის ღმერთის მადლმა, საიღ რას გამაჩნდა ერთიან ეგ რალაც იაპონიათა, აბაბაიბაი, საკვირველ საქმეს შვრების ვაჟებო! მე რუსის მამრევ, ნიადე, არვინ მეგონ.

— სხვას ვის ეგონა, ჩემო თოთიავ, მაგრამ ეხლა რომ გაიგონე. — პოტაცურიც აიღესავ იქავ?

— აიღეს და ჩადგნენ კიდეც შიგა... რუს ყავლ გაუვიდ... უდიერობაი. უსამართლობაი მის დღეშიაც არ შაშჩების კაცს; დაალონ, შააწუხ ჩალხი, აღარას გასაძლისი; ყველას ფას დაედევ, ხარჯ მაემატა... აქამდი ვაძღვედით სალდათს, ეხლა აღარ მივცემთ: რაად ჰხოცს? სად მღუპავს?... იქ რა უნდა იაპონიაჩი ჩვენ შვილებს... როსტომ

<sup>9</sup> „ივერია“, 1905, № 15 „ვინ არის მართალი?“.

რქვა, ერთი არა სჯობს ამ ჩემსა მოგონებასო, ერთხელ სჯობია სიკდილი მუდამ ეამს დაღონებასო“...<sup>10</sup>

სტატიის დასასრულს ვაქა შენიშნავს, რომ სიმართლე დაკარგულია, მას მოპოვება ჭირდება, დღეს კი მხოლოდ „ძალაა მართალი“, რომელიც ხიშტით დაგდგომია თავზე, — „რათ დაგებადა წინააღმდეგობის ფიქრიო და სისხლცრემლიან ადამიანის გულსა ჰგმარავს“. ადამიანს მძიმე ბორკილები დადებია და მის „ბაგეს ექრძალავს უკმაყოფილების გამხელას“, მაგრამ ყველაფერი ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ვინც უძლეველი გვეგონა, იძლია და გათავისუფლების მზეც შორს არ არისო.

ჯარში გაწვევისათვის ბოიკოტის ვაქასეულ აზრს ადასტურებს აგრეთვე მოგონებები, როცა ვაქა აბრუნებდა ჯარში გასაწვევ თუშ-ფშავ-ხევსურებს და მათ სახალხო რაზმეულების შესავსებად იყენებდა<sup>11</sup>.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა 1906 წლის მარტის „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული ვაქას წერილი — „ფშავ ხევსურეთის ავ-კარგი“<sup>12</sup>. ამ წერილში აღწერილი ფაქტები ფშავ-ხევსურეთის გაფიცების თაობაზე და მათ მიერ მიღებული ღონისძიებების პროგრამა ეხმაურება ვაქას შესახებ არსებულ მოგონებებში აღწერილ მასალებს.

გენიოსი ვაქა ცხოვრების დიალექტიკური განვითარების თვალსაზრისით აანალიზებდა 1905 წლის რევოლუციურ სიტუაციას. მისი მართებული თქმით, რევოლუცია ცხოვრების განვითარების კანონზომიერებით ვითარდება და მისი ძალით შეჩერება არავითარ ძალას და დამსჯელ ექსპედიას არ შეუძლიაო. ვინც სხვანაირად ფიქრობს, აღნიშნავდა ვაქა: მას არ გაეგება დღევანდელი ვითარების ავკარგიო. ამის დამადასტურებელია 1905 წლის „ივერიის“ პირველ ნომერში დაბეჭდილი ვაქას სტატია „მახლას“, რომლის ვრცელი ამონაწერის მოტანა საჭიროდ დავინახეთ:

„ცხოვრება ჩვენს წადილს და გემოვნებას არ დასდევს, რმაც საკუთარი თავისი კანონი აქვს; როგორც გაზაფხულის, მთიდან მომსქდარს ღვარებს ვერავინ დააგუბებს, ვერ შეაჩერებს, ისე ცხოვრების წადილს, მის მისწრაფებას, ბევრის წყენას, ბევრის ცენას, გვემას არ დაგიდევს. მომწიფებული მსხალი და ვაშლი თუ ღროზე არ მოსწყვიტე, თავისთავად დაბლა ვარდება, ავ-

<sup>10</sup> „ივერია“. „ვინ არის მართალი?“ 1905. № 15.

<sup>11</sup> ს. ყუბანეიშვილი. ცხოვრება ვაქა-ფშაველასი, 1961, გვ. 278.

<sup>12</sup> „ცნობის ფურცელი“, 1906 № 3012.

რეთვე მომწიფებული აზრი ცხოვრებისა, თუ მისი მოთხოვნილება დროზე არ დააკმაყოფილე, ბრზდება, ცხარდება, მისი დაჩემება ყოვლად შეუძლებელია. ასე ყოფილა სხვაგან, ასე იქნება ჩვენში. ვინ იტყვის, თუ არ ბრყვი, რეგენი, თავხედი, — ცხოვრებას კისერში ხელსა ვტაცებ და თავს, საითაც მინდა, იქით ვუზამო. ეცადოს, ვისაც ტვინი და ხელები ექაეება.

ყველაფერი დროს მოაქვს და ბევრი რამ იმასვე მიაქვს, ხოლო არა სასარგებლო, არამედ ის, რაც გამოუსადეგარი, რაც მავნებელია. დრო, რასაკვირველია, არ უნდა წარმოვიდგინოთ განუწყვეტლად, არამედ როგორც თაობა, როგორც ისტორიული ხანა. დღევანდლამდის სიმართლეს ჯადოდ აწვა გონებრივი სიჭიუტე, ხოლო დღეს... აღსდგა, გამობრწყინდა, როგორც მზე შავის ღრუბლებიდან და იძახის: „აქა ვარ, არ მოვმკვდარეარო.“ „კაცმა ჭირი შალა, ჭირმა თავი არ დამალაო“.

ჩვენს ისტორიულ ხანას, ჩვენს ცხოვრებას ჭირი სჭირდა, მაგრამ ჰმალავდა, გვატყუებდა: კარგადა ვარ, ჯანსაღად, არაფერიც არა მტკივაო. გვარწმუნებდა, გვეფიცებოდა ლოგინად ჩავარდნალი, დასუსტებულ-დამუწეხებული. დღეს კი, როცა ტყვილი მოერია, მოთმინება გაუწყდა, გაიღელა გულ-მკერდი და დაგვანახვა ზედ ღრმად დაჩნეული წყლულები: „მიექიმეთო“ ყველა ჰკეცასალი, შორს გამჰკრეტი ადამიანი ჰყრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან, ეს ასე უნდა მომხდარიყო.

მოხდა კიდევაც, — განაგრძობს ვაჟა, — და დღეს ყველა ძალაუნებურად მოსთქვამს იმას, რაცა სტკივა. მოთმინების ძაფი გაწყდა, აღარ ჰმალავს მშიერი — სიმშილს, ნაცემი — ცემას, ტყვე — ტყვეობას, მონა — მონობას. ბალებმაც კი შეიგნეს თავიანთი ადამიანობა, ისინიც იბრძვიან, იღწვიან, ცდილობენ ადამიანური უფლებები მოიპოვონ, ვისაც არაფერი დაუკარგავს, არც ეძებს, ვისაც სატირელი არა აქვს რა, არცა ტირის, ვისაც საჩივარი არა აქვს, არ ჩივის...

დიაღ, აბარებს ძველი ცხოვრება ანგარიშს ახალს, მომავალს ცხოვრებას“.

ვაჟამ იცოდა, რომ რევოლუციისთვის თავგანწირვა მსხვერპლს მოითხოვდა. მართლაც, ბევრი სისხლი დაიღვარა, ბევრი დაეცა უთანასწორო ბრძოლაში. პოეტი უდიდეს აღფრთოვანებას გამოხატავდა რევოლუციონერთა გმირული საქმეების გამო და გულწრფელად უმღეროდა ახალგაზრდობის თავგანწირულ ბრძოლას.



ვაშა მათ მოღვაწეობას,  
ვაშა მათ ამაყ დროშას!  
ნეტარხსენება ჩვენ მიერ  
მათ სისხლით მორწყულს შრომას!

„მათრია წუთისოფელმა“

ანდა:

ნუ იზამთ უგევან საქმესა,  
მტერს დახვდით, გაისარჩენით!  
წესია: მამულისადა  
მოკედით და დაისაჩენით.

„ხევსური მინდია“

პოეტს ხიბლავდა რევოლუციით გამოწვეული ხალხთა შეერთებული ბრძოლა, სამშობლოს ტურფად გაშლილი მზიანი ველ-მინდვრები:

გავხედე მინდორს თვალ-უწედენს,  
ჰყვოდა ათას ფერადა,  
მზე ადგა ორმოც-თელიანი,  
მას უფროც გაეფერადა.

მაგრამ პოეტს ეჭვი ეპარება. აყვავებულ ველ-მინდვრების თავ-  
ზე

რად დაბრუნავდა არწივი,  
და ან რა ფიქრებს ჰკვერავდა,  
ამ სურათების მნახელი  
გული კაცისა ჰღელავდა.

„გაზაფხულის სურათები“.

რევოლუციას ეხმაურება, აგრეთვე, ვაჟას მოთხრობები: „ყორანი“, „ირემი“, „კოდალა“, ლექსი „სამწყემსო“; ლექსი-პოემა — „სული ობლძა“, „სიტყვა“, „ნახევარ-წიწილა“. თარგმანები: „ყორანი“ — ედგარ პოსი, „საქართველოს ოცნება“ — ანატ. კრემლიოვისა, „სტენკა რაზინი და მისი სატრფო“ და სხვ.

რევოლუციის აღმავლობით შეშინებული მეფე და ლიბერალური ბურჟუაზია იძულებულია მოჩვენებითი დათმობების გზით შეაჩეროს აჯანყებული ხალხი, შეაფერხოს რევოლუციის მსვლელობა, დაქსაქსოს მისი ძალები. ამ მიზანს ემსახურებოდა მეფის მთავრობის 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელსაც აკაკი წერეთელმა „იძულებითი წყალობის“ მანიფესტი უწოდა. ვაჟას მოთხრობაში „ყორანი“ განსახიერებულია რევოლუციის ეს რთული მომენტი, სადაც მოქმედება ალეგორიულად ცხოველებსა და ფრინველებზეა

გადატანილი. ყორანი — თვითმპყრობელი მეფე და მგელი — მისი ოხრანკა ჟლეტს და ანადგურებს თავისუფლების მოყვარე ხალხს (ცხვრის ფარა); ყვავი, ორბი და სვავი — ლიბერალური ბურჟუაზიისა და სხვა ოპორტუნიტული პარტიების ხასიათს განასახიერებენ. ისინი ბევრ რამეში უთანხმდებიან ყორანს (მეფეს) და რეფორმების გზით იკაფავენ გზას ხელისუფლებისაკენ.

ლიბერალებმა კარგად გამოიყენეს შექმნილი სიტუაცია; დაიმორჩილეს მეფის „შეუზებელი“ ძალაუფლება და შეერთებულა ძალით დაიწყეს ცხვრის ფარაზე (ხალხზე) ბატონობა. ყორანი უკმაყოფილოა ძალაუფლების შესუსტების გამო და საყვედურით მიმართავს უმადურ ყვავსა და ორბს, რომლებიც არ უფასებენ ყორანს თავის დამსახურებას. „ჰი, შე უბედურო, შენა! უთხრა ყვავს ყორანმა: — მაშ ვისი ამაგია? ვინ მოიქცა დროზე გარემოების შესაფერისად? ვინ გამოიჩინა უნარი და მოხერხება, მე თუ თქვენ?“<sup>13</sup>.

1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამძვინვარა თვითმპყრობელობის რისხვა. საპყრობილეებო, ციხეები, გადასახლების ადგილები რევოლუციონერებით აივსო, სტოლიპინის შავრაზმული ტერორი მთელი სიძლიერით ამოქმედდა.

ცარიზმი გამარჯვებას ზეიმობდა, მთელს რუსეთსა და საქართველოში დათარეშობდნენ თვითმპყრობელობის დამსჯელი რაზმები. საქართველოში, კერძოდ, გურიაში, იმერეთსა და სამეგრელოში. ხალხის რევოლუციური გამოსვლები სისხლში ჩაახჩო მეფის დამსჯელმა ჯარებმა ცნობილი შავრაზმელი გენერლის ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით.

რეაქციის „გამარჯვებით“ დაკმაყოფილებული ლიბერალური ბურჟუაზია და თავადაზნაურობა მადლობას უცხადებენ თვითმპყრობელურ მთავრობას, რუსეთის მონარქიას, რომ „გადაარჩინეს“ ქვეყანა ხალხის ამბოხებისაგან.

აღსანიშნავია, რომ რეაქციის ასეთ თარეშსაც არ შეუშინდა ვაჟას მშფოთვარე სული. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაშინ, როდესაც რევოლუციის მონაწილე ინტელიგენციის უმრავლესობას სოროებისაკენ გარბოდა და მთავრობას პატიებას თხოვდა, ვაჟა-ფშაველას ხმა კვლავ ვაჟაკურად გაისმოდა და მომავალი ბრძოლის იმედით აღსავსე სიტყვებით მიმართავდა დამარცხებულთ.

„რევოლუცია დამარცხდა, — წერდა ვაჟა 1906 წელს „ცნობის ფურცელში“ (№ 3012), — ნელ-ნელა ჩვენს ხეობაში შემოჰყვება ცხვირი ბოქაულ-სტრაჟნიკებმა. ბოქაული, თითქოს ძმადაც კი

<sup>13</sup> ვ ა ჯ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ. ტ. 111, 1961, გვ. 369.

გაეფიცა ხალხს. მოუწონა გაფიცვის მუხლები და მოთხოვნილებანი. ექცეოდა ხალხს თავმდაბლად, როგორც ტოლი-ტოლს, რაც მის ზგნეობრივს კარაბადინში არცა წერია და არცა წერებულა. ასე და ამგვარად შემოიარა მთელი ფშავ-ხევსურეთი და შემდეგ დაუბრუნდა თავის რეზიდენციას დაბა თიანეთში. ის დღე იყო და დაიწყო კიდევაც ავმა ქარმა ქროლვა. შიგდაშიგ კაცებმაც იწყეს სიარული თიანეთში ბოქაულთან, მაზრის უფროსთან და სხვა მოხელეებთან. აირია მონასტერი. პატრონი ძაღლს ველარა სცნობდა, ძაღლი პატრონს. ხდებოდა ისეთი ამბავი, რომლის მსგავსი მთელს საუკუნის განმავლობაში არავის გაუგონია, და ნუ დაივიწყებთ, რომ ყველა ქვემოთე ამისა აღნიშნული ამბები ხდებოდა ს. ჩარგლის მიდამოებში, რომელიც მოძრაობის და გაფიცვების მიზეზად იქნა ცნობილი“.

ვაჟა-ფშაველას მონაწილეობა 1905 წლის რევოლუციურ გამოსვლებში შემთხვევითი არ არის. იგი სავსებით ეთანხმებოდა ვაჟას მეთაურობით გაწეობილებას და როცა მან დაინახა საბრძოლოდ გაწეობილი ხალხი, უყოყმანოდ სოლიდარობა გამოუცხადა მათ.

ჩვენ კვლავ შევჩერდებით ვაჟას მიერ დახატულ რეაქციის პერიოდზე. წერილში „დიდ-მარხვა“, რომელიც 1906 წლის „ცნობის ფურცელში“ (№ 3021) დაიბეჭდა, პოეტი დიდი დამაჯერებლობით აღწერს რეაქციის შავი ძალების თარეშს და ცდილობს დასაბუთოს მომავალი გამარჯვების პერსპექტივები.

„სინანული? შავი ძალებისათვის ღმერთს არ გაუჩენია სინანული. დღეს სინანულში ჩავარდნილან მართალნი, ქვეყნის ერთგულნი, ენანებათ დღესდღეობით დაჩაგრული სიმართლე. წყინთ, რომ ვერ მოუპოვეს მათ გამარჯვება, დღეს ესენი არიან ნამდვილნი მარხულნი, რადგან სულით მარხულობა ბევრით აღემატება კჳუთით მარხულობას.

მართალხო, ქვეყნის ერთგულხო! ანუ დაივიწყებთ თქვენს ღმერთს, ილოცეთ იგი! შეინანეთ ის შეცდომანი, რამაც ხელი შეგაშალათ, და ეცადეთ მომავალში აიცილინოთ თავიდან. დაჰგმეთ ის ჰირადული თავმოყვარეობა, წვრილფეხა, მჩატე პატივმოყვარეობა, რომელმაც შეუშალა ხელი ჩვენს ერთობას, ერის მისწრაფებას“.

სხვა ადგილზე ამის თაობაზე ვაჟა წერდა: „ზოგჯერ დამარცხება გამარჯვებას სჯობია, რადგან ყველასათვის აშკარად გამოჩნდება დამარცხების მიზეზი, ყველა გაიგებს, ყველა შეიგნებს და სამერმისოდ აღარ გაიმეორებს იმ შეცდომებს.

გაითვალისწინეთ ყველამ თითოეული თავისი სიტყვა, გადად-

გმული ნაბიჯი, ასწონ-დასწონეთ. უვარგისი დაიწუნეთ საჯაროთ, ნუ შეგრცხვებათ. სირცხვილი და ცოდვა ის არის, როცა ადამიანი ჭირსა ჰპალავს. გამომელაგნება თავისი შეცდომისა და ცოდვების, იგივე გმირობაა. ხოლო ნუ შეინანებთ ნურავინ დახოცილ ნათესავთ, მით უმეტეს საქვეყნოდ. უმსხვერპლოდ არსად არ გაკეთებულა, არც გაკეთდება, ნუ შეინანებთ დანგრეულს და გადამწვარს სახლ-კარს, რადგან სინანულით არც მკვდრები აღსდგებიან და არც სახლი და კარი განახლდება.

ღმერთმა დაგიფაროთ, ამას ამბობდეთ: შენთვის ჰკვიანად რომ ყოფილიყავ, ხომ არც ეს უბედურება დამემართებოდაო. ეს მადლისა მატლად ქცევა გამოვა, — მადლში ცოდვის შერევა, მისი გაბათილება. რა დაგვრჩენია ბოლოს? რა ვსთქვათ? რა ვიფიქროთ?

დიდი-მარხვაო! დიდად მარხულნი ვართ. ჩვენი განა მარტო თვალები? გული და გონებაც ცრემლის მორევში დასცურავს. ელოცულობთ და ვევედრებით ღმერთს — გვექნას მზედ და მფარველად, მოგვცეს ჩვენი, ჩვენი ქვეყნის შვილს, ძალი და ღონე, მოვუაროთ, ვუპატრონოთ თავის თავს, თავის ქვეყანას, რათა ვძლიოთ ეშმაკს და მოვიპოვოთ ცხოვრება საუკუნო.<sup>14</sup>

1906 წლის „ცნობის ფურცლის“ მომდევნო ნომერში (№ 3034) კვლავ დაიბეჭდა ვაჟას ფელეტონი — „დიდ-მარხვა“, რომელიც გაზეთის ამ ნომერში დაბეჭდილი მოწინავე წერილის — აკაკი წერეთლის „აღდგომის“ შინაარსს ეხმაურება. აქაც, ისე, როგორც აკაკის წერილში და მასში ჩართულ ლექსში — „ვისი მადლობა, რისი მადლობა“, — გამოთქმულია პროტესტი მთავრობისაკენ ხელ-გაწვდილი სულმოკლე ადამიანებისადმი.

ამ გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი ორი დიდი მწერლის აზრი საოცარი სიზუსტით ემთხვევა და ავსებს ერთმანეთს. ისე, როგორც აკაკი, ვაჟაც, ფელეტონში ჩართული ლექსით მოუწოდებდა რეაქციის სამსახურში ჩამდგარ ლაქიებს, რომ რევოლუციას საბოლოო სიტყვა ჯერ არ უთქვია, „მალე აღდგომა მოვა და ყველანი ერთად შემოვიძახებთ: ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“.

ადრე ნუ ჰკარგავთ იმედსა,  
მალე ნუ დაწვრილმანდებით,  
ქედს ნუ მოიხრით მონურად,  
მალე ნუ დაიჩაგრებით.

<sup>14</sup> „ცნობის ფურცელი“, 1906, № 3021.

პოეტი გამოთქვამს რწმენას, რომ

თავისუფლების დღეობა,  
სისხლს — გულთ ნადენს, ცრემლს — თვალთ  
შეცელს ლხინი და ღრეობა.  
„დიდ-მარხვა“.

გაზაფხულის მოლოდინში მყოფი პოეტი მოწმე გახდა კატასტროფისა. რევოლუციის დამარცხება მძლავრად განიცადა მომავლის მოტრფიალე ვაჟა-ფშაველამ. მან დიდი გლოვის გამომხატველი სტრიქონები უძღვნა დამარცხებულთ:

გალახეს, ჯვარზე გააქრეს  
აზრი და სამართალია.

„ქებათა-ქება“.

პოეტი ყველგან რეაქციის კლანკებში მოქცეულ გმირებს ეძებდა, მათ მომავალს უმღეროდა:

როგორც გუშინა, ისე დღეს  
ვენაცულები გმირებსა,  
სალამს ეუგზავნი შორითა  
იმ კარგს მამულისშვილებსა.

„ქებათა-ქება“.

რევოლუციის პერიოდში შენიღბული ბნელი ძალები რეაქციის პერიოდში გამოცოცხლდნენ. პოეტი ამ მოვლენის წარმომშობ მიზეზებს ხალხის შეუთანხმებლობასა და ერთიანი პირის უქონლობაში ხედავდა:

ხალხის პირი დაქუცმაცდა  
დანაწილდა და გაიყო,  
უკან-უკან დაიხია,  
სასიკვდილოდ ვინც მზად იყო.  
რეაქციამ გაიმარჯვა,  
ბოქაულიც გამოცოცხლდა,  
სათვალთმაქცო სამოსელი  
გაიხადა, გამოცოცდა.

„ბოქაული“.

ვაჟა-ფშაველა, თითქოს სიზმარშიც თავის გასისხლიანებულ ქვეყანას ხედავდა „ეგ შენთა მოძმეთ სისხლია“, გარედან ვილაც ჰქოიდა“, წერდა ვაჟა 1908 წელს „სიზმარში“, სადაც რეაქცია გველაშაპის სახითაა წარმოდგენილი, რამდენიმე ლექსით და პუბ-

ლიცისტური წერილით ვაჟამ მისთვის ჩვეული გულმხურვალეობით დაიტირა რეაქციის წლებში დაღუპული გმირები, რევოლუციის საქმე. პოეტი თითქმის ყველგან სევდასა და კაეშანს ზედავდა. ასეთებია მისი ლექსები: „ერთი და მეორე“, „რად ამბობთ გაზაფხულ-დაო“, „გაზედავ გამოვლილი გზასა“, „ნეტავი რისთვის ვიცოცხლე“ და სხვ.

მაგრამ ქვეყნის ბედზე დაფიქრებული პოეტი მაინც სამშობლოს მომავლის იმედით ცხოვრობს. მისი პოეტური ხედვა კვლავ მამა-პაპათა აჩრდილებს მოუხმობს, კამ ყმის ქებით სულდგმულობს. პოეტის ღრმა რწმენით:

კიდევაც ვნახავ გაზაფხულს,  
ყელმოღერებულ იასა,  
სიკვდილის სიცოცხლედ მქცეველს,  
იმის სიტურფეს ღვთიანსა,  
ამწვანებულსა მთა-ბარსა,  
დამწყაზრულს, ყვავილიანსა.

პოეტი ღრმად და დარწმუნებული თავისი ქვეყნის უკეთეს მერმისში; მომავლის იმედი არ შორდება ვაჟას გონებას. 1909 წლის ზევსურულ პანგზე დაწერილი ლექსი „კაი ყმა“ პოეტის შინაგან განცდათა განზოგადოებული წარმოსახვაა. აქ ერის ხატება — კაი ყმა, დახასიათებულია როგორც საქართველოს მომავლის ბატონპატრონი, მტრის ვაჟკაცურად დამხვდომი, გმირული იდეალების გამომხატველი ძალა.

ვაჟა-ფშაველა, როგორც მხატვარი და მოაზროვნე, მართებულად აღიქვამდა რეაქციის წლებში გამეფებულ ქვეყნის მდგომარეობას, ხალხის რბევას, დაპატიმრებას, გადასახლებას, სულმდაბალთა „ბეზღაობას“. მთავრობის სისასტიკეს ვაჟა ამხელდა „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭდილ წერილებში. მათ შორის თავისი პოლიტიკური სიმახვილით გამოირჩევა სტატია „შავბნელი ამბები“. ვაჟას თქმით, საქართველოში „ძალიან გახშირდა“ პოლიტიკურ დამნაშავეთა შეპყრობა. ყველას მიერეყებთან. არც ძევა, არც კვლევა. მაგრამ ვინ არიან ეს დამნაშავენი, ესენია: მენახშირე, მეურმე, ჩამოწეწილჩამოგლეჯილი ხალხი, რომელთაც ოდესმე სადმე უთქვამთ „გვშიანო“. ვაჟა სასტიკად ამხელდა მთავრობასა და მისი პოლიტიკური აპარატის უგუნურობას, რომელთაც ჰგონიათ, რომ ასეთი სისასტიკით „მოისპობა უკმაყოფილება ხალხში, მშიერი გაძლება და ტიტველი შეიმოსება“<sup>15</sup>. ვაჟა კიცხავდა მთავრობის „ეკზეკუციას“, ძალადო-

<sup>15</sup> „ივერია“, 1905, № 185.

ბას, როცა ისინი მიერეკებოდნენ გაფიცულ ხალხს მემალუთა მიწებზე სამუშაოდ: „წადით, თორემ თქვენს ცოლებს კაზაკებს დაუ-რიგებენო“. ვაჟა გულისტივილით შენიშნავდა: „აი, როგორ, რა საშუალებით სურთ მოარიგონ გლეხები და მემამულეები, — რა წა-მალს იძლევიან დღევანდელს გამწვავებული მდგომარეობის აალ-ბუნებლად“. ვაჟას ღრმად სწამდა, რომ ხალხის დაშინება, რევო-ლუციის შეჩერება შეუძლებელია. „შეიძლება ხალხი დროებით დაი-მორჩილონ, მაგრამ ეს არ იქნება სამუდამოდ“. ვაჟა ხომ სულ იმის იმედით ცხოვრობდა, „რომ „ბოროტს კეთილი სძლევდა“, „მზიანი დღე დადგებოდა“.

რასაკვირველია, ვაჟა-ფშაველა 1905 წლის რევოლუციას არ აღიქვამდა მარქსიზმის თვალსაზრისით. მას არ ჰქონდა და არც შეიძ-ლებოდა ჰქონოდა ამ რევოლუციის გაგების სოციალისტური სი-დაგი. მაგრამ ვაჟას იდეალები ხალხის სოციალური თავისუფლე-ბისა და ეროვნულ დამოუკიდებლობისა, რაც ცარიზმის საწინააღ-მდეგო საყოველთაო-სახალხო აჯანყებით უნდა განხორციელებუ-ლიყო, ემთხვეოდა რევოლუციის დემოკრატიულ ხასიათს. სწორედ ეს არის ის საერთო, რომელიც აკავშირებდა ვაჟა-ფშაველას რევო-ლუციასთან. 1905 წლის რევოლუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიუ-ლი იყო თავისი ბუნებით. „ყველგან ამ ქვეყნად — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ასეთი რევოლუციის თანამგზავრი იყო და არის ნაციონალური მოძრაობა“<sup>16</sup>. სოციალურ უსამართლობასთან ერ-თად, როგორც ვაჟასათვის ისე მისი მასწავლებლების — ილია ჭავ-ჭავაძისა და აკაკი წერეთლისათვის, ეროვნული საკითხი იყო რევო-ლუციასთან დამაკავშირებელი მთავარი ნერვი, რომლის გადაწყვე-ტა მათ თავისებურად ჰქონდათ წარმოდგენილი. თუმცა, როგორც ითქვა, ეს თავისებურება რევოლუციის პირველ ეტაპზე ენიადაგე-ბოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეებს და ხელს უწყობდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას.

ეს პატარა წერილი ვაჟა-ფშაველას მხოლოდ ზოგიერთ ნაწარ-მოებათა რევოლუციასთან დამოკიდებულების საკითხს ეხმაურება. ამ მიმართულებით ჭერ კიდევ ბევრი რამ არის შესასწავლი და გასა-კეთებელი. გენიალური ვაჟას თვალთ დანახული რევოლუცია შეპ-დეგი მეცნიერული კვლევის საგანია.

---

<sup>16</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 19, გვ. 652.

## ბაირონის პირველი ქართული თარგმანები

(ხელნაწერების მიხედვით)

ქართული ლიტერატურული საზოგადოების მიერ ბაირონის შემოქმედების გაცნობის ერთ-ერთი ადრეული ფაქტია „ოსკარ ალ-ველის“ („Oscar of Alva“) ქართული თარგმანი, რომელიც ჯერ კიდევ არ გამხდარა მკვლევართა ყურადღების საგანი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ბაირონის ამ პოეტური ლეგენდის თარგმანის სრული ტექსტი. მთარგმნელის ვინაობა და თარგმანის შესრულების თარიღი ხელნაწერში აღნიშნული არ არის (იხ. ფონდი H—359). ბაირონის ეს ნაწარმოები შევიდა პოეტის კრებულში „თავისუფალი დრო“ („Heurs of gdleness“), რომელსაც 1808 წელს ჟურნალ „ედინბურგ რევიუს“ („Edindurg Revi-eus“) რეაქციული კრიტიკის თავდასხმა ხვდა წილად. ინსტიტუტში დაცული შემოსულობის წიგნში აღნიშნულია, რომ რეველები და მასში მოთავსებული თარგმანი ეკუთვნის სარდიონ ალექსი-მესხი-შვილს და რომ ეს ხელნაწერი ჩაუბარებია დავით ილიას ძე ანდრო-ნიკაშვილს (სარდიონ ალექსი-მესხიშვილის მეუღლე ანდრონიკა-შვილის ქალი იყო). აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. ხელნაწერთა ინსტიტუტში მოიპოვება სარდიონ ალექსი-მესხიშვილის პირადი წერილები, რომლის ხელწერა და გადმოცემის სტილი სავსებით შეესაბამება თარგმანის ხელწერას და სტილს.

ამრიგად, ჩვენ ხელთ არსებული ყველა მონაცემის მიხედვით, თარგმანი შესრულებული უნდა იყოს XIX ს. 30-იან წლებში ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის სარდიონ ალექსი-მესხიშვილის მიერ.

როგორც შედარებამ დაგვარწმუნა, „ოსკარ დ'ალვას“ ქართული თარგმანი იმდენად დაშორებულია დედნის მთელი რიგი ფრაზებსა და პოეტური სახეებისაგან, რომ იგი არ შეიძლება იყოს თარგმნილი ინგლისურიდან. საკმარისია აღინიშნოს, რომ ბაირონის ამ პოეტურ



თქმულებას ინგლისურად ეწოდება „Oscar of Alva“, რაც ქართულად ასე იქნება: „ოსკარ ალველი“ ან „ოსკარი ალვიდან“. თარგმანის სათაური — „ოსკარ დალვა“ ფრანგულიდანაა გადმოღებული. აღსანიშნავია, რომ ადრეულ რუსულ თარგმანებშიც სათაური წარმოდგენილია ფრანგული ვარიანტით (მთარგმნელი ვოეიკოვი — „ნოვოსტი ლიტერატური“, 1824 წ., წიგნი IX, და კუდრიაშჩევი ე. „ბლაგონამერენი“, ნაწ. XXX, 1845 წ.). ეს იმით აიხსნება, რომ იმ დროს რუსეთში განსაკუთრებით ფრანგული ენა იყო გავრცელებული და ბაირონიც ხშირად ფრანგულიდან ითარგმნებოდა (1821 წ. გამოვიდა კრებული სახელწოდებით „Выборы из сочинений Лорда Байрона переведенный с французского“.).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ოსკარ დალვას“ ქართული თარგმანი შესრულებული უნდა იყოს ფრანგულიდან.

ამას ცხადყოფს შემდეგი ფაქტები:

1. თარგმანში რამდენიმე ადგილას ფრჩხილებში მოყვანილია ქართული სიტყვის შესატყვისი ფრანგული გამოთქმა.

მაგ.: „ოსკარ! ძე ჩემო!... უკმეკიე მე საფუძველი (soutien) მოხუცებულობისა ჩემისა, ღმერთო ცისაო, ანუ მაინც, უკეთუ არა ღარა არს იგი, მიეც მკვლელი შურისგებასა ჩემსა“.

მოგვყავს ამ სტროფის კუდრიაშჩევისეული თარგმანი:

Оскар! сын мой... Боже услышь моление,  
Пошли мне Оскара, мне сына отдай.  
Но если убит он на страшное мщенье  
Злодея убийцу его мне предай!

როგორც ვხედავთ, რუსულ თარგმანში აღნიშნული სიტყვა საერთოდ არ გვხვდება.

ორიგინალში ამ სიტყვის შესატყვისია the prop (საყრდენი):

Oscar! my son! Thou God of heaon  
Restore the prop of sinking agel  
Or if that hope no more is given,  
Yield his assassin to my rage

(ბწყარელი: „ოსკარ! შვილო ჩემო! ღმერთო მისმინე, აღმიდგინე (დამიბრუნე) დაკარგული წლების იმედი, და თუ კი იგი არ იარსებებს გადმოეცი ჩემს სამართალს (გააფთრებას) მისი ბოროტება“).

2. ქართულ თარგმანს ახლავს შემდეგი სქოლიო: „ჩვერარ შესწავებად მკითხველისადმი „ოსკარ დალვა“ არს ერთი პირველთა თხზულებათა ლორდის ბაირონისათა. იგი იპოვების რჩეულებასა შინა ლექსთა, რომელიც კაბუქმან ლორდმან გამოსცა ქვეშე სახე-

ლისა „Hours of Idleness“ („თავისუფალნი ქაშნი“) და რომელმაც აღძრა მასზედა კრიტიკა „Edinburg Revius“ შორის. ამის მუნ აპო- ების უკვე ნიჭი, რომელმანც განსჯა, განკითხვა, აგალობა უბადრუ- კებანი გიაურისა (Giaur) და საიდუმლო სვეთ ლარასი“<sup>1</sup>.

1824 წლის რუსულ თარგმანებს სქოლიო არ ახლავს. მართა- ლია, ანალოგიური შინაარსის სქოლიო აქვს ვინმე №№-ის მიერ 1821 წ. „ვესტნიკ ევროპის“ № XIX-ში გამოქვეყნებულ თარგმანს, მაგრამ აქაც ლექსის სათაურია „Оскар Д'Альва“ და არა „Оскар Альвский“ (ეს თარგმანიც ფრანგულიდანაა შესრულებული).

აღნიშნული სქოლიოს ცალკეულ ადგილებს სარდიონ ალექსი- მესხიშვილი იმეორებს თავის წერილში „ესტარი ანტიკრიტიკული“, რომელიც მან ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ დაწერა. სხვათა შორას, ამ წერილში ვკითხულობთ: „მიკვირს, რომ ის დიდი ბაირონი ისეთს კარგ გუნებაზედ განგიხილავთ, რომ არ შეგიძინევიათ ამისათვის არაფერი ნაკლულევანება და ხელთ არ გიგდიათ სასტიკი იმაზე ედინ- ბურღ-ში კრიტიკა, ეს დიდი მოლექსეც არ იყო თვინიერ ნაკლუ- ლევანებათა. სამხატვრო კალამი იმისი ზოგან კამკამიერ ფეროვა- ნია და ბრწყინვალე, ზოგან უკიდურესად, უცხოველოდ მიმკრთა- ლებული და უფერული, თითქოს შემოჰკლებია წამლები და გაუცრე- ცია ხატული! მაინც არა მიხედვისამებრ ამ ნაკლულევანებათა შე- რაცხილია ისი უდიდეს მოლექსეებთანა“<sup>2</sup>.

3. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ დროს, როგორც რუ- სეთში, ისე საქართველოშიც, საკმაოდ იყო გავრცელებული ფრან- გული ენა. გვაქვს მონაცემები იმის შესახებაც, რომ სარდიონ ალექ- სი-მესხიშვილმა იცოდა ფრანგული. „განსაკუთრებით ფრანგული იყო იმ დროს დიდ პატივში.... საერთო განათლებასთან ერთად (მესხიშვილი — მ. კ.) უცხო ენებსაც ასწავლიდა ბავშვებს... მათ ევროპაში გაგზავნას უპირებდა უმაღლესი სწავლის მისაღებად“<sup>3</sup>. იმ გარემოებაზე, რომ სარდიონ ალექსი-მესხიშვილი ფლობდა ფრანგულ ენას ადასტურებს შემდეგი ფაქტიც: ალექსი-მესხიშვილი თარგმნიდა ფრანგ მწერლებს (მარმონტელი, ევენ სიუ და სხვ) გარდა ამისა იცოდა ლათინური ენაც, რაზეც მეტყველებს მისი ხელნაწერი (№ 358), რომელშიც აღნიშნულია: „ლათინურიდამ ქართულსა ენასა ზედა გადმოღებული დიმიტრის ძის სარდიონ ალექსიევის მიერ“.

1 ხელნაწ. ინსტიტუტი, ხელნაწერი H—359. გვ. I.

2 „ცისკარი“, VI, 1861, გვ. 266.

3 ა. ფ ა ღ ა ე ა, ლაღო მესხიშვილი, 1938, გვ. 16.

4. სარდიონ ალექსი-მესხიშვილს კიდევ აქვს თარგმნილი ბაირონის ერთი ლექსი, გადმოღებული ფრანგულიდან, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამრიგად ჩვენთვის აშკარაა, რომ ბაირონის პირველი ქართული თარგმანი შესრულებულია ფრანგულიდან.

1. მესხიშვილის თარგმანი არ გამოირჩევა განსაკუთრებული მხატვრული ღირსებით. ვიმოწმებთ პირველ სტროფს:

„კანდელი ღამეთა ბრწყინვალეს საშუალ ლაქვარდოვანთა ცათა,  
და განჰფენს ნაზსა ნათელსა კიდესა ზედა ლორასა,  
ძველნი კოშკნი ალვასნი აღიმალღებენ ღრუბელთაღმე ყომრალთა  
კბილთა თვისთა

ხმაი საჭურველთა უმეტეს არღა განეცემის სასახლესა შინა განშორულსა.

ბაირონის მესხიშვილისეულ თარგმანს გააჩნია სხვა ნაკლოვანებანიც. იგი თავისი ფორმით მთლიანად არ შეესაბამება ორიგინალს და დამძიმებულია არქაული გამოთქმებით. მაგრამ ლიტერატურის ისტორიისათვის ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს. სარდიონ ალექსი-მესხიშვილი იყო პირველი ადამიანი, ვინც ბაირონის ნაწარმოებები ქართულად ააქლერა.

მიუხედავად ზოგიერთი რიტმული დარღვევებისა, რითმის უზუსტობისა და სხვა ცალკეული სტილისტური ხარვეზებისა, თარგმანში საკმაოდ მკაფიოდაა შენარჩუნებული დედნის რომანტიკული განწყობილება.

While many an eye which ne'er again  
Could mark the rising orb of day  
Turn'd feebly from the gory plain.  
Reheld in death her fading ray...

(ბჭკარელი: „ვიდრე ადამიანის თვალი ვერ შეძლებს კვლევაც იხილოს დღის ამომავალი მნათობის სხივი, რომელიც უჩინრად დატოვებს სისხლიან ადგილს და ერთხელ კიდევ მიიქცევა სასიკვდილოდ მიმქრალ სხივებში...“)

თვალნი მათნი, როთადმიცა უმეტეს არღარა ჯერ იყო განცდად ჟღერაა  
განმაბრწყინუებლის მნათობისა,  
უკმოიქცეოდნენ სასისხლოს ადგილისაგან, და ეძიებდნენ,  
უწინარეს ველარ იქმნებოდნენ მოფენილ საუკუნეთა ბნელთამიერ,  
რათამცა კიდე ერთგზის განეცადათ სუსტი ნათელი მთოვარისა.

მესხიშვილის თარგმანის სტილისათვის დამახასიათებელი საზე-  
ები — „ლაქვარდოვანთა ცათა“, „ფერკრულნი სხივნი მთოვარისა-  
ნი“, „მღუმარება სიბნელისა“, „ცისკარი დილისა აღმობრწყინდე-

ბის“, „აღძვრენ სულსა“, „ნისლი შუურისგებისა“, „ნაზსა ნათელსა“, „აღვგზნებთან სიყვარულითა“, „მნათობი სიყვარულისა“, „კაპარა ცათასა“ და სხვ., ბუნების რომანტიკულ სურათს ქმნიან. ამ მომენტზე ყურადღებას ვამახვილებთ იმდენად, რამდენადაც იმ დროს ქართულ ლირიკაში ფეხს იკიდებს ბუნების რომანტიკული წარმოსახვა და გააზრება, რომლის საუკეთესო ნიმუშებია ალ. ჭავჭავაძის „გოგჩა“, გრიგოლ ორბელიანის და ნიკოლოზ ბარათაშვილის მრავალი ლექსი, მიხეილ თუმანიშვილის მიბადებები ბაირონისადმი და სხვა.

მთარგმნელი ძირითადად იმ ენობრივ და სალიტერატურო ნორმებს ეყრდნობა, რომლებიც XIX ს. პირველ ათეულ წლებში იყო გავრცელებული ქართულ პოეზიაში. სარდიონ ალექსი-მესხიშვილი ხშირად იყენებს ისეთ არქაულ სიტყვებს და გრამატიკულ ფორმებს როგორცაა: „გარნა“, „ვითარ“, „მთოვარე“, „განმქრალ“, „მუნ“, „შინა“, „ესე“, „რათამცა“, „რომელმანც“, „თვისთა“, „მომშთვალნი“, „უწყ“, „არს“, „მოსრულ არს“, და სხვა.

თარგმანი, ისევე როგორც ორიგინალი, შედგება 79 სტროფისაგან. თარგმნილი ნაწარმოების შინაარსი ძირითადად შეესაბამება ორიგინალს.

ვინაიდან ბაირონის ჩვენთვის ცნობილი პირველი ქართული თარგმანი შესრულებულია სარდიონ ალექსი-მესხიშვილის მიერ, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიტანოთ ზოგი ცნობა მე-19 საუკუნის ქართველი მწერლისა და მოღვაწის შესახებ, მით უმეტეს რომ, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ამ პიროვნების ცხოვრებისა და შემოქმედების თანამიმდევრული დახასიათება არ მოგვეპოვება.

სარდიონ ალექსი-მესხიშვილი იყო შვილი ცნობილი პედაგოგის და მწიგნობრის, თბილისის ანჩისხატის ეკლესიის დეკანოზის დიმიტრი ალექსი-მესხიშვილისა. XIX ს. 20-იან წლებში სწავლობდა თბილისის სემინარიაში. მან „ქართველთაგან პირველმა დაამთავრა მაშინდელი სანკტ-პეტერბურგის მედიკო-ქირურგიული აკადემია“<sup>4</sup>. სარდიონ ალექსი-მესხიშვილი „ვახლდათ ერთგვარი დიპლომატი და იმ დროს შესაფერი ცოდნით აღჭურვილი ადამიანი, რომელიც გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს საზოგადო მოვლენას, ყოველ აზრს, რომელიც დასავლეთ ევროპის ქარს მოჰქონდა რუსეთში. მისი ოცნება მუდამ ის იყო, რომ ყოველი ახალი ჩვენს საქართველოშიც გადმოენერგა, თუკი ეს რამდენადმე შესაძლებელი იქნებოდა“<sup>5</sup>.

4 აკ. ფაღავეა, ლადო მესხიშვილი (მონოგრაფია), 1938, გვ. 14.

5 დ. კასრაძე, ლიტერატურული პორტრეტები, 1962, გვ. 123.

ალექსი-მესხიშვილი აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკარში“ და ამ ჟურნალის ენობრივი და სტილისტური პრინციპების ერთგული იყო. მას გამოქვეყნებული აქვს შემდეგი თარგმანები: როჟე დე ბოვარის „საფია“ („ცისკარი“, 1853, № 7—9), მარმონტელის მოთხრობა — „მეუღლანოენი“ („ცისკარი“, 1857, № 1—2), მოთხრობა „ჟოკო“ — (ცისკარი, 1852, № 5) და ექვენ სიუს „მიმოგზაური ურია“ („კრებული“, 1872 წ. № 8—9). ეს ნაწარმოებები მესხიშვილს თარგმნილი აქვს ფრანგული ორიგინალიდან.

მესხიშვილის თარგმანებმა ქართულ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ქართველი ახალგაზრდა მოწინავე საზოგადო მოღვაწეები მესხიშვილს უწუნებდნენ მძიმე, არქაულ ენას და ისეთი მწერლების ქართულად გადმოღებას, რომელთა შემოქმედება თავისი სოციალური ჟღერადობით არ ეხმიანებოდა იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობის სულს.

ანტონ ფურცელაძე 1962 წ. მესხიშვილისეულ „მიმოგზაური ურიას“ თარგმანზე წერს: „ჩვენი ქართული ლიტერატურა, რომელიც ასე ღარიბია ყოველრიგის სასარგებლო და გამოსადეგი ნაწარმოებებით, საჭიროებს, რომ შეიძინოს იმისთანა საგანი რომელიც ან სულს მიეკვრას, ან ხორცსა. იმის ნაცვლად, რომ ეს საჭიროება ალასრულონ, ჩვენი ლიტერატურის მშრომელები აი, რასა სთარგმნიან“<sup>6</sup>... ანტონ ფურცელაძეს არ მოსწონს სათარგმნელად ამორჩეული მწერალი და არც ის, რომ მესხიშვილი თარგმნის „ქართველ მამის ენითა, რომელიც ეხლა ხუცესს პეტრე ლაელაურსაც აღარ ეყურება“<sup>7</sup>. მართალია, ეს თარგმანი „არც თუ ისე არქაულად ჟღერს, როგორც ფურცელაძეს მოეჩვენა“<sup>8</sup>, მაგრამ მაინც ილიასა და აკაკის თაობის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფონზე სარდიონ ალექსი-მესხიშვილის ენა არქაულად გამოიყურება.

ს. ალექსი-მესხიშვილის თარგმანებმა მთავარი საყვედური დაიმსახურეს იმის გამო, რომ მის მიერ სათარგმნელად არჩეული ნაწარმოებების ხასიათი ეწინააღმდეგებოდა ქართული კრიტიკული რეალიზმის მესვეურთა ამოცანებს. წერილში „ორიოდე სიტყვა“ — ლიტერატურული თარგმანის რიგი სხვა საკითხების განხილვასთან ერთად, ილია ჭავჭავაძე ეხება გადმოქართულებულ სენტიმენტალურ ლიტერატურასაც და, სხვათა შორის, უარყოფითად მოიხსენებს

6 ანტონ ფურცელაძე, „მიმოგზაური ურია“, „ცისკარი“, 1852, № 11. გვ. 283.

7 იქვე.

8 ალ. კალანდ აძე, ნაკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, 1965, გვ 393.

სარდიონ ალექსი-მესხიშვილის მიერ სენტიმენტალური სკოლას ცნობილი წარმომადგენლის — მარმონტელის ნაწარმოების „მეუღაბნოს“ თარგმნას. „რა საჭიროა — წერდა იგი, — ეხლა ან ჩვენი ლიტერატურისათვის, ან ხალხისათვის სენტიმენტალური სკოლის მწერლობის გაცნობა?“<sup>9</sup>.

კირილე ლორთქიფანიძე მესხიშვილის შემოქმედებას „დამძიმებულ რიტორიკას“ უწოდებს<sup>10</sup>. მეორე მხრივ, უფროსი თაობის ერთ-ერთი რადიკალური წარმომადგენელი ბარბარე ჯორჯაძე აქებდა სარდიონ ალექსი-მესხიშვილს და წერილში „პასუხის პასუხი“ ასე მიმართავდა ილია ჭავჭავაძეს. „ს. ალექსი-მესხიშვილი... ზრდილობიანი კალმით ამხელს თქვენ (შვილთა — მ. კ.) შეცდომებს“<sup>11</sup>. ექვთიმე წერეთელი კი ალტაცებით წერდა ს. ალექსი-მესხიშვილის შესახებ: „ოჰ, რა კარგი არის ბუნებითი და ჩამომავლობითი ნიჭი“<sup>12</sup>. „მამათა და შვილთა“ კამათში თვით ს. ალექსი-მესხიშვილიც ჩაება. ილიას ზემოხსენებული წერილის საპასუხოდ მან „ცისკარი“ გამოაქვეყნა სტატია „უსტარი ანტიკრიტიკული“<sup>13</sup>, რომელშიც მკვეთრად დაუპირისპირდა ბაირონის შემოქმედების ილიასეულ დახასიათებას.

ამგვარად, ბაირონის ნაწარმოების ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი სარდიონ ალექსი-მესხიშვილი უფროსი თაობის წარმომადგენელია. მას თავისი შეხედულებები აქვს არა მხოლოდ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ითარგმნოს ბაირონი, არამედ იმათზეც, თუ როგორ უნდა შეფასდეს ქართული მწერლობის მიერ ინგლისელი პოეტის შემოქმედება.

რომანტიკოსთა თაობის ამ ღვაწლმოსილი წარმომადგენლის ინტერესი დიდი ინგლისელი რომანტიკოსის შემოქმედებისადმი არ ატარებდა შემთხვევით ხასიათს. ჩვენამდე მოაღწია ბაირონის ს. ალექსი-მესხიშვილისეულმა კიდევ ერთმა თარგმანმა.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ხელნაწერი Q—1121, რომელიც ბაირონის ლექსის „Translation of the Romaic song“-ის ქართულ თარგმანს წარმოადგენს. ხელნაწერში მთარგმნელის ვინაობა მოხსენიებული არ არის. რვეულს წინა

<sup>9</sup> ილია ჭავჭავაძე, ორიოდ სიტყვა..., ტ. III, 1953, გვ. 12.

<sup>10</sup> კირილე ლორთქიფანიძე, „წიგნი მიწერილი რედაქტორთან“, „ცისკარი“, 1862, VI გვ. 358.

<sup>11</sup> ბარბარე ჯორჯაძე, პასუხის პასუხი, „ცისკარი“, 1861, IX გვ. 105.

<sup>12</sup> ეფ. წერეთელი, უფალო რედაქტორო, „ცისკარი“, 1962, გვ. 201.

<sup>13</sup> ალექსი-მესხიშვილი, უსტარი ანტიკრიტიკული „ცისკარი“, 1861, VI, გვ. 255-268.

გვერდზე აწერია: „თარგმნილი ილორში, 1838-სა და წელსა“. ხელნაწერი დღემდე არ გამხდარა მკვლევართა ყურადღების საგანი, ვინაიდან იგი აღწერილობებში აღნიშნული არ არის<sup>14</sup>.

ბაირონის ეს ლექსი სატრფიალო ხასიათისაა. ამიტომაც ქართველმა მთარგმნელმა ამ ლექსს უწოდა „სამიჯნურო ლექსი“ და არა „ახალბერძნული სიმღერა“, როგორც ორიგინალშია. თარგმანს, ისევე როგორც ორიგინალს ეპიგრაფი აქვს წამძღვარებული... თარგმანი შესრულებულია პროზით, მაგრამ მას ნაწილობრივ შენარჩუნებული აქვს ერთგვარი რიტმი:

„ვითა გეროი ბრძოლის ველსა სწრაფად მფრინავი, ჰაზრად მქმნელი სრულად ძლევისა, შენ მოხველ ჩემდა გულის საკუდინად. ეჰა. ჰაიდე! მშვენებით სრულო, მარქუ მე შენ ჩემო სულო, ჩემდა წაწყმედად ნუ თუ ხარ მზად და არ გენანი უფროსლა მაშინ, ოდეს ღიმილსა ერთსა ცა შენსა ტანჯვანი ჩემნი სრულად ექარვოს. შენ გაიხსენე ის, იმედი, რომელსაც ძველად მე შენ გაძლედი, ისა ჰმა იყოს დაჯილდოებად ჩემთა წვალებათ და ჩემდა შვებად...

ჰე, რა სამწუხარო არს ბალი შენი ვარდით აღსავსე, სატრფოვო ჩემო, ჩემო ჰაიდე, საცდურით სავსე! ფლორი იქ მშვრალი საწყლადა სკვნების და ჩემთან სტირის სიშორეს შენსა“.

როგორც ჩანს, თარგმანი, რომლითაც ქართველ მთარგმნელს უსარგებლია, საკმაოდ ზუსტად შეესაბამებოდა დედანს. ამით აიასნება ის, რომ ქართული თარგმანი ახლოსაა დედანთან: მოგვაქვს ნაწყვეტი ორიგინალიდან, დედნის ბწყარედი და მისი შესატყვისი ქართული თარგმანი:

I enter thy garden of roses  
Beloved and fair Haidee,  
Each moring where Flore reposes,  
For surely I see her in thee  
Oh, Lovely! thus low I implore thee  
Receive this fond truth from my tongue,  
Which utters its song to adore thee  
Yet tremble for what it has sung;

(ბწყარედი: „მე შევდივარ ვარდების ბაღში, ჩემო მშვენიერო და საყვარელო ჰაიდე, იქ, სადაც ყოველ დილით ყვავის ფლორა, სწორედ ის, რომელსაც მე შენში ვხედავ. ოჰ, საყვარელო, გვედრები ერწმუნო ჩემს სიტყვებს, რომელსაც მე სიმღერით გეჩურობულები“).

<sup>14</sup> ტ. რ. უ. ხ. ა. ძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, 1960, გვ. 245.

„ვარდისა ბალსა მე შევალ შენსა, ჩემო სატრფოო, ტურფავ ჰაიდე. ეს მტილი არის იმ სავანეს, საცა რო ფლორი ყოველს დილასა იშვებს, ისვენებს და განიხარებს, ის არის ფლორი, თითონ ეს ფლორი, რომელსაც ვხედავ მე თვითონ შენში. ლამაზო ჩემო ჰაიდე. გეაჭი მე შენ მკრთალითა ხმითა., ისმინე ჩემი ხმა გალობისა და ნაზი მღერა სიყვარულისა მე თითონ... რომე გიქმენ შენ ესე გალობა“.

ს. მესხიშვილს უთარგმნია ის მცირე წინასიტყვაობა, რომელიც ახლავს ბაირონის ლექსს: „ამ ლექსის ნამდვილი იგალობების ახალგაზრდათა ათინელთაგან ყოველთა დასისა: ისინი ჰგალობენ ამას ხორებში. დია ხშირად ვისმენდი მე ამას Χωρος-ში 1810 და 1811 წელსა ზამთრით“.

ისევე, როგორც „ოსკარ დ'ალვას“ თარგმანში, აქაც მთარგმნელი ხმარობს ძველ სიტყვებს და გრამატიკულ ფორმებს (მარქვი. მტილი, გეაჭები, განიხარებს, გიქმენ, განმილეთ, სქენების და სხვ.)

ლექსი არ შეიძლება იყოს თარგმნილი რუსულიდან, რადგან ბაირონის თხზულებათა 1905 წლის გამოცემაში აღნიშნულია, რომ ეს ლექსი „პირველად რუსულ ენაზე ამ გამოცემისათვის ითარგმნა“<sup>15</sup>. ჩვენი აზრით ეს თარგმანიც ფრანგულიდან უნდა იყოს შესრულებული.

1. მთარგმნელის ხელწერა სავსებით ემთხვევა „ოსკარ დ'ალვას“ ხელწერას.

2. თარგმანში ფრჩხილებში მოცემულია სახელი Haidée პავილით.

3. ამ ორ თარგმანს შორის შეიმჩნევა ლექსიკური მსგავსებანი (ვით, ოდეს, ყოვლი, ჟამი და სხვა). ორივე თარგმანში გვხვდება ასო ჟ, რომელიც, აკაკი შანიძის სიტყვით, შემოიღეს ევროპული ენებიდან მიმდინარე კბილბაგისმიერი ლათინური ბგერის (F) გამოხატავად<sup>16</sup>.

ეს თარგმანიც შესრულებულია იმავე ენობრივი პრინციპებით, რომლითაც ხასიათდება „ოსკარ დ'ალვას“ თარგმანი. ისევე, როგორც „ოსკარ დ'ალვას“ თარგმანში, აქაც, მთარგმნელი ხმარობს ძველ ასოებს, რომელიც იმ დროს კვლავ ხმარებაშია.

მაგ. ა—გეროა, ჯ და ხ (ერთ და იმავე სიტყვაში), კმა — ხმა. ჯშირად — ხშირად, განიკარებს — განიხარებს და სხვა.

ჟ — წოდებითში დაყენებული სიტყვის წინ გვხვდება და პო-ს უდრის:

<sup>15</sup> Баиرون, С.ПБ. стр. 190, т. I.

<sup>16</sup> ა.კ. შანიძე, ბარათაშვილის ენა, „მაცნე“, 1968, № 4, გვ. 134.



მაგ. შ., ლამაზო, ჩემო პაიდე!

შ, სასტიკო, ვედრება ჩემი ამაოდ შენდე არს სასმენელო ჯ -- თვალი, თავსა, წყურვილი, თვითონ. საგულისხმოა კ ხმარება: მაგ., პაზრი, პპოვებს, ჰგალობენ და სხვა.

ემთხვევა ზმნისწინების ფორმა: გან—განხიზარებს, განამდიდრებს, განმიღეთ; წარ—წარგზოცო, წარწყმედად.

გრამატიკული ფორმა: არს.

აქვე უნდა აღინიშნოს ის შესწორებები, რომელიც მთარგმნელს ჩაუტარებია სტილის შესამსუბუქებლად. მაგ., „ოსკარ დ'ალვაში“ მთარგმნელი ხმარობს „ვითარ“, აქ — „ვით“, აღარ ჩანს ისეთი სიტყვები, როგორიცაა მუნ, ზედ, შინა. ნაცვლად როლიცა, როლთაცა, რომელმანც — მთარგმნელი ხმარობს, რომელსა.

„სამიჯნურო“ ლექსის ქართული თარგმანი მოწმობს მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქართული საზოგადოების ინტერესს ბაირონის შემოქმედებისადმი.

შეიძლება ითქვას, რომ XIX ს. I ნახევარში ბაირონის ყველა ქართული თარგმანი და მიბაძვა წარმოადგენს ქართულ რომანტიზმის განუყოფელ ნაწილს. ამაზე მეტყველებს არა მხოლოდ უკვე განხილული თარგმანები, არამედ, კიდევ უფრო მეტად, მიხეილ თუმანიშვილისეული თარგმანები და მიბაძვები.

მიხეილ თუმანიშვილის (1818—1873) შემოქმედებაში ბაირონისტული გატაცებანი, რაც მისი რომანტიკული მსოფლგანცდის შემადგენელი ნაწილია, უნდა გავიზაროთ როგორც XIX ს. დასაწყისის ქართულ ლიტერატურაში აღმოსავლურ გავლენათა დაძლევის და „ევროპეიზაციის“ პროცესის ორგანული გამოვლინება. საგულისხმოა, რომ გრ. ორბელიანის იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვაში, მ. თუმანიშვილმა საგანგებოდ მიუთითა იმ როლზე, რომელიც დიდმა ქართველმა რომანტიკოსმა შეასრულა, როგორც ამ ახალი ნაკადის გზის გამკვლევმა, ქართულ ლიტერატურაში: „თქვენი ახალგაზრდობის თანამედროვე ეპოქაში (საქართველოს — მ. კ.) ჯერ არ ჰქონდა გააზრებული განათლებული ქვეყნების სულიერი ცხოვრება, მის ოდესღაც მდიდარ და საბერძნეთის ლიტერატურასთან სულიერად დაკავშირებულ ლიტერატურაში, აღმოსავლეთის გავლენის გამო, სჭარბობდა უმოძრაობა: მისი პოეზია, საქართველოს განუყოფელი თანამგზავრი მისი ისტორიის როგორც ბრწყინვალე, ისე მწუხარე მომენტებში, იმავე აღმოსავლეთის გავლენით. დადუმებული იყო ან გამოურკვეველ, შეუგნებელ და უმიზნო ბგერებს გამოსცემდა. საქართველოს მეორე დაუვიწყარ პოეტ, განსა-

ვენებულ ალ. ჰავკავაძესთან ერთად, თქვენ პირველმა ააქლერეთ ჩანგი ევროპულ პანგზე და აუწყეთ თქვენს სამშობლოს, რომ არსებობს კიდევ სხვაგვარი ბგერა, უფრო მწყობრი და ნათელი, გააცანით სხვა შეგარძნება და სიტყობება, უფრო მაღალი და უფრო გონიერი“<sup>17</sup>.

მართლაც, მ. თუმანიშვილს კამენსკის ერთი მოთხრობა უთარგმნია იმ მიზეზით, რომ მოთხრობის წინასიტყვაობაში აღნიშნული ყოფილა ბაირონის სახელი. „ეს მოთხრობა თავის დროზე — წერს მ. თუმანიშვილი, — კარგად იყო მიღებული რუსულ ჟურნალებში და ერთ მათგანში იყო კიდევ შენიშნული, რომ ბაირონი, აგრეთვე მდიდარი ლორდი, როგორც უპირველესი პოეტი ანგლიისა, ვინ იცის რამდენ ათასს ფუნტს სტერლინგს მისცემდაო, რომ იმას მოსვლოდაო ეს საკვირველი პაზრი ერთ-ერთის თავის პოემისთვისო. ჩვენც დავხარბდით და გადმოვიღეთ“<sup>18</sup>. ამას მიუთითებდა აბ. მახარაძე, როცა წერდა: „1859 წ. (№ 1) ცისკარში“ დაიბეჭდა მ. თუმანიშვილის რუსულიდან თარგმნილი მოთხრობა „აღსასრული ქვეყნისა“, რომლის წინასიტყვაობა გარკვეული მნიშვნელობის შემცველია მ. თუმანიშვილს საერთო ლიტერატურულ შეხედულებათა გათვალისწინების თვალსაზრისით!“<sup>19</sup>

მ. თუმანიშვილმა თარგმნა ბაირონის ცნობილი ლექსი „Lines inscribed upon a Cup formed from a Skull“ („წარწერა თავის ქალისაგან გაკეთებულ თასზე“). თუმანიშვილის თარგმანს აწერია „თასი — თავის სარქველი“ (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. მიხ. თუმანიშვილის ფონდი).

როგორც შედარებამ გვიჩვენა, ლექსი ორიგინალიდან არ არის თარგმნილი (მიხ. თუმანიშვილმა ინგლისური ენა არ იცოდა). ლექსი არც რუსულიდან უნდა იყოს გადმოღებული, ვინაიდან ამ ლექსის რუსული თარგმანი პირველად 1841 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „რეპერტუარში“ (მთარგმნელი ვინმე NN), ხოლო ქართული თარგმანი შესრულებულია უფრო ადრე — 1838 წელს. ჩვენი აზრით, თარგმანი შესრულებულია ფრანგული ენიდან. ცნობლია, რომ მიხ. თუმანიშვილი კარგად ფლობდა ფრანგულს. 1871 წელს მ. თუმანიშვილი ერთ-ერთ წერილში თავის შვილს სწერს: „ფრანციცულს დაეჩქარე, თორე მერე გვიან იქნება. ეს ენა მარტო კითხვისათვის

17 დ. რამიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, 1957, გვ. 84.

18 „ცისკარი“, 1858, № 2, გვ. 123.

19 აბ. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, თსუ, 1967, გვ. 385.

არ არის. უმაგისოდ ახლანდელს დროში იოლად ვერ წახვალ ვერც საზოგადოებაში, ვერც მწერლობაში“<sup>20</sup>.

ბაირონის ლექსს — „Lines inscribed upon a Cup formed from a Skull“ ახლავს შენიშვნა, რომელიც თუმანიშვილისეულ თარგმანში ასე ელერს: „ლორდ ბაირონი გვიცხადებს გარემოებასა ამ თასისასა ესრეთის სახით „მებაღე ბარავდა მიწასა და ბარვაში მოხვდა მას ერთი თავის-სარქველი, რომელიც ევევობ, ეკუთვნოდა მზიარულს ვინმეს ბერს... ვიხილე რა სიმრთელე და სიდიდე თავისა ამის, მომივიდა საკვირველი ფიქრი, რომ მომეგვარა იგი მორიგის თასის მსგავსად, და მაშინვე გავგზავნე იგი ქალაქს, საიდგანაც შემდგომ უკუმეგზავნათ მოქანდაკებულ და მთლილ მზგავსად მშვენიერს ფერის სადაფისა“.

მ. თუმანიშვილის პოეტური სტილი აღბეჭდილია ენის დემოკრატიზაციისაკენ აშკარა სწრაფვით და ამ მხრივ იგი დიდად განსხვავდება იმ დროის მრავალი ნაკლებმნიშვნელოვანი მწერლის, კერძოდ, „ცისკრის“ მრავალი ავტორის (მათ შორის ს. მესხიშვილის) სტილისაგან. ამით აიხსნება, რომ ქართული რომანტიკული პოეზიის მხატვრული საშუალებების გამოყენებასთან ერთად თუმანიშვილის თარგმანი ხასიათდება პოეტური მეტყველების ერთგვარი სისადავით. ვიმოწმებთ ნაწყვეტს თარგმანიდან:

ჩემში ოდესმე გონების მზე ბრწყინავდა ნათლად.  
აწ მსურს ვიბრწყინო სხვისა თავის განსაბრწყინებლად,  
დაეკარგე კჳა და მის ნაცვლად რახ მივიღო  
მე უმჯობესი, თუ არ ტბილი, კეთილი ღვინო?

ან.

ახ. მეც ვცხოვრობდი, მეც მიყვარდა, მეც ვსვამდი შენებზე:  
მოვკვდი, დასასრულ და განვიხრწენ მიწისამიერ...  
აღმავსე ღვინით და შემახე ბაგენი შენნი,  
ეგე ბაგენი, არა ეგრეთ საზიზღებელი.

მიხეილ თუმანიშვილის პოეტური ენის სისადავის შესახებ. რაც ჩვენ მიერ ზემოთ მითითებულ თარგმანშიც შეიმჩნევა, მიუთითებდა პროფ. ალ. ხაჩანაშვილი: „მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილის ლექსი განსხვავდება არაჩვეულებრივი სიმსუბუქით და ხმოვანებით“<sup>21</sup>.

<sup>20</sup> საარქივო მასალები XIX ს. 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ (თუმანიშვილის წერილები), 1965, გვ. 53. (ე. აბრამიშვილის პუბლიკაციით.)

<sup>21</sup> ალ. ხაჩანაშვილი ქურნ. „განათლება“, 1911, გვ. 83.

ბაირონის ლექსი „Lines inscribed upon a Cup formed from a Skull“ ფილოსოფიური ხასიათისაა. აქ გამოყენებული თავის ქალისა და ცოცხალი ადამიანის დიალოგი მარადიული მოტივია. ლექსში საუბარია ადამიანის წარმავლობაზე. თავის ქალა მიმართავს პოეტს, რომ ერთ დროს ისიც სვამდა, მაგრამ საბოლოოდ მოკვდა და გაიხრწნა მიწისაგან. თავის ქალა ეხვეწება პოეტს გადააყეთოს იგი ღვინის თასად და ყურძნის წვენით ალავსოს. ეს მისთვის დიდი ბედნიერება იქნება, რადგან შეეხება ადამიანის ბაგეები და აღარ იქნება ქვემძრომთა თავშესაფარი. ერთ დროს ამ თავის ქალაში გონების მზე ბრწყინავდა, მაგრამ მან უკვე დაჰკარგა აზროვნების უნარი და მისი სურვილია იარსებოს „სხვისა თავის განსაბრწყინებლად“. მოვა დრო, — მიმართავს თავის ქალა პოეტს, — და შენი თავიც შთაინთქმება მიწისაგან, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ეს თავის ქალაც იპოვოს ვინმემ და ღვინის თასად გადააყეთოს. მაშინ კი მისი ხვედარი ბედნიერებას ეზიარება და იგი შთამომავლობას სარგებელს მოუტანს.

ისგავსი ვიდრე გაქვს დროება კეთილს ისწავლი ჩემგან: .  
ოდეს შთაინთქმი ჩემებრ შენცა შავ-მიწისაგან  
იქნება თავი შენიც იპოვოს ვინმემ ფეხით,  
შეგჯღაბოს, განგახუროს ღვინის ნაბერწყალით!

მაშინ ეწევა მხედარი შენი ბედნიერებას  
მაშინ მიაგებ შთამომავალთ შენ სარგებლობას,  
კაცნი გამხმართა მოძმეთა თავთ რომ ხშირად ჰსჭვრეტდნენ,  
ოხ! რავდენს მათგანს იგი თავნი მეცნიერ-ჰყოფენ!!!

ლექსის ფინალი რამდენადმე ეხმაურება ბარაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“ ცნობილ სტროფს: „არც კაცი ვარგა...“ თავისთავად ის ფაქტი, რომ თუმანიშვილმა თარგმნა ბაირონის ლირიკიდან ასეთი ნიმუში, რომელშიც უარყოფილია წარმავლობის, ადამიანთა ცხოვრების ამაოების პესიმიზმური იდეა, მეტყველებს იმაზე, რომ თუმანიშვილისათვის უცხო არ იყო რომანტიზმის პროგრესული განწყობილებები.

ბაირონის აღნიშნული ლექსი, ისევე როგორც მისი პოემებისა და ლექსების ერთი ნაწილი 10 მარცვლიანი საზომით, ე. წ. იამბიკური პენტამეტრით არის შესრულებული, რომელიც ამაღლებული, ლირიკულ-ეპიკური ინტონაციით ხასიათდება. როგორც წესი, რუსულ თარგმანებში იგივე საზომია შენარჩუნებული, მაგრამ იმის გამო, რომ ქართული ენის სიტყვების დიდი ნაწილი მრავალმარცვლიანია, ქართულ თარგმანებში ინგლისური 10 მარცვლიანი საზომის მოცულობა იზრდება. როგორც ჩანს, მიხ. თუმანიშვილი იყო

პირველი ქართველი პოეტი, რომელმაც ბაირონის 10 მარცვლიანი ლექსის გადმოსაცემად აირჩია 14 მარცვლიანი საზომი. არჩევანი უაღრესად სწორი იყო, რადგან 14 მარცვლიანი ლექსის ინტონაცია „ღრმად ეროვნულია, საერთო სახალხო ენიდან მომდინარეობს და იმეორებს ჩვენი ხალხური ვოკალის მთელ რიგ ნიშნებს (მაგ., პოლიფონიზმს და ა. შ.)“<sup>22</sup>.

მიხ. თუმანიშვილს არ უღალატა პოეტურმა ალომ, როდესაც მან ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის ლექსის სათარგმნელად 14 მარცვლიან საზომს მიმართა. მისი არჩევანის სისწორეს ადასტურებს ის, რომ ილია ჭავჭავაძემ „მანფრედისა“ და „კაენის თარგმანებში“ აც ეს საზომი და შექსპირის იამბიკური პენტამეტრი გამოიყენა. ილიამ და ვ. მაჩაბელმა აგრეთვე 14 მარცვლიანი საზომით თარგმნიდნენ, რამაც საბოლოოდ ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაში განამტკიცა 10 მარცვლიანი ინგლისური ლექსის შესატყვისად 14 მარცვლიანი საზომის ავტორიტეტი. როდესაც მ. თუმანიშვილი და შემდგომ ილია ბაირონის 10 მარცვლიანი ლექსების თარგმნისათვის იყენებდნენ 14 მარცვლიან საზომს, ისინი უთუოდ ითვალისწინებდნენ იმას, რომ ამ საზომით არის აუღერებული გრ. ორბელიანისა და ბარათაშვილის მრავალი ლექსი. თვით თუმანიშვილის 14 მარცვლიანი ლექსები („ელეგია“, „გამოსალმება“ და სხვ.) თავისი განწყობილებით ბაირონის პოეზიის შინაარსს ენათესავება. სამართლიანი იქნებოდა თუ ამ საქმეში პიონერად მიხ. თუმანიშვილს ჩავთვლიდით, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ქართულ თარგმანებში 14 მარცვლიან საზომს ავტორიტეტი ილია ჭავჭავაძემ და მაჩაბელმა მოუპოვეს, მათი თარგმანები იბეჭდებოდა და ყველასათვის იყო მისაწვდომი, ხოლო თუმანიშვილის ეს თარგმანი დღემდე არ გამოქვეყნებულა და ამდენად უცნობი იყო ქართული მწერლობისათვის.

„ბაირონმა, რომელიც ბატონობდა XIX ს. 20—30-იან წლებში თაობათა აზრსა და ოცნებაზე თვალსაჩინო დალი დაასვა თუმანიშვილის პოეტურ შემოქმედებას“<sup>23</sup>. მართლაც, ბაირონისადმი მიხ. თუმანიშვილის ინტერესი როდი ატარებს შემთხვევით ხასიათს.

ბაირონისეული მოტივები გაისმის მიხ. თუმანიშვილის ორიგინალურ ლექსებში („ელეგია“; „ღამე“, „კ-ს“ და სხვა), მაგრამ ყველაზე მკაფიოდ ეს ჩანს ლექსში „უდაბნო“, რომელსაც თუმანიშვი-

<sup>22</sup> ა. ჭ. გ. ა. წ. ე. რ. ე. ლ. ი. ა., ქართული კლასიკური ლექსი, 1958, გვ. 145.

<sup>23</sup> შ. რ. ა. დ. ი. ა. ნ. ი., მ. ხელთუბნელი, გვ. 44.

ლის ერთ-ერთ ადრეულ ხელნაწერში აწერია: „მიბაძვა ბაირონი-სადმი“.

ლექსში მოცემული ბაირონისეული მოტივები შესისხლხორცებულია მიხ. თუმანიშვილის შემოქმედებასთან და მის სულიერ განწყობილებასთან. იაკობ გოგებაშვილის აზრით, ლექსს „უდაბნო“ „აზის ბექედი უშუალო ბაირონისეული სასოწარკვეთილებისა, რაც მაშინდელ დროს ახასიათებდა“.

ლექსში „უდაბნო“ ბუნების სურათის რომანტიკული წარმოსახვა გამოყენებულია პოეტის სულიერი განწყობილების გადმოსაცემად.

ვის არ გიხილავსთ უდაბნო ბნელი,  
სად თვალნი გზისა შუქსა ვერ სჭვრეტენ,  
სად ვერანადა მოჰსჩანს ყოველი  
და ქარიშხალი ხმიანობს ოდენ?  
ვის არ გიხილავსთ ვითა ხე, მწარედ  
გულ ჩამომწვარი ციურის ცეცხლით  
და მაღალს კლდეზედ მარტოდ, მწუხარედ  
გადმოყიდული დამკნარ შტოებით!

ლექსი „უდაბნო“ ბაირონისეული სევდის ქართულად გააზრებისა და აღდერების მკაფიო დადასტურებაა<sup>24</sup>.

ბაირონის ლექსების განწყობილებამ მიხ. თუმანიშვილს საშუალება მისცა გამოეხატა თავისი საკუთარი სულიერი ტკივილი.

ეს არს მოყვასნო, გლახ ჩემი ბედი,  
მეც ეგრეთ ვიქმენ ღლეგანამწარი,  
ვერლა მებალოს ტბილი იმედი,  
ვერლა აყვავდეს მით გული მჰკნარი.

ბაირონის პოეზიის ზოგიერთი თემის, მოტივისა თუ საერთოდ იდეურ-მხატვრული თავისებურების გარკვეული გამოძახილი მეტნაკლებად მიხ. თუმანიშვილის სხვა ლექსებშიც არის საძიებელი. მაგალითად, მ. თუმანიშვილის ორიგინალური ლექსი „ღამე“, თავისი რომანტიკული განწყობილებით, სახეობრივი სისტემით, ღამის სურათის გამოყენებით პოეტის ემოციების გადმოსაცემად ეხმაურება ბაირონის „სტანსებს ავგუსტასადმი“.

ვით მომღიმარნი საყვარლის თვალნი,  
ვით ვარსკვლავები ზედ გვინათიან  
და ფუფუნების ნელნი ნიავნნი  
სურნელებსა გარემოჰჰკრიან.

24 დ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, მიხ. თუმანიშვილი, 1957, გვ. 84.

ინგლისური ტექსტი:

Oh! blest the thine unbroken light!  
That watch'd me as a seraph's eye;  
And stood between me and the night  
For ever shining sweetly night

ბწკარედი: „კუროთხელ იყოს ის საყვარელი და მომლიმარე 'მუქი, რომელმაც შემოანათა სერაფიმას თვალივით და მუდმივ შუქურად ჩადგა ჩემსა და ღამეს შორის“.

ორივე ლექსში ღამის სურათი პოეტის განცდებს შეესატყვისება. ორივე ლექსში გამეფებულია სევდიანი, ელეგიური ტონალობა. ბაირონის ლექსში გაისმის მუსიკის ხმა. მიხ. თუმანიშვილის ლექსში თვით ბუნება ამღერებულა მუსიკასავით: „და ხმანი მათნი, ვით ჩანგის ჟღერა, შემოგარენსა ამუსიკებენ“.

ასეთი ფაქტები ერთხელ კიდევ მოწმობენ იმას, რომ ქართული რომანტიზმის განვითარებას თან ახლდა ევროპული რომანტიკული ლიტერატურისადმი, კერძოდ, ბაირონის შემოქმედებისადმი დაინტერესება და მის პოეტურ სამყაროსთან ღრმა თანაზიარობის შეგნება.

---